საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები ®

www.tbiliselebi.ge

№35 ... ფასი 1,50 ლარი ... 1 სექტემ...



გვ. 74

**რას პასუხობს ეკა კვალიაშვილი ყოფილ ქმარს, თემურ გვალიას და უშლიდა თუ არა ის შვილს მამასთან ურთიერთობას**

გვ. 79

**ვინ შეუქმნა კომფორტი ხატია შამუგიას ხურგადაში და ვის უქმნის ის დისკომფორტს თავისი პედანტობით**

ISSN 1987-569X

გვ. 70

**რატომ არის ქეთი ორჯონიკიძისთვის სიყვარული „მიდი-მოდი“ გრძნობა და რა დააწყებინა მას მონოლილმა იდეებმა**



**როგორ „დააგოიმეს“ აზარტული ნუცა ჯანელიძე მოსკოვში და ვისთან ერთად დადიოდა ის ანტალიის კაზინოში**

გვ. 18



**როგორ გეგმავდა მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ ღამის კლუბში ივენთებს დიმიტრი ჩხეიძე და როგორ აცნობს ის უცხოელებს ქართველებს „ნიუ-იორკ ფეშენ ლაიფის“ დახმარებით**

გვ. 75



გვ. 15

**ქურდული სამყაროს რა საიდუმლო იცის ადვოკატმა ლედი ტუკვაძემ და რა საჩუქარი მიიღო მან ტარიელ ონიანისგან**

# გილოცავთ მარიამობას!

# მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




## სკოლის ასაკში წასაკითხი წიგნები

## მეშვიდე ტომი გამოვა 2 სექტემბერს

## წიგნი გამოვა თვეში ერთხელ

## მხოლოდ ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად

## დაიბრუნეთ ჩვეული სილაღე და თვითდაჯერებულობა

# ტერბიზილი® კრემი
ტერბინაფინი




**ეფექტური** → **სწრაფი** → **საიმედო და უსაფრთხო**

**ტერბიზილის კრემი** – შექმნილი სპეციალურად კანის სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, სულ რაღაც **1-2 კვირაში** ახდენს ტერფის სოკოსგან სრულ განკურნებას და იცავს კანს განმეორებითი ეპიზოდების განვითარებისაგან ხანგრძლივი დროით.

**გამოყენების წესი:** წინასწარ გასუფთავებულ და მშრალი კანის დაზიანებულ უბნებზე წაისვით ტერბიზილი კრემის თხელი ფენა 1-2 ჯერ დღეში.

- **უზრუნველყოფს განკურნების მაღალ პროცენტს.**
- **ანადგურებს კანის სოკოს ყველა ძირითად გამომწვევს.**
- **ახდენს სრულ განკურნებას (ტერფის სოკოს დროს 1-2 კვირაში).**
- **დაგიცავთ რეციდივის განვითარებისაგან.**

*იკითხეთ აფთიაქებში*

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ღსს “გედეონ რიხტერი”-ს (უნგრეთი) წარმომადგენლობა საქართველოში.
მის.: თბილისი, კანდელაკის №8, ტელ/ფაქსი: 237-11-00; 237-71-00

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რა სირთულეებს გამოიწვევს, თუკი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პრემიერ-მინისტრი და ახალი პრეზიდენტი სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის წევრები იქნებიან ..................... 6



რატომ იზრდება კრიტიკულ ზღვრამდე ყარაბაღში ომის განახლების პერსპექტივა და რა სახით მოუწევს საქართველოს მასში ჩაბმა .. 8

რატომ არ იღებდა არანაირ ანაზღაურებას ნანა ყეინიშვილი, როგორც „წითელი ჯვრის“ პრეზიდენტი და რა უძრავ ქონებას ფლობს ის თბილისსა და ბეთანიაში ....................... 9



როგორია ხალხის ტვინის რეცხვის პროპაგანდისტული მეთოდები, რატომ არის აუცილებელი მოსახლეობის დამშევა შავი პიარის ეფექტიანად მოქმედებისთვის და რატომ გაუქმდა საქართველოში ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა .................................. 10

რა როლი ითამაშა ათმა სანტიმეტრმა ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის ცხოვრებაში და რატომ ჩაესმის მას ყურში ტყვიების ზუზუნი............12



რომელი მილიარდერები მიიჩნევიან ყველაზე უსწავლელებად „ფორბსის" რეიტინგში......13

ამუშავებენ თუ არა თბილისის ზღვაზე ჩინური ქალაქის მშენებლობაზე ჩინელ პატიმრებს ............................................... 14

ადვოკატი გირჩევთ ............................................ 16

რას ეძახიან მამაკაცები ქალის მხრიდან ძალადობას ............................. 20

დაკარგულმა ნათესავებმა ერთმანეთი 21 წლის შემდეგ იპოვეს ....................... 21

თბილისის რომელი სასტუმრო გახდა ჩეკისტების საცხოვრებელი სახლი და რომელ კაფეში მუშაობდა ჯუნა დავითაშვილი ........................................... 23



როგორ იკურნებოდნენ და ახელდნენ თვალს ბრმები ღვთისმშობლის მიძინების დღეს და რა ეხმარება ადამიანს საკუთარი სულის გადარჩენაში .... 24

მოძღვარი გვირჩევს ......... 25

ჭეშმარიტი სარწმუნოება.. 25

რობერტო ბაჯოს „ცხენისკუდი” და მარუან ფელაინის „დისკო“ – მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების ვარცხნილობები ........ 26

ექიმის რჩევები ............................................ 29

ვის საფლავზე ავიდა პირველად გენერლის ფორმით შოთა გორგოძე და რა უბედურება დაატყდა თავს მის ოჯახს ექიმების შეცდომის გამო ....... 30

როგორ ადამიანებს უმართლებთ ცხოვრებაში ნაკლებად და ვის აქვს წარმატებების ნაკლები შანსი ............. 32

რამდენ მილიონ დოლარს შეადგენს ჯენიფერ ენისტონის ჰონორარი და რატომ დაშორდა ის ბრედ პიტს ......... 34

როგორ დაიჭრა ფრონტის წინა ხაზზე სტალინი ............................................ 35

შეკითხვა ასტროლოგს .......................... 36



რა პერიოდში ჯობია სასიყვარულო რომანის წამოწყება.........36

რომელმა ქართველმა ააგო ირანში ორასოთახიანი ქარვასლა და რის გამო დასრულდა მისი კარიერა ცუდად...................46

კოსმეტოლოგის რჩევები ....................... 47



როგორ ცდილობდა საკუთარი სიკვდილის ინსცენირებას და ნაძარცვი ფულით მიმალვას, კრიმინალი მეტსახელად „ნოსა“ ..................... 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ............. 51



ვეტერინარის რჩევები.......56

ფლორის სამყაროში.....56

როგორ გაუსწორდა მამაკაცი ბავშვობის მეგობარს და რატომ მისცა მის წინააღმდეგ ჩვენება საკუთარმა დამ ..... 57

ქურდული ცხოვრება ............................. 58

მკვდარი ვერსია ........................................ 66

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ..................... 72

როგორ უმკურნალა ჩინელ ბიჭს სიდედრმა ძმრიანი „ნასკვებით“........... 78

გალათხოვრად გამზადებული ქეთინო და მსოფლიოს ჩემპიონის სახელით ჩადენილი ძარცვა .................................. 78



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ორივენიცა

## ნულოვნიდან – პლუს უსასრულობამდე

მიუხედავად იმისა, რომ **საპრეზიდენტო კარიერის აისზე მისი პოლიტიკური გემოვნება თვით წვრილმანი დანაშაულისადმი ნულოვანი ტოლერანტობისკენ იხრებოდა** (ამიტომაც, ისეც ხდებოდა, რომ 8 საზურავის ქურდი მკვლელზე დიდხანს იჯდა ციხეში და პატიმრების რაოდენობით მოსახლეობის ერთ სულთან მიმართებაში ყველა მსოფლიო რეკორდი მოვხსენით), **დაისისკენ ტოლერანტობის ნულოვანი ნიშნული პლუს უსასრულობამდე გაზარდა.**

სახელდობრ, ბ-ნი **სააკაშვილი პირობითი მსჯავრის მოხსნას ყველა მსურველს ფერისცვალების დღეს** (რაკი ბუნებაც კი ფერს იცვლის, ვითომ, თავადაც გადაწყვიტა იგივე?!) **დაჰპირდა** – თქვენ **ოღონდ მომმართეთო**. მას შემდეგ კი, **რაც ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციასთან რიგები დადგა,** პრეზიდენტის ადმინისტრაციამ **ინიციატივას ინსტრუქციაც მოაყოლა**: „პრეზიდენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე



და კონკრეტული სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირი ვალდებულია: დაემორჩილოს სასჯელის მოხდის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს."

ამასობაში კი **შსს-მ გვაცნობა, რომ მიმდინარე წლის 16 აგვისტოს შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის 644-ე ბრძანებით**, ახალი რეგულაცია დადგენილა, რომელიც **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან სრულად გათავისუფლებულ პირთა მიმართ ნასამართლეობის მოხსნას გულისხმობს.**

ამის გამგონე ბ-ნმა **ბარნოვმა** (პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავკაცმა) **უმალ განაცხადა,** რომ: ჯერ ერთი, **შსს-ს ქმედება „პოპულისტურია"** (თუმცა, თუკი პრეზიდენტის ინიციატივა გულკეთილობაა, ამ ჩვენი შსს-ს ბამბა რატომ აჩხრიალდა?!) და, რაც მთავარია, **„ნურავის ჰგონია, რომ ნასამართლეობა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ვინმეს მოეხსნა, ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა**"!!!

საბოლოოდ, **დავას ნათელი საიამ მოჰფინა**, რომლის წარმომადგენელმა დაინტერესებულ საზოგადოებას განუმარტა, რომ **ნასამართლეობის მოხსნის უფლება, ამ ჩვენი კანონმდებლობით, პრეზიდენტსაც ჰქონია და შს მინისტრსაც** (ანუ, ორივენიცაო), რაც, ისევ იმას ნიშნავს, რომ **ამ ქალაქში კვლავაც ყველაფერი დასწრებაზეა**.

# საეჭვო კამპანია

## „ჩემი მაყურებელი შენსას სჯობია, არა, ჩემი სჯობს შენს"

იმ მიზეზით, რომ **ერთადერთი და უალტერნატივო ოპოზიციური ძალის როლი აქვთ მორგებული,** სავსებით **ბუნებრივია, რომ მთავარი მოკრიტიკეების ამპლუაც შეისისხლხორცეს**. სავარაუდოდ, ამ მოტივით, გასულ კვირას აწ უკვე უმცირესოელი ბ-ნი **აკო მინაშვილის ბაგეებით გვემცნო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს კრიმინალური ავტორიტეტები მართავდნენ**.



ცხადია, **მხოლოდ ამ მშრალი ინფორმაციით არ შემოფარგლულა ოპოზიციური „ნაცმოძრაობა"** და სულ **დაწვრილებით ჩამოგვითვალა, ვინ და რომელ სასჯელაღსრულებით დაწესებულებას „უყურებს"**. მე **არ გავყვები ჩემი სატელევიზიო კოლეგების კვალს**, **რომლებმაც** წყარო ბ-ნ მინაშვილზე დაყრდნობით, სათითაოდ **მოგვახსენეს „მაყურებლებად" წოდებული კრიმინალების გვარ-სახელები** (ვერ გავყვები, რადგან, **მათი გვარსახელები არაფერს მეუბნება,** ვფიქრობ, ვერც თქვენ გეტყვით – მსგავს საეჭვო კომპანიაში ნაცნობები არ მეგულება)

ამის პარალელურად, **მეორე სიაც გავრცელდა, რომელშიც**, გამავრცელებლის მტკიცებით, **აწ უკვე სასჯელაღსრულების სისტემაში „ნაციონალური" მმართველობისას არსებულ „მაყურებელთა" ვინაობაა ჩამოთვლილი** (გვარ-სახელებს კვლავ არ დავასახელებ ზემომოყვანილი მიზეზით).

ხოლო, რადგან ჩვენთვის, **უბრალო მაყურებლისთვის** (მკითხველისთვისაც), **რთულია ამ ფაქტების გადამოწმება,** ეჭვი მაქვს, არც „მაყურებლები" გამოგვიტყდებიან – ისღა დაგვრჩენია, წავიღიღინოთ: **„ჩემი** სიდედრი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – **„მაყურებელი") შენსას სჯობია, არა, ჩემი სჯობს შენს"!**

# პოტენციალის ამმაღლებლები

## ვინ უნდა დაეტიოს საკუთარ კაბინეტში

მართალია, **ძირითადად, სხვების ბედნიერება გვაბედნიერებს,** რის გამოც, **მრავლად მოგვეპოვებიან სხვადასხვა საფეხბურთო გუნდების ფანები** (მსოფლიო ჩემპიონატებისას ხომ ლამის თავგანწირულთა ჯგუფებს ვქმნით ამა თუ იმ ქვეყნის გუნდის საგულშემატკივროდ), მაგრამ, **ლამის ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა გაზაფხული.**

კერძოდ, **ცოტა არ დააკლდა იმ სასიხარულო ფაქტს, რომ გორის „დილამ" საკუთარი დროშები აგვაღებინა ხელში**, მაგრამ, **ზღაპრის ბოლო არცთუ კეთილი აღმოჩნდა**.



თუმცა, სანამ ეს გაირკვეოდა, მაგალითად, **დანიაში გასვლით მატჩზე „დილელებს"** (სავარაუდოდ, პრინციპით: ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა) **გაჰყვნენ: გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგეობის თანამშრომლები და თვით მაჟორიტარი დეპუტატი** (ტყემლით, ანუ **დეპუტატით მაინც სულ სხვაა**). სავარაუდოდ, ამ ამბის გახმაურების გამო **აი, უკვე ვენაში გორელ ფეხბურთელებს მხოლოდ გამგებელი პაპუნა კობერიძე გაჰყვა** (აღმოჩნდა, რომ „სულ სხვა" მაინც გამგებლითაა).

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, **გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ გამგებელი საკუთარი ხარჯით მგზავრობს** (თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩვენებას სამომავლოდ გვპირდება).

ჩვენ არ ვიცით, **რატომ გადაწყვიტეს გორელმა ჩინოვნიკებმა, რომ საფეხბურთო მუზები გამხდარიყვნენ,** ან, **აუმალლეს თუ არა საკუთარი სიახლოვით თამაშის პოტენციალი გორელ ფეხბურთელებს**, მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამ წასვლა-მოსვლას თავიანთი ჯიბით აფინანსებენ, მაინც აქტუალურია კითხვა: **ისინი ფეხბურთელთა სტიმულირებისთვის დანიშნეს თუ რაიონის პრობლემების გადასაწყვეტად?!**

# „ყბაჩამ დაიგვიანა“

## ნუ დავწვრილმანდებით...

**2008 წლის შემდეგ თავდაცვის სამინისტრო ცოცხალი თავით არ გასცემდა ინფორმაციას აგვისტოს ომში დაღუპულთა შესახებ**. მეტიც, **ოჯახის წევრებსაც ეკრძალებოდათ ჟურნალისტებთან კონტაქტი.** მანამდე კი, **ეროვნული** გვარდიის გაუქმებასთან ერთად, **გვარდიის შენობის ხსოვნის დაფაზე გამოკრული დაღუპული მეომრების ფოტოები სანაგვეში მოისროლეს**, იმის პარალელურად, რომ **ავლანეთში დაღუპულთა პანაშვიდები ლამის გასაიდუმლოებულად ტარდებოდა.**

თუმცა, **ხანი გამოხდა და დაისისკენ მიმავალმა პრეზიდენტმა არა მხოლოდ მოინახულა აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების ნაწილი**, გმირულად დაღუპულთათვის **ძეგლების გახსნაც მოისურვილა** და გასულ კვირას **ინიციატივითაც გამოვიდა, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში ეროვნული გმირების შესახებ საინფორმაციო დაფები განთავსდეს** (სამწუხაროდ, ის აღარ დაუკონკრეტებია, რით შეეწია სახელმწიფო დაღუპულთა ოჯახებს).

ეს კონკრეტული ინიციატივა **მთავარსარდალმა 2004 წელს ცხინვალთან დაღუპული ზაზა დამენიას ოჯახში სტუმრობისას გაგვიმხილა**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **2004-დან 2013-მდე 9-წლიანი შუალედია**, ნეტავ, **ვინ უშლიდა პრეზიდენტს საჯარო სკოლებში საინფორმაციო დაფების გამოკვრას**?!

ჩემი მხრივ, დავძენდი, რომ, იმ საინფორმაციო დაფებზე განთავსებულ ცნობებში მთავარსარდლის ავკარგიანობამდე ნუ დავწვრილმანდებით.

# ბრინკას გასაჭირი

## „მამაცთა ნებაზე არ არის ომი“

თუმცა **ჩვენთვის მიუწვდომელია**, მაგრამ, სამაგიეროდ, **იოლად ხელმისაწვდომი – რუსული გამოცემებისთვის,** ამიტომაც, სწორედ **expres.ru-ს მეშვეობით შევიტყვეთ, რომ ედუარდ-ჯაყო კოკოევმა კვლავ წამოგვიყენა ტერიტორიული პრეტენზიები** (ან კი რატომ არ გამოაცხადებდა: **ბრინკა თუ არ ვიქნებოდით, ჯაყო როგორ გაგვიჩნდებოდა?!).**



**ჯაყოს ლოგიკა შემდეგნაირია** (მომყავს ციტატა, რადგან, ჩემი ნერვული სისტემა ჯაყოს ნათქვამის მესამე პირში გადაყვანისთვის არასაკმარისად მდგრადია): „დიახ, **ჩვენ გვაქვს ტერიტორიული პრეტენზიები და როდესაც დღეს საქართველო მსოფლიოს გასაგონად აწყობს ისტერიკას, რომ რუსეთი და „იუჟნაია ოსეტიას“ სახელმწიფო საზღვრის მოწყობას რუსი მესაზღვრეების მეშვეობით ახდენენ და რომ ჩვენ შევიჭერით საქართველოში ათიოდე მეტრით, ეს არის ტყუილი. არავითარი ქართული ტერიტორია იქ არ არის.“**

ედუარდ-ჯაყო, **ძველებურად, ყაზბეგის რაიონის ნაწილს გვედავება** (ან, ვითომ რატომ არ შემოგვედავება?!) და აცხადებს, რომ **ეს საკითხი „საქართველოსთან მოლაპარაკებებისას, როდესაც ის დაიწყება, უნდა გახდეს ქვაკუთხედი“.**

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს კონკრეტული **რეინკარნირებული ჯაყო იქით შერჩენის მიზნით აქეთ გვედავება**, ოღონდ (რაც უნდა ვიქილიკო), **საქართველოს დე-ფაქტო რუკა თავისას ამბობს** – 2008 წლის შემდეგ სეპარატისტებმა იმაზე მეტი მიითვისეს, ვიდრე მანამდე ჰქონდათ მითვისებული.

იმის მიუხედავადაც, რომ **არც მამაცთა ნებაზეა ომი** და **არც ედუარდ-ჯაყოს ნებაზე – ქართული მიწების გლეჯა**, ნეტავ, არასდროს გავცემთ პასუხს კითხვას: **ყოველთვის ბრინკას როლში რატომ ვართ?!**

# ჩინოვნიკური ექსტაზი

## „პატივს ვხედავ და პატიჟისა მეშინის“

რაკი აქამომდე **ჩინოვნიკები თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას ისეთ ექსტაზში მოჰყავდა, ცა ქუდად არ მიაჩნდათ, ხოლო დედამიწა – ქალამნად**, ბუნებრივია, არც **მათ შემცვლელებს ამოსვლიათ პირველი ოქტომბრიდან ფრთები**.

ხოლო, რაკი დაფრთიანება იგვიანებს, **მთაწმინდის პარკის ხელმძღვანელობამ შესაბამის სამსხაურს დახმარება სთხოვა**, რადგან, როგორც აღმოჩნდა, **სხვადასხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები (**ცხადია, მსხვილფეხობა) **პარკის ტერიტორიაზე მანქანებით გადაადგილებას მოითხოვდნენ**, რაც პარკში მყოფ **უბრალო მოკვდავთა აღშფოთებასა და დისკოსფორტს იწვევდა**, იმას გარდა, რომ **კანონსაც არღვევდნენ**.

ფაქტი უსიამოვნოა, თუმცა, სასიამოვნოა, რომ მთავრობის კანცელარიამ ყველა სამთავრობო უწყება გააფრთხილა, **ავტომანქანები ავტოსადგომზე დააყენონ, მთაწმინდის პარკში კი მშობლიური ფეხებით გაისეირნონ**.

ჩვენ არ ვიცით, **გაითვალისწინებენ თუ არა ჩვენი მსხვილფეხა ჩინოვნიკები კანცელარიის ადმინისტრაციის გაფრთხილებას**, ამას მთაწმინდის პარკზე მომავალი დაკვირვება გვაჩვენებს, მაგრამ, ის კი აშკარაა, რომ **სკამზე დასმამდე ჩვენს ჩინოვნიკებს გარკვეული პერიოდით „კარცერ-ლუქსებში“ განთავსება არ აწყენდათ**, რომ კარგად ჩაიბეჭდონ გონებაში: **თანამდებობა მოვალეობაა, ბატონებო და არა პატივი!**

# დაისის ეშხით

## ანუ, „მე შაირი არ მინდოდა“

შესაძლოა, იმიტომ, რომ **დაისი უახლოვდება (საპერზიდენტო სკამზე ჯდომის** დაისი მაქვს მხედველობაში), **ჟურნალისტებს უკვე იმაზე მეტჯერ შეხვდა, ვიდრე მთელი 9-წლიანი პრეზიდენტობის განმავლობაში** (რადგან, გამოცდილება მაშინ მოდის, როცა აღარ გვჭირდება). თუმცა (**რაკი „იქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს“), შეხვედრის რეჟიმი**, ძირითადად, **მონოლოგურია** და, **ჩვეულებისამებრ, არა შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე, არამედ, იმის მოყოლაზე, რაც პრეზიდენტს სულს უფორიაქებს**.

ასე და ამრიგად, ბ-ნი სააკაშვილი მედიის წარმომადგენლებს გასულ კვირასაც გაესაუბრა და, **არც აცია, არც აცხელა და თავის დროზე ტელეკომპანია „იმედის“ დახურვაში დამნაშავეებად** მაშინ „იმედის“ თანამშრომლები და აწ ქდმ-ს ლიდერი **გიორგი თარგამაძე გამოაცხადა**.

თავის მხრივ, ბუნებრივია, ოდნავ მოგვიანებით, **დადანაშაულებულმა** და, იმავდროულად, **პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა** ბ-ნმა თარგამაძემ**, მთელი პასუხისმგებლობა ძველი „იმედის“ ვანდალურ დარბევასა და დახურვაზე ბ-ნ სააკაშვილს დააკისრა**. იმ მარტივი მიზეზით, რომ **ეს მოვლენები ექვსიოდე წლის წინათ განვითარდა, მაყურებლისთვის სავსებით აშკარაა, ვისკენ იხრება სამართლის პინა.**

თუმცა, თუ გავიხსენებთ ბ-ნი თარგამაძის მეორე შეფასებას: **„ის, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ტელეკომპანია „იმედზე“** ამგვარ **საუბარს ბედავს, პროკურატურის დამსახურებაცაა“,** ლოგიკურად **იბადება კითხვა: იქნებ, იმის, „იმედის“ დახურვიდან რამდენიმე თვეში ბ-ნი თარგამაძის მიერ შექმნილმა ქდმ-მ რაღაც მანქანებით რეიტინგი რომ აკრიფა და უცბად საპარლამენტო პარტიად მოგვევლინა?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და სავსებით ბუნებრივია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებიც ჩაებნენ წინასაარჩევნო კამპანიაში. ხოლო, რაკი ყველაზე მეტს იტყუებიან ომის შემდეგ, ნადირობისას და არჩევნების წინ, ჩვენებური კანდიდატებიც ცდილობენ ამომრჩევლის მოხიბვლას უხვ-უხვი დაპირებით. თუმცა 2013 წლის 27 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანა საპარლამენტო მოდელზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი პრეზიდენტი „ის თამრო" ვეღარ იქნება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებების თვალსაზრისით). რადგან ვეჭვობთ, რომ ამომრჩევლის ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მომავალი პრეზიდენტის უფლებების შესახებ, ამ ვაკუუმის ამოვსებას იურისტ ირაკლი კობახიძის დახმარებით შევეცდებით, რაც იმის გარკვევაშიც დაგვეხმარება, დაპირებების რა ნაწილი უნდა დავუჯეროთ პრეზიდენტობის მსურველებს.**

# რა სირთულეებს გამოიწვევს, თუკი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პრემიერ-მინისტრი და ახალი პრეზიდენტი სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის წევრები იქნებიან

**– რა უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი ადამიანი, რომელიც 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამ ქვეყნის რიგით მეოთხე პრეზიდენტი გახდება?**

– მოქმედი კონსტიტუციისგან განსხვავებით, ახალი რედაქცია, რომელიც ნოემბერ-დეკემბერში უნდა ამოქმედდეს, თვისებრივად ზღუდავს პრეზიდენტის სტატუსს და უფლებამოსილებებს. თუ დღეს მოქმედ პრეზიდენტს, მოქმედი კონსტიტუციით, აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი ლიდერის ფუნქცია, ნოემბერ-დეკემბრიდან ახალ პრეზიდენტს აღარ ექნება ეს სტატუსი და ჩამოშორდება ძირითადი აღმასრულებელი კომპეტენციები. ახალი პრეზიდენტი აღარ იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერი და ის დაემსგავსება საპარლამენტო სისტემისთვის დამახასიათებელ პრეზიდენტს, რომელსაც მეტწილად მიკუთვნებული აქვს სიმბოლური და ხშირად ანტიკრიზისული უფლებამოსილებები.

**– უფრო კონკრეტულად?**

– დღეს მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტი დომინირებს მთავრობაზე. მთავრობა არის მისი ხელქვეითი, რომელიც ვალდებულია, აასრულოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებები, ანუ ერთგვარი სუბორდინაცია მოქმედებს პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. ასეთი სუბორდინაცია მთლიანად მოიხსნება არჩევნების შემდეგ, ახალ პრეზიდენტს აღარ დაექვემდებარება მთავრობა და მთავრობა დამოუკიდებლად იქნება პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე. ანუ მთავრობა პრეზიდენტისგან დამოუკიდებლად მიიღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. გარდა ამისა, თუ დღევანდელი კონსტიტუციით, მთავრობა და პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელნი არიან პრეზიდენტის წინაშე, ახალი რედაქციით, ასეთი პასუხისმგებლობა აღარ იარსებებს. კიდევ ერთი საკითხი: დღეს პრეზიდენტი უშუალოდ იღებს მონაწილეობას მთავრობის ფორმირების პროცესში და აქვს უფლება, ნებისმიერ დროს, საკუთარი ინიციატივით, გადააყენოს მთავრობა. ახალი რედაქციით, ასეთი უფლებამოსილებები პრეზიდენტს აღარ ექნება: ის მხოლოდ ფორმალურად მიიღებს მონაწილეობას მთავრობის ფორმირებაში – მთავრობის გადაყენების უფლება კი საერთოდ არ ექნება. ანუ მთავრობა აღარ იქნება პასუხისმგებელი საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და ეს ვალდებულება მას ექნება მხოლოდ პარლამენტისადმი.



ახალი რედაქციით, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის გადაყენება

**– ცნობილია, რომ საპარლამენტო მოდელი ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოქმედებს და ზოგიერთი ქვეყნის პრეზიდენტის გვარიც არ ვიცით, იმდენად უმნიშვნელო ფიგურაა. რა საჭიროა პრეზიდენტი, ანუ დამატებითი ხარჯი, როდესაც ის გინდ ყოფილა, გინდ – არა?**

– ნებისმიერ სახელმწიფოს სჭირდება უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც აღჭურვილი იქნება სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ფუნქციით. თუნდაც, სიმბოლური დატვირთვა ჰქონდეს ამ სტატუსს, პრაქტიკაში მას მაინც აქვს გარკვეული დადებითი ეფექტი. სისტემურად თუ შევხედავთ საკითხს, ვნახავთ, რომ საპარლამენტო სისტემები შედარებით ნაკლებადაა მიდრეკილი ავტორიტარიზმისკენ: პრემიერ-მინისტრებს აღარ უჩნდებათ ცდუნება, რომ იყვნენ სახელმწიფოს ბელადები და ერთპიროვნული მმართველები.

**– კონსტიტუციის ახალი რედაქციითაც პრეზიდენტი რჩება მთავარსარდლად. კიდევ რა უფლებები რჩება მას, თუნდაც, როგორც სიმბოლოს?**

– სიმბოლური მახასიათებელი აქვს მომავალი პრეზიდენტის სტატუსს და გარდა მთავარსარდლის სტატუსისა, მას ამ რანგში გარკვეული უფლებამოსილებებიც ენიჭება. მაგალითად, საომარ მოქმედებებს აცხადებს პრეზიდენტი. გარდა ამისა, ის ერევა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაში: შესაბამის აქტს პრეზიდენტი გამოსცემს. ამასთან, ახალ პრეზიდენტს მთელი რიგი ანტიკრიზისული უფლებამოსილებებიც ექნება. მაგალითად, მას შეეძლება წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნა როგორც თვითმმართველობის, ისე ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე, თუ დადგება შესაბამისი გარემოებები. რაც მთავარია, რჩება უშიშროების საბჭოს ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელიც პრეზიდენტი იქნება და, მეტიც, ის დანიშნავს უშიშროების საბჭოს წევრებს. საერთოდ, ასეთი ინსტიტუტი, უშიშროების საბჭო, არ არის დამახასიათებელი საპარლამენტო რესპუბლიკებისთვის და თავის დროზე ჩვენი თუ უცხოელი ექსპერტები აკრიტიკებდნენ ამ ინსტიტუტის შენარჩუნებას. თუმცა, პარლამენტმა ეს კრიტიკა არ გაითვალისწინა 2010 წელს, ეს ინსტიტუტი ძალაში დატოვა ახალ მოდელშიც და პრეზიდენტს, ამ კუთხით, გარკვეული ბერკეტები მიენიჭა.

**– იმ უფლებებით აღჭურვილი პირი, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, აშკარაა, ვერ შეძლებს იმ დაპირებების ასრულებას, რასაც ჩვენი კანდიდატების უმეტესობა უკვე ჰპირდება ამომრჩეველს. ხომ არ მეშლება შეფასება?**

– ისეთი დაპირებები ისმის სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატისგან, მათ შორის, სოციალური ტიპის დაპირებებიც არის, რაც შეუთავსებელია იმ სტატუსთან და უფლებამოსილებებთან, რითაც აღჭურვილი იქნება ახალი პრეზიდენტი. მთავარი ის არის, რომ პრეზიდენტს აღარ ექნება აღმასრულებელი უფლებამოსილება, შესაბამისად, ის გავლენას ვერ მოახდენს ვერც სოციალურ და ვერც ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამდენად, დაპირება, რაც მომავალ პრეზიდენტს შეუძლია, მისცეს მოსახლეობას, არის ის, რომ ის იქნება კონსტიტუციის დაცვის გარანტი და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი. ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში მომავალი პრეზიდენტი ვერ იქნება ჩართული. ამის საშუალებას მას არ აძლევს კონსტიტუციის ის რედაქცია, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება.

**– კანდიდატთა ვინაობას არ დავასახელებ, მაგრამ მათ დაპირებებს გავიხსენებ: სამართლიანობის აღდგენა, მავანთა თანამდებობებიდან გათავისუფლება, ეს ვეღარ იქნება, არა, მომავალი პრეზიდენტის პრეროგატივა?**

– რაც შეეხება თანამდებობებიდან გათავისუფლებას: ახალ პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს მიმართ საკმაოდ ფართო უფლებები რჩება. თქვენ იცით, რომ უახლოეს წლებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და სასამართლოს მთელ რიგ წევრებს შეუწყდებათ უფლებამოსილება და პრეზიდენტი იქნება ის სუბიექტი, რომელიც წარადგენს მოსამართლეთა ახალ კანდიდატებს საქართველოს პარლამენტში. შესაბამისად, სასამართლო რეფორმის კუთხით, შეზღუდულ ფარგლებში, მაგრამ ახალ პრეზიდენტს მაინც შეეძლება მნიშვნელოვანი როლის შესრულება უახლოესი წლების განმავლობაში. ახალ პრეზიდენტს, ასევე, რჩება ვეტოს უფლება, თუმცა, ახალი რედაქციით, საქართველოს პარლამენტს გაუმარტივდება ვეტოს გადალახვა. აგრეთვე, პრეზიდენტს რჩება შეწყალების უფლება. ის დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას და, ამ კუთხით, გარკვეული ზემოქმედება შეეძლება შესაბამისი სისტემების ფუნქციონირებაში.

**– მოქმედი პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენენ, მათ შორის არის დაპირისპირება და ეს აფერხებს უამრავ პროცესს. ახალ მოდელში, თუ პრემიერი და პრეზიდენტი ისევ სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის წევრები იქნებიან, ამ თუ სხვა არჩევნებში, არსებობს მსგავსი კრიზისული სიტუაციების შექმნის ალბათობა? ექნებათ საშუალება, ისევ შეუშალონ ხელი ერთმანეთს საქმიანობაში, როგორც ეს ახლა ხდება?**

– ეს შესაძლებლობა, ახალი რედაქციით, ბევრად უფრო შეზღუდულია დღეს არსებულ ვითარებასთან შედარებით. ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: ახალი რედაქციით, ელჩების დანიშვნის უფლება ისევ პრეზიდენტს ექნება, უბრალოდ ამისთვის მთავრობასთან შეთანხმებაა საჭირო. პრეზიდენტს შეუძლია, ერთგვარი დესტრუქციული როლი შეასრულოს იმ სახით, რომ არ დანიშნოს ის ელჩები, რომლებსაც მას წარუდგენს საქართველოს მთავრობა. არადა, რეალურად, საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზეც მთავრობა იქნება პასუხისმგებელი და, ლოგიკურად, პრეზიდენტმა უნდა დააკმაყოფი-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნიკო მუსერიძე** *(56 წლის, ბიზნესმენი, თბილისი).* **დიაგნოზი** – *პოდაგრული ართრიტი:* 15 წელია, პოდაგრა მაწუხებს. ტკივილი პერიოდულად მიმწვავდება. თუ დავლევ, ან დიეტას დავარღვევ, საშინელი ტკივილი მეწყება, მისივდება მუხლები, კოჭები, ტერფები. ამ წლების განმავლობაში მკურნალობის უამრავი მეთოდი მაქვს ნაცადი, ხალხური თუ საექიმო, მაგრამ ვერაფერმა მიშველა. მერე მეზობელმა მომასწავლა ალექსიშვილის კლინიკაში – აქ ჩემი მეზობლის თანამშრომელი პოდაგრისგან ძალიან მალე განუკურნავთ. მეც დავუჯერე და მოვედი. მკურნალობამ საოცრად ეფექტურად ჩაიარა – ამ კლინიკის ექიმებმა სისწრაფის ყველა რეკორდი მოხსნეს. გაოცებული ვარ: დასიებული სახსრები ერთ დღეში დამიცხრა, ტკივილმა კი რამდენიმე საათში იკლო. მეორე დღეს ჩემი ფეხით მოვედი კლინიკაში. გაიხაროს მანანა ექიმის მარჯვენამ, იმ საშინელი ტკივილებისგან რომ გამათავისუფლა. ახლა მკურნალობის მეორე კურსს ვიტარებ, აღარც ტკივილი მაქვს, აღარც ფეხები მისივდება, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს.

**მარინა ნაცვლიშვილი** *( 65 წლის, პენსიონერი, საგარეჯო).* **დიაგნოზი** – *კოქსართროზი, მეოთხე ხარისხის:* მენჯ-ბარძაყის სახსარში მარილები ახალგაზრდობაშივე გამიჩნდა. თავიდან თეძოსა და საზარდულში ვგრძნობდი პატარ-პატარა ტკივილს, მერე ჩემი მდგომარეობა გართულდა – მუხლიც ჩაითრია და, ბოლოს დამაკოჭლა კიდეც.



სურათი რომ გადავიღე, რენტგენოლოგმა მითხრა, აქამდე სად იყავი, მეოთხე ხარისხიაო. აბა, მე ოპერაციის გამკეთებელი ვიყავი?! სად აღარ ვიარე, მერე ჩემმა ნათესავმა ქალმა ალექსიშვილის კლინიკაში გამომგზავნა, თვითონ ხერხემლის ოსტეოქონდროზი, კისრისა და წელის რადიკულიტი აწუხებდა და აქ უმკურნალეს, შვილო, ისე, რომ აღარაფერიც აღარ სტკივა. აქ ხელჯოხით მომიყვანა ჩემმა შვილმა, თავს არ ვუჯერებდი, როცა პროცედურის ჩატარების პირველივე ღამეს მშვიდად დამეძინა. მეორე დილით კი ისე მსუბუქად ავდექი, თავი სიზმარში მეგონა. ათი დღეა, რაც ვმკურნალობ და დღითიდღე თავს უკეთ ვგრძნობ, ჯოხიც კი გადავაგდე. მკურნალობას ბოლომდე ვაგრძელებ, მანანა ექიმს ყველაფერს ვუჯერებ. ტკივილები აღარ მაწუხებს და ოპერაცია რაღა ჯანდაბად მინდა?! დიდი ამბავი, ცოტა თუ ვიკოჭლე, რაც მთავარია აღარც ტკივილი მაქვს და სიარულიც ჯოხის გარეშე შემიძლია. ღმერთმა დალოცოს ეს ექიმები, მართლა ძალიან ყოჩაღები არიან, შვილო!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, წვა, ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – ეს ის პრობლემებია, როდესაც პაციენტი უხერხულობის გამო ექიმთან მისვლას ერიდება, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. გამოსავალი არსებობს – ბუასილი იკურნება ალექსიშვილის კლინიკაში, თანაც, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე!**

**ნუნუ კურდღელია** *(44 წლის ფტიზიატრი, თბილისი):* 12 წელია, რაც ყაბზობა მაწუხებს, მეორე მშობიარობის შემდეგ დამემართა. ამ დაავადების ფონზე ნელ-ნელა თავი იჩინა ჰემოროიდულმა დაავადებამაც. ოჯახში ბევრი ექიმი ვართ და როგორ არ ვიმკურნალე, მაგრამ, დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ მივიღე, პირიქით, უფრო დავმძიმდი – ჩემს დაავადებას დაერთო სისხლდენა, ქავილი, ტკივილი. ქალბატონმა მანანამ თავისი საგვარეულო, ხალხური რეცეპტით სასწაულის მოხდენა შეძლო. დღეს მკურნალობას ვამთავრებ, დიდი მადლიერი ვარ ჩემი კოლეგის, მანანა ალექსიშვილის, რომელიც კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარებაშიც დამეხმარა. ვერც კი გადმოვცემ, თავს უკვე ისე კარგად ვგრძნობ. მადლობა მანანა ექიმს ამისთვის!

**რეზო ნინოშვილი** *(50 წლის, ინდმეწარმე, თბილისი):* შარშან კვანძებისა და სისხლდენის გამო ოპერაცია გავიკეთე. ცოტა ხანს არა მიშავდა, თითქოს, ჩემი მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ, მალე იგივე ჩივილები დამეწყო და ისევ ოპერაცია დამინიშნეს, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადე. თქვენს ჟურნალში წავიკითხე ეს მისამართი და მაშინვე მოვედი. მკურნალობა დაავადების გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით დავიწყეთ, პირველი კურსის დასრულებისთანავე მომეხსნა ჩივილების 90 პროცენტი. ახლა მეორე კურსს ვიტარებ, შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ღმერთმა დალოცოს ჩემი ექიმები!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

ლოს მთავრობის მოთხოვნები. თუმცა, ახალი რედაქციით, პრეზიდენტს შეუძლია, არ დააკმაყოფილოს მთავრობის მოთხოვნა და ელჩად თუ სხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე არ დანიშნოს ის პირები, რომლებიც სასურველი იქნება საქართველოს მთავრობისთვის. ანუ, ამ კუთხით, ახალ პრეზიდენტს შეუძლია, ხელი შეუშალოს მთავრობას საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმოებასა და განხორციელებაში. ასეთი ელემენტები ჩადებულია კონსტიტუციის ახალ რედაქციაში და უცხოელი ექსპერტები განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებდნენ საქართველოს ახალი კონსტიტუციის ამ დებულებებს. ისინი ამბობდნენ, თუ არსებითად საპარლამენტო მოდელზე გადადის ქვეყანა, პრეზიდენტს მთლიანად უნდა ჩამოშორდეს აღმასრულებელი უფლებამოსილებები.

იგივე ეხება გაერთიანებული შტაბის უფროსისა და სხვა სარდლების დანიშვნას.

**– მათაც პრეზიდენტი დანიშნავს, ანუ ეს ფუნქციებიც რჩება?**

– დიახ, ოღონდ ზუსტად იმავე სახით არის შეზღუდული, როგორც ელჩების შემთხვევაში: მთავრობის თანხმობაა აუცილებელი. თუმცა, რადგან თავდაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი მთავრობაა, ლოგიკური იქნებოდა, რომ პრეზიდენტმა მარტივად დააკმაყოფილოს ის წარდგინება, რომელსაც განახორციელებს მთავრობა, მაგრამ, ახალი რედაქციით, პრეზიდენტს აქაც შეუძლია, შეასრულოს დესტრუქციული როლი და არ მოიწონოს ის კანდიდატურა, რომელსაც მას საქართველოს მთავრობა შესთავაზებს. ასეთი ელემენტები არის ჩადებული, თუმცა სასურველი იყო, რომ ამისგან მთლიანად დაცლილი ყოფილიყო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რასაც გვირჩევდნენ ჩვენი უცხოელი კოლეგები. მაგრამ, როგორც გითხარით, 2010 წელს პარლამენტმა ეს შენიშვნები არ გაითვალისწინა.

**– ჩვენ ვხედავთ, რომ მოქმედი პრეზიდენტი, სხვადასხვა მიზეზით, არ იყენებს ბოლომდე იმ განუზომელ უფლებებს, რასაც მას ანიჭებს მოქმედი კონსტიტუცია, მაგრამ მაინც ახერხებს დისონანსის შეტანას.**

– ის ვითარება, რაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგაა შექმნილი, მთლიანად სცილდება კონსტიტუციის ფარგლებს, იმიტომ რომ, მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტი მთლიანადაა პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე. კონსტიტუციით, მას ეკისრება აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერის ფუნქცია და ეს არის მისი არა მხოლოდ უფლება, არამედ – ვალდებულება. რეალურად, პრეზიდენტი არ ახორციელებს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებას. მართალია, ეს ერთგვარად პოლიტიკური მიზეზებითაა ნაკარნახები, მაგრამ არსებითად სცილდება კონსტიტუციის ფარგლებს.

> **ახალ პრეზიდენტს, ასევე, რჩება ვეტოს უფლება, თუმცა, ახალი რედაქციით, საქართველოს პარლამენტს გაუმარტივდება ვეტოს გადალახვა**

**– თქვით, რომ საპარლამენტო მოდელში პრეზიდენტის ინსტიტუტის სიმბოლურობას აქვს ავტორიტარიზმისგან დაცვის ფუნქციაც, რომ პრემიერ-მინისტრს არ გაუჩნდეს ბელადობის სურვილი, მაგრამ, ახალი რედაქციით, ის პრემიერ-მინისტრი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გვეყოლება, თითქმის იმპერატორის უფლებებით ისარგებლებს. შესაბამისად, ისე ხომ არ მოგვივა, რომ სუპერსაპრეზიდენტო მოდელიდან, როგორიც ახლა არის, სუპერსაპრემიერმინისტრო მოდელამდე მივალთ? ანუ, უფლებების თვალსაზრისით, ხომ არ მივიღებთ ისეთსავე პრემიერს, როგორიც მანამდე პრეზიდენტი გვყავდა?**

– ამის რისკი არსებობს და თავის დროზე მკაცრად ვაკრიტიკებდი კონსტიტუციის იმ ახალ რედაქციას. ძირითადი პრობლემა არის ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მეტისმეტად ფართოვდება პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები, რასაც განაპირობებს კონსტიტუციის ახალი რედაქციის რამდენიმე ძირითადი დებულება. მათ შორის, ის პროცედურები, რომლებიც უკავშირდება პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის გადაყენებას, ანუ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება. 2012 წელს არჩეული პარლამენტი მუშაობდა ამ საკითხებზე, თუმცა იმ ძირითადი დებულების, საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის, რედაქციაზე პარლამენტს არ უმუშავია. არადა, თუ კონსტიტუციის ეს დებულება არ შეიცვალა, რისკები ძალაში დარჩება. თუმცა გარდა ამ მუხლისა, ბევრი სხვა დებულებაცაა შესაცვლელი: არსებით გადასინჯვას საჭიროებს ის დოკუმენტი, რომელიც 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მივიღეთ. ამისთვის საჭიროა, შეიქმნას ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელიც იმუშავებს კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე.

**ნინო ხაჩიძე**

**სულ ახლახან რუსეთის საბაჟო სამსახურმა უკრაინიდან პროდუქციის იმპორტი შეაჩერა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არცთუ მალე გაუხსნის თავისი ბაზრის კარს. აშკარაა, რომ ეს ეკონომიკური ბერკეტი პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაა, რაც უკრაინის საბაჟო კავშირში შეტყუებასა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ჩაშლასთანაა დაკავშირებული. მეორე მხრივ, უკრაინელი ექსპერტების ნაწილი არ გამორიცხავს უკრაინა-რფ-ს შორის საომარ მოქმედებებსაც (რაც, ჩემი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა). ამის პარალელურად კი, ვლ. პუტინმა ბაქო მოიარა და ილჰამ ალიევთან ერთად ეკონომიკური თუ კულტურული თანამშრომლობის დეტალები განიხილა. რა მიზანს ისახავს დსთ-ს სივრცეში რუსეთის გააქტიურება და როგორ აისახება ის საქართველოს მომავალზე, – თემას რუს სამხედრო ექსპერტ (ომების ერთგვარ წინასწარმეტყველთან, თუმცა მისი პროგნოზი მხოლოდ ერთხელ ახდა, მაგრამ ჩვენთვის საბედისწეროდ) პაველ ფელგენგაუერთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ იზრდება კრიტიკულ ზღვრამდე ყარაბაღში ომის განახლების პერსპექტივა და რა სახით მოუწევს საქართველოს მასში ჩაბმა



**საქართველოში პირდაპირი შეიარაღებული კონფლიქტის გაღვივების ალბათობა ნულის ტოლია, მაგრამ შესაძლებელია მისი ჩათრევა ომში**

**– უკრაინა დათანხმდა რფ-ს საბაჟო კავშირში დამკვირვებლის სტატუსით შესვლაზე, თუმცა რუსეთმა მაინც შეაჩერა უკრაინული პროდუქცია თავის საზღვარზე. რამე მეტი უნდა კრემლს?**

– უკრაინას არ უნდა საბაჟო კავშირში შესვლა და ეს არის პრობლემა. ამიტომ ეს ქმედება არის მისი იძულება ამისთვის, როგორც თავის დროზე საქართველოს აიძულეს მშვიდობა. ეს არის შანტაჟი. ფორმალურად, რაღაც ქაღალდებზე ედავებიან. ჩვენთან ასეთი მიდგომაა: კანონი მეგობრებისთვის გაგებითაა, მტრებისთვის – სხვანაირად. საერთოდ კი, ჩვენ ისეთი კანონები გვაქვს, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება: თუ კანონით იხელმძღვანელებ, ბავშვებსაც ვერ გააკეთებ. იგულისხმება, რომ მეგობრებთან მიმართებაში კანონი მთლიანად ვერ ამოქმედდება, მტრებისთვის კი – მთელი ძალით. ეს პუტინის დიდი ხნის პრაქტიკაა.

**– ეს ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ.**

– უკრაინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას აპირებს და ამით მას აჩვენებენ, რა შედეგით შეიძლება, დასრულდეს მისი ეს მცდელობა. უკრაინას საბაჟო კავშირში შესვლა არ უნდა და ამიტომ ისეთ ფორმულებს იგონებს, რაც მიუღებელია რუსეთისთვის: უკრაინას უნდა, რომ საბაჟო კავშირშიც იყოს და ევროკავშირთანაც. მართალია, უკრაინულ ელიტაში არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ უკრაინა რუსეთზე უნდა იყოს ორიენტირებული, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ხერხდება იანუკოვიჩის დაყოლიება. ამიტომაც რეპრესიები ტარდება უკრაინულ კანფეტებთან მიმართებაში, რათა დაფიქრდნენ და უარი თქვან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე.

**– გავრცელდა უკრაინელი ექსპერტის მოსაზრება, რომ იკვეთება რუსულ-უკრაინული ომის საშიშროება. თქვენ რას ფიქრობთ?**

– ეს შეუძლებელია, რომც მოინდომონ, რადგან არც ერთი მხარე არ არის მზად ამ ომისთვის. ასე რომ, ეს ფანტაზიის სფეროა. უკრაინა არ არის საქართველო, იქ საჭირო გახდება არა 20 000 ჯარისკაცი, არამედ, მინიმუმ მილიონი, რომლებიც ჩვენ არ გვყავს. ფართომასშტაბიანი ომისთვის არც რუსეთია მზად და არც უკრაინა, საზღვარზე სროლები კი უაზრობა იქნებოდა. ომი ტექნიკურად შეუძლებელია, იმისდა მიუხედავად, მოუვა თუ არა ვინმეს თავში მისი დაწყება.

**– თუ ვერ მოხერხდა აი, ამ საბაჟო სანქციებით უკრაინის მოტეხვა, კიდევ რა ბერკეტები აქვს ზემოქმედებისთვის რუსეთს?**

– რთული გასაგებია, როგორ იღებენ მოსკოვში ასეთ გადაწყვეტილებებს. პროცესი იმით დაიწყო, რომ თითქოს საბაჟო სამსახურმა თავისით იმოქმედა და ზემოდან არაფერი უბრძანებიათ. შემდეგ გაიმართა მოლაპარაკებები პუტინსა და იანუკოვიჩს შორის. თავის დროზე, ამხანაგმა სტალინმაც უთხრა ორჯონიკიძეს ჩხრეკის გამო, მათ შეუძლიათ, მეც გამჩხრიკონ, ვერავინ დაუშლითო და ამის შემდეგ ორჯონიკიძემ თავი მოიკლა. მე არ ვიცი, რას გააკეთებს იანუკოვიჩი, მაგრამ პუტინმა უთხრა მას, რომ რაღაც კომისია უნდა შეიქმნას პრობლემის მოსაგვარებლად, ანუ ამოქმედდება კარგი და ცუდი პოლიციელის სქემა.

**– ცუდი რუსი მებაჟეები და კარგი პუტინი.**

– თუმცა ამასობაში საზღვარზე ჩინოვნიკები უამრავ სისაძაგლეს ჩაიდენენ, რაც უკრაინული საქონლის იმპორტს რუსეთში არათუ არახელსაყრელს, თითქმის შეუძლებელს გახდის. ითქვა, რომ, თუ უკრაინა ვილნიუსში ხელს მოაწერს ასოცირების ხელშეკრულებას, ცუდი რამ მოხდება. მაგრამ ის, თუ რა მოხდება მომავალში, პუტინის გადასაწყვეტია.

**– ვილნიუსში არა მხოლოდ უკრაინასთან, სხვა ქვეყნებთანაც იგეგმება ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, მათ შორის, საქართველოსთანაც, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში სხვა ტაქტიკა აქვს რუსეთს: პირიქით, პროდუქცია შეუშვა.**

– ჯერ ერთი, საქართველოს პირდაპირ არავინ ითრევს საბაჟო კავშირში, ეს არ არის დღევანდელი დღის წესრიგის თემა; მეორე, ევროპაში არის ძლიერი ლობი, რომელიც ამტკიცებს, რომ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა საჭირო არ არის,

> **რუსული პოლიტიკა ასეთია, უამრავი ფულია გამოყოფილი იმისთვის, რომ მოემზადონ ამერიკასთან ომისთვის და არავინ აპირებს ამ ფულზე უარის თქმას**

პარაფირებაც საკმარისია, იმიტომ რომ ვანო გისოსებში ზის. როგორც ჩანს, მოსკოვში შიშობენ, რომ ევროკავშირი სწორედ უკრაინასთან გააფორმებს ასოცირების ხელშეკრულებას. ამასთან, უკრაინასთან გაცილებით სერიოზული ვაჭრობა გვაქვს, ვიდრე საქართველოსთან და საერთოდაც, სახელმწიფო იდეოლოგიის თვალსაზრისით, უკრაინა უფრო მნიშვნელოვანია, რადგან იქ სლავები ცხოვრობენ. ქართველები კი სლავები არ არიან, ამიტომ ისე მწვავედ არ დგას ეს საკითხი, როგორც ბელორუსთან და უკრაინასთან მიმართებაში.

**– გადმოვინაცვლოთ კავკასიაში: ქართველი ექსპერტების ნაწილმა აშშ-ის სამხედრო ხომალდის ბათუმში შემოსვლა შეაფასა, როგორც საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების გაბმის გამო გაფრთხილება. თქვენ ხედავთ კავშირს ამ ფაქტებს შორის?**

– დღეს საქართველოს პრობლემა პირველ ადგილას არ დგას კრემლისთვის. მავთულხლართების საკითხი დაბალ დონეზე მიიღეს: ის 100 მეტრი კრემლისთვის არაფერს ნიშნავს, საერთოდ, საქართველო პრიორიტეტი არ არის. ჩვენ გვაქვს შიდა პრობლემები, პრობლემებია ამერიკასთან, ახლა – უკრაინასთან, საქართველო მეათეხარისხოვანია. ამერიკელების ვიზიტის გაშუქებისას მეტი ყურადღება მიაქციეს ბატონი სააკაშვილისა და ბატონი ივანიშვილის შელაპარაკებას.

**– ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთავარი იყო არა შელაპარაკება, არამედ ამერიკული ხომალდის შემოსვლის ფაქტი.**

– მაგრამ შელაპარაკების ფაქტი მოხვდა ახალ ამბებში და პუტინმა ეს გაიგო. ჩემი აზრით, მავთულხლართების გაბმა ადგილობრივი ინიციატივა იყო და შეიძლება, კრემლიდან ახლა უთხრეს, აღარ გააგრძელოთო. დანარჩენი იმაზეა დამოკიდებული, როგორ იმოქმედებს ბატონი ივანიშვილი. მას აქვს თავისი ინტერესები, შეიძლება, საერთოდ წავიდეს პოლიტიკიდან და გასაგებია, რომ მას უნდა პოლიტიკიდან წასვლა: თავისი საქმეები აქვს მოსაგვარებელი.

**– ახსენეთ პრობლემები აშშ-სთან. მხოლოდ სნოუდენის ინციდენტმა მისცა პრეზიდენტ ობამას საფუძველი ეთქვა, რომ აუცილებელია აშშ-რფ-ს ურთიერთობების გადახედვა? და როგორ აისახება ეს შეჩერებული გადატვირთვა კავკასიაზე?**

– ურთიერთობები დიდი ხანია, ფუჭდებოდა. მაისში პენტაგონიდან დელეგაცია ჩამოვიდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან შესახვედრად. მე მათ ვუთხარი, ჩვენი პოლიტიკა ასეთია, თქვენთან არავინ იმეგობრებს, უამრავი ფულია გამოყოფილი იმისთვის, რომ მოემზადონ ამერიკასთან ომისთვის და არავინ აპირებს ამ ფულზე უარის თქმასმეთქი. მათ მიპასუხეს, თუ თქვენ ასე განაგრძობთ, ობამა საერთოდ შეწყვეტს რუსეთის შემჩნევას, დაგივიწყებთ და დამთავრდებაო. ახლა უკვე ოფიციალური პოლიტიკა გახდა ურთიერთობის შეჩერება, მაგრამ, როგორც ჩანს, ობამას ადმინისტრაცია ამ შესაძლებლობას სნოუდენამდე განიხილავდა. ანუ ურთიერთობა ისედაც მიდიოდა გაყინვისკენ. ისე მოხდა, რომ დღეს ამერიკაში კონსენსუსია „რესპუბლიკელებსა“ და „დემოკრატებს“ შორის იმის შესახებ, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელება არ ღირს და ამიტომ დროებით გაყინეს. ალბათ, ასე გაგრძელდება მომავალ ამერიკულ არჩევნებამდე, თუ რაღაც სერიოზული არ მოხდება. აქედან კი კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. ამის გათვალისწინებით, არც კავკასიაში მოხდება არაფერი კარგი, თუმცა საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის გაღვივების ალბათობა ნულის ტოლია.

**– ყარაბაღის ომის განახლება უფრო რეალურია ამ ეტაპზე?**

# რატომ არ იღებდა არანაირ ანაზღაურებას ნანა ყეინიშვილი, როგორც „წითელი ჯვრის“ პრეზიდენტი და რა უძრავ ქონებას ფლობს ის თბილისსა და ბეთანიაში

## ნანა ყეინიშვილი

ახ ხალხის რჩეული ნანა ყეინიშვილი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნებიდან“ მოხვდა. იგი ახმეტაშია დაბადებული, უმაღლესი განათლება კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღო. სპეციალობით მეხილეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის სწავლული აგრონომია. მისი შრომითი ბიოგრაფია 1987 წელს იწყება, როდესაც 1990 წლამდე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამოქალაქო თავდაცვის კათედრაზე მუშაობდა ლაბორანტად. თუმცა 1993 წელს შპს „მურომეტის“ დირექტორი გახდა და 2000 წლამდე დაყო ამ თანამდებობაზე. 2001 წლიდან 2012-ის ჩათვლით კი, ვიდრე მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი გახდებოდა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას პრეზიდენტობდა.



ჯერჯერობით პირველი დეკლარაცია 2012 წელს შეავსო, საიდანაც ვიგებთ, რომ მარტო ცხოვრობს. მისი უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალი შემდეგნაირია: საცხოვრებელი ბინა თბილისში, დიდ დიღომში, 80 კვადრატული მეტრი ფართობის; საცხოვრებელი სახლი ზემო ბეთანიაში, 250 კვადრატული მეტრი ფართობის; ასევე, მიწის ნაკვეთი ზემო ბეთანიაში, 2 700 კვადრატული მეტრი ფართობის და 600 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი ნახშირგორაში. „თი ბი სი ბანკის“ დეპოზიტზე 2 258 აშშ დოლარს ინახავს და, თუმცა „საქართველოს ბანკში“ სახელფასო ანგარიშიც ჰქონდა გახსნილი, რომელზეც დეკლარაციის შევსების მომენტში 5 786 ლარი ერიცხებოდა, დეკლარაციაში არ მიუთითებს, რა ანაზღაურებას იღებდა, როგორც „წითელი ჯვრის“ პრეზიდენტი, რაც, ლოგიკურად, ნიშნავს, რომ არანაირი ანაზღაურება არ აუღია. ეს კი ბადებს კითხვას: როგორ ახერხებდა არსებობას?!

## ფატი ხალვაში – ნუგზარ ყურშუბაძე

იმავე კითხვას ბადებს ხალხის რჩეულ ფატი ხალვაშის დეკლარაციაც, მანამდე კი გეტყვით, რომ საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრი ქნი ხალვაში ქობულეთშია დაბადებული, უმაღლესი განათლება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში მიუღია, სპეციალობით კი ინჟინერი-ელექტრომექანიკოსია. მისი შრომითი ბიოგრაფია 1979 წელს იწყება ჩაქვის შემფუთავ ქარხანაში, სადაც 1988 წლამდე მუშაობდა მუშად. 1988-დან 1990 წლამდე ჩაისუბნის საშუალო სკოლის ლაბორანტი იყო, 1990-1998 წლებში – ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებელი. შემდეგ მის შრომით ბიოგრაფიაში 2012 წლამდე წყვეტაა.

2012 წელს შევსებულ დეკლარაციაში პარლამენტტს წევრი ოჯახის წევრებად მიუთითებს: მეუღლეს, ნუგზარ ყურშუბაძეს და შვილს, 1986 წელს დაბადებულ ზვიად ყურშუბაძეს. უძრავი ქონება წყვილს შორის შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ფატი ხალვაშის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა ბათუმში, 35 კვადრატული მეტრი ფართობის და იმავე მისამართზე მდებარე იმავე ფართობის არასაცხოვრებელი ფართი. იქვე ფლობს საცხოვრებელ ბინას (ოღონდ 50 კვადრატული მეტრი ფართობის) ნუგზარ ყურშუბაძეც და, ასევე, იმავე ფართობის არასაცხოვრებელ ფართსაც. ამას გარდა, ნუგზარ ყურშუბაძის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში – 4 000 კვადრატული მეტრი ფართობის, საცხოვრებელი სახლი ჩაისუბანში – 360 კვადრატული მეტრი ფართობის და 3 000 კვადრატული მეტრის მიწის ფართობი. ავტომანქანა მხოლოდ ზვიად ყურშუბაძეს ჰყავს – 2004 წლის „ფოლკსვაგენ პასატი“, ნუგზარ ყურშუბაძეს კი – ორი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მოტორიზებული ტექნიკა.

დეკლარაციის შევსების დროს, ფატი ხალვაშს ნაღდი ფულის სახით 17 000 აშშ დოლარი ჰქონდა, მის მეუღლეს – 3 000 ლარი, ხოლო მათ ვაჟს – 2 000 ლარი. დეკლარაციაში არ არის მითითებული, რა შემოსავალი მიიღო ოჯახმა. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც უცნობია, როგორ ახერხებდნენ თავის გატანას.

**ნინო ხაჩიძე**

---

– ყარაბაღი უკვე სერიოზული საკითხია. კონფლიქტი შეიძლება, აფეთქდეს და მაშინ მოსკოვიც და ვაშინგტონიც კავკასიას მიაპყრობენ ყურადღებას. ახლა კავკასიისთვის როგორღაც არავის სცალია. მაგრამ შეიძლება, ყველამ მოიცალოს. მაშინ აშშ და რფ სხვადასხვა მიმართულებით დაიწყებენ ქმედებას და ეს კარგს არაფერს მოიტანს კავკასიაში.

**– ცნობილია, რომ აზერბაიჯანულ ოპოზიციას, წარმოდგენილს ძალიან მდიდარი ადამიანებით, უნდა ილჰამ ალიევის ჩამოგდება, რასაც მხარს უჭერს კრემლი. პუტინი ბაქოში ამის სათქმელად შეხვდა ალიევს?**

– არ მგონია, პუტინი მზად იყოს რაღაც რევოლუციისთვის.

**– რატომ რევოლუცია? აზერბაიჯანში ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს?**

– მოსკოვში გვყავს ძალიან ძლიერი სომხური ლობი, მაგრამ, ასევე, გვყავს ძალიან ძლიერი აზერბაიჯანული ლობი. ისინი ერთმანეთს ებრძვიან გავლენისთვის. ორივე მხარეს არიან მილიარდერები და მუდმივად დაპირისპირებაა, სომხეთს დაუჭიროს უფრო მხარი მოსკოვმა თუ აზერბაიჯანს. მოსკოვი კი, როგორც წესი, ლავირებს. პუტინს აზერბაიჯანიც სჭირდება და სომხეთიც, ამიტომ ჯერ ერთს მივადგებით და კარგ სიტყვებს ვეტყვით, შემდეგ – მეორეს და იმავეს ვეტყვით. იარაღსაც ორივე მხარეს მივყიდით. აი, ასეთი დაბალანსებული პოლიტიკაა, რომელიც ასახავს მოსკოვში სომხური და აზერბაიჯანული ლობების ბალანსს.

**– და მოსკოვის აზერბაიჯანული ლობი ალიევს უჭერს მხარს? მე ილჰამ ალიევის შესახებ გკითხეთ.**

– ეს აზერბაიჯანული ლობი აზერბაიჯანს უჭერს მხარს, ერთმანეთთან რა პრეტენზიები აქვთ, სხვა საკითხია. მაგრამ არ მგონია, პუტინი მზად იყოს, მხარი დაუჭიროს „არაბულ გაზაფხულს“ ბაქოში. მას რევოლუციები არ უყვარს.

**– ფუნდამენტურად რომ დაეუფლო სამხრეთ კავკასიას, ან აზერბაიჯანი უნდა მოიქციო გავლენის ქვეშ, ან საქართველო, ორივეზე ზეწოლა არც გჭირდება, ერთ-ერთიც საკმარისია. მხოლოდ კეთილი სიტყვების სათქმელად ჩავიდა პუტინი ბაქოში?**

– დიდი ზეწოლა არ არის, დაბალანსებული პოლიტიკაა. სხვათა შორის, აზერბაიჯანიც საკმაოდ დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებს, სომხეთიც იყურება უკან, ირანს ემეგობრებიან, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანელები არ ემეგობრებიან.

**– სამაგიეროდ, აზერბაიჯანი ემეგობრება თურქეთს, რომელიც არ მეგობრობს ირანთან.**

– მაინც რთული სათქმელია, შეძლებს თუ არა მოსკოვი ამ დაბალანსებული პოლიტიკით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი მოქმედებების შეჩერებას. მოსკოვს, როგორც საბჭოთა დროს იყო, აღარ აქვს პირდაპირი გავლენის საშუალება, ამიტომ არსებობს რეგიონში ვითარების გამწვავების საშიშროება. ირანის გარდა იქ არის თურქეთი, ამერიკა, საკმაოდ რთული და სახიფათო სიტუაციაა, რადგან ყარაბაღი შეიძლება, აფეთქდეს. თუ რუსეთი პირდაპირ ჩაერევა სომხეთ-აზერბაიჯანის ომში, მაშინ შესაძლოა, ჩაებას თურქეთიც. თურქეთს კი სამხედრო შესაძლებლობები გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე რუსეთს. ბირთვული იარაღიც აქვს: თურქულ ავიაგამანადგურებლებზე არის ამერიკული ბირთვული რაკეტები. სომხეთი ნერვიულობს, იმიტომ რომ, სამხედრო თვალსაზრისით, ჩამორჩება აზერბაიჯანს არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ხარისხითაც და რაც მეტი დრო გადის, მით უფრო თვალშისაცემია ეს ჩამორჩენა, რაც სიტუაციას მყიფეს ხდის. სამხედრო ძალის ბალანსი ირღვევა და ამან შეიძლება, ორივე მხარეს უბიძგოს ძალის გამოყენებისკენ. აზერბაიჯანმა შეიძლება, გადაწყვიტოს, რომ საკმარისად ძლიერია, რათა გადაჭრას ყარაბაღის პრობლემა, სომხეთმა კი შეიძლება, გადაწყვიტოს, თუ ომია, ჯობია ახლა ვიომოთ, სანამ აზერბაიჯანი უფრო გაძლიერდებაო. ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე არანაირი დამკვირვებლები არ არიან. უბრალოდ არის სანგრები სანგრების წინააღმდეგ და მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთს ესვრიან, რაც ნებისმიერ მომენტში შეიძლება, გადაიზარდოს კონფლიქტში.

**– თქვენი არგუმენტები მითხარით, რაც გაფიქრებინებთ, რომ საქართველოში ომის ალბათობა ნულის ტოლია.**

– პირდაპირი ომის ალბათობა ნულის ტოლია, მაგრამ, თუ ყარაბაღის კონფლიქტი დაიწყება, რუსეთისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდება სამხედრო ტრანზიტი საქართველოს გავლით. ასე რომ, ეს შესაძლოა, შეეხოს საქართველოს.

**– ყარაბაღში ზამთარში ომის დაწყების ალბათობა არის?**

– ყარაბაღში ზამთარშიცაა შესაძლებელი ომი: იქ არ არის კავკასიონი, ამდენად, ომი შემოდგომაზეც შეიძლება და ზამთარშიც.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია



**ჩემი სათაყვანებელი მწერალი ოსკარ უაილდი გეობის გამო დასაჯეს. ჩვენ გეობისთვის არავინ დაგვისჯია. ჯერ მათ მოინანიონ ოსკარ უაილდის დაპატიმრება, ჯერ მათ დაუშვან ერთსქესიანი ქორწინება და შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება ჩვენთან**

**ოცდამეერთე საუკუნე გამორჩეულია იმ ტექნოლოგიით, როგორ უნდა შექმნა არარაობისგან გავლენიანი ადამიანი, რეალურად გავლენიანი კი არარაობად აქციო. პიარტექნოლოგიების განვითარება ადამიანთა მცირე ჯგუფს დანარჩენების ტვინებით უკიდეგანოდ მანიპულირების საშუალებას ანიჭებს. გამონაკლისი არც საქართველოა: სრულიად უცნობი და არაფრით გამორჩეული პერსონები ჭკუის მასწავლებლებად გვევლინებიან და დეზინფორმაციაც ფრიად წარმატებით ვრცელდება და უტყუარ ჭეშმარიტებად საღდება. როგორ გავარჩიოთ ტყუილი სიმართლისგან და დავიცვათ თავი შავი პიარით ზომბირებისგან, – თემას ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია განგვიმარტავს.**

# როგორია ხალხის ტვინის რეცხვის პროპაგანდისტული მეთოდები, რატომ არის აუცილებელი მოსახლეობის დამშევა შავი პიარის ეფექტიანად მოქმედებისთვის და რატომ გაუქმდა საქართველოში ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობა

– ძალიან შორიდან დავიწყოთ: ისტორიულად რუსეთის, თურქეთისა და ირანის მუდმივად მოჭიდავე ინტერესების ქვეშ არსებული ქვეყანა ვართ, დღეს მათ დაემატა დასავლეთი: ორად გაყოფილი, ევროპისა და აშშ-ს სახით. ეს ნიშნავს, რომ მუდმივად ირანი თავის დასაყრდენებს ეძებდა საქართველოში, თურქეთი – თავისას, რუსეთი – თავისას. საინტერესოა, რომ ქართველ თავადებს შორის იყვნენ რუსული ენის არმცოდნენი, მაგრამ რუსული ორიენტაციისანი, რომლებიც ცდილობდნენ, მეზობლის, სხვა თავადების ჯინაზე, თავიანთი პატარა ინტერესების გამო, ნებაყოფლობით ყოფილიყვნენ რუსეთის, თურქეთის თუ ირანის მხარეს. ეს ადამიანები იყვნენ და არიან ამა თუ იმ იმპერიების ბერკეტები. რა არის ეგრეთ წოდებული შავი პიარის მიზანი? გაანადგურო შენი მოწინააღმდეგე ძლიერი ადამიანი, რომ საქართველო იყოს უძლური და დაძაბუნებული.

**– და ეს არის ყველას მიზანი, ვისაც აქვს ინტერესი აქ.**

– დიახ, ეს არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის ინტერესი. ამისთვის საჭიროა დაფინანსება, რომელსაც იღებ გარედან. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რომელიც გულუბრყვილოა თავისი შეხედულებებით. მაგალითად, საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ აშშ და თურქეთი არიან ძმაკაცები და ასეც არის. ისინი მეგობრები არიან, ჩვენი გაგებით, აშშ დიდ ფულს დებს თურქეთის განვითარებაში და თურქეთი არის „ნატოს“ წევრი ერთადერთი მუსლიმანური ქვეყანა, მაგრამ, მეორე მხრივ, თურქეთი არის ქვეყანა, რომელიც აცხადებს პანთურქული სახელმწიფოს აღორძინების შესახებ. ამასთან, თურქეთის ქურთულ ნაწილში არის გაზის უზარმაზარი საბადო, ქურთები მუდმივად უწევენ წინააღმდეგობას თურქულ სახელმწიფოებრიობას და ამ ქურთებს, მოკრძალებულად რომ ვთქვათ, მხარს უჭერს აშშ. რა თქმა უნდა, თურქეთი, იცის რა ზოგიერთების სურვილი მასზე გავლენის მოპოვების შესახებ, ებრძვის ამას, მაგრამ ინარჩუნებს მეგობრულ ურთიერთობას. აი, ასეთ აზროვნებას უნდა მივეჩვიოთ ჩვენც. ეს არის მუდმივი პროცესი: მეზობლებთან ურთიერთობის და ამ მეზობლების ინტერესებში შენი ინტერესების ნახვის.

**– რუსეთსა და თურქეთსაც ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ.**

– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ეჯახება კავკასიაში, შუა აზიაში, ეს არ უშლით ხელს, რომ იყვნენ საკმაოდ სერიოზული სავაჭრო პარტნიორები. ამდენად, საქართველო უნდა მიეჩვიოს ასეთ აზროვნებას. ვისგან მოდის შავი პიარი და რატომ არის სენი? შავი პიარი არის აგენტურის მიერ შექმნილი სპეციალური ინსტიტუტი, რომლის პირველი მიზანია, ხალხის თვალში შეუქმნას ძალიან ცუდი იმიჯი სხვა ქვეყნების ინტერესების გამავრცელებლებს. მარტივად რომ ვთქვა: თურქები უქმნიან ცუდ იმიჯს იმ ხალხს, რომლებიც რუსეთზე მუშაობენ და ასე შემდეგ. მეორე, ეს არის ინსტიტუტი, რომელიც ცდილობს, ცუდი იმიჯი შეუქმნას ქართველ პატრიოტებს.

**– ეს ყველაზე მტკივნეულია მთელ ამ შავ პიარში.**

– რა თქმა უნდა. მათ საკმაოდ ნათელი მიზანი აქვთ და უპირველესი არის ნაციონალური ინტერესებისთვის ძირის გამოთხრა, რითაც ძირი ეთხრება ნაციონალურ ფასეულობებს და ეს ხდება არარსებული კონფლიქტების გაღვივებით. ამის ერთ-ერთი მაგალითია, რაც ხდება გეებთან დაკავშირებით. არადა, ქართველი ერი ყოველთვის იყო მიმტევებელი ერი. ჩვენ ბევრ გეის ვიცნობთ და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა და გვაქვს, მაგრამ რატომ უნდა ვიყოთ რომის პაპზე კათოლიკეები?! ჯერ ვაცალოთ დასავლეთს, რომელმაც წინა საუკუნის 50-იან წლებში მიიღეს კანონები, რითაც გეებს სჯიდნენ სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ყველაზე კარგი მაგალითია ჩემი სათაყვანებელი მწერალი ოსკარ უაილდი, რომელიც ამის გამო დასაჯეს. ჩვენ გეობისთვის არავინ დაგვისჯია. ჯერ მათ მოინანიონ ოსკარ უაილდის დაპატიმრება, ჯერ მათ დაუშვან ერთსქესიანი ქორწინება და შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება ჩვენთან. იმის თქმა მინდა, რომ ეს არის თითიდან გამოწოვილი პრობლემა და ესეც ერთ-ერთი მეთოდია საიმისოდ, რომ გამოიწვიონ კონფლიქტი ქვეყნის შიგნით და დაძაბონ ვითარება. რა არის ამის მიზანი? უპირველესად, ადამიანისთვის ცუდი იმიჯის შექმნა, რომ ის არის უტვინო, ქვეყნის დამაქცევარი, რუსეთის გადმონაშთი ან რელიგიური ფანატი და ასე შემდეგ. მუდმივად ცდილობენ, შეავიწროონ ნამდვილი პატრიოტი ადამიანი, რომ არ ჰქონდეს არანაირი სამსახური, ვერ მიიღოს ვერანაირი გრანტი, რომ არ ჰქონდეს გავლენა და ბოლომდე დაწიხლონ. მეორე მხრივ, აქებენ ისეთ ადამიანს, რომელიც არის გაურკვეველი წარმომავლობის, აქვს გაურკვეველი ფასეულობები, მაგრამ არის უტიფარი და ავრცელებს შემკვეთის მიერ გადმოცემულ ბაცილებს. ეს ბაცილა საქართველოში დიდი ხანია, არსებობდა და ყველაზე მეტად გაძლიერდა რუსეთის იმპერიის დროს. ბევრი ჩვენი სათაყვანებელი ხელოვნების მოღვაწე რუსეთის პირდაპირ სამსახურში იყო, რუსულ იმპერიულ იდეოლოგიას ავრცელებდა და ეს ხდებოდა კულტურული რევოლუციის ქვეშ. ანალოგიურად ხდება დღეს: როდესაც ადამიანები ვითომ დასავლეთიდან მოტანილ ღირებულებებს თავზე გვახვევენ და მიდის ომი არარსებული თავისუფლებისთვის, რომელიც ყოველთვის გვქონდა. საქართველოში ქალის პატივისცემა და დემოკრატიულობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჩემს თვალში ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში, ინგლისში, ქალებმა ხმის მიცემა დაიწყეს მეოცე საუკუნის 30-იან წლებში.

**– ჩვენ პირველი რესპუბლიკის პარლამენტში 4 ქალი დეპუტატი გვყავდა.**

– ეს შავი პიარი ძირს უთხრის ყველაზე ძვირფასს: სახელმწიფოებრიობას. მუდმივად უნერგავს ქართველს, რომ ქართველები არიან ცუდები, უნიათოები, დამნაშავეები, კრიმინალურები, კორუმპირებულები, უჭკუოები და ნერგავს სინდრომს, რომ ჩვენ არაფერი შეგვიძლია, გარდა მონობისა. რეალურად, კორუმპირებულებიც თვითონ არ-


# ავტორიზებული კოლეჯი „ორიენტირი“

## ა ც ხ ა დ ე ბ ს  მ ი ღ ე ბ ა ს

- ინფორმაციული ტექნოლოგი
- მასაჟისტი
- ექთნის თანაშემწე
- ბუღალტერი
- ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი
- ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი
- კრიმინალისტი
- პრაქტიკოსი ექთანი
- კბილის ტექნიკოსი
- ფარმაცევტის თანაშემწე

სიახლე! ჩარიცხვა ეროვნული გამოცდის გარეშე და სწავლის დაბალი საფასურით.
მიიღებიან: 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულები და უფრო მაღალი განათლების პირები

გაიცემა სახელმწიფო დიპლომი

საბუთების მიღება მისამართზე:
თბილისი, ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქუჩა №28
ტელ: 599-54-19-75 593-30-86-38
599-27-57-39 2-69-99-94
www.orientiri.edu.ge

იან და გაყიდულებიც, მაგრამ ფლობენ რა ინფორმაციის გავრცელების არხებს, იქნება ეს სოციალური ქსელები თუ ელექტრონული მედია, მუდმივად არიან ამ მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში. არასდროს განუხილავთ ჩვენთან საკითხი, რატომ იღებს ერთი ადამიანი ან ადამიანთა ერთი და იგივე ჯგუფი უზარმაზარ გრანტებს რაღაც გაურკვეველ თემებზე?! რატომ იწვევენ უცხოეთში ამ ადამიანებს?! ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ისინი ებრძვიან ყველა ნორმალურ ფიზიკოსს, ქიმიკოსს, პედაგოგს, პროფესორს, ეკონომისტს, პოლიტიკოსს, მათ, ვინც ქართულ ღირებულებებს იცავს, რითაც ქვეყანას ეთხრება ძირი. ამიტომ ქვეყანა არის რაღაც ერთი კაცის, ბელადის მოლოდინში. თქვენ ვერ ნახავთ სხვა ქვეყანას, სადაც მომხმარებელს ისე არ აფასებდნენ, როგორც ჩვენთან: ყველა იმპორტირებულ საქონელს, მათ შორის, წამლებსაც, უკეთეს შემთხვევაში, რუსულენოვანი წარწერა აქვს ან საერთოდ არანაირი წარწერა არ აქვს ჩვენთვის ნაცნობ რომელიმე ენაზე.

**– მეტსაც გეტყვით: ახლახან ანტალიიდან თბილისში „აირზენამ“ ჩამოიყვანა მგზავრები, ძირითადად, სომხეთის მოქალაქეები, ხოლო თბილისის აეროპორტმა ბარგის გაცემის შესახებ ინფორმაცია გამოაცხადა მხოლოდ სომხურ ენაზე და ქართველი მგზავრები უბრალოდ გაყვნენ სომეხ მგზავრებს.**

– ეს არის ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის უგულებელყოფა, რასაც საფუძველი გასული საუკუნის 90-იანი წლებში ჩაეყარა. მოხდა სიმბიოზი, როდესაც რუსულ-კომუნისტური „კაგებეს“ შავი პიარი გადაეჯაჭვა მოდერნისტულ შავ პიარს. საბოლოოდ, მივიღეთ საკმაოდ მძლავრი იარაღი და ამ საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესიონალი, ჩემი აზრით, იყო ბატონი ზურაბ ჟვანია. მას საკმაოდ დიდი სკოლა ჰქონდა და მუდმივად ხორციელდებოდა პრინციპი: ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია და მუდმივად მუშაობდნენ მოწინააღმდეგე ბანაკში მყოფ ადამიანებზე. ხალხის ტვინის პროპაგანდისტული გარეცხვა გრძელდება დღესაც და საკმაოდ აყვავებული ფორმით.

**– დამოუკიდებლობის პირველი წლებიდან მოყოლებული, ძალიან აქტუალურია რუსეთის აგენტების თემა. რატომ ჩავიხვიეთ, როდესაც არც სხვა ქვეყნების აგენტების სიმცირესა და დესტრუქციულ ქმედებას ვუჩივით?**

– იმიტომ რომ, ხალხმა არ იცის რა არის „ცეერუს“ აგენტურა, მაგრამ ძალიან კარგად იცის, რა არის „კაგებეს“ აგენტურა – ეს შიში ცოცხალია. საოცარია, რომ ჩვენი შავი პაირის მამებს რუსეთთან გენიალური ურთიერთობა აქვთ. გულში ეცინებათ კიდეც, რუსეთის აგენტებს რომ სხვებს უწოდებენ.

**– ესე იგი, მოსულა: რუსეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ, მაგრამ ტელეეთერებიდან ლანძღონ?**

– პოლიტიკაში ასეთი რამ მიღებულია. ავიღოთ ცოცხალი მაგალითი: სნოუდენმა გამოამჟღავნა, რომ, თურმე, აშშ-ს მთავრობა უსმენს თავის ყველა უახლოეს მეგობარს.

**– ბუნებრივია, აბა, ჩვენი მმართველები თავისით ხომ არ დანერგავდნენ მართვის ამ სტილს?**

– პოლიტიკაში შავ პიარს დიდი მნიშვნელობა აქვს. პრინციპი ასეთია: ქვა ქვაზე არ დარჩენილა, თუ ჩემი პოლიტიკური ძალა არ იქნება ხელისუფლების სათავეში. ეს არ არის ქართული მოვლენა, ეს მსოფლიო პოლიტიკის მახასიათებელია. მათთვის მთავარია, ყველაფერი მართონ: კორუფციაც კარგია მაშინ, როცა თავად არიან კორუმპირებულები. თანამედროვე პოლიტიკის მოთხოვნაა, რომ აკონტროლო ფულადი ნაკადები. ისინი უტიფრად გეუბნებიან, თქვენ უნდა იყოთ მონები და ერთმა მუჭა ადამიანებმა უნდა მართონ საქართველო. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება საქართველო სტაბილური ქვეყანა: ის ერთი მუჭა ადამიანები და მათი შვილები იქნებიან ქონების მფლობელები, დანარჩენები – მონები, პროპაგანდისტული მანქანა კი უზრუნველყოფს ამ მონების ბედნიერებას: წაგებული ომი მოგებული ეგონებათ, კატა რომ დაიჩხავლებს ტომარაში, საჭმელი ეგონებათ. სანახაობას არ მოაკლებენ და იცხოვრებენ იმ მეთოდებით, რომლებიც ჯერ კიდევ რომის იმპერიიდანაა ცნობილი ყველასთვის.

**– თქვენც ამბობთ, რომ ეს არ არის ქართული მოვლენა. ამავე წესით ცხოვრობს დასავლეთიც, მაგრამ იქ ხალხის სოციალური პრობლემები გადაჭრილია. ჩვენ აუცილებლად მშივრები უნდა ვიყოთ ამ მოდელის განხორციელებისას?**

– აუცილებლად მშიერი უნდა იყოთ: რაც უფრო მშიერი იქნებით, მით უფრო ადვილად დაიჯერებთ ამას. ზოგადად, ჩვენ ვერავის ავუკრძალავთ, იყოს ვინმეს აგენტი, ჩვენ უბრალოდ ვამბობთ, რომ უნდა გამოაშკარავდეს ეს ხალხი და ითქვას, თქვენ ხართ ირანის სპეცსამსახურების ლობისტი. რა არის ამაში ცუდი?! ერქვათ რუსეთის ლობისტი, თურქეთის ლობისტი, გერმანიის ლობისტი და ყველას ეცოდინება, ვინ რისთვის და როგორ ლაპარაკობს. ეს ყველაზე დიდი საშუალება იქნება საიმისოდ, რომ ერის ინტერესების გამტარებლებს მისცენ ასპარეზი. ჩვენ გვეგონა, რომ ბოლშევიკური იდეოლოგია და ლექსი: „მოვკლავ დედას, მოვკლავ მამას,“ წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ ახალი კომკავშირლები გაჩნდნენ, რომლებიც იმეორებენ გაზეპირებულ ფრაზებს, არც ზრდილობა აქვთ, დისკუსია აწარმოონ, არიან ძლევამოსილები ფულით, გრანტებით და აქვთ ინფორმაციის გავრცელების საშულებები. ჩვენ ვერ შევქმნით ვერც ღირებულ ეკონომიკას და ვერც ღირებულ ფასეულობებს, თუ შავი პიარი საქართველოში არ გამოაშკარავდება.

**საოცარია, რომ ჩვენი შავი პიარის მამებს რუსეთთან გენიალური ურთიერთობა აქვთ. გულში ეცინებათ კიდეც რუსეთის აგენტებს რომ უწოდებენ სხვებს**

**– და ვინ უნდა გამოააშკარაოს? თავიანთ თავს ხომ არ გამოააშკარავებენ?**

– საქართველოს დღეს აქვს შანსი, რომ სწორედ ასეთი კუთხით მიუდგეს ამ საკითხს. ბიძინა ივანიშვილს ყველასთან აწონილ-დაწონილი ურთიერთობა აკავშირებს, ამიტომ აქვს შანსი, მიიღოს ლუსტრაციის კანონი, რომ ადამიანებს დაერქვათ თავიანთი სახელები. ემსახურებით ირანის ინტერესებს? დაგერქვათ ირანის ლობისტი, ამისთვის მიიღეთ გასამრჯელო სავსებით ლეგალურად. თუ თურქეთის ინტერესებს ემსახურებით, იქიდან მიიღეთ გასამრჯელო და ასე შემდეგ. მაგრამ, როგორც კი თქვენ დაიწყებთ ფარულ იდეოლოგიურ მუშაობას და ქართველების ტვინის რეცხვას, რომ ისინი არიან უნიათო, უნიჭო ერი, თქვენ უნდა დაისაჯოთ. ჩვენ გავაუქმეთ ცილისწამების მუხლი. არადა, თქვენ ხარჯავთ უზარმაზარ ენერგიას და რესურსს, რომ შეიქმნათ იმიჯი, მაგრამ უცებ გამოჩნდება ვიღაც და იწყებს თქვენს ლანძღვას: რომ ხართ რუსეთის აგენტი, კორუმპირებული, რომ თქვენ მოკალით ერეკლე მეორე და გიწევთ იმის მტკიცება, რომ არ ხართ მგელი. რატომ უნდა ეპატიოს ადამიანს ცილისწამება?! თუ ცილისმწამებლები არ დავსაჯეთ, ქვეყანას ვერასდროს ავაშენებთ. როგორც კი ეს ადამიანები დაინახავენ, რომ ხალხის მდგომარეობა უმჯობესდება და ხალხი აღარ არის ბრბო, აუცილებლად დაიწყებენ დარტყმას ამის წინააღმდეგ და უზარმაზარ ზიანს მოგაყენებენ. იმიტომ რომ თქვენი ნებისმიერი ნაბიჯი სიკეთისკენ მოტრიალდება კრახად: გამოჩნდება ვიღაც კახელი გლეხი, რომელიც გაჩეხავს ატმის ბაღს, რადგან მოსავალი არ იყიდა სახელმწიფომ. მიდი და არკვიე, უნდა ეყიდა თუ არა სახელმწიფოს. სანამ არ გამოაშკარავდებიან შავი პიარის მეფეები, სანამ პოლიტიკა უფრო გახსნილი არ იქნება, არაფერი გამოვა. ვისაც გინდა, ემსახურე, ოღონდ დაგერქვას ის სახელი, რაც გეკუთვნის.

**– ჩვენი წონითი კატეგორიის ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც მუშაობენ, სავარაუდოდ, მაგრამ ჩვენ რატომ გვეტყობა მაინც ასე აშკარად?**

– ჩვენ ვითომ ძალიან დიდი რეფორმატორები ვიყავით, მაგრამ ამ რეფორმებში გაგვისწრო სომხეთმა. მათ შეიმუშავეს განვითარების საკმაოდ სერიოზული გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის გავლენის ქვეშ არიან და, ჩემი აზრით, იქ დღემდე არადემოკრატიული მმართველობაა, შეძლეს, ამოეწიათ ეკონომიკა, გამოიგონეს ჩიპი, შექმნეს საწარმო ამ ჩიპის წარმოებისთვის, 1 000 ადამიანი დაასაქმეს და როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში გადავიდნენ ინოვაციური ეკონომიკის ელემენტებზე და იმ ბიზნესებზე, სადაც დღგ არის მეტად მნიშვნელოვანი. დღეს ჩვენ, რეალურად, არც ერთ ქვეყანაში არავის ვჭირდებით: ერთადერთი კუნძული გვაქვს – საქართველო და მასაც ვძირავთ, რადგან საკუთარ თავს ვეუბნებით, რომ ვართ უნიათოები, უჭკუოები და არაშრომისუნარიანები. ორად-ორი ქვეყანა, სადაც ჩვენი შრომა გამოიყენება, არის რუსეთი და საბერძნეთი, რომლშიც ხუთ სხვადასხვა ფუნქციას ვასრულებთ, რომ სარჩო-საბადებელი მოვიპოვოთ და ჩვენდა უნებურად ხელს ვუწყობთ ხალხს, რომლებიც ქართულ სახელმწიფოებრიობასა და მენტალიტეტს ებრძვიან. არადა, როგორ შეიძლება, ქართველი გლეხი, რომელსაც ქვითკირ ნიადაგზე მოჰყავდა მოსავალი, იყოს ზარმაცი?! ზარმაცია ქართველი, რომელიც აკეთებს საცივს? როდესაც ცალ-ცალკე ინდაურიც არაჩვეულიბრივად მისართმევია და ნიგოზიც. თუ ზარმაცი ხარ, რატომ უნდა იწვალო ამდენი საცივის გასაკეთებლად?! ან ამდენი ხელოვანი როგორ გვყავს, თუ ზარმაცები ვართ?! თუ შეგვიძლია, ამდენი ფიზიკოსი და ქიმიკოსი გავზარდოთ, ზარმაცები რატომ ვართ?! ეს არის შავი პიარის შედეგი. რა განსხვავებაა ზაზუნასა და ვირთხას შორის? არანაირი, ვირთხას უბრალოდ ცუდი პიარი აქვსო. ამიტომაც შავი პიარი მუშაობს იმ იმპერიების დაკვეთით, რომლებსაც აქვთ ინტერესი, რომ საქართველო ეკონომიკურად დაიქვემდებარონ.

**ნინო ხაჩიძე**

## ვალერი ქიმერიძის გახსენება



უკვე ორმოცი დღე მიიწურა, რაც ჩვენგან წახვედი. ულმობელმა სენმა ისე მოულოდნელად წაგართვა სიცოცხლე, გააზრებაც ვერ მოვასწარით. ძალიან ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. დღემდე გვიჭირს ამის დაჯერება... ენატრები ყველას: შენს ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს. გაუჭირდება უშენოდ შენს პატარა ონისეს... მხოლოდ იმით ვიმშვიდებთ თავს, რომ შენნაირი კეთილი ადამიანი უფალთან დაიმკვიდრებს ადგილს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო კარგო ვალერი!

**მეგობრები**

# რა როლი ითამაშა ათმა სანტიმეტრმა ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰონსი მუბარაქის ცხოვრებაში და რატომ ჩაესმის მას ყურში ტყვიების ზუზუნი

***ბოლო დროს ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებმა, ძალაუნებურად, ჰოსნი მუბარაქის მმართველობის პერიოდი გაახსენა მსოფლიო მასმედიას. მაშინ, იმის მიუხედავად, რომ მუბარაქი დიქტატორად ითვლებოდა, დღევანდელ სიტუაციასთან შედარებით, ეგვიპტეში მშვიდობა სუფევდა, ტურისტებს პირამიდებით და საუცხოო კურორტებით იზიდავდა. სამწუხაროდ, „არაბული გაზაფხულისა" და მუჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ, ეგვიპტეში ნამდვილი ქაოსი დაიწყო. ქვეყანაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, ღიად დაიწყო ეგვიპტელი ქრისტიანების, კოპტების დევნა. კურორტებზე დამსვენებლების რაოდენობა მცირდება და ამერიკა, ევროპასთან ერთად, ურთიერთობის გადახედვას აპირებს. ეგვიპტეს სანატრელი გაუხდა დიქტატორ ჰოსნი მუბარაქის მმართველობის პერიოდი.***

* მუჰამად ჰოსნი საიდ მუბარაქი დაიბადა მინუფიას გუბერნიის, შიბინ-ალ-ქუმის ოლქის, სოფელ კაფრ-ალ-მუსაილაჰში 1928 წლის 4 მაისს. მამა – საიდ იბრაჰიმ მუბარაქი ხანგრძლივი დროის განმავლობაში შიბინ-ალ-ქუმის სასამართლო სტრუქტურის თანამშრომელი იყო. 1952 წელს ეგვიპტეში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, იბრაჰიმი ქაიროში გადაიყვანეს – იუსტიციის სამინისტროში, ინსპექტორის თანამდებობაზე. დაწყებითი განათლება ჰოსნიმ კაფრ-ალ-მუსაილაჰის სკოლაში მიიღო. შემდგომ სწავლა შიბინ-ალ-ქუმის საშუალო სკოლაში გააგრძელა. ჰოსნის არაბული ენის მასწავლებელი იხსენებდა, რომ მომავალი პრეზიდენტი თავდაჯერებული ახალგაზრდა იყო და სერიოზულად ეკიდებოდა ნებისმიერ დაკისრებულ დავალებას. თანაკლასელებისგან გამოირჩეოდა იმით, რომ საშინაო დავალებების გაკეთება უადვილდებოდა. ჰოსნი სპორტსაც მისდევდა. ის ბალახის ჰოკეით, მაგიდის ჩოგბურთითა და სქვოშ რექეთსით (ერთგვარი თამაში) იყო გატაცებული.

* 1959 წელს ჰოსნი მუბარაქი სტაჟირებაზე საბჭოთა კავშირში გააგზავნეს, კერძოდ, ყირგიზეთში, ტოკმაკში. იქ მას უნდა გაევლო ბომბდამშენ „ილ-28-ის" პილოტირების კურსები. სტაჟირებიდან ეგვიპტეში დაბრუნებული ჰოსნი საავაციო პოლკის მეთაურად დაინიშნა. 1964-1965 წლებში მუბარაქი საშტაბო სწავლებას გადიოდა მოსკოვში, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში. ასევე, ეუფლებოდა ბომბდამშენ „ტუ-16-ის" პილოტირებასაც. ერთ-ერთ გვიანდელ ინტერვიუში მუბარაქი ყვებოდა, რომ მოსკოვში ცხოვრების პერიოდში, ინტერესის გამო ფეხით შემოიარა მოსკოვის მეტროპოლიტენის ყველა სადგური. მისი უსაყვარლესი ადგილი მოსკოვში კი დღემდე ყოფილი გორკის, ამჟამად „ტვერსკაია ულიცაა", რომელიც თანამედროვე მოსკოვის გართობისა და ღამის ცხოვრების ცენტრია.

* 10 სანტიმეტრი აშორებდა სიკვდილისგან ვიცე-პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს 1981 წლის 6 ოქტომბერს, როდესაც სამხედრო აღლუმის დროს, მოკლეს ეგვიპტეს მაშინდელი პრეზიდენტი, ანვარ სადათი. ერთ-ერთ ინტერვიუში მუბარაქი იხსენებდა, რომ მას დღემდე ყურში ჩაესმის ტყვიის ზუზუნი, რომლითაც სადათი მოკლეს. მკვლელობიდან ერთი კვირის თავზე, 52 წლის მუბარაქი ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა.

* ეგვიპტის ექსპრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს



შესრულებული აქვს სამხედრო-საჰაერო ძალების გენერლის როლი, 1949 წელს გადაღებულ უცნობი დასახელების, ეგვიპტურ შავ-თეთრ მხატვრულ ფილმში. მუბარაქი ფილმის რამდენიმე ეპიზოდში ჩნდება და მისი პერსონაჟი მხოლოდ პილოტებისთვის მითითებების მიცემით შემოიფარგლება. ცნობისთვის, იმ დროისთვის მუბარაქს არ ჰქონდა გადაწყვეტილი რომელ სამხედრო სტრუქტურაში დაეწყო სამსახური და საჰაერო ძალების გენერლის როლი სრულიად შემთხვევითი იყო. ფილმის რამდენიმე კადრი ვიდეოპორტალ „იუთუბიზეა" განთავსებული.

* ეგვიპტის ექსპრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ერთ-ერთი პირველი იყო მსოფლიო ლიდერთაგან, რომელთანაც სატელეფონო საუბარი გამართა 2008 წლის ნოემბერში, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. რით იყო ეს განპირობებული და რა საკითხები განიხილეს პოლიტიკოსებმა, დღემდე უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მათი საუბარი საკმაოდ დიდხანს, თითქმის 40 წუთს გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ იმავე საღამოს ბარაკ ობამა კიდევ 15 მსოფლიო ლიდერს ესაუბრა, მათ შორის, საფრანგეთის პრეზიდენტს, ნიკოლა სარკოზის, ბრიტანელ პრემიერს გორდონ ბრაუნს, იაპონიის მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ტარო ასოს, ავსტრალიის პრემიერს ქევინ რადს და საუდის არაბეთის მეფეს აბდალას. თუმცა, ყველაზე ხანგრძლივი საუბარი ობამას სწორედ მუბარაქთან ჰქონდა, რომლის გადაყენაბასა და დაპატიმრებას შემდეგში ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმა.

* ჰოსნი მუბარაქმა ჯერ კდიევ 2009 წელს დაკარგა რეიტინგი „მსოფლიოს ყველაზე საშიში დიქტატორების" სიაში. ამერიკული ჟურნალი „პარადის" 2009 წლის მონაცემებით, რომელიც ყოველწლიურად ადგენს „ყველაზე საშიში დიქტატორების" რეიტინგს, ჰოსნი მუბარაქი პირველი ოცეულის ბოლო საფეხურზე იყო. მის წინ კი ისეთი ქარიზმატული დიქტატორები იყვნენ, როგორებიც არიან: ჩრდილოეთ კორეის უკვე გარდაცვლილი ლიდერი კიმ ჩენ ირი, ჩინეთის ექსპრეზიდენტი ჰუ ძინ ტაო, ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო, ლიბიის ექსლიდერი მუამარ კადაფი და ფიდელ კასტროს ძმა, კუბის ამჟამინდელი მმართველი რაულ კასტრო.

* პრეზიდენტობის პერიოდში ჰოსნი მუბარაქის სიცოცხლის ხელყოფის ექვსი შემთხვევა დაფიქსირდა. მათგან ყველაზე ცნობილია: 1995 წელს ეთიოპიაში მომხდარი ტერორისტული აქტი, როდესაც მუბარაქის კორტეჟს ცეცხლი გაუხსნეს ისლამისტმა ექსტრემისტებმა. ეგვიპტის პრეზიდენტი არ დაზარალებულა, სამაგიეროდ დაიღუპა ორი ეთიოპიელი პოლიციელი; მეორე შემთხვევა 1999 წელს ქაიროში მოხდა, როდესაც დანით შეიარაღებული უცნობი ბოროტმოქმედი, თავს დაესხა მუბარაქს და რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, მაგრამ არასასიკვდილო.

* თავის დროზე ირანის ეროვნული მილიციის „ბასიჯას" ხელმძღვანელობამ ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის მოკვლისთვის მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდო დააწესა. „რევოლუციური სტუდენტების" („ბასიჯას" ერთ-ერთი ქვედანაყოფი) წევრებმა სპეციალური აქცია გამართეს, სადაც გაცხადდა ამ ჯილდოს შესახებ. ირანელების აზრით, ჰოსნი მუბარაქი მუსლიმანური სამყაროს მოღალატეა და სიკვდილით დასჯას იმსახურებს. ირანელების მუქარა იმით იყო განპირობებული, რომ მუბარაქმა რამდენიმე წლის წინ მხარი დაუჭირა ამერიკელების შესვლას ერაყში და ასევე, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ებრაელ პოლიტიკოსებთან.

* ჰოსნი მუბარაქის ოჯახის ქონება სხვადასხვა მონაცემით, 70 მილიარდამდე დოლარს შეადგენს. ძირითადად, საუბარია მსოფლიოს სხვადასხვა ბანკში არსებულ საიდუმლო ანგარიშებზე. დღემდე უცნობია თუ ვინ განაგებს ამ თანხას, ასევე, უცნობია რეალურია თუ არა ამ თანხის არსებობა, რადგან ის ორჯერ აღემატება ეგვიპტის საგარეო ვალს. ცნობისთვის, მუბარაქის გადაყენების შემდეგ, ბარაკ ობამა გამოვიდა ინიციატივით, რომ ეგვიპტისთვის ეპატიებინათ ერთი მილიარდი დოლარის ვალი.

* 2007 წელს, აზერბაიჯანის ქალაქ ჰირდალანში მთავრობამ ჰოსნი მუბარაქის ძეგლი დადგა. 2011 წელს, მას შემდეგ, რაც ჰოსნი მუბარაქი გადააყენეს თანამდებობიდან, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ძეგლის დემონტაჟის ბრძანება გამოსცა.

* 2011 წლის 11 თებერვალს, თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ჰოსნი მუბარაქი შინაპატიმორბაში იმყოფებოდა. იმავე წლის აპრილში მის წინააღმდეგ აღიძრა საქმე ეგვიპტის პროკურატურაში. მუბარაქს რამდენიმე მძიმე დანაშაულში, მათ შორის, კორუფციაში ედებოდა ბრალი. 2012 წლის 2 ივნისს მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. 2013 წლის 15 აპრილს ჰოსნი მუბარაქი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჟეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რომელი მილიარდერები მიიჩნევიან ყველაზე უსწავლელებად „ფორბსის” რეიტინგში

*განათლებაში დიდძალი ფული იხარჯება თანამედროვე მსოფლიოში. შეძლებული მშობლები თავიანთ შვილებს მსოფლიოს საუკეთესო სკოლებსა და უნივერსიტეტებში გზავნიან სასწავლებლად და ამაში მილიონობით დოლარს ხარჯავენ. მათი აზრით, წარმატების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ხარისხიან და ძვირად ღირებულ განათლებას მიიღებ. თუმცა, საპირისპიროზე მეტყველებს იმ მილიარდერთა ჩამონათვალი, რომელთა უმეტესობამ საშუალო სკოლის დამთავრებაც კი ვერ მოახერხა. მათ უმაღლესის დიპლომის გარეშეც მოახერხეს ისეთი წარმატებისთვის მიეღწიათ, რომ დღეს მათ შესახებ უნივერსიტეტებში ლექციებსაც კი კითხულობენ. გთავაზობთ „ფორბსის” 2013 წლის ყველაზე უსწავლელ მილიარდერთა ჩამონათვალს.*

## რიჩარდ ბრენსონი – 4,6 მილიარდი დოლარი

სერ რიჩარდ ბრენსონმა 16 წლის ასაკში მიატოვა სკოლა. ის დისლექსიით იყო დაავადებული და სწავლა უჭირდა. ბრენსონს არანაირი უმაღლესი




განათლება არ მიუღია, თუმცა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია მისთვის, გაეხსნა „ვირჯინ რეკორდსი”, „ვირჯინ ატლანტიკ ეირვეისი” და ასევე, 300-მდე სხვადასხვა პროფილის კომპანია. 24 წლის ასაკში ბრენსონს თავისუფლად შეეძლო, ეყიდა ნებისმიერი კუნძული კარიბის არქიპელაგიდან.

## კირკ კერკორიანი – 3,3 მილიარდი დოლარი

სომხეთის ნაციონალურმა გმირმა და ლასვეგასის ცოცხალმა ლეგენდამ, 96 წლის კირკ კერკორიანმა სკოლა ჯერ კიდევ მე-8 კლასიდან მიატოვა და მას შემდეგ, ხან კრივით იყო გატაცებული, ხან – სამხედრო ავიაციით. დღესდღეობით, ამერიკის ერთ-ერთ უხუცეს მილიარდერს, მსოფლიოში სახელგანთქმული სამორინეების: „ბელაჯიო”, „ექსკალიბურ”, „მენდელეი ბეი”, „ლუქსორ”, „ნიუ იორკ-ნიუ იორკი”, „სირკუს სირკუსა” და „მირაჟის” აქციები ეკუთვნის.



## ბილ გეითსი – 67 მილიარდი დოლარი




პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანს ნამდვილად არ სჭირდება წარდგინება და ყველამ იცის, რომ „მაიკროსოფტის” დამფუძნებელი ბოლო პერიოდში აქტიურად არის ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში. თუმცა, ბევრმა შეიძლება, არც კი იცის, რომ სკოლის პერიოდში, არადამაკმაყოფილებელი მოსწრების გამო, ის ფსიქოლოგის ხშირი სტუმარი იყო. ჰარვარდის უნივერსიტეტიდან კი ორწლიანი სწავლის შემდეგ, გარიცხეს კიდეც. თან, ისე, რომ უმაღლესის დიპლომის მიღების ყველანაირი შანსი მოუსპეს.

## პოლ ალენი – 15 მილიარდი დოლარი

გეითსისგან განსხვავებით, „მაიკროსოფტის” კიდევ ერთმა დამფუძნებელმა პოლ ალენმა, სწავლა საკუთარი სურვილით მიატოვა ვაშინგტონის უნივერსიტეტში, რათა მთელი დრო პროექტ „მაიკროსოფტზე” მუშაობისთვის დაეთმო. დღესდღეობით, „მაიკროსოფტის” აქციების გარდა, ალენის მფლობელობაშია 12 პროფესიონალური სპორტული გუნდი, უძრავ-მოძრავი ქონება მთელ პლანეტაზე, ტექნიკური და მედია კომპანიების აქციები და კინოკომპანია „დრიმუორქს ფიქჩერზიც” კი.

## ლარი ელისონი – 43 მილიარდი დოლარი

კომპანია „ორაკლის” დამაარსებელმა ორ, უილინოისის ურბანა-ჩემპეინისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში მოასწრო სწავლა, მაგრამ არც ერთგან არ მიიყვანა საქმე დიპლომამდე. 1977 წელს, ორი ათასი დოლარით დააარსა კომპანია „ორაკლი”, რომელიც დღეს მსოფლიოში, კომპიუტერული უზრუნველყოფის შემუშავების სიდიდით, მეორე კომპანიაა.

## მაიკლ დელი – 15,3 მილიარდი დოლარი

მცირე კომპიუტერული კომპანია „პკ უნლიმიტედის” დაარსების შემდეგ, მაიკლი მიხვდა, რომ სწავლისთვის დრო არ დარჩებოდა და ქალაქ ოსტინში, ტეხასის უნივერსიტეტზე უარი განაცხადა. მთლიანად კომპანიის საქმიანობაზე გადაერთო. მიუხედავად იმისა, რომ მაიკლს უმაღლესი განათლება არ აქვს, მან მოახერხა საკუთარი კომპანიის, მსოფლიოში სახელგანთქმული „დელ კომპიუტერსის” კორპორაციად გადაქცევა.



## დევიდ გეფენი – 6 მილიარდი დოლარი



ამერიკულ გასართობ ინდუსტრიაში ცნობილმა ფიგურამ – გეფენმაც ვერ დაასრულა სწავლა ოსტინის უნივერსიტეტში, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ გავლენიანი ადამიანი გამხდარიყო ჰოლივუდში და დაეარსებინა კომპანია „დრიმუორქს ფიქჩერზი”, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესო ანიმაციურ ფილმებს უკეთებს პროდაქშენს.

## რალფ ლორანი – 7 მილიარდი დოლარი

ამერიკელი დიზაინერი რალფ ლორანი თანამედროვე მსოფლიო მოდის ცოცხალი ლეგენდაა. მილიონერად გახდომას რომ აპირებდა, ამის შესახებ მან ჯერ კიდევ სკოლაში განაცხადა. კოლეჯში სწავლის დროს რალფმა ჰალსტუხების გაყიდვით საკუთარი ბიზნესი წამოიწყო, რომელიც შემდგომში ბრენდ „პოლო რალფ ლორანად” იქცა. რალფმა ნიუ-იორკის საქალაქო კოლეჯში სწავლა მიატოვა, მისი ბრენდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა მსოფლიოში.



## შელდონ ადელსონი – 26,5 მილიარდი დოლარი

სათამაშო ბიზნესის ლეგენდა და ნიუ-იორკის საქალაქო კოლეჯის კიდევ ერთი ყოფილი სტუდენტი, რომელმაც აღარ ისურვა უმაღლესი განათლების მიღება – დღეისთვის ადელსონი კორპორაცია „ლას-ვეგას სენდსის” აღმასრულებელი დირექტორია. მას ეკუთვნის სამორინე „ვენეიშენ რესორტ ჰოტელი” და ბიზნესცენტრი „სენდ ექსპო ენდ ქონვენშან სენტრ”. გარდა ამისა, შელდონ ადელსონი ამერიკაში უმსხვილესი, კომპიუტერული ტექნიკის საგამოფენო ცენტრ „კომდექსის” ერთ-ერთი დამაარსებელია.



## ეიკ ბატისტა - 10,6 მილიარდი დოლარი

ბრაზილიელი მილიარდერი ეიკ ბატისტა გერმანიაში, ააჰენის უნივერსიტეტში ინჟინრის პროფესიას ეუფლებოდა, თუმცა მესამე კურსიდან წამოსვლა და სამთომომპოვებელ ბიზნესში ჩართვა გადაწყვიტა. ბატისტა იმდენად წარმატებული გამოდგა დიპლომის გარეშეც, რომ მალე მისი კომპანია ერთ მილიარდ დოლარად გაიყიდა. მან კი ახალ სფეროში – ნავთობისა და გაზის კორპორაციებში დაიწყო ფულის დაბანდება, რამაც ის ბრაზილიის უმდიდრეს ადამიანად აქცია.



**უშანგი რუხაძე**

# ამუშავებენ თუ არა თბილისის ზღვაზე ჩინური ქალაქის მშენებლობაზე ჩინელ პატიმრებს

ჯერ კიდევ 2012 წლის გაზაფხულზე თბილისის მერიამ ჩინურ სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „ჰუალინგთან“ ხელშეკრულება გააფორმა, რის მიხედვითაც, ამ უკანასკნელმა, სულ მცირე, 150 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩინური ქალაქის ასაშენებლად (რომელიც მოიცავს სავაჭრო ცენტრს, სარეკრეაციო ზონას, საცხოვრებელ სახლებსა და ვილებს). რაკი ინვესტორი უპირველესია, ამიტომაც ჩინური კომპანია 10 წლის განმავლობაში თავისუფლდება გადასახადებისგან, უფრო მეტიც, მას 420 ჰექტარი მიწის ფართობი მერიამ 1 ლარად გადასცა, მაშინ, როდესაც თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1კვადრატული მეტრი მიწის ფართობის ფასი 25-50 აშშ დოლარია. სხვა მონაცემებით, თითქოს ჩინელმა ინვესტორმა 420 ჰექტარი მიწა 12 ათას ლარად იყიდა. ასეა თუ ისე, ჩინური მხარისთვის გარიგება სარფიანი უნდა იყოს.

ეს კონკრეტული ხელშეკრულებაც გასაიდუმლოებულია, როგორც თითქმის ყველა დანარჩენი (მაგალითად, დღემდე უცნობია, რა პირობებით გადაეცა თბილისის წყალმომარაგების სისტემა შვეიცარიულ კომპანიას). ხოლო, რაკი ასეა, ბუნებრივია, მხოლოდ თვითმხილველთა ნაამბობებითა და იმ ვიდეორგოლით გვიწევს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, რომელიც ინტერნეტსივრცეში გაჩნდა.

ვიდეორგოლი, მართლაც, შთამბეჭდავია, თუმცა, თუ ამჟამად თბილისის ზღვაზე მიმდინარე სამუშაოების მოცულობასა და ტემპს გავითვალისწინებთ, არც ისაა გამორიცხული, რეალურ ჩაინა-თაუნს ვირტუალურთან არანაირი კავშირი არ ჰქონდეს, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ექვსიოდე თვის წინათ ჯონდი ბაღათურიამ საზოგადოებას აუწყა, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების მიზანია საქართველოში 126 000 ჩინელის ჩამოსახლება და ჩინელი ინვესტორიც

**აქვე გეტყვით, რომ ჩინურ კომპანიაში მფლობელის შემდეგ ყველაზე დიდი თანამდებობის პირი პარტკომი ყოფილა**

სწორედ მათთვის აშენებს ქალაქს თბილისის ზღვაზე. რაკი უბრალო მოკვდავთ ხელშეკრულებას სათოფეზე არავინ აკარებს, ცხადია, ვერაფერს ვიტყვით, რამდენად შეესაბამება ბ-ნი ბაღათურიას ეჭვები რეალობას. საჯაროდ მხოლოდ ის ითქმება, რომ 2015 წელს ჩინურმა ქალაქმა უნდა უმასპინძლოს ახალგაზრდული ოლიმპიადის მონაწილეებს.

### ოცდამეერთე საუკუნის ინვესტიცია – ნიჩბით

იმ მიზეზით, რომ ოლიმპიადამდე ორ წელზე ცოტა დრო დარჩა, თბილისის ზღვაზე ავედით და მშენებლობა დავათვალიერეთ. ტერიტორიას ღობე ნაწილობრივ აქვს შემოვლებული, შლაგბაუმიც მხოლოდ ცალ მხარეს დგას – თბილისის ზღვის მხრიდან. მეორე მხრიდან შემოსასვლელი ღიაა და ნებისმიერს შეუძლია ტერიტორიაზე მოხვედრა: არც ამკრძალავი ნიშანია და არც ძეხორციელი ჭაჭანებს შემმოწმებლის სახით. ტერიტორიის იმ მონაკვეთზე, რომელზეც სავაჭრო კომპლექსი უნდა აშენდეს, რამდენიმე შენობაა დასრულებული და აქა-იქ რამდენიმე ჩინელი ეროვნების მუშა ნიჩბებით მუშაობს. სავაჭრო კომპლექსის უკვე აგებული შენობები გვარიანად განსხვავდება იმ ფოტოთვალსაჩინოებებისგან, რომელიც ღობეზეა გაკრული. 12 პავილიონის აშენებას წელიწად-ნახევარი დასჭირდა, მაგრამ კომპლექსი საბოლოოდ არ დასრულებულა.

100-200 მეტრში საცხოვრებელი კორპუსები შენდება (რომლებშიც ოლიმპიადის მონაწილეები უნდა განთავსდნენ). სულ 11 მრავალსართულიანი კორპუსი უნდა აშენდეს, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმეს მშენებლობაა დაწყებული: ოთხი კორპუსი მეექვსე-მევშიდე სართულამდეა აყვანილი, რამდენიმე – მხოლოდ მეორე-მესამე სართულამდე, დანარჩენების მშენებლობა კი არც დაწყებულა. გეგმით, ისინი დაზ-



ჩინურ კომპანიას 420 ჰექტარი მიწის ფართობი მერიამ 1 ლარად გადასცა

ამთრებამდე უნდა აშენდეს, თუმცა, თუ ჩინელი მუშების მშენებლობის იმდღევანდელი ტემპით ვიმსჯელებთ, მხოლოდ ჯადოსნური ჯოხის აქნევა თუ დაასრულებს მშენებლობას დათქმულ ვადაში.

მშენებლობის მეტად დინჯ და უხმაურო რიტმს (ტექნიკა, როგორც ასეთი, მშენებლობის პროცესში მონაწილეობას არ იღებდა, მუშები ხელით ლა ნიჩბებით მუშაობდნენ) შიგადაშიგ სატვირთო ავტომანქანების მოძრაობა არღვევს, რომელთა მძღოლების უმეტესობა ადგილობრივია (როგორც ამბობენ, ხელშეკრულებით, ინვესტორი ვალდებულია, დასაქმებულთა 70 პროცენტი ადგილობრივი იყოს, თუმცა, საქმეში ჩახედული ადამიანების მტკიცებით, ეს ბალანსი მკვეთრადაა დარღვეული, რაც მშენებლობის დათვალიერებისთანვე გეცემათ თვალში).

სარეკრეაციო ზონის გაშენება არც დაწყებულა: კვლავაც მიმდინარეობს მიწის გასწორების სამუშაოები, თუმცა ერთი, ათმეტრიანი მთა უკვე მოჭრილია.

პროექტის განხორციელების დასაწყისში „ჰუალინი“ ხუთიოდე ქართულ სამშენებლო ფირმასთან თანამშრომლობდა, თუმცა შემდეგ ეტაპობრივად ისინი გაუშვა და ამჟამად მხოლოდ ერთი ქართული სამშენებლო ფირმა „მიქსორი“ დაიტოვა.

იმავე ტერიტორიაზე ბარაკებიცაა განლაგებული, რომლებშიც ჩინელი მუშები ცხოვრობენ. ისინი ყოველ დილით ღია სატვირთო ავტომანქანებით (რატომღაც ძარაზე ჩაცუცქულები) მიჰყავთ სამშენებლო ობიექტებზე და საღამოს ექვსი საათისთვის იმავე წესით აბრუნებენ ბარაკებში. ბარაკებთან ახლოს მისვლის შესაძლებლობა არ მოგვეცა, მაგრამ, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ჩინელი მუშების საცხოვრებელი პირობები გაუსაძლისია და მათი ანაზღაურებაც მხოლოდ ყოველდღიურ კვებასა და თავზე ჭერს გულისხმობს.

საშუალო დონის მომსახურე პერსონალს მშენებლობის სიახლოვეს საცხოვრებელ კორპუსებში ბინები აქვთ ნაქირავები, სადაც ჯგუფურად ცხოვრობენ – ერთოთახიან ბინებში 7 და 10 ადამიანიც კი. ზედა ეშელონის წარმომადგენლები კი სასტუმრო „ფანდში“ ცხოვრობენ. აწ უკვე სასტურო „ფანდი“ ყოფილი საჯარო სკოლის შენობაშია განთავსებული. ის ახლა უკვე ჩინელი ინვესტორის საკუთრებაა, ისევე, როგორც იქვე განლაგებული ოფისი, სადაც მშენებლობის ხელმძღვანელობა მუშაობს.

ქართული სამშენებლო ფირმების წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოაშორეს პროექტს, ერიდებიან საჯარო საუბარს, თუმცა პირად საუბრებში არ მალავენ, თუ რატომ მიუწევს გული ჩინელ ინვესტორს თავისი თანამოქალაქეების დასაქმებისკენ (აქვე კი გეტყვით, რომ ჩინურ კომპანიაში მფლობელის შემდეგ ყველაზე დიდი თანამდებობის პირი პარტკომი ყოფილა): „მფლობელი სიიაფეზეა ორიენტირებული. თვალის ასახვევად ჰყავთ ათიოდე ქართველი მძღოლი, არც ქართველები ითხოვენ ბევრს, მაგრამ ინვესტორს მაინც ჩინელები ურჩევნია, იმიტომ რომ მათ უმეტესობას არაფერს უხდის. ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, რომ პატიმრებს ამუშავებენ. ისინი, ვისაც ჩინეთში ალტერნატიული სასჯელი აქვს მისჯილი, აქ ჩამოჰყავთ და უფასოდ ამუშავებენ: ბარაკებში აცხოვრებენ და აჭმევენ. თქვენც ნახეთ, რომ მშენებლობისას ტექნიკურ საშუალებებს არ იყენებენ. ბარებით მუშაობენ და ერთ დღეს უნდებიან ერთი ქვის ამოთხრას, იმიტომ რომ არაპროფესიონალები არიან.“

საეჭვოა, ამ მუშა-ხელით კომპანია „ჰუალინგმა“ ის სამოთხე მოაწყოს, რასაც ვიდეორგოლში გვპირდება და არც მშენებლობის შენელებული ტემპი იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩინურ ქალაქად წოდებული დასახლება 2015 წლისთვის აშენდება, მაგრამ ეს მაინც ვერ უკარგავს აქტუალობას მთავარ კითხვ-



ას: ვინ იქნება ამ მინი-ქალაქის 126 000 ბინადარი? საქართველოს დემოგრაფიული პოტენციალისა და მოქალაქეთა შეძლების გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, ჩაინა-თაუნი საქართველოს მოქალაქეებმა აითვისონ.

რაც შეეხება ინვესტიციით მიღებულ ხეირს: ჩინური კომპანია გადასახადებისგან 10 წლის განმავლობაშია თავისუფალი, ესე იგი, სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ვერაფერი შემოსავლის პერსპექტივა აქვს ამ პროექტიდან; ვერც ადგილობრივთა დასაქმება მოხერხდა, რაც ნიშნავს, რომ ეს ინვესტიცია უფრო ჩინურ ეკონომიკას წაადგება, ვიდრე ქართულს.

**ნინო ხაჩიძე**

**ადვოკატ ლედი ტუკვაძეზე ლეგენდები დადის. ის კრიმინალური ავტორიტეტების ადვოკატადაა ცნობილი, თუმცა მხოლოდ ეგრეთ წოდებულ ქურდებს არ იცავს. ყველაზე საინტერესო ეპიზოდი ტუკვაძის ბიოგრაფიიდან ერთი ისევ „კრიმინალური" პასაჟია: ლედი ტუკვაძე ტარიელ ონიანის „კრიმინალურ ოჯახთან" დაახლოვებულ პერსონად აღიქმება, სამაგიეროდ, რაღაც ამერიკული ბესტსელერის არ იყოს, მას ქურდული სამყაროს, მეორე ფრთის, შუშანაშვილის დაჯგუფების წევრები არ სწყალობენ. საზოგადოებაში ეგრეთ წოდებული ქურდული კლანების მიმართ საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულებაა, თუმცა ქალბატონი ლედი ეგრეთ წოდებულ ავტორიტეტებთან დაკავშირებულ მოსაზრებებს თავისებურად აფასებს. რატომ აუფეთქეს მანქანა ადვოკატ ქალბატონს, ვინ არის მისთვის ტარიელ ფოცხვერია, იგივე „ტარასა", რა გამოუგზავნა ონიანმა მას უკრაინიდან და რატომ ენდობიან მას კლიენტები, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ქურდული სამყაროს რა საიდუმლო იცის ადვოკატმა ლედი ტუკვაძემ და რა საჩუქარი მიიღო მან ტარიელ ონიანისგან

**– ქალბატონო ლედი, თქვენზე ლეგენდები დადის. განსაკუთრებულ ინტერესს საზოგადოებაში თქვენი მანქანის აფეთქების ფაქტი იწვევს... რა მოხდა რეალურად?**

– 2010 წელს თბილისში ვიყავი და ჩემმა დამ ტელეფონით შემატყობინა, რომ ჩემი მანქანა აფეთქდა. მეგონა, რომ ეს უბრალოდ, მანქანის ტექნიკური გაუმართაობით იყო გამოწვეული. თუმცა, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მანქანა ამიფეთქეს დამონტაჟებული ასაფეთქებელი ნივთიერებით, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 200 გრამი ტროტილი. გამოყენებული იყო პულტი, უბრალოდ, სრულ მოქმედებაში არ მოვიდა, თორემ 200 გრამი ტროტილით ნახევარი ბინა დაინგრეოდა. დღემდე გაუხსნელია ეს საქმე. მე ჩვეულებრივად ვსარგებლობდი ამ მანქანით, უბრალოდ, იმ ღამეს თბილისში დავრჩი. იმ საღამოს საჭესთან იმიტომ ვერ დავჯექი, რომ ხელი მქონდა ნატკენი. ვფიქრობ, ეს ჩემი ლიკვიდაციისთვის არ იყო – მესიჯი გამომიგზავნეს. წინა ხელისუფლების დროს ეს საქმე თაროზე შემოდეს. ყველაზე მთავარი, რაც ამ აფეთქებას წინ უძღოდა, ჩემი ოჯახის მეგობრის დაკავება იყო. ის, ფაქტობრივად, ჩემი ძმადნაფიცია, მისი შვილის ნათლია ვარ. როდესაც ქალაქიდან მივდიოდით, მხოლოდ მას მიუწვდებოდა ხელი ჩვენი ოჯახის გასაღებზე. პოლიციამ გამოიყენა მისი კონფლიქტი მეუღლესთან და განყოფილებაში პირდაპირ მოსთხოვეს, რომ თუ ჩემს ოჯახში იარაღს არ ჩადებდა და ჩემს შვილს არ მოაკიდებინებდა მასზე ხელს, დააკავებდნენ. აღნიშნული პიროვნება დამიკავშირდა და გამაფრთხილა მოსალოდნელის თაობაზე. მე მაშინვე დავუკავშირდი მეუღლეს, რომელიც თერჯოლის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსია და საქმის კურსში ჩავაყენე. პოლიცია ეძებდა ფირებს და ფაილებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს ჩემს ოჯახში, რაც ჩემი მეუღლის საკითხს უკავშირდებოდა. ჩემი ოჯახის მეგობარზე, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე აღძრეს საქმე. ეს ყველაფერი მიმართული იყო ჩემ წინააღმდეგ. ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ გადაწყვიტა, ლედი ტუკვაძე აღარ უნდა ყოფილიყო. ეს ეხებოდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდს, როცა პროკურატურაში ლამის პერსონა ნონ-გრატად გამომაცხადეს. დირექტივებს იძლეოდნენ, როგორც კი ვინმე ჩემი კლიენტი იქნებოდა, ლამის დახვრეტის მუხლს მიუსჯიდნენ. გავიარე უმძიმესი პერიოდი. მარტო ბავშვთან და მოხუც დედასთან ერთად უამრავი ფინანსური პრობლემითა და ბარიერით.

**– რატომ გბლოკავდნენ? იმიტომ ხომ არა, რომ ეგრეთ წოდებულ კრიმინალურ ავტორიტეტებს იცავდით? თქვენ ხომ ცნობილი „ქურდის", ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატი ხართ, რომელიც ახალმა ხელისუფლებამაც უკან შეაბრუნა ციხეში.....**

– დიდ ინფორმაციას ვფლობდი და დღემდე ასეა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ტარიელ ფოცხვერია არის ძალიან კეთილშობილი პიროვნება. ვიცი, საზოგადოებაში მისი მისამართით ხელოვნურად შექმნეს ნეგატიური განწყობა. თუმცა, მე ამ შეფასებას არ დავეთანხმები. ის ძალიან მძიმედაა ავად. ციხეში დაავადდა. სააკაშვილის პერიოდის სასჯელაღსრულების სისტემა მალავდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო. რატომღაც აღმოჩნდა, რომ ტარიელ ფოცხვერია ყოველთვის სპეკულაციის საგანია არა მხოლოდ იმ მთავრობისთვის, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალი ხელისუფლებისთვისაც. კაცს, რომელსაც აქვს ხორხის კიბო, ციროზი და შენ ექიმთან ხელბორკილებით მიგყავს, ცოტა არ იყოს, უკვე ადამიანურ ჩარჩოებს სცდება. როდესაც ფოცხვერია გაათავისუფლეს, მას მისცეს ვადა, რომ 8 დღის განმავლობაში დაეტოვებინა საქართველო, თუმცა ის იმდენად ავადაა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ დოკუმენტაციის მომზადება, უცხო ენაზე თარგმნა და თუნდაც თურქეთის დონეზე, ყველა საბუთის მომზადება. ამავე პერიოდში მას ჩაეკეტა ყბა, მან გაიკეთა ოპერაცია, თუმცა გაურთულდა და ციხიდან გამოსული, ფაქტობრივად, ვერ იღებდა საკვებს, ონკოლოგიის ცენტრმა ამ დროს მიიღო გადაწყვეტილება, რომ სპეციალური ნემსები გაეკეთებინა ყბაში. ონკოლოგთან კი ფოცხვერიას თავზე დაადგა სპეცრაზმი და გადასხმებით გამოიყვანეს კაცი პალატიდან. სხვათა შორის, შერჩევითი სამართალი ახლაც მოდაშია. ბევრი ისეთი კლიენტი მყავს, რომელმაც მართლაც მძიმე



დანაშაული ჩაიდინეს, თუმცა, ზემოთ გავლენიანი მეგობრის წყალობით, ადვილად დააღწიეს თავი.

**– კრიმინალურ ავტორიტეტებსაც გულისხმობთ?**

– კი, მათ შორის, მათაც. სხვათა შორის, ბევრ ისეთ მინისტრსა თუ მოადგილეებში ჰყავთ გავლენიანი მეგობარი, მეც კი გამკვირვებია. ფოცხვერია კი, ეს უმძიმესი ავადმყოფი, უფრო იმიტომ დაიჩაგრა, რომ ასეთი გავლენიანი მეგობარი არ ჰყავს მთავრობაში. რაში სჭირდებათ ეს ავადმყოფი კაცი, რომელსაც ხორხის კიბოს მძიმე ფორმა აქვს, არ მესმის. ყელთან გახსნილი აქვს ერთი ადგილი და სუნთქავს ამ პატარა ნასვრეტით. ერთი წვეთი ზედმეტი რამ რომ მოხვდეს, ასფიქსიით მოკვდება ორ წამში. რისთვის სჭირდებათ ასეთი კაცი ციხეში, რომ ისევ თავისი თავის პიარი გაიკეთონ – თურმე როგორ სჯიან ქურდებს, იმისთვის აკეთებენ, რაღაც რომ გადაფარონ?! მათ ბევრზე მეტი მეგობრობაც შეუძლიათ და ვაჟკაცობაც. ასეთი კაცია ფოცხვერია. ახლა მას ძალიან უჭირს, ის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა და ხელისუფლებას მოვუწოდებ, ნუ გაწირავს ამ კაცს მხოლოდ პიარისთვის.

**– ქალბატონო ლედი, იყოთ კრიმინალური ავტორიტეტების ადვოკატი, პატარა გამბედაობა არაა. როგორ მიგიღეს მათ ოჯახში?**

– მე არ ვცნობ მათ ეგრეთ წოდებულ ქურდობას. ამ მუხლს, რის გამოც მათ სჯიან, მე არ ვაღიარებ. ეს ანტიკონსტიტუციური მუხლია. ცოტა სხვანაირად ვიტყვი, მაგალითად, ფოცხვერია ჩემთვის ქურდი არაა. ის ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია, საუკეთესო მეუღლეა და ჰყავს ასევე სანაქებო მეუღლე – ირინა ასათიანი. მე ვარ მათი შვილიშვილის ნათლია. ეს ბიჭები ჩემთვის ვაჟკაცები არიან.

**– ეგრეთ წოდებულ „ქურდულ სხადნიაკზე" თუ ყოფილხართ? რამე თავისებური კანონებია საჭირო მათ ოჯახში შესაღწევად?**

– ეს არის გადამეტებული ლეგენდები მათზე. ისინი ძალიან განათლებული, რაფინირებული ხალხია, ცდილობენ სამართლიანობის ფარგლებს არ გასცდნენ. თუმცა, მე მხოლოდ კრიმინალურ ავტორიტეტებს არ ვიცავ. კლიენტებს ამ ნიშნით არ ვირჩევ.

**– ტარიელ ონიანს იცნობთ? თქვენზე ამბობენ, რომ ონიანის ფავორიტი ხართ.**

– ჰო, ამაზეც ბევრი ჭორები დადის. საერთოდ, ქურდებს აქვთ ჩვევა, რომ ყველაზე პატივსაცემ ადამიანს აჩუქებენ ნივთს, რომელსაც თვითონ იხსნიან. შვეიცარიულ საათს ვატარებდი იმ პერიოდში და ატყდა განგაში, თითქოს უკრაინაში მყოფმა ტარიელ ონიანმა მაჩუქა. ეს საათი დიდხანს იყო გარჩევის საგანი. როგორც კი უკარინიდან საქართველოში საათიანად დავბრუნდი, ამას ათასი ჭორი მოჰყვა. არადა, სინამდვილეში, თავად შევიძინე. ზოგადად, ქურდები ახლოს არავის იკარებენ, თუ მას არ ენდობიან. მინდა გითხრათ, რომ ეს სიტყვა – „ქურდი," არც მიყვარს. ნდობის ხარისხი აქ სხვა ფილტრს გადის. ისინი გაკვირდებიან, რა გაგაქვს გარეთ და რამდენად სანდო ხარ. ძალიან დიდ სიამოვნებას მგვრის, ამ ვაჟკაც ხალხთან ურთიერთობა.

**– ქალბატონო ლედი, ქურდების საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში სხვა მოსაზრებებია. თუმცა ფაქტია, ისინი ყველა ადვოკატს არ ენდობიან. თქვენზე კი ეს გახმაურებული შემთხვევა მახსენდება. ერთხელ ქუთაისში პოლიციის სამმართველომ სპეცოპერაცია რომ ჩაატარა აბანოში და იქ მყოფ ყველა ქურდს თქვენი ადვოკატობა სურდა... მახსოვს, პოლიციის უფროსმა – ნოზაძემ ისიც თქვა, აბანოში გამოჩნდება, ვინ რა ბიჭიაო...**

– კი, ასე იყო. როცა აბანოში მყოფი ქურდები დააკავეს, მაშინდელმა პოლიციის უფროსმა ნახევრად ხუმრობით გააკეთა ეს კომენტარი. საკუთარ თავზე ბევრი საუბარი ხომ არ გამომდის?! არ მიყვარს...

**– ქალბატონო ლედი, ისე, თქვენს შესახებ ისიც მსმენია, რომ ავტორიტეტებმა თავის დროზე თქვენი მამაც მოიპარეს...**

– ეს სიმართლეა. იყო ასეთი კანონიერი ქურდი „გიჟუა", რომლის დაჯგუფებამაც, როგორც ამბობენ, 1991 წელს მამაჩემი მოიპარა, როგორც საკმაოდ შეძლებული ადამიანი. ამ ფაქტის გამო გამოკეტილი გავიზარდე. მას შემდეგ, მე ასეთი სიკეთით ვუპასუხე მათ, რომ კრიმინალებს აქეთ უნდა დავჭირვებოდი. ეს იყო ჩემი მხრიდან პროტესტის გარკვეული ფორმა მათი მანკიერი წესებისადმი. თუმცა, ყველას ერთ ქვაბში არ ვხარშავ.

**ეკა ნაკაიძე**

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის საქმიანობა ჩაითვლება, თავისი სამართლებრივი შედეგებით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან მიწასთან დაკავშირებულ ქონებაზე განხორციელებული ყველა სახის სამეურნეო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომლებიც მოიცავს მცენარეული და ცხოველური (მათ შორის, ფრინველის, თევზის, აბრეშუმის ჭიის, ფუტკრის და სხვა) პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, დაფასოებას, შეფუთვას, შენახვას, გადაზიდვასა და რეალიზაციას.

**კითხვა**: **მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ, რას გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დემოკრატიული მართვის პრინციპი და როგორ ხორციელდება ის?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის დემოკრატიული მართვა ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების თანაბარ შესაძლებლობას, მართონ და აკონტროლონ კოოპერატივის საქმიანობა, რისთვისაც კოოპერატივის თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

**კითხვა**: **სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე ჩემ მიმართ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. გთხოვთ, მაცნობოთ, რა ვადაში უნდა ჩამბარდეს გამოტანილი გადაწყვეტილება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ მხარეს ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვადაში შედის კანონიერ ძალაში სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში: გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება; სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ ის არ იყო ამ წესით გასაჩივრებული; სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა; თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვადაში შედის კანონიერ ძალაში სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ ის არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო, თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში, ასევე, შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა ვადაში უნდა ჩაჰბარდეთ მხარეებს სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან, თუ ასეთი პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ და რა ვადაშია შესაძლებელი სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და ის იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა ვადაში ხდება სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოდან საქმის გადაგზავნა საჩივრის შეტანის შემდეგ?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ, არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე, დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვადაში უნდა მოხდეს სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო საქმეზე საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა არ შეიძლება და ის იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესში აქვს თუ არა მხარეს მოწმეთა დაპირისპირების უფლება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო პროცესში სასამართლოს შეუძლია, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, მეორედ დაკითხოს მოწმე; აგრეთვე, მოახდინოს მოწმეთა დაპირისპირება მათ ჩვენებაში წინააღმდეგობათა გასარკვევად.

**კითხვა**: **გთხოვთ განმიმარტოთ რა იგულისხმება საჯარო მოხელის ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში და, შეიძლება თუ არა, საქალაქო სასამართლოს ან ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მოსამართლეს ბრალად შეერაცხოს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და დაისაჯოს სისხლისსამართლებრივი წესით, თუ შეასრულებს პოლიტიკურ დაკვეთას ან პირის მიმართ გამოიტანს უკანონო განაჩენს?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ ქმედება თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ამ დანაშაულის სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლები და საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები, ასევე, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მოსამართლეები და თანამდებობის პირები.

# ინტიმური საუბრები

## მამა დედაჩემის ბინიდან წილს ითხოვს

ჩემი მშობლები მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს, 6 წლის რომ ვიყავი. აბსოლუტურად ბანალური ისტორია იყო: მამაჩემი დედას უახლოეს მეგობართან წავიდა, რადგან მან ბავშვი გაუჩინა. არადა, იმ ქალმა თავის დროზე მე მომნათლა. მოკლედ, მამამ მიგვატოვა და მთელი ოცი წლის განმავლობაში, ერთხელაც არ უკითხავს, როგორ ვიყავით. სხვათა შორის, არც მამის ოჯახს მოუკლავს თავი ჩვენზე ზრუნვით. მამაჩემს დედ-მამაც ჰყავდა და და-ძმაც, მაგრამ, მხოლოდ ბაბუა გვირეკავდა ხოლმე ორ-სამ თვეში ერთხელ და მთელი ჩვენი საუბარი ორი შეკითხვით შემოიფარგლებოდა: „როგორ ხართ?“ და „ახლა რომელ კლასში სწავლობ“. მთელი ბავშვობა მიკვირდა, რატომ ავიწყდებოდა ბაბუას ასეთი მარტივი რამ. ერთი პერიოდი ისიც კი მეგონა, რომ სკლეროზი დაემართა, მაგრამ, მერე გაირკვა, რომ არავითარი სკლეროზი არ სჭირდა, უბრალოდ, რაც არ აინტერესებდა, ის არ ამახსოვრდებოდა. მეშვიდე კლასში რომ ვიყავი, ბაბუა გარდაიცვალა და იმის მერე აღარავის უკითხავს ჩვენი მდგომარეობა. ბაბუას გარდაცვალება თითქმის ნახევარი წლის შემდეგ გავიგეთ შემთხვევით მეზობლისგან. არც კი შეგვატყობინეს. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ მამის მხარემ მთლიანად უარი თქვა ჩვენზე და დედამ აბსოლუტურად მარტომ გამზარდა, რადგან თვითონ ადრე დაობლდა და თან დედისერთა იყო.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, მეზობელმა კარგი სამსახური მიშოვა, მერე იქ დამაწინაურეს და, ცოტა ფეხზე რომ დავდექი, ცოლი შევირთე. პატარა სამოთახიანი ბინა გვქონდა, შეძლებისდაგვარად შევარემონტე და ვცხოვრობდით ჩვენთვის, მყუდროდ და მშვიდად. მერე ზედიზედ სამი შვილი გვეყოლა და ბავშვების გაზრდაში დედაჩემი გვეხმარებოდა. რძალ-დედამთილს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და ეს ძალიან მახარებდა. ჩემმა ცოლმა იცოდა, რაც გადაიტანა დედაჩემმა ცხოვრებაში და ცდილობდა, სიბერის წლები მაინც გაელამაზებინა მისთვის. მატერიალურად საშუალოდ ვიყავით: მართალია, თავზე არ გადაგვდიოდა, მაგრამ, არც გვიშოდა და გვციოდა. ყველაზე მეტად ბინის სივიწროვე გვაწუხებდა, მაგრამ, ამასაც რაღაცნაირად ვუძლებდით.

ერთ დღეს კი, სრულიად მოულოდნელად, მამაჩემი მობრძანდა თავისი ბარგი-ბარხანით და ერთი ოთახი მოითხოვა. დედამ უარი უთხრა სახლში შემოშვებაზეც კი, რადგან ეს ბინა დედაჩემს თავისმა გაუთხოვარმა დეიდამ დაუტოვა. მამაჩემის მშობლების ბინაში დედას ერთი დღეც არ უცხოვრია – ქორწილის წინა დღეს გამოუცხადა ბებიაჩემმა, შენი ქმრის გარდა კიდევ ორი შვილი მყავს და იმათ დისკომფორტს ვერ შევუქმნიო. ამიტომ, საქორწინო მოგზაურობიდან რომ დაბრუნდნენ, ერთი თვე დედას მშობლებისეულ ერთ ოთახში ცხოვრობდნენ, მერე კი დედაჩემის გაუთხოვარი დეიდა გარდაიცვალა და, როგორც უკვე გითხარით, თავისი ბინა (რომელშიც ახლაც ვცხოვრობთ) ჩვენ დაგვიტოვა. რადგან საკმაოდ სარემონტო იყო, დედაჩემმა თავისი მშობლების ის ერთი ოთახი გაყიდა და იმ ფულით გააკეთეს რემონტი. მამაჩემს თავისი ერთი თეთრიც კი არ დაუხარჯავს, უბრალოდ, მუშებს ედგა თავზე რამდენიმე დღის განმავლობაში. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, „არ ახსოვდა“, რადგან, არ აწყობდა. გვიმტკიცებდა, მთელი რემონტი ჩემი გაკეთებულია და ნახევარი ბინა მე მეკუთვნისო. მაგრამ, საბედნიეროდ, დედას ყველა საბუთი შენახული ჰქონდა და მამაჩემს არ გაუვიდა თავისი ნომერი. მერე თავის შეცოდება და რაღაც სულელური ტყუილი ისტორიების მოყოლა დაიწყო, როგორ დარდობდა ჩვენზე, როგორ უნდოდა ჩვენი ნახვა და ჩვენზე ზრუნვა, ბოროტი ადამიანები კი როგორ უშლიდნენ ხელს ამ ყველაფერში. მაგრამ, არაფერი გამოუვიდა და ბოლოს თავი დაგვანება, თუმცა, შიგადაშიგ მაინც შემოგვითვლის ხოლმე – რაც მე მეკუთვნის, მაინც წავიღებო.

აი, ასეთი მამებიც არსებობენ. საწყალმა დედაჩემმა ძალიან ინერვიულა ამ ამბების გამო და ახლა სერიოზულად ცუდად არის. რამე რომ დაემართოს, მამაჩემს ამას აღარ ვაპატიებ, ისეთ დღეში ჩავაგდებ, სიკვდილი სანატრელი გაუხდეს.

**ვოვა, 31 წლის.**

## ჩემს უფროსს ჭკუა უნდა ვასწავლო

ისეთი სასოწარკვეთილი ვარ, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ბევრი ყოყმანის შემდეგ, გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა ჩემი ისტორია. რა თქმა უნდა, ეს არაფერში მიშველის, მაგრამ, გულს მაინც ხომ მოვიოხებ.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, პირველ დღეებშივე ვიგრძენი, რომ ჩემმა უშუალო უფროსმა სხვა თვალით დამიწყო ყურება. საერთოდ, ბუნებით ძალიან მორცხვი და მორიდებული ადამიანი ვარ და არც ფლირტებითა და რომანებით ვყოფილვარ განებივრებული. ამიტომ, ძალიან ვცდილობდი, მისგან მაქსიმალურად შორს დამეჭირა თავი. არც ის მინდოდა, მისი ჩემით დაინტერესების შესახებ თანამშრომლებს გაეგოთ, მაგრამ, თვითონ იქცეოდა ისე (ანუ, არ მალავდა თავის დამოკიდებულებას ჩემდამი), რომ მალე მთელი სამსახური ამაზე ალაპარაკდა. როგორც მერე გავიგე, ბატონი თამაზისგან არ გაჰკვირვებიათ ასეთი საქციელი, რადგან, თურმე, ხშირად ექცეოდა ასე ახალ თანამშრომლებს (ცხადია, მათ, ვინც მოეწონებოდა). შესაბამისად, ეგრეთ წოდებული „სამსახურებრივი რომანები“ ყოველთვის იყო დღის წესრიგში, მაგრამ, თანამშრომლები გაოცებულები იყვნენ ჩემი საქციელით, ახლოს რომ არ ვიკარებდი ჩემსავე უფროსს, რომელზეც მთლიანად იყო დამოკიდებული სამსახურში ჩემი დატოვება-არდატოვების საკითხი. გოგოებმა ისიც კი მითხრეს, სანამ თავისას არ გაიტანს, არ მოგეშვება, ამიტომ, ნუ ეჭიდავები, მოაჩვენე მაინც, რომ შენც მოგწონს და, თუ გინდა, მთლად ბოლომდე ნუ „შეატოპინებო“. ამ „რჩევამ“ საბოლოოდ გამაგიჟა და, თუკი მანამდე სერიოზულად ვფიქრობდი სამსახურიდან წამოსვლას, ახლა გადავწყვიტე, ჭკუა ვასწავლო ამ თავხედს, მით უმეტეს, რომ „კეთილისმსურველებმა“ ენა მომიტანეს – თანამშრომელ კაცებში უთქვამს მთვრალს: მთელი თბილისის ლამაზი ქალები კუდში დამდევენ და ჩემი გულის მოგებას ცდილობენ, ეს გოგო ვინ არის, ასეთი დიდი წარმოდგენა რომ აქვს თავის თავზე. მე თუ ეგ მუხლებზე არ დავაჩოქო და აქეთ არ ვახვეწნინო, კაცი არ ვიყოო. ვიღაცას უთქვამს, ეგ გოგო სხვა ტიპი ჩანს, შენი გაცვეთილი მეთოდებით ვერ შეაბამ. ერთადერთი, სამსახურიდან თუ გაუშვებ, თორემ, სხვა ხერხით ვერ მოერევიო. ამ ვაჟბატონს კი ნიძლავი დაუდევს დიდ პურმარილზე, რომ, ისე შემაყვარებდა თავს და დამახვევდა თავბრუს, იქით შემახვეწებდა. ეს რომ გავიგე, ნამდვილი ქალური შურისმაძიებლური გეგმა შევიმუშავე და ამ კვირიდან ვიწყებ განხორციელებას. ვინ ვის ახოხებს მუხლებზე, მთელი სამსახური დაინახავს. ჯერჯერობით ჩემი გეგმების შესახებ არაფერს ვიტყვი ხმამაღლა, მაგრამ, დაახლოებით ერთ თვეში შედეგი სახეზე იქნება და აუცილებლად მოგწერთ, თუნდაც იმიტომ, რომ უფროსებისგან შევიწროებულმა ქალებმა ისწავლონ, როგორ მოერიონ თავხედ და საკუთარ თავში დარწმუნებულ დონჟუანებს.

**თინიკო, 23 წლის.**







**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ნუცა ჯანელიძის გვერდით ნამდვილად არ მოიწყენ – ის თავისი ენერგიულობით, ხალისითა და საუბრით ნებისმიერი ადამიანის გულს დაიპყრობს. როგორც თავად ამბობს, არასდროს უჩიოდა თაყვანისმცემელი მამაკაცების ნაკლებობას, თუმცა გათხოვებისგან თავი შეიკავა. თუ რაზე ოცნებობდა ბავშვობიდან, აპირებს თუ არა პოლიტიკაში წასვლას და როგორ გახდა ის სამი შვილის დედა, ამაზე თავად მოგიყვებათ.**

# როგორ „დააგოიმეს“ აზარტული ნუცა ჯანელიძე მოსკოვში და ვისთან ერთად დადიოდა ის ანტალიის კაზინოში

**ნუცა ჯანელიძე:** ბავშვობიდან ოცნებად მქონდა, ოპერის მომღერალი გამოვსულიყავი, რადგან კლასიკური მუსიკა ყოველთვის მხიბლავდა. ვფიქრობდი, რომ სიმღერით გაცილებით ადვილია გრძნობების გამოვლენა. დედაჩემს ჰქონდა კონსერვატორია დამთავრებული, ვოკალისტი გახლდათ და ალბათ, მისგან დამყვა მუსიკისადმი სიყვარული და ნიჭიც, თავისთავად. მან ჩამომიყალიბა მუსიკალური გემოვნება, რაც დღემდე მომყვება. სხვათა შორის, აბაზანაში გადასარევი ხმოვანებაა და ბავშვობაში, „დუშით” ხელში ბევრჯერ მიმღერია ***(იცინის).*** ყველა ამბობდა, ამ ბავშვს კარგი სმენა და სუფთა ინტონაცია აქვსო. დღეს რომ ის დრო დავაბრუნოთ, ხმის რეჟისორებს ძალიან ცოტა დრო დასჭირდებოდათ, ჩემს ჩამოსაყალიბებლად. სულ იმას ვამბობ, ნეტავ, დრო უკან გადამახვევინა, ასე, 30 წლით, რომ ბევრი რამის გამოსწორება შევძლო-მეთქი.



არ ვნანობ, რომ საკუთარი ოჯახი არ შევქმენი

**– კონკრეტულად, რას გამოასწორებდით?**

– ძალიან უხეში ვიყავი ურთიერთობებში. ახლა უფრო პრინციპული ვარ. დედაჩემმა ისე ვერ გამზარდა, ურთიერთობაში ცოტა ლავირება და ეშმაკობაც მეხმარა. სულ მეუბნებოდა, ჯობია, მწარე სიმართლე თქვა, ვიდრე მოიტყუოო. თუმცა, ჩემი აზრით, კეთილშობილი ტყუილი, ხანდახან კარგია ***(იცინის).*** ასე რომ, 30 წლით უკან რომ დამაბრუნონ, ბევრ რამეს შევცვლიდი ჩემს ქცევებში.

**– ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქალისთვის მთავარი ოჯახი და დედობაა. ვიცი, რომ არასდროს უჩიოდით თაყვანისმცემელი მამაკაცების ყურადღებას. რატომ არ შექმენით ოჯახი? ამას არ ნანობთ?**

– არ ვნანობ, რომ საკუთარი ოჯახი არ შევქმენი. იცით რა, მე არ მიმშობიარია, თორემ ოჯახში სამი ძმისშვილი ჩემი გაზრდილია. მათი დედა მე ვარ. დღიდან სამშობიაროდან გამოყვანისა, მათ აღზრდა-გაზრდაში ვარ. ოთხი შვილიშვილის ბებიაც გახლავართ. ასე რომ, დედობრივი სიყვარული მათგან გავიგე და ისინი ჩემი ნამდვილი შვილები და შვილიშვილები არიან. ვფიქრობ, ასით არა, მაგრამ ოთხმოცი პროცენტით ბედნიერი ვარ.

**– ყოველთვის კარგ განწყობაზე ხართ. ამას როგორ ახერხებთ?**

– ძალიან მიყვარს ხალხთან ურთიერთობა, ყავის სმა და ჭორაობა. სულ ვლაპარაკობ ***(იცინის),*** მოსაწყენად სად მცალია.

**– ჭორაობა რომ გიყვართ, საკუთარ თავზე ჭორები არ გსმენიათ?**

– როგორ არა ***(იცინის).*** გავიგე, რომ თურმე ქრთამებს ვიღებდი სამსახურში. ისე კი მეტყობა როგორი ქრთამისტიც ვიყავი – სახლი არ მაქვს თბილისში, ნაქირავებში ვცხოვრობ, მანქანა მე არ მყავს, არც ოქრო დამიგროვებია და აგარაკიც არ გამაჩნია. ერთადერთი, დიპლომი მაქვს საკუთარი. ხანდახან ვიცინი, ამას რომ კაცი გაიგებდა, მე ცოლად მომიყვანდა-მეთქი? ***(იცინის).*** ახლა, ამას რომ დამაბრალებ ადამიანი, ან ეკლესიაში არ დადიხარ, ან სანთელს არ ანთებ, ან ნამუსი არ გაქვს? რა ვიცი, ერთხელ კი, ვთქვი, შეიხს გავყვებოდი, ვისაც საკუთარი ორი ნავთობის საბადო აქვს-მეთქი. არიქა, გავრცელდა ჭორი, ნუცა შეიხს ეძებს, რომ სარფიანად გათხოვდესო ***(იცინის).*** ეჰ, კარგი იქნებოდა მილიარდერი შეიხის ცოლობა, მაგრამ სად არის? ***(იცინის).***

**– ამბობენ, რომ საკუთარი რესტორანი გახსენით თბილისში, თუ ესეც მორიგი ჭორია?**

– შეიხის არ იყოს, რესტორანიც კარგია, მაგრამ სად არის? ***(იცინის)*** მე კი არა, არც ჩემ გარშემო აქვს ვინმეს რესტორანი. დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი რესტორნის მფლობელი. მადლობა იმ ხალხს, ვინც ეს ჭორი ააგორა, ეტყობა, ამ ამპლუაში უფრო კარგად დამინახეს, ვიდრე სცენაზე ***(იცინის).*** ახლა დავფიქრდი, რესტორანი რომ გავხსნა, დავარქმევ: „ნუცა გეპატიჟებათ”. მგონი, კარგი იქნება. სხვათა შორის, ბევრი მეკითხება, რატომ არ იწყებ რაიმე ბიზნესსო. თუ დავიწყებ ბიზნესს, ეს ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე უნდა იყოს. აბა, ხორბლის შემოტანას და ნაჭრების შემოზიდვას მე ვერ დავიწყებ. ჯერჯერობით, აქტიური ხელოვანი ვარ და მადლობა ღმერთს, სცენაზეც საჭირო ვარ. არაერთხელ მქონდა შემოთავაზება მუსიკალური სტუდიებიდან, თანაც კარგი ანაზღაურებით, მაგრამ რატომღაც თავი შევიკავე.

**მე არ მიმშობიარია, თორემ ჩემს ოჯახში სამი ძმისშვილია ჩემი გაზრდილი და მათი დედა მე ვარ**

**– საკუთარი მუსიკალური სტუდიის შექმნაც ხომ სარფიანი იქნებოდა?**

– ხლაფორთს ვერ ვიტან. ცხრილი, ბუღალტერია და განრიგების ჩამოწერა, ჩემი საქმე არ არის.

**– მე ისიც გავიგე, ნუცას პოლიტიკაში უნდა წასვლაო.**

– სად შემიძლია პოლიტიკურ-დიპლომატიური ლაპარაკი ***(იცინის).*** მე რა მინდა პოლიტიკაში? დიპლომატიურად ისაუბრო, თან საქმე აკეთო, ისე რომ, არც მწვადი დაწვა და არც შამფური, მე სად შემიძლია? მე ცუდი პოლიტიკოსი ვიქნები და ამიტომ, არც დეპუტატობა მინდა. ვერ წარმომიდგენია, დავდგე ხალხის შუაში, გამოვიდე სიტყვით – ამას გაგიკეთებთ, იმას გაგიკეთებთ-მეთქი და თან ვიცოდე, რომ ამას ვერ გავაკეთებ და დანაპირებს ვერ ავუსრულებ. ასე რომ, ჯერ ოფიციალურ პოლიტიკაში ვერ მიხილავთ.

**– როგორც ვიცი, კულტურის სამინისტროდან გქონდათ შემოთავაზება, თუმცა უარი თქვით. რატომ?**

– იყო ამაზე საუბარი, უფრო სწორად, შემოთავაზება კი არა, შუამავლური საუბარი, მაგრამ, ვფიქრობ, ჯერ კაბინეტში ჩემი ჯდომა ადრეა. დეპარტამენტში უნდოდათ უფროსი სპეციალისტი ვყოფილიყავი. ჯერ ამაზე საუბარი არ დასრულებულა, მაგრამ ალბათ, თავს შევიკავებ. მე თანამდებობა არ მხიბლავს, ხალხის სიყვარულიც მყოფნის.

**– ძალიან აზარტული ხართ. ხშირად აგებთ თუ იგებთ?**

– კი, აზარტული ნამდვილად ვარ და მოსკოვში ისე „დამაგოიმეს“, ახლაც მრცხვენია. ჩავედი, გავედი ქუჩაში და დავინახე ხალხის გროვა დგას. დავინტერესდი, მივედი და ვხედავ, ამობრუნებულ ჭიქებს ატრიალებენ და შიგნით კამათელია. შენ კი უნდა გამოიცნო, რომელ ჭიქაში დევს არევის შემდეგ. ავვარდი თბილისიდან ჩასული გოიმი და დავიწყე თამაში. შევედი აზარტში და არ დავკარგე ორასი დოლარი? არბატზე ახლაც რომ გავივლი, მრცხვენია ***(იცინის).*** თურქეთში კი, ანტალიაში, ყოველ საღამოს დავდიოდი მეგობართან ერთად კაზინოში. ხან ვიგებდი, ხან გაგებდი და ისე ჩამითრია თამაშმა, კიდევ კარგი, დროულად მოვთოკე თავი, თორემ ამ ჩემს ნაქირავებ ბინასაც დავკარგავდი და ქუჩაში აღმოვჩნდებოდი ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

**სოფია კენჭიაშვილი უკვე მეორე წელია, რაც ჩინეთში ცხოვრობს და სხვა ქართველ გოგონებთან ერთად, სამოდელო საქმიანობით აქტიურად არის დაკავებული. ჩინეთში ცხოვრებამ მას გარკვეული გამოცდილება შესძინა, ბევრ საკითხს სხვაგვარად შეხედა და, რაც მთავარია, სამსახურმა მას თავშეკავების, ემოციების მოთოკვის დიდი უნარი გამოუმუშავა.**

# როგორ აღმოჩნდა სოფია კენჭიაშვილი ნამდვილ სამოთხეში და ვინ ასრულებს ქართველი გოგონების ყველა ხუშტურს

**სოფია კენჭიაშვილი**: ჩემი სააგენტოდან დამიკავშირდნენ, მითხრეს, მოდელები გვჭირდება ჩინეთში სამუშაოდო. ეს არ არის ტიპური ფეშენი, ანუ დიზაინერის კოლექციით პოდიუმზე გამოსვლა. ეს არის ღამის კლუბში შოუები მომღერლებთან და მოცეკვავეებთან ერთად – თემატური სამოსით და დეფილეთი. მიდიხარ, მოდიხარ, იღიმები და ფულს გიხდიან იმიტომ, რომ გაქვს დიდი თვალები და გამოიყურები არაჩინურად.

**– კარგად გიხდიან დიდი თვალებისა და არაჩინური გარეგნობის გამო?**

– გააჩნია, როგორ მუშაობ. მე კარგად მიხდიან, ფაქტობრივად, ფული არაფერში მეხარჯება გარდა საკუთარი თავის განებივრებისა. ვსწავლობ და ამაში ვიხდი ფულს, კიდევ ჩემთვისაც რაღაცეებს ვყიდულობ.

**– მშვენივრად გამოიყურები.**

– როდესაც ადამიანს ყველაფერი კარგად, სტაბილურად აქვს: მშვიდად ხარ, კარგი სამსახური გაქვს, გარშემო კარგი ადამიანები გახვევია, კარგ ქვეყანაში ცხოვრობ – ეს ყველაფერი გარეგნობაზე აისახება. სულ რომ არ ვუვლიდე თავს, მაინც ბედნიერი სახე მაქვს. თან, აქ ყველა უვლის თავს, მოდელებს ამაზე არც ესაუბრებიან. სანამ შოუ იწყება, აცხადებენ: მოდელები ევროპიდან. ამაზე კი მეცინება ხოლმე, მაგრამ ასეა... პირველი ორი თვე სხვებივით, მეც ჩვეულებრივი მოდელი ვიყავი. ახლა აქ გოგონების რამდენიმე ჯგუფია და მე ერთ-ერთი მთავარი მენეჯერი ვარ. ქართველების ჩინელებისადმი დამოკიდებულება რომ ვიცი: ფუ ასეთები, ფუ, ისეთები... იმდენი აქვთ ქართველებს ჩინელებისგან სასწავლი: თუნდაც ადამიანური ურთიერთობის, სამშობლოს სიყვარულის, ერთმანეთისადმი ურთიერთობის, მამაკაცის ქალისადმი დამოკიდებულების მხრივ. იეროგლიფების სწავლა რომ დავიწყე – თითოეულ იეროგლიფში ადამიანური ურთიერთობის იმხელა აზრი დევს, შოკში ვარ. თავიდან ჩემით დავიწყე სწავლა – ვიდეო, აუდიო გაკვეთილებით. ახლა რეპეტიტორი მყავს. თუ ვისწავლი, სამსახურის, ბიზნესის მხრივ, ძალიან გამომადგება. ის ტიპი არ ვარ: არიქა, გავთხოვდე, ბავშვი გავაჩინო. მინდა, ცხოვრება ავიწყო. სახლს ვიყიდი, ყველაფერს გავაკეთებ, რაც მე მინდა, მექნება კარგი შემოსავალი და მერე მოვიყვან ქმარს.

**– შენი „ფეისუბუქის“ ფოტოებიდან და სტატუსებიდან თუ ვიმსჯელებთ, სიმპათიური, ჩინელი ბიჭი გყავს გვერდით.**

– ჯერჯერობით, მეორე თვეა, რაც ერთმანეთს ვხვდებით. ინგლისური არ იცის, მაგრამ ჩინურს მასწავლის. ჩინელი კაცები იმდენად განსხვავდებიან ქართველი კაცებისგან, რომ თავიდან ქართველი გოგონები აბსოლუტურ შოკში ვიყავით. საქართველოში კლუბში მოვა ქართველი ბიჭი, „შებმას“ დაგიწყებს, ტვინს გაგილუნავს, აქ – პირიქით. ჯერ ერთი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ძალიან თავშეკავებულები არიან, ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებას საერთოდ არ ავლენენ. კლუბში, სადაც ვმუშაობ, ბევრია ცოლქმარი. სანამ თვითონ არ იტყვიან: ეს ჩემი ცოლი, ან ქმარიაო, მანამდე ვერაფერს მიხვდები. მშობლებს ისეთ პატივს სცემენ... 30-35 წელს გადაცილებული მეგობრები მყავს, რომლებიც ამბობენ: დედაჩემმა მითხრა, მამაჩემმა მითხრა. თავიდან გამეცინა და ძალიან ეწყინათ. მერე, ამათ შემხედვარეს, ჩემი მშობლების მიმართ დამოკიდებულება შემეცვალა, უფრო მეტი მოწიწება გამიჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არც მანამადე მაკლდა. ძველი ტრადიციები საოცრად აქვთ შემონახული. მიუხედავად იმისა, რომ არ არის ქალიშვილობის ინსტიტუტი, გეების, ლეზბიანკების მიმართ არ არიან აგრესიულად განწყობილები. ეს მაინც ევროპისა და აზიის საოცარი შერწყმაა. ხომ ხვდები, ჩემთვის როგორი სამოთხეა. თუმცა, არის გარკვეული მინუსებიც. თავიდან ჩემთვის მიუღებელი იყო იმის დანახვა, როგორ აწკლაპუნებენ ჭამის დროს პირს და რა ძვირიან რესტორანშიც არ უნდა იყვნენ, ნაგავს პირდაპირ ძირს ყრიან. მაგრამ, ახლა რეაქცია აღარ მაქვს.



საქართველოში კლუბში მოვა ქართველი ბიჭი, „შებმას“ დაგიწყებს, ტვინს გაგილუნავს, აქ – პირიქითაა

**პირველი ორი თვე, სხვებივით, მეც ჩვეულებრივი მოდელი ვიყავი. ახლა აქ გოგონების რამდენიმე ჯგუფია და მე ერთ-ერთი მთავარი მენეჯერი ვარ**

**– მოდი, ახლა შენს საქმიანობას დავუბრუნდეთ, ანუ, როგორ მუშაობ, როგორი რეჟიმი გაქვს, რას აკეთებ?**

– სიმღერების თემატიკა ძირითადად არის პაპსა. ჰყავთ ჩინელი ცნობილი მომღერლები, ასევე ჩამოჰყავთ ვარსკვლავები უცხოეთიდან. ძალიან კარგი სამუშაო გვაქვს, ვერთობით. უხეშად რომ ვთქვათ: კლუბის რეკვიზიტები ვართ – ლამაზი დამატება. მომღერალი მღერის, მე ვიცი, როდის უნდა ავიდე სცენაზე, მოცეკვავე კი ცეკვავს. „ვიქტორიას სიქრეტის“ შოუებს ვეძახით ხუმრობით: როგორც მათ აქვთ ფრთები, ასე გვაქვს ჩვენც. სულ რაღაც დღეებს ზეიმობენ: სიყვარულის დღე, პლაჟის ივენთი – თავისი ქოლგებით, შეზლონგებით. ჩინურს რომ ვისწავლი, მერე უკვე სხვა გეგმები მაქვს. პირველად, ჯგუფის მენეჯერი რომ გავხდი, 23 ქართველი გოგონა მყავდა ჩაბარებული. ახლა ისეთი ფანტასტიკური ჯგუფი მყავს, გოგონებს ყოველდღე მადლობას ვეუბნები. მეც ყველასთან მეგობრულად ვარ, კონფლიქტებიც ყოფილა, მაგრამ, ტყუილად არავის არაფერს ვეუბნები. ამ სამსახურმა თავშეკავების, ემოციების მოთოკვის დიდი უნარი გამომიმუშავა.

**– კლუბში ხდება კონფლიქტური სიტუაციები?**

– მეორე წელია, აქ ვარ და კლუბში სტუმრებს შორისაც კი მხოლოდ ერთხელ ვნახე ჩხუბი. ისიც, თუ არ ვცდები, უცხოელებმა დააყარეს. ჩინელები არ არიან ისეთი ემოციური, კონფლიქტური ტიპები, რომ დათვრნენ და იჩხუბონ. იქ ვიღაცამ ასე შემომხედა, ისე – ეს ყველგან ხდება და ამისთვის არსებობს კლუბში დაცვა. საკმარისია, თვალით ვანიშნო და მაშინვე მოდის, თავის საქმეს აკეთებს. გარდა ამისა, ჯგუფს ჰყავს პირადი დაცვა – ჩინელი ბიჭი, რომელიც ყველგან დაგვყვება და ჩვენს ყველა ხუშტურს ასრულებს. გვემსახურება მანქანა, რომელსაც მივყავართ-მოვყავართ. უკვე 10 თვეა, ერთ ქალაქში ვმუშაობ, ყველაფერი ზეპირად ვიცი. ქალაქს ჰქვია შიში – წყნარი ოკეანის სანაპიროზეა. კლუბის უფროსობას იმდენად ვუყვარვართ მე და კიდევ ერთი გოგო, რომელიც პირველი დღიდან ჩემთან ერთად არის, რომ უკვე კლუბის სტაფად მივიჩნევით. გოგონები იცვლებიან, ჩვენ ვრჩებით. ჩვენი კლუბი ამ რაიონში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია – ძვირად ღირებული ივენთებით, ჩამოყვანილი სტუმრებით. ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო ლედი გაგას შოუ: 8 ჩინელი მომღერალი და 16 ქართველი მოდელი ვმონაწილეობდით. მთელი შოუ სულ უნდა გეთვალა, წამი არ უნდა გაგპარვოდა. შოუებს, ზოგადად, კლუბის არტდირექტორი დგამდა. ერთხელ ქართველი გოგონები არ უსმენდნენ და არტდირექტორი მომიბრუნდა: სოფია, მე თუ არ მისმენენ, ახლა შენ დადგი ეს შოუო. სხვათა შორის, იმის მერე მე ვდგამ მოდელების შოუებს. ესეც ვისწავლე და ძალიან საინტერესოა.

**– ფოტოზე ვნახე, როგორ იხატავდი მთელ ზურგზე დრაკონს.**

– გადასატანად საშინელება იყო, მთელ ზურგზე მაქვს დრაკონი. დაბადების წლის მიხედვით დრაკონი ვარ, თან დრაკონების ქვეყანაში ვარ. 7 საათი ვიკეთებდი. თავიდან 4 საათი, ხმას არ ვიღებდი, სამაგიეროდ, ხელებში შემომეტვრა ის საწოლი, რაზეც ვიწექი. „ტატუიროვშიკმა“ რომ შემატყო, ფიზიკურად ველარ ვუძლებდი, გაჩერდა. ათ დღეში მოდი და მერე დავამთავროთო. დაცვის ბიჭი მდარაჯობდა და იმას უთხრა: კაცებიც კი ვერ უძლებენ და ამას ხმა არ ამოუღიაო. თავიდან ვამბობდი: ერთი-ორი წელი ხმას არ ამოვიღებ ტატუზე-მეთქი, მაგრამ ახლა, უკვე მინდა.

**ნათია უტიაშვილი**



# რას ეძახიან მამაკაცები ქალის მხრიდან ძალადობას

**მამაკაცები საუბრობენ იმაზე, რომ მათთვის ერთმნიშვნელოვნად ძვირფასია ქალის სიყვარული. თუმცა, სწორედ ისინი ღალატობენ ცოლებს „სიყვარულის სახელით.“ გარდა ამისა, როცა შეყვარებულს ოჯახში ცოლის სტატუსით დაიგულებენ, ცივდებიან მათ მიმართ, აღარ არიან ყურადღებიანები და მზრუნველები. იმდენ ვალდებულებას, იმხელა პასუხისმგებლობას აჰკიდებენ ხოლმე ცოლებს, თითქოს ოჯახი ორი თანასწორუფლებიანი ადამიანის კავშირი არ იყოს. სამწუხაროდ, მამაკაცებში ჯერაც მძლავრობს ეგოიზმი და სიყვარული საკუთარი პერსონის მიმართ, რასაც ხშირად ქალის ინტერესები ეწირება. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ კონფლიქტში, ურთიერთობის გაფუჭებაში, მამაკაცები სწორედ ერთ დროს საყვარელ ქალებს ადანაშაულებენ და ამტკიცებენ, რომ მათი დიდი გრძნობა პირად თავისუფლებას უზღუდავთ.**

ლენიკო *(37 წლის):* როცა ვთხოვდებოდი, მეგონა, რომ მივყვებოდი და ცხოვრებას ვიწყებდი იმ ადამიანთან ერთად, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად ვუყვარდი. ჩემი მომავალი ქმარი გამუდმებით მიმტკიცებდა ამას, მეც ძალიან შემიყვარდა და ჩემი გრძნობა არც ერთხელ არ დამიმალავს. არც მიფიქრია, რომ გრძნობებში მოზომილი უნდა ვყოფილიყავი. რისთვის გვინდა სიყვარული და საყვარელი ადამიანი, თუკი იმასთანაც ვერ გაიხსნები?! მე ორი ადამიანის ურთიერთობა სხვანაირად არ მესმის. ის ბრალდებები, რაც ახლახან ჩემმა ქმარმა წამომიყენა, წარმოუდგენელია და შოკის მომგვრელი. ისეთი შეურაცხყოფილი და გულნატკენი ვარ, სულ მეტირება. ეს მივიღე ჩემი დიდი სიყვარულის სანაცვლოდ?! მეცოდება საკუთარი თავი. როცა შეყვარებულები ვიყავით, მოხიბლული ვიყავი ჩემი რჩეულის მდიდარი შინაგანი სამყაროთი და იმით, რომ საოცრად ყურადღებიანი იყო ჩემ მიმართ. ამის გამო შემიყვარდა და პირველივე დღიდან ვაღიარე მისი უპირატესობა.

**– ეს რას ნიშნავს?**

– ბოლომდე ვენდობოდი, თანაც, ყველაფერში. მას მივეცი გადაწყვეტილებების მიღების ნებაც და უფლებაც. ფაქტობრივად, ვუთხარი, რომ შენ ხარ ჩემთვის ყველაფერი – წადი და მოგყვები. შენ გარეშე ყოფნა ერთი წუთითაც არ მინდა-მეთქი. სხვათა შორის, სანამ ახალი ცოლ-ქმარი ვიყავით, ამაზე პრეტენზია არ ჰქონია. პირიქით, ეამაყებოდა, რომ ქალს ასე უყვარდა.

**– რა იცით, რომ ეამაყებოდა?**

– არავისთან მალავდა ამას, ანუ, ტრაბახობდა კიდეც: ცოლს ისე ვუყვარვარ, მისთვის ნამდვილი ჟანგბადი ვარო. თურმე, მაშინ კარგი ყოფილა ასეთი უკიდეგანო სიყვარული. კაცებს ყველაფერში ორმაგი სტანდარტები აქვთ: ერთ დღეს რასაც ალმერთებენ, მეორე დღეს ის თავს აბეზრებთ, დამნაშავენი კი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვართ. არ შეგინიშნავთ, რომ, კაცმა რაც უნდა გააფუჭოს, დამნაშავე ყველაფერში და ყოველთვის ქალია?! მგონი, თვითონ აქვთ არასრულფასოვნების და კიდევ ბევრი სხვა კომპლექსი... აბა, როგორ შეიძლება, სიყვარული ტვირთად იქცეს?!

**– ქმარმა გითხრათ, რომ თქვენი სიყვარული მისთვის ტვირთია?**

– ჰო, ასე გამოიყვანა. თურმე, ახრჩობს ჩემი დიდი სიყვარული; რომ ჩემი გრძნობა უკვე პროვოკაციად იქცა. ამას რომ მეუბნებოდა, ისეთი სახე ჰქონდა... ვუყურებდი და ვფიქრობდი: ნუთუ ეს ის მამაკაცია, რომელიც ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ მშვიდი, თავმდაბალი, ყურადღებიანი, მოკრძალებული და იუმორის გრძნობით სავსე იყო, რომელიც სულ ჩემს გამხიარულებას ცდილობდა-მეთქი?! უნდა გენახათ, როგორ მაქებდა, როცა საჭმელს ვუმზადებდი. კვერცხიც რომ შემეწვა, აღფრთოვანებული დამტრიალებდა თავს და ამბობდა, შენნაირი ცოლი არავის ჰყავსო. დღესაც ხომ ისევ ის ვარ – არ შევცვლილვარ, მაშ, რატომ არის, უკმაყოფილო? როგორი ძვირფასი, უცხო და გემრიელი კერძიც არ უნდა მოვუმზადო, ისე ჭამს, თითქოს მე მისი დაქირავებული მზარეული ვარ და ამაში ფულს მიხდის, შესაბამისად, მადლობაც არ უნდა მითხრას. ეს კიდევ წვრილმანებია იმასთან შედარებით, რაც მერე დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა ქმარმა გადაწყვიტა, რომ თავისუფალი სივრცე სჭირდება. ხელს კი მე ვუშლი ჩემი უსაზღვრო სიყვარულით ანუ, თავზე იმდენს დავფოფინებ, სულის მოთქმის საშუალებას არ ვაძლევ.

**– რას გულისხმობდა?**

– თავიდან ვერც მე მივხვდი. მეგონა, ხუმრობდა. თვითონ ყოველდღე სულ გულგრილი ხდებოდა ჩემ მიმართ. აღარც ყვავილებს მჩუქნიდა და, როცა უკმაყოფილებას გამოვთქვამდი, ან ღიზიანდებოდა, ან დამცინოდა. ჩემი დაბადების დღე საერთოდ აღარც ახსოვდა, საჩუქრის მოტანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგარი ლოგიკა ჰქონდა – ფული მაინც სახლში მომაქვს, შენთან, რაღა საჩუქარი გინდა?! თუ რამე მოგწონს, აიღე და იყიდეო. მწყინდა, მაგრამ, ვითმენდი, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა. ახლაც მიყვარს, თუმცა, ვხვდები, რომ არაფერში სჭირდება ჩემი სიყვარული, უარესიც – აწუხებს ჩემი სიყვარული. რომ მიყვარს, ვეჭვიანობ: მაინტერესებს, სად მუშაობს, რას აკეთებს. მის სამსახურში რა ხდება, ის კი ამ ყველაფერს „უსირცხვილო თვალთვალს“ ეძახის და „მზვერავი“ დამარქვა, ვითომ ხუმრობით. ჰო, ხუმრობაზე ცალკე უნდა ვთქვა: ის იუმორი, რომელიც ჩემს გასამხიარულებლად ჰქონდა მარაგში, ახლა რადიკალურად შეიცვალა. სიტყვას არ იტყვის ისე, ბოლმა, ირონია და ცინიზმი რომ არ მოაყოლოს. მიზანმიმართულად მინგრევს ნერვულ სისტემას. ხმას ამოვიღებ და – ისტერიჩკა ხარ, ხუმრობა არ გესმის, ეგრევე „ვარდები“ და შენთან ლაპარაკი შეუძლებელიაო.

**– მიზეზი რა იყო, რატომ შეიცვალა ასე?**

– არ ვიცი. მანამდე ასეთი არ ყოფილა, თორემ, შევამჩნევდი, სიყვარულით დაბრმავებული ნამდვილად არ ვყოფილვარ. კარგი რომ იყო და ჩემთვის მისაღები, იმიტომ შემიყვარდა. მისი მხრიდან სიყვარული რომ არ დამენახა, მეც არ გამიჩნდებოდა გრძნობა. მინდა, კარგად გამიგოთ: ზოგი ქალი რომ არის რეალობას მოწყვეტილი, ასეთი რაღაც ჩემთვის უცხო იყო. პირიქით, ვაკვირდებოდი და, ერთი წლის განმავლობაში,

> **ის ბრალდებები, რაც ჩემმა ქმარმა წამომიყენა, წარმოუდგენელია და შოკის მომგვრელი**

დღითიდღე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვეცნობოდი მის ხასიათსა და ბუნებას.

**– და აღმოჩნდა, რომ მაინც ვერ გაიცანით?**

– არ ვიცი. ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი იყო. მგონი, ჩემი სიყვარული აუვარდა თავში – სხვა მიზეზს ვერ ვპოულობ და ვწვალობ. იცით, როგორი კარგი ცოლი ვარ?! ჩემს ქმარს საკმაოდ ბევრი ახირება და „წიკი“ აქვს. მაგალითად, გაზეთები ყოველთვის ერთ ადგილას უნდა იდოს; ყველა პერანგი კარადაში დაუთოებული უნდა ეკიდოს, გამონაკლისის გარეშე; წინა დღის სადილს არასოდეს ჭამს და ვახშამიც განსაკუთრებული უნდა; თუ მაგიდაზე გარეცხილი ხილი არ დგას და გვერდით თეფში და დანა არ უდევს, ისეთ დღეში ჩაგაგდებს, თავი უსარგებლო ნივთი გეგონება. ერთხელ ჩემმა დაქალმა მითხრა, ქმარი კი არა, სახლში სულთანი გყავს და დროზე

# დაკარგულმა ნათესავებმა ერთმანეთი 21 წლის შემდეგ იპოვეს

***52 წლის ალა გრიგორის ასული აგაფონოვა (მეუღლის გვარზეა) ეძებდა: 86 წლის ლუბოვ ივანეს ასულ ხვინგიას (მეუღლის გვარზეა).***

**ისტორია**: ვეძებ მამიდაჩემს – 86 წლის ლუბოვ ხვინგიას და მის ნათესავებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბოლოს მამიდაჩემი თავის ოჯახთან ერთად საქართველოში, ქალაქ ზუგდიდში, სოფელ ჩიტორწყარში (სოფლის სახელწოდებაში დარწმუნებული არ ვარ) ცხოვრობდა. 20 წელია, მასთან კავშირი არ გვქონია. უშედეგოდ ვგზავნიდით წერილებს – არც ერთ წერილზე პასუხიც კი არ მიგვიღია. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ მის პოვნაში. გვაქვს მამიდას ერთი ფოტო, რომელზეც ის თავის შვილთან ერთად არის გადაღებული.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია რუბრიკა „დაკარგულების“ მკითხველმა „თბილისელების“ 5 აგვისტოს ნომრიდან იცის. საბედნიეროდ, ალას ნათესაობა ნაპოვნია და ამაში დიდი როლი ლუბა ხვინგიას ყოფილმა მეზობელმა, საქართველოში მცხოვრებმა ქალბატონმა ნონა შამუგიამ ითამაშა. მან წაიკითხა ჩემი სტატია ლუბას ძებნის შესახებ და მაშინვე დამიკავშირდა. არც ისე იშვიათად, ადამიანების პოვნაში ჩვენი რუბრიკის მკითხველი გვეხმარება.

**– ალა, რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ მამიდათქვენი ნაპოვნია?**

– ძალიან გამიხარდა და გამიკვირდა. მართლაც არ მოველოდი, რომ 1992 წლის შემდეგ უნახავ და დაკარგულ ნათესავებს ასე მოკლე დროში ვიპოვიდი. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და თქვენს მკითხველებს; ასევე, ქალბატონ ნონას, რომელიც ჩემს სტატიას გამოეხმაურა და ლუბას პოვნაში დამეხმარა. დიდი ხანია, მამიდას ვეძებდი, ამიტომ, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. როგორც გავიგე, ის ისევ ზუგდიდში ცხოვრობს და სულ ცოტა ხანში ჩვენ მას დავუკავშირდებით.

**– რა გახდა იმის მიზეზი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ იყო თქვენ შორის კავშირი?**

– საქმე ისაა, რომ ჩემმა ოჯახმა შეიცვალა საცხოვრებელი მისამართი. ჩვენი ახალი მისამართი ლუბამ არ იცოდა და, ბუნებრივია, ვერ გვიკავშირდებოდა. ჩვენი მხრიდანაც ლუბასთან დაკავშირების ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. ამის გამო გადავწყვიტე, ჩემი განაცხადი „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე განმეთავსებინა და მის შემდეგ ბედს მივენდე. თქვენ შესახებ საიტიდან გავიგე და იმედი მომეცა. ვიცი, რომ უამრავი ადამიანი ეძებს თავის ახლობელს, მეგობარს, ნათესავს და ასე შემდეგ, მაგრამ, მაინც ვცადე, ჩემი ისტორია თქვენამდე მოსულიყო. დამოუკიდებლად ლუბას ვერ ვპოულობდით. მისი ასაკიდან გამომდინარე, სოციალურ ქსელებში მოძებნა უაზრობა იყო, საქართველოში კი მე არავის ვიცნობდი, ვინც ამ საქმეში დამეხმარებოდა. მართლაც რომ გაგვიმართლა, განაცხადის გაკეთებიდან ასე მოკლე დროში რომ ვიპოვე მამიდაჩემი და მისი ოჯახი. ამჟამად ერთი სული გვაქვს, მალე დავუკავშირდეთ.



**– როგორც გავიგე, მამიდათქვენიც გახარებულია თქვენი გამოჩენით.**

– ისიც ძალიან გახარებულია, რადგან, თავისთავად ცხადია, თვითონაც განიცდიდა ჩვენთან კავშირის არქონას. ახლო ნათესავები ვართ და ასეთი დაკარგვა ნებისმიერს შეაწუხებდა. ახლა მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ჩვენ ჩვეულებრივი კავშირი გვექნება ერთმანეთთან. ახლო მომავალში კი შეხვედრასაც ვგეგმავთ. ლუბას, ალბათ, გაუკვირდა, როდესაც მისი ძებნის შესახებ შეიტყო. ყოჩაღი მეზობელი და მეგობარი ჰყოლია. იმ ქალს (საუბარია ნონა შამუგიაზე) რომ არ ეაქტიურა, მამიდა დღემდე დაკარგული მეყოლებოდა.

**– როგორი იყო მამათქვენის რეაქცია, როდესაც გაიგო, რომ მისი და ნაპოვნია?**

– მამაჩემი ამჟამად 84 წლის არის და ეს მისთვის ყველაზე დიდი საჩუქარია. მას ბავშვივით უხაროდა, როცა ლუბას პოვნის ამბავი გაიგო. მთელი დღე ერთსა და იმავეს მაყოლებდა, ანუ, როგორ ვიპოვეთ და რანაირად. თვალები სიხარულის ცრემლით ჰქონდა სავსე. მოგეხსენებათ, სიბერეში ადამიანი ბავშვივით ემოციური ხდება და თქვენ მამაჩემს მეორე სიცოცხლე აჩუქეთ. მას მუდამ ჰქონდა დის დარდი. სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ იყო ლუბა, მისი ოჯახი და რატომ არ გვიკავშირდებოდა. ძალიან განიცდიდა დასთან კავშირის არქონას, სულ ნაღვლიანი დადიოდა, ახლა კი ის ბედნიერია.

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

მოდი გონსო. მაშინ ისე მეწყინა, ლამის ავტირდი. ვიფიქრე, ამას ჩემი ბედნიერების შურს-მეთქი. ხომ ვარ სულელი?

**– შვილები გყავთ?**

– დიახ, ორი შვილი გვყავს და, ძალიან არ მინდა, ბავშვები მშობლების ჩხუბის ყურებაში გაიზარდონ. ჩემს ქმარს რომ ჰკითხო, მე პრობლემებს ხელოვნურად ვიქმნი. ჭკუა რომ მქონდეს, რაღაც-რაღაცეებზე თვალსაც დავხუჭავდი. მოძალადე ხარო, დამძახის. რატომ ვარ მოძალადე?! რადგან მიყვარს და მისი ერთგული ვარ?

**– ერთგულებას მასაც სთხოვთ?**

– დიახ, ამაში რა არის უჩვეულო და

# ტრაბახობდა, ჩემს ცოლს ისე მუყვარვარ, მისი ჟანგბადი მე ვარო

არაბუნებრივი? სხვასთან გაზიარებული ქმარი რომელ ნორმალურ ქალს უნდა? ან, რანაირად უნდა ვიცხოვრო ქმრის გვერდით ისე, არ დავინტერესდე, სად მიდის და საიდან მოდის? ძალადობაა ის, რომ მისი ყოველი ნაბიჯი მაინტერესებს?

**– თქვენ ფიქრობთ, უნდა, რომ ვიღაცა გაიჩინოს?**

– სიტყვით ამბობს, რომ უნდა. თუმცა, მეეჭვება, ამ ეტაპზე ვინმე ჰყავდეს. შეიძლება, ამიტომაც არის ასეთი გაღიზიანებული. მეუბნება, რომ ქალის სიყვარული კაცისთვის ტვირთია, რადგან, შეყვარებული ქალი მესაკუთრე და ეგოისტია. შეყვარებული კაცი როგორია, ნეტავი?! მზად არის, საყვარელი ქალი ვინმესთან გაიზიაროს?! უკვე დავიღალე წამოძახილებით: შენ ჩემზე ძალადობ, შენ ჩემზე ძალადობ... ისე დავიღალე და ისე გამოვიფიტე, ძალა აღარ მაქვს, რომ წინააღმდეგობა გავუწიო. თუ საყვარლის გაჩენა უნდა და ამისთვის ჩემი ნებართვა სჭირდება, ვერ ეღირსება. არავითარ შემთხვევაში არ დავხუჭავ ამაზე თვალს, ვიყო მოძალადე! ჩემი ცხოვრება არ არის მასზე დამოკიდებული და არ მოვკვდები. სიყვარულიც ნელ-ნელა გაივლის... იცით, რას მივხვდი? კაცებს არ უნდათ „დიდი, ნათელი გრძნობა“. თუ ქალმა შეიყვარა და თავი გადადო მისთვის, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა უჩნდებათ და ეს ძალიან აწუხებთ, ნერვიულობენ... ჩემი ქმარი ძალიან ცდება, თუ ჰგონია, რომ სიყვარული თავმოყვარეობას დამაკარგვინებს – არ არის ასე. გავუშვებ, მაგრამ, ისე ნუ იზამს, რომ ჩვენი ურთიერთობის დანგრევაში დამნაშავედ მე გამომიყვანოს... მოძალადე თვითონ არის, თანაც, სერიოზული. თუ არ ვუყვარვარ და არ ვჭირდები, ეყოს ვაჟკაცობა და პირდაპირ მითხრას.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**რაც ჩემმა ცოლმა სამსახური იშოვა და საკუთარი ფული გაუჩნდა, იმ დღიდან მასთან ლაპარაკი შეუძლებელი გახდა. ტონი შეიცვალა და ისე მიყვირის, თითქოს მისი ქმარი კი არა, ხელქვეითი ვიყო. არადა, მის ხმას ვერ გაიგონებდით, მშვიდად და უპრეტენზიოდ ხვდებოდა ჩემს ყველა გადაწყვეტილებას. ახლა კი მისი მითითების გარეშე ნაბიჯიც ვერ გადამიდგამს. რა მოვახერხო, არ ვიცი. მშვიდი ცხოვრება მინდა ოჯახში და არა უაზრო სკანდალები. აშკარად პირველობისთვის იბრძვის. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** ეტყობა, თქვენი ცოლისთვის აზრი არასდროს გიკითხავთ და დიდხანს გრძნობდა თავს დაჩაგრულად, ახლა კი ამ ყველაფრის რეალიზებას ახდენს. გირჩევთ, მშვიდად დაელაპარაკოთ. აგრესიის გარეშე და უთხრათ, რომ ოჯახში ომი ორივეს დაგაზარალებთ. მთავარია არა პირველობა, არამედ, ურთიერთპატივისცემა და ერთსულოვნება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ამჯერად კალათბურთის ყველა გულშემატკივარი ევროპის ჩემპიონატის დაწყებას ელოდება და საქართველოს ნაკრებს გულშემატკივრობს. ნაკრების შემადგენლობაში წელს ნიკა ცქიტიშვილიც ითამაშებს, რომელიც ოჯახთან ერთად ზაფხულს საქართველოში ატარებს. ჩვენი რესპონდენტი ნიკას მეუღლე, სოფო გოგებაშვილია, რომელსაც დიდი იმედი აქვს, რომ ევროპის ჩემპიონატის თამაშებს საქართველოს ნაკრები ღირსეულად ჩაატარებს და თავის სიტყვას იტყვის.**

# როგორი მამა და მეუღლეა ნიკა ცქიტიშვილი და მოუტანს თუ არა მისი დაბრუნება წარმატებას საქართველოს ნაკრებს

**– რამდენი ხანია, საქართველოში დაბრუნდით და როგორ ატარებთ ზაფხულს?**

– ივნისიდან თბილისში ვართ ყველა. 2 კვირაა, რაც წავკისში ამოვედით ჰაერზე. მშვენივრად ვატარებთ დროს, ჰაერზე მყავს ბავშვები და არ ვიწყენთ.

**– როდემდე დარჩებით საქართველოში?**

– აგვისტოს ბოლომდე აქ ვიქნებით, ჯერ წასვლას არ ვგეგმავთ.

**– რაც შეეხება ნიკას, როგორ ემზადება ნაკრების თამაშებისთვის?**

– რა თქმა უნდა, ყველანაირად მზადაა დაეხმაროს გუნდს, კარგ ფორმაშია და მაქსიმალურად მობილიზებული. იმედია, კარგად მომზადებული და ორგანიზებული იქნება მთლიანად გუნდი.

**– გულშემატკივარიც გახარებულია, რომ ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ნიკა ისევ ნაკრებშია.**

– კი, ასეა. იმედია, ნიკას დაბრუნება გაამართლებს და წარმატებას მოუტანს საქართველოს ნაკრებს.

**– ნიკას ახალი სეზონი როდის ეწყება?**

– სეზონი თითქმის ყველგან იწყება სექტემბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრამდე. ნიკა კი, ჯერ არ ვიცით, რომელ კონტრაქტზე მოაწერს ხელს. როგორც ყოველთვის, „ჩემოდნებზე" ვზივართ და ველოდებით საბოლოო გადაწყვეტილებას.

**– შემოთავაზება აქვს რომელიმე გუნდიდან?**

– კი, რამდენიმე შემოთავაზება აქვს, მაგრამ ჯერ ადრეა გადაწყვეტა. ფიქრობს და რომელიც უკეთესი იქნება, არჩევანსაც იმაზე გააკეთებს.

**– მოდი, ახლა პატარებზეც მომიყევი. როგორია 2 შვილის დედობა?**

– გადასარევი, პატარა ისეთი ბავშვია, ასეთს სამს მოვუვლიდი ერთდროულად. რაც ვიმშობიარე, იქიდან მოყოლებული, ერთი ღამე არ გამითევია, ჩემთან ერთად იძინებს და იღვიძებს.

**– რა ხნის არიან ბავშვები?**

– ლიზი სექტემბერში 3 წლის გახდება, ელენი კი 4 თვისაა.

**– ლიზი ხომ არ ეჭვიანობს პატარა დაიკოზე?**

– თავიდან ძალიან ეჭვიანობდა, ახლა, შედარებით შეეჩვია. ყველანაირად ვცდილობთ გადაუაროს ეჭვიანობის მომენტმა. მაგალითად, ნიკამ ელენი რომ გაჩნდა, სამშობიაროში ლამაზი კაბა მოუტანა ლიზის და უთხრა, ელენიკომ გამოგიგზავნაო. მართალია, ამან თავიდან არ გაჭრა, მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვია. უკვე დაბანაშიც კი მეხმარება და ეფერება. მაქიმალურად ვცდილობ, დავიხმარო ელენის გაზრდაში.

**– ნიკაც თქვენთან ერთად არის, თუ შეკრებაზეა?**

– ნიკა ჯერ შეკრებაზეა.

**– როგორი მამაა?**

– ნიკა მართლა ძალიან კარგი მამაა. მას რა პრობლემაც არ უნდა ჰქონდეს და როგორ ცუდ ხასიათზეც არ უნდა იყოს, ოჯახში ისეთი ჰარმონია გვაქვს, განტვირთვას მაინც ახერხებს. რაც წასულია, გიჟს გავს, ისე ენატრება ორივე. ლიზი უკვე დიდი გოგოა და ტელეფონით ხშირად ეკონტაქტებიან ერთმანეთს. მაგრამ, ელენიკოს მარტო სკაიპით რომ ხედავს გიჟს ჰგავს.



მე და ლიზი მივდივართ ევროპის ჩემპიონატზე. ლიზიმ უნდა უგულშემატკივროს მამიკოს

**– დარწმუნებული ვარ, ნიკა ძალიან კარგი ქმარიც იქნება.**

– ქმარი, თავისთავად ძალიან კარგია.

**– მესამე შვილზეც ხომ არ ფიქრობთ ახლო მომავალში?**

– რა თქმა უნდა, ამაზე ვფიქრობთ. უფრო მეტიც, ძალიან მინდა, ბიჭი გვყავდეს ორი გოგოს მერე.

**სეზონი თითქმის ყველგან იწყება სექტემბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრამდე. ნიკა კი, ჯერ არ ვიცით, რაზე მოაწერს ხელს. როგორც ყოველთვის „ჩემოდნებზე" ვზივართ და ველოდებით საბოლოო გადაწყვეტილებას**

**– ფეხმძიმედ ხომ არ ხარ?**

– ჯერ არა, ცოტა დასვენება მჭირდება, ელენი ჯერ მხოლოდ 4 თვის არის. მაგრამ, ძალიანაც არ გადავდებთ, რადგან ბარემ ერთად გაიზრდებიან და მერე მივხედავ ჩემს საქმეებს.

**– იმედია, მულის მაგალითს აიღებ და ნინიკოს და ვატოს მიბაძავთ მრავალშვილიანობაში.**

– რა თქმა უნდა. ორივე მხრიდან გოგონების სიმრავლეა. ჩემები რომ წამოიზრდებიან, მამიდაშვილებთან ერთად კარგ დროს გაატარებენ.

**– რაც შეეხება სწავლას, აკადემიური გაქვს აღებული, თუ პარალელურ რეჟიმში განაგრძობ?**

– ჯავახიშვილში, ბიზნესის განხრით ვსწავლობ. მეორე კურსზე გადავედი. ერთი წლით გვიან ჩავაბარე, რადგან ლიზიზე ვიყავი ფეხმძიმედ. აკადემიური არ ამიღია, საჭირო დროს ჩამოვდიოდი და გამოცდებს ვაბარებდი.

**– ანუ, ბიზნესში გინდა, მოსინჯო თავი?**

– იცი რა, ყველაზე პერსპექტიული ახლა ეს სფეროა და ვნახოთ, რა გამომივა. ისე, ჟურნალისტიკა მიზიდავდა ყოველთვის, მაგრამ ბოლოს ბიზნესი გადავწყვიტე, რადგან მათემატიკა მეხერხება.

**– სოფო, როგორი დიასახლისი ხარ?**

– მგონი, კარგი. ისე, თბილისში რომ ჩამოვდივარ, მანებივრებენ. ახლა დედაც ჩემთან ერთად არის წავკისში.

**– საკმაოდ პატარა იყავი, რომ გათხოვდი და ალბათ დროდადრო სწავლობ ყველაფერს.**

– თამამად ვიტყვი, რომ ყველაფრის მომზადება ვიცი, მაგრამ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი.

**– თქვენს უახლოეს გეგმებში რა შედის?**

– განსაკუთრებული არაფერი, ველოდებით წასვლას. რომ წავალთ, ისევ ის საინტერესო ცხოვრება მაისამდე და მერე ისევ ზაფხული. მომავალ წელს ძალიან გვინდა, სადმე წასვლა ოთხოვეს ერთად. იმედია, გამოგვივა. წელს ვერ მოვახერხეთ ნაკრების თამაშების გამო.

**– ხომ არ მიჰყვები ნიკას ნაკრების თამაშებზე?**

– კი, მე და ლიზი მივდივართ. ლიზიმ უნდა უგულშემატკივროს მამიკოს ევროპაზე.

**– ლიზის უყვარს კალათბურთი?**

– კი. ლიბანში რომ ვიყავით, ყველა თამაშზე მთხოვდა წასვლას.

**– პატარას აქ ტოვებთ?**

– კი, ძალიან პატარაა კალათბურთის მატჩებზე სასიარულოდ. ისე, ლიზი 2 თვის იყო ესპანეთში, პირველად რომ დაესწრო ნიკას თამაშს, თუმცა მთელი თამაში ეძინა.

**მარიკა ხიდურელი**

# თბილისის რომელი სასტუმრო გახდა ჩეკისტების საცხოვრებელი სახლი და რომელ კაფეში მუშაობდა ჯუნა დავითაშვილი

*1921 წლის საბჭოთა ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, საქართველოში, კერძოდ, თბილისში, სასტუმროების განვითარება შეჩერდა. დაიხურა უამრავი ცნობილი სასტუმრო, მათი შენობები სახელმწიფოს გადაეცა და პროფილი შეეცვალა. გასაბჭოების შემდგომი პერიოდის სასტუმროების შესახებ ძველი ფოტოების დახმარებით გაგაცნობთ საინტერესო ცნობებს.*



სასტუმრო „ივერია" 1970-იან წლებში

## სასტუმროები გასაბჭოების შემდგომ წლებში

გასაბჭოების შემდგომ წლებში „მაჟესტიკი" (ამჟამინდელი „თბილისი მარიოტი") პროფკავშირების საბჭოს გადაეცა: „სევერნიე ნომერა" ჩეკისტების საერთო საცხოვრებელი გახდა, „კავკაზსა" და „გრანდ-ოტელს" წითელი არმია დაეპატრონა და შიგ თავისი მეომრები შეასახლა. თბილისის 1929 წლის გზამკვლევი სულ ხუთ სასტუმროს ასახელებს: „ორიანტს", „ევროპას", „პალასს," „ავრორასა" და „ინტერნაციონალს". მალე ამათგან ოთხი სასტუმრო დაიხურა და ერთი პერიოდი თბილისში ერთადერთი სასტუმრო – „ორიანტი" ფუნქციონირებდა (საუბარია რუსთაველის გამზირზე კინო „რუსთაველის" გვერდით მდებარე, 1992 წლის თბილისის ომის დროს დამწვარ მხატვრის სახლის შენობაზე, 1939 წელს „ორიანტს" დაემატა ხელახლა გახსნილი „მაჟესტიკი," ამჯერად „თბილისის" სახელით, რომელიც, ასევე, 1992 წლის თბილისის ომის დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა და მოგვიანებით მასში „თბილისი მარიოტი" გაიხსნა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელახლა გაიხსნა „რუსთავი" (ყოფილი „ვეტცელი", „ნოე", „ევროპა"). მანამდე, ომის დაწყებამდე, რამდენჯერმე დადგა თბილისში ახალი სასტუმროს აგების საკითხი. 1930 წელს მისთვის ადგილიც კი შეარჩიეს რიყეზე, მაგრამ, ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა. 1938-1939 წლებში აგებულ ცნობილ ასბინიან სახლში (ახლანდელ კოსტავას ქუჩაზე) შუა ნაწილი პროექტით სასტუმროს უნდა დათმობოდა, მაგრამ, მშენებლობის დასრულების შემდეგ ის დაწესებულებებს გადაეცა. პირველი საბჭოთა სასტუმრო თბილისში – „საქართველო" – მელიქიშვილის ქუჩაზე 1950-იან წლებში აშენდა. საინტერესოა, რომ ის თავიდან სამინისტროდ იყო ნაგულისხმევი და სასტუმროდ მშენებლობის პროცესში იქცა.



სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია" (თანამედროვე ხედი)



სასტუმრო „კოლხეთი" (1960-იანი წლები)

## „ივერია"

საბჭოთა თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სასტუმრო „ივერია" იყო, რომელიც ამჟამად „რადისონ ბლუ ივერიის" სახელს ატარებს. სასტუმროს საძირკველი 1964 წლის 16 იანვარს ჩაეყარა და მშენებლობა 1967 წელს დასრულდა. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1965 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სასტუმროს ეწოდა „ივერია". სასტუმრო შეიცავდა 289 ნომერს 540 ადგილით, მისი მოცულობა შეადგენდა 60 000 კუბურ მეტრს. ეს იყო სრულიად ახალი ტიპის შენობა, რომლის მსგავსი არ იცოდა ქალაქის ომამდელმა არქიტექტურამ. სასტუმროს პროექტი „თბილქალაქპროექტში" დამუშავდა, ავტორი იყო არქიტექტორი ოთარ კალანდარიშვილი, თანაავტორი – ი. ცხომელიძე. პროექტის ავტორს, ოთარ კალანდარიშვილს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. სასტუმროს შენობა უნიკალური იყო თავისი ინტერიერით: ცენტრალური ჰოლის შემინული კედლიდან იხსნებოდა ხედი შიდა ეზოსკენ, სადაც დეკორატიული აუზი, ვაზი და გოგონას თეთრი მარმარილოს შიშველი ფიგურა მოჩანდა – გაზაფხულის სიმბოლო (მოქანდაკე – გურამ კორძახია). სასტუმროს ამშვენებდა ხალხურ თემაზე შექმნილი ფრესკა, რომელიც რესტორნის კედელზე ბელა ბერძენიშვილმა შეასრულა; გარდა ამისა, იყო ორმოცი მონუმენტური, ფოლკლორული მოტივებით დატვირთული ჭედური ფურცლები (ავტორი – ანთიმოზ გიორგაძე), ვახტანგ ქოქიაშვილის ვიტრაჟები ქართული ხალიჩების მსგავსი მოხატულობით, კერამიკული პანო ჭურჭლის გამოსახულებით და გულდა კალაძის ბარელიეფი.

საბჭოთა დროს, 1970-იანი წლების ბოლომდე, სასტუმრო „ივერიის" წინ, ფუნქციონირებდა ცნობილი კაფე „მეტრო", რომელიც თბილისელებისთვის ერთ-ერთ საყვარელ დასასვენებელ ადგილად ითვლებოდა. ცნობისთვის. კაფე „მეტროში" ოფიციანტად მუშაობდა ამჟამად განთქმული ექსტრასენსი ჯუნა დავითაშვილი. საბჭოთა კავშირის დანგრევისა და აფხაზეთში მომხდარი საომარი კონფლიქტის შემდეგ სასტუმროს მძიმე პერიოდი დაუდგა – შენობაში დევნილები შესახლდნენ და ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში „ივერია" თავისი წარსულის აჩრდილს დაემსგავსა. 2000-იანი წლების დასაწყისში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, თბილისის მთავრობამ დევნილების გამოსახლების გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და, განახლებული იერითა და სახელით, ამჟამად თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროა



სასტუმრო „ივერია" და კაფე „მეტრო" (1970-იანი წლები)



„ანდროპოვის ყურები" (1980-იანი წლები)



სასტუმრო „აჭარა" 1980-იან წლებში

## „ანდროპოვის ყურები"

„ივერიის" პროექტის ავტორს, ოთარ კალანდარიშვილს, კიდევ ერთი ცნობილი თბილისური

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**28 აგვისტოს ეკლესია მარიამობის დღესასწაულს აღნიშნავს. ამ დღეს მიიძინა ღვთისმშობელმა, რომელიც მიძინებამდე ადამიანებს შემწეობასა და მფარველობას შეჰპირდა. როგორ იზრდებოდა ღვთისმშობელი, რა სასწაულები მოხდა მისი მიძინების ჟამს, ამის შესახებ ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი) გვესაუბრება.**

# როგორ იკურნებოდნენ და ახელდნენ თვალს ბრმები ღვთისმშობლის მიძინების დღეს და რა ეხმარება ადამიანს საკუთარი სულის გადარჩენაში



**როდესაც მარიამი 6 თვის გახდა, დედამ მიწაზე დასვა – სურდა, გამოეცადა, შეძლებდა თუ არა ფეხზე დგომას. მარიამმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და კვლავ მასთან დაბრუნდა**

– სანამ ადამიანის სული ცოცხალია, მანამდე უნდა ევედროს ღმერთს, უნდა შეინახოს მარხვა, თქვას აღსარება, მიიღოს წმიდა ზიარება, რომ მისი სული არ გარდაიცვალოს, არ განეშოროს უფალს. სამოთხეში ადამიანი ჯერ სულიერად კვდება (რა თქმა უნდა, ბრჭყალებში), განეშორება ღმერთს, დაეცემა და, მერე, შედარებით მოგვიანებით, უფლისგან განშორების შემდეგ, კვდება უკვე ხორციელად, ანუ, ყოველივეს წინ მაინც სულიერი გარდაცვალება უძღვის. ჩვენ ხანდახან მართლმადიდებლობის ნიღაბს ვირგებთ, ვიწერთ პირჯვარს, დავდივართ ეკლესიაში, მაგრამ, როგორც კი ეშმაკი ჩვენს ნაყროვანებაზე, გემოთმოყვარეობაზე იმოქმედებს, მაშინვე ვიხსნით ნიღაბს და ნამდვილ სახეს ვაჩენთ. როგორც გრიგოლ ნოსელი ამბობს, ქრისტიანობა არის მიბაძვა საღვთო ბუნების. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანს მიეცა საღვთო ბუნება: მასში თავისუფალი ნება ბუნების ნაყოფია, ხოლო არჩევანი – მისი პიროვნების. თუ შენ ხარ ადამიანი, უფალმა მოგცა თავისუფალი ნება, ამ თავისუფალი ნებით უნდა შეინახო მარხვა და გამოამჟღავნო პიროვნული არჩევანი – გინდა თუ არა უფალთან ყოფნა, სულის ხსნა და ცხონება. ადამიანები ხშირად სწორედ მარიამობის მარხვის პერიოდში მიდიან დასასვენებლად. რა თქმა უნდა, დასვენება აუცილებელია, მაგრამ, მინდა, ყველას შევახსენო, რომ დასვენება ნიშნავს ცოდვებისგან განშორებას და არა მათ დაგროვებას, რაც ჯერ ხორციელად გვამძიმებს და მერე – სულიერად, რაც აშლილობას იწვევს და შემდეგ ხელახლა გვიწევს ახსნა, რომ აღსარება უნდა თქვან, ეზიარონ. გვიჭირს მათი გაჩერება ეკლესიაში, რადგან, უსაქმურობას, ლხენას, ხორცის მსახურებას მიეჩვივნენ. ნურავინ ჩამოვა სოფლიდან ცოდვებით აღსავსე და ნუ იტყვის – ვერ ვნახე ეკლესია, არ მქონდა საშუალება, მივედი და არ დამხვდა მღვდელიო.

**– 28 აგვისტოს ეკლესია ერთ-ერთ დიდ დღესასწაულს – მარიამობას, ანუ, ღვთისმშობლის მიძინებას აღნიშნავს. საინტერესო იქნება, თუ ვისაუბრებთ იმაზე, როგორ და რა ვითარებაში იზრდებოდა დედაღვთისა, რომელმაც ადამიანებს მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე გვიშვა.**

– ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი ნაზარეთში დაიბადა, ღვთისმოსავი ცოლ-ქმრის – იოაკიმესა და ანას ოჯახში. იოაკიმე და ანა ღვთის წინაშე მართლები იყვნენ და მცნებებსაც სუფთა გულით იცავდნენ. ისინი შთამომავლობით იმდენად არ იყვნენ ცნობილნი, როგორც მორჩილებითა და გულმოწყალებით. ისინი მხოლოდ იმაზე დარდობდნენ, რომ უნაყოფოები იყვნენ, თანაც, იმდროინდელი წარმოდგენით, უშვილობა შეურაცხმყოფელი იყო და უდიდეს სასჯელად მიიჩნეოდა. მათი თანაცხოვრების 50 წელი იყო გასული და იუდეველები ხშირად აყვედრიდნენ. ერთ დღეს, დაფნის ხის ძირას მჯდარი ანა ლოცულობდა: „მხოლოდ მე ვარ ველი უნაყოფო, უსიცოცხლო და აღმოუცენებელი, მომხედე, უფალო, და ისმინე ჩემი ლოცვა". უცებ მის წინაშე ღვთის ანგელოზი წარმოდგა და უთხრა: „ნუ გეშინია, უფალმა ისმინა შენი ლოცვები, შენ გეყოლება შვილი და შენი თესლიდან იკურთხება ყოველი ტომი დედამიწაზე. შენი ასულის სახელი იქნება მარიამი და კაცობრიობა ხსნას მისგან მიიღებს". ანგელოზი მართალ იოაკიმესაც გამოეცხადა, რომელიც სალოცავად უდაბნოში იდგა და ახარა, რომ შვილი ეყოლებოდათ. გარდამოცემა მოგვითხრობს, რომ, როდესაც მარიამი ექვსი თვის გახდა, დედამ მიწაზე დასვა – სურდა, გამოეცადა, შეძლებდა თუ არა ფეხზე დგომას. მარიამმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და კვლავ მასთან დაბრუნდა. მართალმა ანამ ხელში აიყვანა და შესძახა: „შენ მიწას ფეხს არ დააკარებ მანამ, სანამდის უფლის ტაძარში არ

**ღვთისმშობლის დაკრძალვის მსვლელობის პროცესში მის სხეულს გაცისკროვნებული გვირგვინის მსგავსი ღრუბელი დასცქეროდა ზემოდან, ხოლო ციდან ანგელოზთა გალობა ისმოდა**

მიხვალ". ამის შემდეგ ანამ თავის საძინებელ ადგილას განსაკუთრებული სამყოფელი მოაწყო, სადაც არანაირი უწმინდურება არ დაიშვებოდა. როდესაც მარიამს ერთი წელი შეუსრულდა, იოაკიმემ მოიწვია ღვთისმსახურები, მწიგნობრები, მოხუცებულები და მათ მარიამი დალოცეს. 2 წლის მარიამის შემხედვარე ადამიანები გაოცებულები იყვნენ მისი გონებისა და გულის არაჩვეულებრივი განვითარებით, რაც მის ასაკს აღემატებოდა. 3 წლის ასაკში ტაძრად მიიყვანეს და მოათავსეს ქალწულთა სავანეში. დადგენილი კანონებისამებრ, ის ალიონზე დგებოდა და დღეში სამჯერ ლოცულობდა, დანარჩენი დროის განმავლობაში კი წიგნების კითხვითა და ხელსაქმით იყო დაკავებული. საეკლესიო საგალობლებში არის იმის მოწმობა, რომ მარიამს წმიდა ანგელოზები ეცხადებოდნენ და ზეციურ საკვებს მიუძღვნიდნენ ხოლმე.

**– რა მოვლენები უძღოდა წინ ღვთისმშობლის მიძინებას?**

– ზეთისხილის მთაზე ლოცვისას მას მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ მისი ზეცაში აღსვლის დრო ახლოვდებოდა და რომ ეს მოვლენა სამი დღის შემდეგ აღსრულდებოდა. ამ ხარების დასამოწმებლად მან სამოთხეში დანერგილი ფინიკის ხის ტოტი გადასცა და უთხრა, რომ, ეს რტო, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა, მის საფლავთან უნდა მიეტანა. ღვთისმშობლის მოახლოებული მიძინების ამბავი მთელ შემოგარენს მოედო. ხალხი ყოველი მხრიდან მიდიოდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, მწარედ ტიროდნენ და ევედრებოდნენ ნუგეშისცემას. ღვთისმშობელი მათ აიმედებდა და ჰპირდებოდა, რომ არ მიატოვებდა და, ვინც მწუხარებისა და უბედურების ჟამს მიმართავდა, მისი მსწრაფლშემწე და შუამდგომელი იქნებოდა უფლის წინაშე. ანგელოზის გამოცხადებიდან მესამე დღეს, მოულოდნელად, სახლის ჭერი გაიხსნა, ღვთაებრივი დიდების ნათელმა იქ მყოფნი განაბრწყინა, ციური დასებით გარშემორტყმული იესო ქრისტე მოევლინა ყოვლადწმიდა დედას, რომელიც სარეცელიდან წამოიწია და თაყვანი სცა უფალს. ტკივილების გარეშე შვა მან მაცხოვარი და მაცხოვარმაც ტკივილების გარეშე გაიყვანა მისი სული სხეულიდან – წმიდა სხეული გახრწნისგან დაიცვა. ამის შემდეგ ღვთისმშობლის სული უფლის ხელით, ზეიმითა და ზეციური ძალების თანხლებით ავიდა ცათა სასუფეველში. მისი სხეული კი ზეციური ნათლით ბრწყინავდა და მისგან საოცარი კეთილსურნელება მოდიოდა. მის სარეცელზე შეხებით ყველა ჭირვეული კურნებას იღებდა, მთავარანგელოზები კი უგალობდნენ. ღვთისმშობლის დაკრძალვის მსვლელობის პროცესში მის სხეულს გაცისკროვნებული გვირგვინის მსგავსი ღრუბელი დასცქეროდა ზემოდან, ხოლო ციდან ანგელოზთა გალობა ისმოდა. ურწმუნო იუდეველებმა ხალხის გასაფანტავად მეომართა რაზმი გაგზავნეს – უბრძანეს, მოციქულები დაეხოცათ, ხოლო ღვთისმშობლის სხეული დაეწვათ. მაგრამ, სხივცისკროვანი ღრუბლის გვირგვინი ძირს დაეშვა და პროცესიას გალავანივით შემოერტყა. სიმჭიდროვის გამო მდევრის დიდმა ნაწილმა ქალაქის გალავანთან თავი გაიტეხა, სხვებს კი გზა დაეკარგათ. იუდეველმა მღვდელმა ათონიამ ღვთის საგმობი სიტყვები თქვა ღვთისმშობლის სარეცელთან, შემდეგ კი შეეცადა ყოვლადწმიდა დედის ცხედარი ძირს გადმოეგდო. მაგრამ, როგორც კი ოდნავ შეეხო, ანგელოზმა ორივე ხელი წარჰკვეთა, მოკვეთილი ხელები სარეცელზე დაეცა, ხოლო თვითონ საშინელი გოდებით დავარდა ძირს და მოციქულებს პატიება სთხოვა. პეტრე მოციქულმა პროცესია შეაჩერა და უთხრა: იწამე მთელი გულით და ბაგით აღიარე, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი მესიაა და განიკურნებიო. ათონიამ ხმამაღლა იწამა და პეტრე მოციქულმა უბრძანა, რწმენით მიემართა ღვთისმშობლისთვის და მკლავები სარეცელზე დაყრილი მოჭრილი ხელებისთვის მიედო. ხელები მაშინვე გაუმთელდა, მხოლოდ იდაყვების გასწვრივ შემორჩა ძაფივით წითელი ზოლები. ამის მხილველმა ბევრმა იუდეველმა შეინანა, იწამეს ქრისტე, ღვთისმშობლის სარეცელს მიემთხვნენ და ბევრი განიკურნა, ბევრს კი მხედველობა დაუბრუნდა. შემდეგ ღვთისმშობელი გეთსამანიის ბაღში დაასაფლავეს. ღვთისმშობელმა მხოლოდ ცოტა ხნით მიიძინა, მესამე დღეს კი მკვდრეთით აღდგა.

**ნათია უტიაშვილი**

# ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაული სირიაში

2004 წლის დეკემბერში ერთმა არაბმა საუდის არაბეთიდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თავისი სასწაულებრივი გადარჩენის ამაღელვებელი ისტორია მოუთხრო.

ეს არაბი რამდენიმე წლის წინ დაქორწინდა ერთ მდიდარ ქალზე, რომელიც უშვილო აღმოჩნდა. წლები გადიოდა, მაგრამ ცოლ-ქმარს შვილი არ უჩნდებოდა. მთელ საუდის არაბეთში ბევრ ექიმს მიმართეს, თუმცა, უშედეგოდ. ვაჟს მშობლები კიდევ ერთი ცოლის შერთვას ურჩევდნენ, რადგან მამაკაცს მათი კანონი ოთხი ცოლის ყოლის უფლებას აძლევდა. არაბმა, ძალზე გადაღლილმა და გულგატეხილმა, ცოლთან ერთად მეზობელ სირიაში დასასვენებლად და გულის გადასაყოლებლად წასვლა გადაწყვიტა. დამასკოში მათ იქირავეს „ლიმუზინი". მძღოლი გიდობდა კიდეც. მას სთხოვეს, რომ სირიის ღირსშესანიშნაობები ეჩვენებინა. მძღოლმა ცოლ-ქმრის მოწყენილი და დარდიანი სახეები შენიშნა და ჰკითხა, მისი მომსახურებით ხომ არ იყვნენ უკმაყოფილონი. მაშინ მათ თავიანთი პრობლემის – უშვილობის შესახებ უამბეს. ამის გაგონებისას მუსლიმანმა მძღოლმა უთხრა, რომ, აქ, სირიაში, მართლმადიდებელ ქრისტიანებს აქვთ „სეინდანაღიას" (არაბულად ნიშნავს „ქალწულ დედოფალს") სახელობის მონასტერი, სადაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს მორწმუნეები შვილის გაჩენას ევედრებიან. მონასტერში მათ აძლევენ ფითილს ამ სასწაულმოქმედი ხატის კანდელიდან და, მაშინ, ქრისტიანების „მარია", მათივე რწმენისა და მისწრაფების შესახებ პასუხობს. არაბმა და მისმა ცოლმა მძღოლს „ქრისტიანების ქალწულთან" წაყვანა სთხოვეს და თან აღუთქვეს, რომ, თუკი ნატვრა აუხდებოდათ, მძღოლს 20 000 დოლარს მისცემდნენ, ხოლო მონასტერს 80 000 დოლარს შესწირავდნენ.

მივიდნენ მონასტერში და ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც მონაზვნებმა აუხსნეს. სახლში დაბრუნების შემდეგ ქალი დაორსულდა და ლამაზი და ჯანსაღი ბიჭი გააჩინა. მაშინვე, როგორც კი მეუღლემ იმშობიარა, არაბმა აღთქმის შესრულება გადაწყვიტა და სირიელ მძღოლს დაურეკა, რათა მას დამასკოს აეროპორტში დახვედროდა და მონასტერში წაეყვანა. მძღოლმა შეტყობინებისთანავე ბოროტი საქმე ჩაიფიქრა და თავის ორ თანამზრახველთან ერთად არაბის მოკვლა და გაძარცვა გადაწყვიტა, რადგანაც, იცოდა, რომ მას მონასტრისთვის განკუთვნილი 80 000 დოლარიც თან ექნებოდა. მართლაც ასე მოხდა: არაბს აეროპორტში დახვდნენ, მონასტრის ნაცვლად უკაცრიელ ადგილას წაიყვანეს და მოკლეს, შემდეგ კი მისი სხეული დაანაწევრეს: მოჰკვეთეს თავი, ხელები, ფეხები და მანქანის საბარგულში ჩააწყვეს, სხვა უკაცრიელ ადგილზე რომ დაემარხათ. გამოვიდნენ ცენტრალურ გზაზე, მაგრამ, უეცრად „ლიმუზინის" ძრავა ჩაქრა და ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ. ერთმა გამვლელმა მძღოლმა მანქანა გააჩერა, რომ მათთვის დახმარება გაეწია, მაგრამ, ბოროტმოქმედებმა, იმის შიშით, რომ დანაშაული არ გამჟღავნებულიყო, ანიშნეს, დახმარება არ გვჭირდებაო. მაგრამ, მძღოლმა საბარგულიდან ჩამოღვენთილი სისხლის წვეთები შეამჩნია და პოლიციას აუწყა. პოლიციაც თითქმის ხუთ წუთში ადგილზე გაჩნდა და ბოროტმოქმედებს საბარგულის გახსნა მოსთხოვა. აკანკალებულმა მძღოლმა ახადა საბარგულს და იქიდან სრულიად საღსალამათი არაბი გადმოვიდა. მანქანის საბარგული სისხლით იყო სავსე, ხოლო არაბს კისერსადა კიდურებზე ნაკერების კვალი ემჩნეოდა. გადმოსვლისთანავე, არაბმა ყველას აჩვენა ნაჭრილობევის კვალი კისერზე და უთხრა: „ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც მითხრა, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია, სხეულის ნაწილები მიმიკერა". „ლიმუზინის" მძღოლს და მის თანამზრახველებს ენა მუცელში ჩაუვარდათ, თვალებს არ უჯერებდნენ და ჭკუიდან შეიშალენ. პოლიციამ მათ ხელბორკილები დაადო და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანა, თავად არაბი კი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ექიმებმა და მეცნიერებმა წერილობით დაადასტურეს ეს ბრწყინვალე სასწაული. თვალნათლივ ჩანდა ძაფისა და გაკერვის კვალი. არაბი საქვეყნოდ, საინფორმაციო საშუალებებში აღიარებდა, რომ მართლმადიდებლურად მონათვლის დიდი სურვილი აქვს.

ამ სასწაულის სირიის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებას ხალხში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა.

მკვდრეთით აღდგენილმა არაბმა ტელეფონით შეატყობინა თავის მეგობრებსა და ნათესავებს, რომ სირიაში ჩასულიყვნენ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მადლიერება გამოეხატათ. მართლაც, ყველანი ჩავიდნენ და მადლიერების ნიშნად არაბმა მონასტერს არა 80 000, არამედ, 800 000 დოლარი შესწირა.

**მოგვითხრობს ბეცახურის მონასტრის**
**იღუმენი ეგნატე**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩემი შვილი მთელ დღეს ეკლესიაში ატარებდეს, ისწავლოს ლოცვები, ფსალმუნები, ახლოს გაეცნოს ეკლესიურ ცხოვრებას. ამჟამად ის 14 წლისაა – შემდეგ კი თვითონ გადაწყვიტოს, გახდება თუ არა სასულიერო პირი. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** 14 წლის მოზარდმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, უნდა თუ არა ასეთი ცხოვრება – მარტო თქვენი სურვილი არ კმარა. სასულიერო პირს ესაჭიროება სათანადო განათლება, რომელსაც იღებენ სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში.

**კითხვა: რას ნიშნავს სიტყვა „იეღოვა"?**



**პასუხი:** ბიბლიაში ღმერთის რამდენიმე სახელი გვხვდება. მაგალითად, „ელოჰიმ", „საბაოთ", „ადონაი" და სხვა. ღმერთის ერთ-ერთი სახელია „იეღოვა", რაც ებრაულად მყოფს, არსებულს ნიშნავს. რატომღაც იეღოველები უარყოფენ ღმერთის დანარჩენ სახელებს. მათ აირჩიეს ღმერთის მხოლოდ ერთი სახელი და ამიტომაც იწოდებიან იეღოველებად.

**კითხვა: რამდენიმე თვეში ქორწინებიდან 15 წელი მისრულდება. როდესაც დავქორწინდით მე და ჩემმა მეუღლემ ჯვარი დავიწერეთ. შეიძლება თუ არა ამ თარიღთან დაკავშირებით სიმბოლურად კიდევ ერთხელ დავიწეროთ ჯვარი ეკლესიაში?**

**პასუხი:** ჯვრისწერის რიტუალი მეუღლეებს შორის ერთხელ სრულდება, ამიტომ, ხელმეორედ ჯვრისწერა და ამგვარი სიმბოლური აქტის ჩატარება დაუშვებელია.

**კითხვა: ჩაითვლება თუ არა გოგონა მონათლულად თუ ამ საიდუმლოს შესრულების დროს მას დედათა წესი ჰქონდა და არ გაამხილა?**

**პასუხი:** ნათლობა შესრულებულად ჩაითვლება, ის მონათლულად ითვლება, მაგრამ ყოველ ქრისტიან მანდილოსანს უნდა ახსოვდეს, რომ დედათა წესის დროს თავი შეიკავოს საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობისგან.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ავანთოთ სახარებისეული სანთელი და მივიტანოთ ყველა ბნელ კუნჭულში

ერთ-ერთ რუსულ გემზე, რომელიც შავ ზღვაში დაცურავდა, მოხუცი ვაჭარი იმყოფებოდა. ეს მისი პირველი საზღვაო მოგზაურობა გახლდათ. საღამო ხანს ვაჭარს ზღვის ავადმყოფობამ შეუტია. მსახურებმა ღონემიხდილი მოხუცი გემბანზე დააწვინეს. უეცრად ბერიკაცმა გაიგონა, რომ გემბანიდან ვიღაც გადავარდა. ვაჭარი წამოდგა და, რაკი სხვა არაფერი შეეძლო, ანთებული სანთლით ხელში ბორტთან მივიდა.

წყალში გადავარდნილი გადაარჩინეს. როცა მოხუცი მომჯობინდა, გადარჩენილი ინახულა და მოიკითხა, მანაც თავისი საკვირველი გადარჩენის ამბავი უამბო. თურმე იგი ორჯენ ჩაითრია წყალმა, მაგრამ, ორჯერვე ამოცურა; მასამედ რომ იძირებოდა, სასომიხდილმა უკანასკნელ იმედად ხელი მაღლა აიშვირა. ამ დროს ვიღაცამ სანთელი აანთო და შუქმა მისი ხელი გაანათა; ის მეზღვაურმა შეამჩნია, ხელი ჩაავლო და გემბანზე აათრია.

თუ დიდი საქმეების კეთება არ ძალგიძთ, ის ხომ მაინც შეგიძლიათ, წყალწაღებულს გაუნათოო... ავიღოთ სახარებისეული სანთელი, მივიტანოთ იგი ყველა ბნელ კუნჭულში და ვუქადაგოთ ხალხს ქრისტიანობა, როგორც გზა ხსნისა.

## ღარიბი

ძონძებში გახვეული მოხუცი გლახაკი გზის პირას იჯდა მზით გამთბარ ქვაზე და ტიროდა.

რამდენიმე წლის წინ ის მდიდარი იყო, მაგრამ, მთელი ქონება გლახაკთათვის დაერიგებინა და, ახლა, მარტოსულსა და ყველასაგან მივიწყებულს, თვითონ გახდომოდა სამათხოვროდ საქმე.

ერთხელაც, მოხუცს მიეძინა და სიზმარში ანგელოზი იხილა, რომელიც ეკითხებოდა:

– ნანობ, რომ ადამიანებს სიკეთე უყავი?

– არა, არ ვნანობ, – მიუგო მათხოვარმა.

– მაშინ, ადექი და მწუხარების გარეშე ითხოვე მოწყალება, რამეთუ ამით სხვებს სიკეთის კეთებაში დაეხმარები.

## მარადჟამს ჰყავ სიკეთე

ერთმა კაცმა ასეთი რამ იხილა: თითქოს მისთვის სახლი შენდებოდა, მაგრამ, მშენებლები მხოლოდ შაბათობით მუშაობდნენ. შემდგომში მას ხილვის მნიშვნელობაც ეუწყა: სახლს მხოლოდ შაბათობით იმიტომ უშენებდნენ, რომ ამ დღეს მას წმინდა პეტრეს ტაძარში საზრდო და ტანსაცმელი მიჰქონდა და ღატაკებს ურიგებდა.

# რობერტო ბაჯოს „ცხენისკუდი" და მარუან ფელაინის „დისკო" - მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების ვარცხნილობები

*ფეხბურთელების იმიჯი უმეტეს შემთხვევაში მისაბაძი ხდება და სპორტის ამ სახეობის მოყვარულები თავიანთ საყვარელ სპორტსმენებს ხშირად ბაძავენ: იკეთებენ ტატუებს, იმოსებიან სპორტული მაისურებით და, რა თქმა უნდა, არც მათი ვარცხნილობა რჩება ფანების ყურადღების მიღმა. ფეხბურთელების ვარცხნილობა იმდენად ტრენდული მიმდინარეობა გახდა, რომ, ამა თუ იმ ვარსკვლავის სხვა ვარცხნილობით ნახვა წარმოუდგენელიც კი არის.*

### დევიდ სიმენი

„არსენალისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი გოლკიპერის, დევიდ სიმენის იმიჯი მუდმივი განსჯის საგანი გახლდათ. ფეხბურთელის ვარცხნილობა და ულვაშები ღიმილის მომგვრელი იყო ფეხბურთის ნებისმიერი მოყვარულისთვის. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია სიმენისთვის, რომ თითქმის 40 წლამდე ყოფილიყო ფორმაში და მან საკმაოდ ასაკოვანმა დაანება სპორტს თავი.



### დავიდ ლუიზი, ფაბრიციო კოლოჩინი და კარლეს პუიოლი

სამივე დამცველის ვარცხნილობა იმდენად ჰგავს ერთმანეთს, არსებობს ეჭვი, რომ სამივე ერთ დალაქთან იჭრის და ივარცხნის თმას. გარდა ამისა ლუიზი „ბარსელონას" სატრანსფერო ინტერესებში ფიგურირებს და, თუკი მოხერხდება „ჩელსიდან" მისი გადაბირება, კატალონიელების ცენტრში ორი ხუჭუჭა ცენტრალური მცველი იქნება; ხოლო, არგენტინელი კოლოჩინი, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ მცველად ითვლებოდა, ინგლისის პრემიერლიგიდან უქომაგებს ვარცხნილობაში „კოლეგებს".



### რენე იგიტა

ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე ქარიზმატულ მეკარეს, კოლუმბიელ რენე იგიტას, თანაგუნდელებისგან განსხვავებული გარეგნობა ჰქონდა – გრძელი, შავი, ხვეული თმა. საგულისხმოა, რომ ვარცხნილობა იგიტას არ უშლიდა ხელს საფირმო „მორიელის დარტყმის" შესრულებასა და ნარკობარონ პაბლო ესკობართან მეგობრობაში.

### რაულ მეირელეში

თურქული „ფენერბაჩეს" ნახევარმცველი, პორტუგალიელი რაულ მეირელეში ნამდვილი ჰიპსტერია, უამრავი ტატუირება და იროკეზული ვარცხნილობა მისი საფირმო ნიშანია. ინგლისში თამაშის დროს მეირელეშს ხშირად ჰქონდა პრობლემები პოლიციასთან, რადგან, იგი მუდმივად იწვევდა ეჭვს გარეგნობის გამო.



### ნეიმარი

„ბარსელონის" ახალი ვუნდერკინდი ნეიმარი საკუთარ თავს „მეტროსექსუალს" უწოდებს. შეგახსენებთ, რომ ეს იმ მამაკაცთა კატეგორიაა, რომლებიც დიდ დროს უთმობენ გარეგნობას. სხვათა შორის, ამ საქმის პიონერი თანამედროვე ფეხბურთში დევიდ ბექჰემია.



### ალექსანდრ სონგი

კიდევ ერთი „ბარსელონელი" ალექსანდრ სონგი ვარცხნილობების ხშირი ცვლით „არსენალში" გახდა ცნობილი, სადაც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. კატალონიაში გადასვლის შემდეგ სონგმა ფეხბურთის თამაშს მოუკლო, თუმცა, ვარხნილობებს კვლავ იცვლის. სხვადასხვა დროს სონგის თავს ანანასს ან კარტოფილ „ფრის" ადარებდნენ.

### რიგობერ სონგი

ალექსანდრის ბიძა, მასზე გაცილებით სახელოვანი ფეხბურთელი, კამერუნის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანი რიგობერ სონგი, თავისი კარიერის ბოლოს ვარცხნილობის ხშირი ცვლით გახდა ცნობილი. რიგობერს სამშობლოში „ალბინოს ლომს" უწოდებდნენ, რადგან ის თავსა და წვერს თეთრად იღებავდა.



### ედგარ დავიდსი

„პიტბულად" წოდებული ლეგენდარული ჰოლანდიელი, საყრდენი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი, უპირველეს ყოვლისა, სათვალიანი იმიჯით გახდა ცნობილი საფეხბურთო მოედანზე, თუმცა, აფრიკული ნაწნავებიც მისი იმიჯის განუყოფელი ნაწილი იყო.

### მარუან ფელაინი

„ევერტონის" ბელგიელი ნახევარმცველი მარუან ფელაინი 1970-იანი წლების დისკოს მოცეკვავეს წააგავს თავისი ვარცხნილობით.

### დევიდ ჯეიმსი

ექსტრავაგანტური და ორიგინალური ინგლისელი გოლკიპერი დევიდ ჯეიმსი, კარიერის განმავლობაში საფეხბურთო კლუბების მსგავსად, ვარცხნილობასაც ხშირად იცვლიდა. ის ხან ქერა, ხან მელოტი, ხან კი კიკინებიანი გამოდიოდა საფეხბურთო მოედანზე, თუმცა, ყველაზე პოპულარული იყო მისი იამაიკური ვარცხნილობა, რითაც მან კარიერის ბოლო წლები გაატარა.

### ბაკარი სანია

დიდი ხანია, „არსენალის" ფრანგი მცველი ერთსა და იმავე ვარცხნილობას ატარებს, თუმცა, ასეთი ვარცხნილობით მის ისტორიულ სამშობლოში – აფრიკაში, ხანში შესული ქალბატონები იწონებენ თავს, ხოლო ინგლისში სანიას ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ „ფრიკად" მოიხსენიებენ.



### მარიო ბალოტელი

„მილანის" თავდამსხმელი მარიო ბალოტელი ცნობილია თავზე „განხორციელებული" ექსპერიმენტებით: ის ხშირად იცვლის თმის ფერს, ფორმას და ასე შემდეგ. მისი ვარცხნილობა ისეთივე ცვალებადია, როგორც მისი ხასიათი.

### ბენუა ასუ-ეკოტო

„ტოტენჰემის" კამერუნელი მცველი, რომელიც ცოტა ხნის წინ თბილისში იყო სტუმრად გუნდთან ერთად, ადრე აფრიკული ნაწნავებით იწონებდა თავს, ახლა კი თმა ფაფახივით ადევს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავს არ უვლის.



### რობერტო ბაჯო

იტალიური ფეხბურთის ლეგენდა, რობერტო ბაჯო, საფეხბურთო მოედანზე საინტერესო ვარცხნილობითაც გამოირჩეოდა, რისთვისაც მას მეტსახელი – „ცხენისკუდა" უწოდეს. ბაჯოს გრძელი ნაწნავი მისი კარიერის ბოლო წლებში შიშის ზარს სცემდა „ბრეშას" მოწინააღმდეგეებს.

### რუმინეთის ნაკრები

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რუმინეთის ნაკრებმა შოკში ჩაყარა ფეხბურთის ქომაგები. მეორე მატჩის შემდეგ, მას მერე, რაც პლეი-ოფის საგზური განაღდებული იყო, მთლიანმა შემადგენლობამ, 22-მა კაცმა, თმა ყვითლად გადაიღება, ხოლო მთავარმა მწვრთნელმა, ანგელ იორდანესკუმ, თავი გადაიხოტრა.

## მესი რომის პაპს შეხვდა

„შეხვედრა ხანმოკლე იყო, მაგრამ, ძალიან ემოციური," – განუცხადა ჟურნალისტებს არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონის" ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ მას შემდეგ, რაც ვატიკანში კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს, რომის პაპ ფრანცისკს შეხვდა. „ჩვენ მივესალმეთ ერთმანეთს, მაგრამ, ეს ძალიან სწრაფად მოხდა, აუდიენციაზე ბევრი ხალხი იყო მოსული. ამის მიუხედავად ეს დღე ჩემთვის განსაკუთრებული იქნება. ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი პაპს". არგენტინის ნაკრები იტალიაში იმყოფებოდა ამხანაგური მატჩის გასამართავად „სკუადრა აძურასთან" და, პაპთან შეხვედრა, რომელიც წარმოშობით არგენტინელია, მატჩის დაწყებამდე შედგა.



## „ფურია როხას" სექსუალური ქომაგი

ერიკა ვერნერი ესპანეთის ნაკრების, იგივე „ფურია როხას" ერთგული ქომაგია. ერიკა სამოდელო ბიზნესშია ჩართული და თაყვანისმცემლებს ხშირად ახარებს გულახდილი ფოტოსესიებით. ესპანეთის ნაკრების სექსუალური ქომაგი დარწმუნებულია, რომ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ „ფურია როხა" გაიმარჯვებს, ხოლო ფინალურ მატჩში გამარჯვების გოლს დავიდ ვილია გაიტანს, რომელიც ერიკას ფავორიტი ფეხბურთელია.



## რონალდინიო ოპერაციას იკეთებს



ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდინიო, რომელიც ამჟამად „ატლეტიკო მინეიროს" ღირსებას იცავს, ოპერაციისთვის ემზადება. ფეხბურთელი თავისი საფირმო ღიმილის შეცვლას აპირებს და კბილებზე ოპერაციის გაკეთებას აპირებს. რონალდინიოს უკვე ჩაუსვეს სპეციალური ფაიფურის სამაგრები და, ახლო მომავალში, მცირე ქირურგიული ჩარევის შემდეგ, საფეხბურთო მოედანზე ახალი იმიჯითა და ახალი ღიმილით გამოჩნდება. სხვათა შორის, რონალდინიოს არაერთ ინტერვიუში აღუნიშნავს, რომ ღიმილი მისი სავიზიტო ბარათია და ის არაფრის შეცვლას არ აპირებს.

## ბიზლის მორიგი დაპატიმრება

NBA-ს კალათბურთელი, „ფინიქს სანზის" თავდამსხმელი მაიკლ ბიზლი მორიგ სკანდალში გაეხვია. ცნობილი ფაქტია, რომ ბიზლი მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოყვარულია და სახლში კანაფს ზრდიდა. ამჯერადაც, ბიზლი მარიხუანის შენახვის ფაქტზე დააკავეს. პოლიციამ სპორტსმენის ავტომობილში რამდენიმე გრამი მარიხუანა აღმოაჩინა და ადგილზევე დააპატიმრა. მანამდე მსგავს სიტუაციაში ბიზლი 2009 და 2011 წლებში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ორ წელიწადში ერთხელ პოლიცია მას შემოწმებებს უტარებს.

## პამელა ანდერსონი – რალის გუნდის ხელმძღვანელი

„ფლეიბოის" და სერიალ „მაშველების" ვარსკვლავი პამელა ანდერსონი FIA GT-ს ეტაპის ბოლო სამ შეჯიბრებაში უხელმძღვანელებს გუნდს, რომლის შემადგენლობაში „ფორმულა 1-ის" ექსმრბოლელი ვიტანტონიო ლიუცი და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ლეგენდარული ნიკი ლაუდას ვაჟი – მატიასი ირიცხებიან. ანდერსონის მრბოლელები „ფერარის" მარკის სპორტული ავტომანქანებით იასპარეზებენ. ცნობილია, რომ ახლო მომავალში ანდერსონი „ნასკარის" რბოლებზე გეგმავს საკუთარი გუნდის გამოყვანას.



## უსაინ ბოლტი ფეხბურთისკენ იქაჩება

იამაიკელი მორბენალი სპრინტერი უსაინ ბოლტი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოსკოვში გამართულ მძლეოსნობის ჩემპიონატზე 100 მეტრ სირბილში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი გახდა, იმედს იტოვებს, რომ პროფესიულ ფეხბურთში მოუწევს ძალების მოსინჯვა და, მზად არის „მანჩესტერ იუნაიტედში" ნებისმიერ პოზიციაზე ითამაშოს. გარდა ამისა, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბოლტმა აღიარა, რომ მისი საყვარელი ფეხბურთელი პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუა, რომელსაც, რომ არა ფეხბურთი, წარმატებული კარიერის აწყობა შეეძლო მძლეოსნობაში.



## ვიტალი კლიჩკო - უკრაინის პრეზიდენტი

უკრაინის ოპოზიციური პარტია „უდარის" ლიდერი, მსოფლიოს ჩემპიონი კრივში ვიტალი კლიჩკო უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ემზადება. არჩევნები 2015 წელს არის დანიშნული და ამ დროისთვის კლიჩკო სპორტიდან წასვლას აპირებს, რაც მან უკვე განუცხადა კრივის მსოფლიო კომიტეტის თავმჯდომარეს ხოსე სულიმანს. „ჩემი მიზანია ეფექტური ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რაც სასიკეთოდ წაადგება უკრაინის მოსახლეობას," – აცხადებს ვიტალი კლიჩკო, რომელიც უკრაინაში შეუვალი ოპოზიციონერის სახელით არის ცნობილი.

## ფილმი ლენს არმსტრონგის შესახებ

ჰოლივუდში ლეგენდარული ველომრბოლელის ლენს არმსტრონგის შესახებ ფილმის გადასაღებად ემზადებიან. სკანდალურად ცნობილი სპორტსმენის როლს, რომელსაც დოპინგის მოხმარების გამო „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონის შვიდი ტიტული ჩამოართვეს, ამერიკელი მსახიობი ბენ ფოსტერი შეასრულებს, რეჟისორი კი სტივენ ფრირზი იქნება. ფილმი დაიწყება არმსტრონგის ცხოვრების იმ პერიოდით, როდესაც მას სათელე ველოსიპედის ჯირკვლების კიბო დაუდგინეს და დასრულდება დოპინგის სკანდალით. გადაღებები შემოდგომაზე დაიწყება, ხოლო პრემიერა გაზაფხულზეა დანიშნული.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ვაშლი და ნუში მამაკაცებისთვის აუცილებელი საკვებია

თუ გსურთ, ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ, კარგად დაფიქრდით და ისე შეარჩიეთ ყოველდღიური საკვები.

თუ დღეში ორ ცალ ვაშლს შეჭამთ, ამით შეამცირებთ ინსულტის განვითარების ალბათობას, თან, ჯანმრთელ გულს შეინარჩუნებთ. ვაშლი განსაკუთრებით სასარგებლოა მამაკაცებისთვის, რადგან, ის ამცირებს პროსტატის, ფილტვებისა და ღვიძლის კიბოს განვითარების რისკს.

თუ გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ კარგი მხედველობა, არ დაივიწყოთ C და E ვიტამინები, რომლებიც ამცირებს კატარაქტის განვითარების რისკს. ასე რომ, ყოველდღიურად მიირთვით ახალგამოწურული ფორთოხლის წვენი ან მიიღეთ ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი). მათი წყალობით გარანტირებული გექნებათ იდეალური მხედველობა.

თუ დრო არ გრჩებათ, ნორმალურად ისადილოთ, ჭამეთ ნუში. დღეში დაახლოებით 60-70 გრამი ნუში ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია. თუ მას თხუთმეტი-ოცი დღის განმავლობაში მიიღებთ, სისხლში ქოლესტერინის დონე შემცირდება.

ზეითუნის ზეთის რეგულარულად მოხმარება კი საკვერცხეების კიბოსგან დაგაზღვევთ.

## როგორ ვუმკურნალოთ პანკრეატიტს მცენარეული ნაყენებით

კუჭქვეშა ჯირკვლის ანუ პანკრეასის ქსოვილის ანთებით დაავადებას პანკრეატიტი ეწოდება. ის შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული. პანკრეატიტი შეიძლება გამოიწვიოს კუჭქვეშა ჯირკვლისა და სანაღვლე სადინარების დახშობამ, ალკოჰოლის გადაჭარბებამ, ინფექციებმა, საკვებში ცილის დეფიციტმა, ზედმეტად ცხიმიანმა ან მწარე კერძებმა, ზოგიერთმა მედიკამენტმა.

პანკრეასი, ჰორმონ ინსულინის გარდა, გამოიმუშავებს წვენს, რომელიც საჭმლის მომნელებელი ფერმენტებითაა გაჯერებული. პანკრეატიტის დროს ფერმენტები აქტიურდება და საკუთარი ჯირკვლის ქსოვილს აზიანებს, რასაც პანკრეასის შეშუპება და უჯრედის კვდომა მოსდევს.

ქრონიკული პანკრეატიტის დროს ანთებითი პროცესი ქრონიკულად, ანუ მუდმივად მიმდინარეობს, რასაც პერიოდულად საკუთარი ფერმენტების გააქტიურება და პროცესის გამწვავება ახლავს. პანკრეატიტის მთავარი ნიშანი სარტყლისებური ტკივილია, რომელიც გამოხატულია მუცლის ზედა ნაწილში და გადაეცემა წელისა და ზურგის არეს. ასევე, ახლავს გულისრევის შეგრძნება, ტემპერატურის მატება, სლოკინი, კანის გაფერმკრთალება.

ქრონიკული პანკრეატიტის კლინიკური სურათი თავიდან მწვავეს ჰგავს. დაავადების დაწყების შემდეგ ხშირდება ნაწლავების მოქმედება, წონაში კლება; შესაძლოა, განვითარდეს ჰორმონების უკმარისობა, მოგვიანებით კი – შეშუპება და ანემია; კანზე ჩნდება ლაქები. გამწვავების პერიოდში საჭიროა ისეთი მკურნალობა, როგორც მწვავე პანკრეატიტის დროს, კერძოდ: ტკივილის მოხსნა, მკაცრი დიეტა და ალკოჰოლის აკრძალვა. პანკრეასული ტკივილის დაწყებიდანვე საჭიროა მტკივნეულ ადგილას ყინულის კომპრესის დადება, სიმშვიდე და დიეტა. ტკივილის მოსახსნელად ინიშნება ანალგეტიკური საშუალებები.

კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციურ უკმარისობას პანკრეასის ფერმენტებით მკურნალობენ. ავადმყოფს უნიშნავენ ცხიმში ხსნად A, K და P ვიტამინებს. ინფექციური პროცესის საწინააღმდეგოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები. თუ ადამიანი წონაში იმატებს, უმცირდება ნაწლავების მოქმედება და თავს უკეთ გრძნობს, ესე იგი, მკურნალობა შედეგიანია.

პანკრეატიტის დროს კარგია მცენარეული ნაყენის მიღებაც, კერძოდ: თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს სამყურას ფოთოლი, ცერეცოს თესლი, ფარსმანდუკი, ასისთავა და ცოტა კამის თესლი. 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ დაახლოებით 15-20 წუთი. შემდეგ გადაწურეთ, გააცივეთ და მიიღეთ ნახევარი ჭიქა, დღეში ორჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

## რომელი საკვების მიღებაა აუცილებელი კლიმაქსის პერიოდში

თუ გაწუხებთ გუნება-განწყობის დაქვეითება, ადვილად იღლებით და სახეზე სისხლი გაწვებათ, ეს სიმპტომები შეიძლება იყოს დაკავშირებული კლიმაქსის წინა პერიოდთან, რომლის დროსაც ქალის ორგანიზმში აღინიშნება ჰორმონული ცვლილებები. პროჰესტერონის დეფიციტმა და ესტროგენების სიუხვემ შეიძლება გამოიწვიოს ქსოვილებში წყლის შეკავება, ქვედა კიდურების სიმძიმე, თავის ტკივილი, სიმსუქნე, კუჭ-ნაწლავის დისფუნქციონირება, ემოციური აშლილობა. ქალი ზედმეტად მგრძნობიარე ხდება. ამ სიმპტომების არსებობისას აუცილებელია გინეკოლოგის კონსულტაცია. კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კლიმაქსის წინა პერიოდის შემაწუხებელ სინდრომს კარგად ებრძვის მაყვალი, რომელიც, შეგიძლიათ, მიიღოთ როგორც ნატურალური, ისე მურაბისა და წვენის სახით. შეშუპების თავიდან ასაცილებლად უნდა შეზღუდოთ მარილის მიღება.

40 წლის ასაკს ზემოთ, ქალს ხშირად აღენიშნება ოფლიანობა, რაც ჰორმონულ ცვლილებებთან არის კავშირში, თუმცა, აუცილებელია ზოგადი გამოკვლევის ჩატარება, რათა გამორიცხოთ რაიმე დაავადების არსებობა.

კლიმაქსის წინა პერიოდში ქალი ხშირად არის დათრგუნული და ზოგჯერ ელემენტარული წესების დაცვაც კი საკმარისია უსიამოვნო შეგრძნებების თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში, ალკოჰოლისა და თამბაქოს შეზღუდვა, მაგნიუმითა და B ჯგუფის ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება.

ჰორმონული დეპრესია არ არსებობს, მაგრამ, თუ ქალს მანამდეც დეპრესიული მდგომარეობა ჰქონდა, კლიმაქსის წინა პერიოდში ის კვლავ იჩენს თავს. შეგიძლიათ, მიმართოთ ანტიდეპრესანტებსაც, რომლებსაც ექიმი შეგირჩევთ. ასევე, მოამზადეთ გემრიელი წამალი და მიიღეთ კვირაში ერთხელ – ის არეგულირებს ჰორმონებს და ძალიან სასარგებლოა ქალის ჯანმრთელობისთვის, კერძოდ: 1 ჭიქა ადუღებულ წყალში გახსენით 1 კოვზი თაფლი, მაყვლის წვენი – გემოვნებით და მიიღეთ თბილი; ან, 10 გრამ მაყვლის ფოთოლს შეურიეთ 10 გრამი კუნელის ნაყოფი და 20 გრამი ბაბუაწვერა, დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ცოტა ხანს თავდახურულ ჭურჭელში, გადაწურეთ და მიიღეთ დღეში ერთხელ, 10 დღის განმავლობაში.

კლიმაქსის წინა პერიოდში დაიცავით კვების რეჟიმი. კარგია რძე, ბოსტნეული, ხილი, თევზი, მჭლე ხორცი; მოერიდეთ მლაშე, ზედმეტად ცხიმიან საკვებს, რადგან, ისინი უარყოფითად მოქმედებს ქალურ ორგანოებზე.

## ანწლის ნაყენი რევმატიზმს შველის

მედიცინაში სამკურნალო მიზნით გამოიყენება ანწლის ყვავილებიც და ნაყოფიც. ანწლის ყვავილი შეიცავს გლუკოზიტებს, ეთეროვან ზეთს, C ვიტამინს, რუტინს, ქოლინს, ვაშლის, ვალერიანისა და ძმრის მჟავებს და ასე შემდეგ. მედიცინაში ყვავილები და გამხმარი ნაყოფი იხმარება როგორც ოფლის მომგვრელი, ნაღვლმდენი და შარდმდენი საშუალება. ნაყოფი, აგრეთვე, გამოიყენება ნაწლავების პერისტალტიკის გასაძლიერებლად, კისელის მოსამზადებლად, რომელიც კარგია კუჭის აშლილობის დროს; ანწლის ყვავილები კი რეკომენდებულია ბრონქიტის, ნევრალგიის, ლარინგიტების, თირკმელებისა და საშარდე გზების დაავადებისას. ხალხურ მედიცინაში ანწლის ყვავილების ნახარშს იყენებენ რევმატიზმისა და ნიკრისის ქარების საწინააღმდეგოდ.

1 სადილის კოვზი ანწლის ყვავილისა და ნაყოფის ნარევი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ ნახევარი საათი, შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ დღეში სამჯერ, მეოთხედი ჭიქა, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

# ექიმის რჩევები

**რა იწვევს უეცარ თავბრუხვევას**

არსებობს პათოლოგიები, რომელთა ერთ-ერთი გამოვლინება თავბრუხვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ის სიცოცხლისთვის საშიშ სიმპტომად არ ითვლება, მიზეზის გამოვლენა და მკურნალობა აუცილებელია. თავბრუხვევას უამრავი მიზეზი აქვს. არსებობს პერიფერიული, ანუ, ვესტიბულარული ნერვის ან შუა ყურის დაზიანებით გამოწვეული ვერტიგო და ცენტრალური თავბრუხვევა, რომლის მიზეზი თავის ტვინის დაავადებაა.

თავბრუხვევის მიზეზთა დადგენაში შემდეგი ნიშნები გვეხმარება: ყურიდან გამონადენი და სმენის დაქვეითება შუა ყურის ანთების ნიშნებია; ყურებში შუილი, ღებინება, სმენის დაქვეითება – მენიერის სინდრომის დასაწყისზე მეტყველებს; თუ სმენის ფუნქციის მოშლა არ აღინიშნება, შესაძლოა, ეს ვესტიბულარული ნევრიტის გამოვლინება იყოს. მისთვის დამახასიათებელია უეცარი დასაწყისი – ძლიერი თავბრუხვევა და ღებინება. ხშირად სიმპტომები ორი ან სამი დღის შემდეგ თანდათანობით ქრება, თუმცა, ტკივილის ილუზია კიდევ რამდენიმე ხანს რჩება.

უეცარი ცალმხრივი სიყრუისა და თავბრუხვევის დროს აუცილებლად უნდა გამოირიცხოს თავის ტვინის სიმსივნე. ასეთი თავბრუხვევა თანდათანობით იწყება და ხშირად თან ახლავს ძლიერი თავის ტკივილი. მისთვის დამახასიათებელია თავბრუხვევის გაძლიერება სხეულის ამა თუ იმ მდგომარეობაში ყოფნის დროს.

თავის ტვინის ინსულტისთვის დამახასიათებელია უეცარი დასაწყისი: თავბრუხვევას თან ახლავს თვალებში გაორება, შეგრძნებათა მოშლა, სისუსტე, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა. თავბრუხვევა მდგრადია და გრძელდება რამდენიმე დღის განმავლობაში. თუ თავბრუხვევა არც ისე მდგრადია და თან ერთვის ტკივილი კისრის მიდამოში, მაშინ მიზეზი კისრის მიდამოს დაზიანებაა.

ხშირ შემთხვევაში კი, თავბრუხვევა ქალა-ტვინის ტრავმული დაზიანების გამო ხდება. თუ თავბრუხვევა ანტიბიოტიკების მიღების დროს იწყება, მიზეზი თავად მედიკამენტია. ამიტომ, უნდა შეამციროთ დოზა ან საერთოდ შეწყვიტოთ მისი მიღება.

წონასწორობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხერხემალი, განსაკუთრებით კი – კისრის ნაწილი. სწორედ აქ მდებარეობს მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებები, ანუ, რეცეპტორები, რომლებიც მოძრაობის დროს აქტიურდება. კისრის მიდამოში მიმდინარე პათოლოგიური პროცესის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა თავის ტვინს, რომელიც მას ხშირად არასწორად აღიქვამს და თავბრუხვევით პასუხობს. გარდა ამისა, ირღვევა თავის ტვინიდან სისხლის დინება, რაც ქალაშიდა და ყურისშიდა წნევის დროებით მომატებას იწვევს, რის შედეგად ვითარდება თავში სიმძიმის შეგრძნება, ყურებში შუილი და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა. ეს ყოველივე კი თავბრუხვევით გამოიხატება. ასეთი თავბრუხვევები აწუხებთ მათ, ვისაც ფსიქოემოციური დატვირთვა, სტრესი, ფიზიკური უმოძრაობა ახასიათებთ. თავბრუხვევა ხშირად ვითარდება ტრავმის შემდეგ. ამ დროს აუცილებელია თავის ტვინში სისხლის ნორმალური მიმოქცევის აღდგენა.

**კითხვა: ვარ 45 წლის მამაკაცი. დამისვეს დიაგნოზი – კატარაქტა. მითხრეს ოპერაცია ნაადრევიაო და მკურნალობა დამინიშნეს. რატომ არ არის ამ ასაკში ოპერაცია მიზანშეწონილი?**

**პასუხი:** კატარაქტის საწყის სტადიაში მიზანშეწონილია კონსერვატიული მკურნალობა, რადგან ზოგიერთი ფორმის დროს შემღვრევა შესაძლოა, გაიწოვოს. ანტიკატარაქტული პრეპარატები, ჩვეულებრივ, თვალის წვეთებია, რომლებსაც დღეში 3-5-ჯერ იწვეთებენ. მათი დიდი ნაწილი შეიცავს ვიტამინების კომპლექსს, ბიოგენურ სტიმულატორებსა და არაორგანულ მარილებს. როდესაც დაავადება შორს არის წასული და მედიკამენტურ მკურნალობას სასურველი შედეგი არ მოაქვს, მკურნალობის ერთადერთ ეფექტურ საშუალებად ქირურგიული ჩარევა მიიჩნევა.

**კითხვა: სამსახურიდან გამომდინარე, მთელი დღე მიწევს ფეხზე დგომა და ვატყობ, რომ ფეხებზე წვრილად კაპილარები დამეტყო. ვარ 25 წლის და რა ვქნა?**

**პასუხი:** ჩვეულებრივ, ასე ვლინდება ვენების ქრონიკული დაავადება. ატარეთ ფეხსაცმელი 3-4 სანტიმეტრის ბრტყელი ქუსლით. გამოიყენეთ ელასტიკური წინდები და მიმართეთ ანგიოლოგს.

**კითხვა: გადადის თუ არა მამაკაცზე პაპილომავირუსი? რას იწვევს მამაკაცებში ეს ვირუსი და რამდენად ეფექტურია მკურნალობა?**

**პასუხი:** ინფიცირება შესაძლებელია, რადგან პაპილომავირუსი გადადის სქესობრივი გზით. მამაკაცების უმრავლესობას პაპილომავირუსით ინფიცირების შემთხვევაშიც კი, სიმპტომები არ უვლინდებათ და აქედან გამომდინარე, არც ჯანმრთელობის მხრივ ექმნებათ პრობლემა. მაგრამ პაპილომავირუსის ზოგიერთ ტიპს შეუძლია, გენიტალური კონდილომების პროვოცირება. პაპილომავირუსის ონკოგენური ტიპები კი ზოგ შემთხვევაში იწვევს სასქესო ასოს და სწორი ნაწლავის კიბოს. თუ შეამჩნევთ, რომ კონდილომები გამოგივიდათ, აუცილებლად მიმართეთ ვენეროლოგს. თუ გაინტერესებთ, ხართ თუ არა ინფიცირებული პაპილომავირუსით, მაშინ უნდა მიმართოთ ვირუსოლოგს.

**კითხვა: თუ მოწმდება საქართველოში დონორთა სისხლი? შესაძლებელია თუ არა, რომ სისხლის ბანკმა გასცეს შეუმოწმებელი სისხლი?**

**პასუხი:** შეუმოწმებელი სისხლის გაცემა დანაშაულია. წესით, ყველა სისხლის მოწმდება.

**კითხვა: მიშუპდება სახე, არა მარტო თვალები, არამედ მთლიანად სახე. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** სახის შეშუპებას არაერთი პათოლოგიური მდგომარეობა უდევს საფუძვლად. ამიტომ, პირველადი გამოკვლევისა და დიაგნოსტიკის მიზნით, უნდა მიმართოთ თერაპევტს, რომელიც განსაზღვრავს, რომელი პროფილის სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებთ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



**სისხლძარღვების გასამაგრებლად სვით წიწიბურას „კისელი“**

წიწიბურა ძალიან სასარგებლო საკვებია. მას ადამიანის ორგანიზმიდან გამოაქვს რადიონუკლიდები, ზრდის კუნთების ძალასა და ამტანობას, ამაღლებს პოტენციას, ამაგრებს სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემას, ეხმარება ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის განკურნებას.

წიწიბურასგან მომზადებული „კისელი“ დაგეხმარებათ სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ის აქვეითებს ქოლესტერინის დონეს და არეგულირებს წნევას.

მკურნალობისთვის საჭიროა, დღეში ორჯერ – დილით და საღამოს, მიირთვათ 100 გრამი წიწიბურას „კისელი“, რომელიც ასეთი წესით უნდა მოამზადოთ:

3 სადილის კოვზი დაფქული წიწიბურა გახსენით 1 ჩაის ჭიქა ცივ წყალში. ცალკე ჭურჭელში აადუღეთ 1 ლიტრი წყალი და ნელნელა ჩაასხით შიგ გამზადებული მასა. ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში და თან ურიეთ. შეგიძლიათ, მას ცოტა ნატურალური თაფლი და ნიგოზიც დაუმატოთ.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძე**

# ვის საფლავზე ავიდა პირველად გენერლის ფორმით შოთა გორგოძე და რა უბედურება დაატყდა თავს მის ოჯახს ექიმების შეცდომის გამო

*„ნეტა, არ მესწავლა, ჩემს სოფელს არ მოვწყვეტოდი, დავრჩენილიყავი მამაპაპაურ მიწაზედ და გლეხკაცად გავზრდალიყავი. ეს ცხოვრება სულ წვალებასა და ჯოჯოხეთში გავიარე". ხანდახან გვავიწყდება, რომ ჩვენ გვერდით არსებობდნენ და არსებობენ ისეთი ღირსეული ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში იდგნენ ქვეყნისა და ერის სამსახურში და თავიანთ კეთილდღეობაზე წინ, ხალხის უსაფრთხოებას და მშვიდ ცხოვრებას აყენებდნენ. საკუთარმა პრობლემებმა დაგვავიწყა, რომ დღეს ამ ადამიანებს ჩვენგან ელემენტარული ყურადღებაც კი ისე სჭირდებათ, როგორც არასდროს. გენერალ-ლეიტენანტ შოთა გორგოძეს პატივი და ღირსება არასდროს დაჰკლებია, ბრწყინვალე კარიერა მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი დიდი ნერვების ფასად დაუჯდა. მისი ყველაზე დიდი ტკივილი ახლა მისი ოჯახია, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება – სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, გამოსავალი კი არსაიდან ჩანს. მოდი, ერთად გადავხედოთ ამ არაჩვეულებრივი კაცის ცხოვრების ფურცლებს – საიდან იწყება და სად მთავრდება.*



შოთა გორგოძე და რესპუბლიკის კომისარი შარაშენიძე

„შევარდნაძის აპარატში ვმუშაობდი. როგორც ინჟინერმა და მრეწველობის სპეციალისტმა საინტერესო გზა გავიარე. ვემსახურებოდი რაიონის სამრეწველო განყოფილებას. რაც ბიუროზე საკითხები გადიოდა ფაბრიკა-ქარხნების შესახებ მრეწველობის ხაზით, ყველაფერს მე ვამზადებდი. ერთ მშვენიერ დღეს შევარდნაძე გამოიძახეს მჟავანაძესთან და გადაიყვანეს შინაგან საქმეთა მინისტრად. პარტიული მუშაკი იყო და მაინცდამაინც არ ჰქონდა სურვილი, „ემვედეს" ხაზით წასულიყო, მე ვიცოდი მისი განწყობა. გავიდა პერიოდი. ჩვენც, რამდენიმე კაცი, შეგვარჩიეს რაიკომის ახალგაზრდა მუშაკებისგან და გაგვიწვიეს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ. მე შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილედ დამნიშნეს. კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რადგან არც სურვილი მქონდა და არც ორგანოში მუშაობის გამოცდილება. ინჟინერი ვიყავი, ჩემი გატაცება მქონდა საინჟინრო საქმიანობაში, გამოგონებები, საკავშირო ოლიმპიადებსა და კონკურსებზე ბევრი ჯილდო მაქვს მიღებული. მოკლედ, მოვწყდი ჩემს ძირითად საქმეს. ეგრევე შემაგდეს უნივერსიტეტში იურიდიულის დაუსწრებელზე, აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი იურისტი. თან ვსწავლობდი, თან ვმუშაობდი. ასე წავიმუშავე „ობეხეში", მერე განყოფილების უფროსად გადამიყვანეს, შემდეგ სამმართველოში. მოგეხსენებათ, მაშინ ეს განყოფილება ებრძოდა გამომძალველებს, მექრთამეებს, მტაცებლებს, ბევრი ფაქტი გამოვავლინეთ. ჩვენ ვამზადებდით პირველად ოპერატიულ მასალებს, ჩვენს ხელში გადიოდა ყველაფერი. ძალიან გავრცელდა იმ პერიოდში ყალბი ფული. ეს იყო 1968 წელი. დიდი რაოდენობის ორმოცდაათმანეთიანი ყალბი კუპიურები მოხვდა ბრუნვაში, რომელიც ლენინგრადში სადღებოდა. ამას ებრძოდა მთელი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, ადმინისტრაციული ორგანოები... მოსკოვმა ეჭვი საქართველოზე აიღო. ძალიან რთული აღმოჩნდა ამ საქმის გახსნა. შეიქმნა საკავშირო ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც გენერალი, საბჭოთა კავშირის „ობეხეს" სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობდა. ჩამრიცხეს ჯგუფში და ვმუშაობდით ამ საკითხზე. არ გასულა დიდი დრო, დავადგინეთ, რომ მართლაც ქართველები იყვნენ დამამზადებლები. ეს ფული მზადდებოდა თბილისში, საბურთალოზე. გაგარინის ქუჩაზე, ერთ-ერთ სახლში ცხოვრობდნენ ძმები დათუკაშვილები, რომლებიც თავიანთ სარდაფში ეწეოდნენ ამ საქმიანობას. ლენინგრადში უკვე მობილიზებული იყო ოპერატიული ჯგუფი, ყველა ბაზარი კონტროლზე გვყავდა აყვანილი. თუ ვინმე პროდუქტის შეძენისას ხუთთუმნიანს იხდიდა, ეგრევე აგვყავდა. დიდი ინტერესი გამოიწვია ერთმა რუსმა ქალბატონმა. თითქმის ყოველდღე მიდიოდა ბაზარში, იყიდდა ერთ კილო ვაშლს ან სხვა რაღაცას, ორმოცდაათ მანეთს გადაიხდიდა და ნაღდ ფულს უბრუნებდნენ. ამ ქალზე დავაწესეთ მეთვალყურეობა. დაზვერვა მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს ისევ რომ მოვიდა (უკვე მომზადებული იყო მის შესახებ ოპერტიული მასალები და შეიძლებოდა დაკავება) იყიდა ვაშლი, გადაიხადა ფული ამ დროს მოვკიდეთ ხელი. მოასწრო და დარჩენილი ორმოცდაათმანეთიანი გადაყლაპა. ძალიან გამოცდილი ქალი იყო, სხვათა შორის ლამაზიც. უცებ ჩავსვით მანქანაში, წავიყვანეთ საავადმყოფოში, გაუკეთეს ამორეცხვები და ფული ამოვიღეთ. მერე წავიყვანეთ სახლში, იქ კი აღმოჩნდა ერთ-ერთი ძმა დათუკაშვილი, რომელიც მასთან ცხოვრობდა და ამ ქალის საშუალებით ასაღებდა აქედან ჩატანილ ყალბ ფულებს. ეს, იმ დროს ისეთი დანაშაული იყო, რომ ამ საქმისთვის არამცთუ იჭერდნენ, ხვრეტდნენ კიდეც. საჭირო გახდა მეორე ძმის მოძებნა. იმ კაცმა მისცა ჩვენება, რომ ფულს უშუალოდ მისი ძმა ამზადებდა, რომელიც მხატვარი იყო. მერე დავიწყეთ ძმის ძებნა და აქედან გავხსენით ეს საქმე. სხვათა შორის, ეს კაცი რუსთაველის თეატრის მხატვარი იყო – ძალიან კარგი კაცი, განათლებული, მაგრამ ცხოვრებამ აიძულა ეს ჩაედინა. ლენინგრადში იყო ქარხანა, სადაც საბჭოთა ფული იჭრებოდა და იქიდან გამოჰქონდათ ქაღალდი. ამიტომ მომხმარებლისთვის ძნელი გამოსაცნობი იყო. გადაიყვანეს მოსკოვში, მიდიოდა დაკითხვები, სასამართლო. დადგა დრო, რომ სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება – დახვრეტა ან თავისუფლების აღკვეთა 15 წლით. ბოლოს 15 წელი მიუსაჯეს. ჩემთვის ეს ყველაფერი უცხო იყო. ძალიან მოქმედებდა ჩემზე და ერთი სული მქონდა, ჩქარა წამოვსულიყავი ორგანოებიდან. ვხვდებოდი, რომ არ იყო ჩემი საქმე. ნერვიულობისგან ღამეები არ მეძინა, კამერებში ჩავდიოდი პატიმრების მოსანახულებლად. ამიტომ, დავწერე განცხადება წამოსვლაზე, მაგრამ არ გამომიშვეს. გავიდა დრო. გადამიყვანეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, ბოლოს მინისტრი გავხდი. ბუნებრივია, კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა, უკან ხომ აღარ დავიხევდი. ასე იყო თუ ისე, ამ საქმის პროფესიონალი გავხდი. 1985 წლიდან 1991 წლამდე ვიმუშავე, მერე მივატოვე და წამოვედი. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ახალი ცხოვრება მოვიდა. ვერ გეტყვით, რომ საბჭოთა კავშირის წეს-წყობილების მიმართ ნოსტალგია მაქვს-მეთქი, მაგრამ ის სამოთხე იყო იმასთან შედარებით, რაც მერე წამოვიდა ამ სისტემაში. ჩვენ, მაგალითად, არ გვქონდა უფლება ქუჩაში კარგი მანქანებით გამოვსულიყავით. ჩვენს დროს არ იღებდნენ ორგანოებში პიროვნებას, ვისაც ჰყავდა ნასამართლევი ოჯახის წევრი. მაგრამ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, თვითონ ნასამართლევი ხალხი მიიღეს ორგანოებში.



შოთა გორგოძე ოჯახით ქობულეთში

კახეთში ვართ. ოპერაციას ვატარებთ. ჯერ კიდევ მინისტრი ვარ. ობიექტზე, რომელზედაც ვმუშაობდით, უნდა გამოგვევლინა კრიმინალი.



შოთა გორგოძე მეუღლესთან და შვილთან ერთად

ჩვენთან ერთად მუშაობდა დაზვერვა. კარგი მომენტი რომ დადგებოდა, კრიმინალის ფაქტზე დასაკავებლად, მერე ჩვენ უნდა ჩავრთულიყავით. ელოდებოდნენ ჩემს განკარგულებას. მოხდა ისე, რომ ერთი დაზვერვის მანქანა დაიკარგა, ჩამოგვშორდა. გახსოვთ, მაშინ ავტოინსპექციის პატარა საგუშაგოები იდგა გზებზე, ერთი ასეთი საგუშაგო იყო გომბორის გადასახვევთან. იქ გავჩერდით. მივდივარ ამ საგუშაგოსკენ, რომ ვუთხრა, ამა და ამ მანქანაზე გაამახვილეთ ყურადღება-მეთქი. ერთი თანამშრომელი ზურგით დგას ვიღაცის პირისპირ და ლაპარაკობს, ძალიან მეჩქარებოდა და ბეჭზე ხელი დავადე. შემოტრიალდა, ვხედავ, მის წინ მოქალაქეს ხელში უჭირავს მართვის მოწმობა და ათმანეთიანი. ეტყობა, გარიგება მიდიოდა. რა თქმა უნდა, არც მე ველოდებოდი ამას და არც ის. რომ დამინახა, ადგილზე ჩაიკეცა, გული წაუვიდა, ალბათ, იფიქრა მიჭერენო. ვეცი, ბეჭებში ხელს ვარტყამ, ვეუბნები, რა მოგივიდა, ბიჭო, ნუ გეშინია, აგერ ვარ-მეთქი. იქიდან კი მეორე მპასუხობს – ჰოდა, აგერ რომ ხართ, ბატონო, იმიტომაა ცუდად, წადით თქვენ და კარგად გახდებაო. ღმერთი, რჯული, ხმა არ გამიცია, დავანებე თავი. როგორც მინისტრს ამაზე რეაგირება არ მომიხდენაი, ისედაც ნახევარი სიცოცხლე გაათავა საწყალმა. ამას რატომ გიყვებით იცით, ორგანოს მუშაკი რომ იყო, საჭიროა ადამიანური მომენტებიც გესმოდეს და გაითვალისწინო. მარტო კანონებით კი არ უნდა იყო დაკავებული, სადაც შეიძლება, გვერდიც უნდა აუარო. ცოლი ჰყავს, შვილი, დედა, მამა... ხომ უნდა გაითვალისწინო რაღაც. ოპერაციაზე ყოველი გასვლა, რა თქმა უნდა, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ არასდროს ქუჩაში არ გვისვრია, არავინ დაგვიჭრია. თუ დავიჭერდით ამას ხალხი ვერც ხედავდა, ისე ვაკეთებდით.

მამაჩემს ძალიან უყვარდა ფორმიანი მუშაკები, დიდ პატივს სცემდა. როცა პოლკოვნიკი

გავხდი, ისე გაუხარდა, იმერული პურმარილი გააკეთა და ჩამოიტანა. ოჯახში შეხვედრა მოუწყო ჩემს კოლეგა-მეგობრებს, მაგრამ, გენერალი რომ გავხდი, მამა უკვე ერთი თვის გარდაცვლილი იყო. ისე დამწყდა გული, ვერ აგიწერთ... 1979 წელია. მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება და საერთოდ, როდესაც ბრძანება მოდიოდა, ფორმაც მოჰყვებოდა. 7 ნოემბერს პარადზე



**გენერალ-ლეიტენანტი შოთა გორგოძე ოკუპაციის მუზეუმში**

უკვე გენერლის ფორმით უნდა გავსულიყავი. გადმომცეს ეს ყველაფერი. იმ დღეს, დიდი ხნის საგზაო-სარემონტო სამუშაოების შემდეგ, სურამის გზა იხსნებოდა, რიკოთის უღელტეხილი. მე, როგორც მინისტრის მოადგილე, ალექსი ინაური, როგორც უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე და შევარდნაძე ცენტრალური კომიტეტის მდივანი, უნდა დავსწრებოდით გზის გახსნას. ფორმა მანქანაში ჩავდე. ვიფიქრე, თუ მომეცა საშუალება, ავალ ჩემს სოფელში და ფორმას პირველად მამაჩემის საფლავზე ჩავიცვამ-მეთქი. გაიხსნა გზა, რა თქმა უნდა, სიტყვით გამოვიდნენ საპატიო სტუმრები, მერე შევარდნაძემ თქვა – თუ გზის გახსნაა, მოდი, ბოლომდე გავხსნათ და ზესტაფონამდე ჩავიდეთო. გამიხარდა. ჩავედით ზესტაფონში, მოედანზე მანქანებიდან გადმოვედით, ხალხი შემოგვეხვია. მივედი და შევარდნაძეს ვთხოვე – ბატონო ედუარდ, ჩაფიქრებული მქონდა, თუ მშობლიურ კუთხეში მოვხვდებოდით, პირველად გენერლის ფორმით მამაჩემის საფლავზე მივსულიყავი. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წავალ-მეთქი. ბეჭებზე დამარტყა ხელი – ყოჩაღ! მეც წამოვიდოდი, დასაწერი რომ არ მქონდეს. ხვალინდელი აღლუმისთვის სიტყვა მაქვს მოსამზადებელიო. წავედი. დედა დამხვდა სოფელში. გაუხარდა, რა თქმა უნდა. დარჩები, შვილოო. ვერა დედა, ხვალ აღლუმზე ვარ გამოსასვლელი, ახლა ერთი ბოთლი ღვინო, მჭადი და ყველი მოამზადე და საფლავზე ავიდეთ-მეთქი. სანამ დედა ქვევით, სამზარეულოში ამას ყველაფერს ამზადებდა, მეორე სართულზე ავედი და ფორმა ჩავიცვი. სარკეში რომ ჩავიხედე, ჩემი თავი ვერ ვიცანი. ჩამოვდივარ კიბეზე, დედაჩემი მიყურებს გაოცებული, ველარ მცნობს. მოვიხადე ქუდი – დედა მე ვარ-მეთქი. ეს რა ჩაგიცვამს, შვილოო. ეს ჩემი ფორმაა, გენერალი გავხდი, ახლა მამას საფლავზე უნდა წავიდეთ-მეთქი. ახლა რომ მახსენდება, ცრემლს ვერ ვიკავებ. მეორე დღეს პირველად გამოვცხადდი გენერლის ფორმით პარადზე და პირველი, ვინც მომილოცა, მოედანზე რომ შემოვედით, გენერალ-პოლკოვნილი, ამიერკავკასიის ჯარების სარდალი იყო – ძალიან კარგი კაცი. მაგრამ, მერე გახდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, რომელიც ცხრა აპრილს ჩამოვიდა აქ და ამ უბედურებას ხელმძღვანელობდა, რაც მოხდა.



**გენერალ-ლეიტენანტი შოთა გორგოძე**

ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე მომენტი იყო ცხრა აპრილის ღამე. რაც არ უნდა კრიმინალებთან შეჯახება მომსვლოდა, რაც არ უნდა რთულ ოპერატიულ ღონისძიებაში მიმეღო მონაწილეობა, ყველაზე რთული იყო ცხრა აპრილი (მე გახლდით მილიციის დარგში როდიონოვის მოადგილე), მაგრამ, მადლობა ღმერთს, არ ავყევი და არ გავაკეთე ის, რაც დავალებული მქონდა. უნდოდათ მე გავძღოლოდი წინ და ჩვენი მილიცია. პირიქით, ჩვენ დავეხმარეთ ხალხს იმ გაჭირვებაში, რასაც ძალიან დიდი უსიამოვნება მოჰყვა. ატყდა ლანძღვა-გინება, ფიზიკური გაწევ-გამოწევაც კი – ჩათავლეს, რომ მე ვუღალატე საბჭოთა პარტიას, ორგანოებს და გადავედი მომიტინგეების მხარეზე. უნდოდათ ხალხი ალყაში მოექციათ. ჩვენ გავხსენით გზა და ლესია უკრაინკას ქუჩით გავიყვანეთ ეს ხალხი. ბევრი ასე გადარჩა, თორემ ყველაფერი ისე იყო ორგანიზებული, ყველა უნდა დახოცილიყო. ის გრძნობა მაწუხებდა, რომ იმ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი და ამ საქმეს ვერაფერს ვშველოდი. 1991 წელს გავედი პენსიაზე. 1995 წელს უკან მიმიწვიეს, პოლიციის აკადემიის ხელმძღვანელად, ექვსი წელი ვიმუშავე და ისევ პენსიაზე გავედი.

ჩემს ცხოვრებაში ცუდი პერიოდები ამით არ დამთავრებულა. უფროსი შვილი მანანა გათხოვილია, მისი მეუღლე მოკრივე, დავით კვაჭაძეა. ჰყავთ ორი შესანიშნავი შვილი. პენსიაზე რომ გავედი, მე და ჩემს ვაჟს – გიას მეტი დრო გვქონდა ურთიერთობისთვის. ერთად დავდიოდით სპორტზე, ვვარჯიშობდით, თითქმის ყოველდღე მივდიოდით აუზზე. კუს ტბაზე ავდიოდით. ერთი სიტყვით, ძალიან კარგად იყო ბიჭი, ყველანაირად ბედნიერი ოჯახი გვქონდა. 2009 წლის 22 ივნისს მოხდა ასეთი რამ: ჩემი მეუღლე ღამის ოთხ საათზე გამოვიდა ოთახიდან, წაიქცა და ფეხი მოიტეხა. ყვირილზე გამოვარდა ჩემი ბიჭი, გვერდზე ოთახში ეძინა. დედა ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახა, ძალიან იმოქმედა მის ნერვულ სისტემაზე და ეპილეფსიური გულყრა დაეწყო. სანამ მეუღლეს მივხედე, ამასობაში, როგორც ჩანს, დავაგვიანე გიას მიმართ ყურადღების გამოჩენა და მდგომარეობა გართულდა. სასწრაფოდ წავიყვანეთ ღუდუშაურის კლინიკაში. იქ გაუკეთეს ისეთი ნემსი, რომელიც არ უნდა გაეკეთებინათ, თან დიდი დოზით და ბიჭი საერთოდ გაითიშა. სამი თვე მეწვინა საავადმყოფოში. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ჯანმრთელეობის სამინისტრო კი დამეხმარა, მაგრამ ერთი დღე-ღამე რეანიმაციაში 570 ლარი იყო გადასახდელი. ველარ გავუძელით ამას, მოვკიდე ხელი და სახლში წამოვიყვანე. ოთხი წელია, აპარატზეა. ექთნები მყავს აყვანილი, 24 საათის განმავლობაში ადგანან თავზე. თითქოს რაღაცეები ესმის, მაგრამ რეაგირებას ვერ ახდენს, მხოლოდ თვალს გამოგვაყოლებს ხოლმე. შვეიცარიიდან მყავდა ჩამოყვანილი სპეციალისტები და იმათ თქვეს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მისთვის ამ წამლის გაკეთებაო. აი, მას შემდეგ ვართ ამ დღეში. ეს სახლი, აგარაკი – რაც გაგვაჩნდა, ბანკში მაქვს ჩადებული. სახლში რაც მქონდა ყველაფერი გავყიდეთ. ერთადერთი, პენსია დამრჩა. ცოტას მეგობრები, ნათესავები მეხმარებიან, ვისაც ახსოვს ჩვენი ოჯახის სიკეთე. მაგრამ როდემდე? ყველას თავისი პრობლემა და საზრუნავი აქვს. მინდოდა, ვინმესთან მივსულიყავი, დახმარება მეთხოვა, მაგრამ არავინ მიღებს, ტელეფონის ზარსაც არ პასუხობენ, საერთოდ არავინ მკითხულობს, მკვდარი ვარ თუ ცოცხალი.

**ეკა პატარაია**

# თბილისის რომელი სასტუმრო გახდა ჩეკისტების საცხოვრებელი სახლი და რომელ კაფეში მუშაობდა ჯუნა დავითაშვილი

**(23-ე გვერდიდან)**

მონუმენტი ეკუთვნოდა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ დემონტაჟი გაუკეთეს. საუბარია ეგრეთ წოდებულ "ანდროპოვის ყურებზე" ყოფილ რესპუბლიკის მოედანზე. კალანდარიშვილმა მაშინ დაარწმუნა ედუარდ შევარდნაძე, რომ საჭირო იყო სპეციალური ტრიბუნის აგება, რომელიც აღლუმებზე გამოიყენებოდა. ტალღების ფორმის მქონე ორიგინალურ ნაგებობას მაშინვე „ანდროპოვის ყურები" დაარქვეს, თბილისში ხუმრობდნენ, თითქოს, „კაგებეს" ყოფილი შეფის ვიზიტისთვის აგებულ ნაგებობაში ჩამონტაჟებული იყო მოსასმენი აპარატურა „ივერიის" სტუმრების მოსასმენად და სათვალთვალოდ. ოფიციალურად, ნაგებობას „საზეიმო მოედნის ტრიბუნის სივრცული არკადა" ეწოდებოდა, თუმცა, საექვოა, რომ „ანდროპოვის ყურების" ნამდვილი სახელი თბილისის მცხოვრებლებს სცოდნოდათ. პროექტის თანახმად, „ყურებს" რამდენიმე ელემენტი უნდა ჰქონოდა, მათ შორის დაკიდებული ზარები. 2005 წელს თბილისის მერიამ საბჭოთა სიმბოლოს – „ანდროპოვის ყურების" დემონტაჟი დაიწყო, რომელიც წარმატებით განხორციელდა.



**სასტუმრო „აჭარა" 1981 წელს ლეონიდ ბრეჟნევის თბილისში ვიზიტის დროს**

### „აჭარა", „კოლხეთი"

1950-იანი წლების ბოლოს, ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილებით დაიწყო თბილისის ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი სიახლეების შეტანა: განაშენიანება ტიპობრივი პროექტებით, ინდუსტრიული მეთოდებით, ასაწყობი კონსტრუქციებით. იმ პერიოდში აშენდა საბჭოთა წყობილების ყველაზე ცნობილი მონუმენტური ნაგებობები, მათ შორის, სასტუმროები – „კოლხეთი" და „აჭარა". „კოლხეთი" 1962 წელს აშენდა (არქიტექტორები თ. თევზაძე და ნ. ჯობაძე), ხოლო „აჭარა", რომელსაც ამჟამად „ჰოლიდეი ინი" ეწოდება, 1975 წელს არქიტექტორ მ. მელიას პროექტით აიგო.




**სასტუმრო „ჰოლიდეი ინი" (თანამედროვე ხედი)**

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები წიგნებიდან: დავით ხოშტარია, „თბილისის ძველი სასტუმროები" (გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2011); გ. ხუციშვილი, „ჩემო თბილის ქალაქო" (გამომცემლობა „სამშობლო," 1980).**

**დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ცუდი ენერგიის კონკრეტულ ადამიანზე მიმართვა და მისთვის ზიანის მიყენება ძალიან ადვილია, თუმცა, მისი განეიტრალება კი ყველას შეგვიძლია. როგორც ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნინო ამბობს, დღეს ძალიან მომრავლდნენ ბოროტი ადამიანები. ამას გაჭირვებულ ყოფას, აუწყობელ კარიერასა თუ პირად ცხოვრებას აბრალებენ, მაგრამ, ეს ასე არ არის. ასევე, ზოგჯერ ოჯახის ახალი წევრის დაბადებას, სიხარულის ნაცვლად, სამწუხაროდ, თან ცრემლი ახლავს. ეზოთერიკოსების აზრით, როდესაც ორსულ ქალს ბავშვის გაჩენა არ სურს და ის აბორტზე ფიქრობს, ბავშვში იდება უიღბლობისა და უბედობის კოდი, რომელიც შემდეგ მთელი სიცოცხლის განმავლობაში „მუშაობს“, რასაკვირელია, იმ შემთხვევაში, თუ ეს ბავშვი, ღმერთის წყალობით, ქვეყანას მოევლინა. ასეთ ადამიანებს ნაკლებად უმართლებთ, წარმატებების შანსიც ნაკლებად აქვთ და, კარგი გარეგნობის მიუხედავადაც კი, არც პირად ცხოვრებაში ულიმით ბედი.**

# როგორ ადამიანებს უმართლებთ ცხოვრებაში ნაკლებად და ვის აქვს წარმატებების ნაკლები შანსი



**ნინო**: როცა დედას ბავშვის გაჩენა არ სურს და ის აბორტზე ფიქრობს, ბავშვში იდება უიღბლობისა და უბედობის კოდი, რომელიც შემდეგ მთელი ცხოვრების განმავლობაში „მუშაობს“. ასეთ ადამიანებს ნაკლებად უმართლებთ და წარმატებების შანსიც ნაკლებად აქვთ. რასაკვირველია, მათ ცხოვრებაშიც არის ბედნიერი დღეები, მაგრამ, ეს დიდხანს არ გრძელდება.

**– ახალი სიცოცხლის დაბადება, ჩემი აზრით, ყოველთვის ბედნიერებასთან ასოცირდება, საინტრესოა, თუ დედა მოინანიებს მისი ორსულობის დროს აბორტზე ფიქრის ცოდვას, ასეთ შემთხვევაშიც უიღბლოა მისი შთამომავალი?**

– გეთანხმებით, ახალი სიცოცხლის დაბადება ყოველთვის დღესასწაულია, მაგრამ, ზოგჯერ, გარკვეული მიზეზების გამო, მშობლებს შვილის დაბადება არ სურთ, მაგრამ, ღმერთი მას არ წირავს, მაინც მოდის ამქვეყნად, თუმცა, მშობლის უაზრო და გაუცნობიერებელი ქცევის გამო, სამუდამო დაღი აქვს დასმული.

**– რას ნიშნავს მშობლის გაუთვალისწინებელი ქცევა და რა კავშირი აქვს მას ბავშვის ბედთან?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, პირდაპირი კავშირი აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე არავინ ფიქრობს. დედის ორგანიზმშივე დაბინძურებული ენერგეტიკა ადამიანზე მთელი ცხოვრების განმავლობაში მოქმედებს. ბავშვებს, რომელთა დაბადებაც არ სურდათ, კოდად აქვთ ჩადებული უიღბლობა, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება, მარტოობა და გაჭირვება. ამას ისინი აქტიურად ებრძვიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ, უშედეგოდ.

**– ამ კოდის მოხსნა არ არის შესაძლებელი?**

– პარაფსიქოლოგიაში არსებობს ამ კოდის მოხსნის საშუალება, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, არადა, ეს მეთოდი აქტიურად ებრძვის ცუდს და იზიდავს კარგს ასეთ ადამიანებში. გასწავლით, როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევაში: უნდა აიღოთ ერთი მუჭა ხორბალი, დაყაროთ მიტკლის თეთრ ქსოვილზე და გადაახვიოთ. შემდეგ ის უნდა დაიდოთ საწოლში, ზეწრის ქვეშ, ისე, რომ ზურგით ეხებოდეთ. ეს ხორბალი ყოველ დილით უნდა გახსნათ, ხელიდან ხელში გადაყარ-გადმოყაროთ, რამდენიმე მარცვალი უნდა აიღოთ, ბინაში შესასვლელში დადოთ თეფშზე, დანარჩენი კი ისევ თეთრ ქსოვილში შეახვიოთ და საწოლში ჩადოთ.

**– თეფშზე რატომ უნდა დავალაგოთ რამდენიმე მარცვალი და ბინის შესასვლელში რატომ დავდოთ?**

– ის თეფში სახლის შესასვლელში იმიტომ უნდა დადგათ, რომ ზედ ხორბლის მარცვლების დაწყობით ბარაქისა და ბედის კოდი ნელ-ნელა გაააქტიუროთ. არ დაგავიწყდეთ, რომ თეფშზე ჯერ სველი ბამბა უნდა დააფინოთ თხელ ფენად და შემდეგ ყოველდღე უმატოთ ხორბლის მარცვლები, რომლებიც ჯეჯილად ამოვა და ნახავთ, რა შედეგს მოგიტანთ. სულ რომ ამოიწურება ქსოვილში ხორბლის მარაგი, ის ქსოვილი თეფშს ქვეშ დაუფინოთ. ასე მოიქეცით წელიწადში ოთხჯერ, ანუ წლის ოთხივე პერიოდში და ბარაქა და წარმატება მალე მოვა თქვენთან. ასე რომ, თუ თქვენს დაბადებას ახლობლები სიხარულით შეხვდნენ და დედის ალერსიც პირველივე წუთს იგრძენით, მაშინ ეს მეთოდი ძალიან მალე მოგიტანთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და კარიერაში; მაგრამ, თუ თქვენმა დაბადებამ ოჯახის წევრებს პრობლემა შეუქმნა, ეს მეთოდი ნელ-ნელა, ეტაპობრივად იმოქმედებს თქვენზე: იგრძნობთ, რომ უფრო თავდაჯერებული გახდით, ახლობლების ყურადღებასაც მეტად იგრძნობთ. მომავალი გიჩვენებთ ყველაფერს, მთავარია, გულით გინდოდეთ და გწამდეთ იმის, რისთვისაც იბრძვით ცხოვრებაში.

**კარგია, თუ სახლის ფანჯრის რაფაზე თქვენსავე დათესილ ხორბალს გაახარებთ, რადგან ეს ბარაქის მოზიდვის სიმბოლოდ აღიქმება**

**– სხვათა შორის, ხორბლის მაგიურ თვისებებზე არაერთ წიგნში წამიკითხავს.**

– დიახ, ეზოთერიკულ წიგნებში ამაზე ბევრი წერია. მაგალითად, კარგია, თუ სახლის ფანჯრის რაფაზე თქვენსავე დათესილ ხორბალს გაახარებთ – ეს ბარაქის მოზიდვის სიმბოლოდ აღიქმება. ის, ასევე, ოჯახის შესანარჩუნებლად და მეუღლესთან ჰარმონიული ურთიერთობის დასამყარებლად არის კარგი. ხორბლის ენერგეტიკა, მერწმუნეთ, აუცილებლად დაგეხმარებათ ოჯახური პრობლემების მოგვარებაში. თუ მატერიალური დოვლათის მოზიდვა გსურთ სახლში, ხორბლით სავსე ჭურჭელში ჩაყარეთ ხურდა ფული, ცოტა შაქარი ჩაუმატეთ, ასევე, ჩადეთ ერთი ცალი წითელი ვაშლი და დადგით სასტუმრო ოთახში იმ მხარეს, საიდანაც სინათლის სხივი შემოდის, ოღონდ, ეცადეთ, მას უცხო ადამიანის ხელი არ შეეხოს. პარაფსიქოლოგიაში ვაშლი ნაყოფიერების სიმბოლოა, შაქარი – ოჯახური სიამტკბილობის, ხურდა ფული – სიმდიდრის, ხოლო ხორბალი – ამ ყველაფრის ერთად. ასე რომ, ეს საკმაოდ მარტივი გასაკეთებელია და, დამიჯერეთ, ცდა მაინც ღირს.

**– ეზოთერიკოსები და პარაფსიქოლოგები ამბობენ, რომ მუცლად ყოფნის დროს ადამიანი გარკვეულ ვალდებულებებს იღებსო. ანუ, მათი მოსაზრებით, ადამიანი გარკვეული პროგრამით იბადება ამქვეყნად. ეს ასეა?**

– დიახ, ნებისმიერი ადამიანი გარკვეული კარმით, ანუ პროგრამით იბადება ამქვეყნად. ამ დროს ყველას აქვს თავისი სულიერი ენერგიის გარკვეული მარაგი, რომელსაც საკუთარი კარმული ამოცანისთვის იყენებს. ასეთი ენერგიის ნაწილი იხარჯება ოჯახის შექმნაზე, სიყვარულზე, პროფესიულ საქმიანობაზე და ასე შემდეგ. ანუ, ის ადამიანის თითქმის ყველა სფეროზე ნაწილდება. ის პროპორციები კი, რომელთა მიხედვითაც ენერგია ნაწილდება სხვადასხვა სფეროზე, ინდივიდუალურია. ის ემორჩილება საერთო კანონებს და იწერება სულის მომავალი ცხოვრების სცენარი, რომელშიც მხოლოდ განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი მომენტებია დაფიქსირებული. როგორც კი სცენარი გამზადდება, სული მშობლების ძებნას იწყებს. გაუგებარი რომ არ იყოს, უფრო კარგად განგიმარტავთ: მოკლედ, შვილები მომავალ მშობლებს თავად ირჩევენ. მაგალითად, სული, რომელიც ხელოვნებისკენაა მიდრეკილი, ამავე მიდრეკილების მშობლებს ირჩევს. ყველა სული ცდილობს, იმ ოჯახში დაიმკვიდროს ადგილი, სადაც მის ინტერესებს გაითვალისწინებენ მომავალში.

**ნონა დათეშიძე**

# ქალები და მამაკაცები

მამაკაცი და ქალი ორი ერთმანეთისგან განსხვავებული არსებაა. მართალია, ორივე ადამიანია, მაგრამ, ბუნებამ ისე მოაწყო, რომ მათ ერთმანეთი შეევსოთ. არ გჯერათ? – ვნახოთ ფაქტები...

თუმცა, სანამ ფაქტებს წაიკითხავდეთ, აღიარეთ: ქალების უმრავლესობა უკვე ბავშვობაში ხვდება, რომ განსხვავება სქესებს შორის თვალშისაცემია, მეცნიერები კი ამ განსხვავებებს ითვლიან და საზოგადოებას აცნობენ:

* მოზრდილი ქალის ტვინი 200 გრამით უფრო მსუბუქია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მამაკაცი ქალზე ჭკვიანია. ასე რომ იყოს, გორილა გენიოსი იქნებოდა – მისი ტვინი ხომ ყველა არსების ტვინზე (მამაკაცისაზეც) ბევრად მძიმეა.

* ქალები ნაკლებად ოფლიანობენ, თავს კი მეტად უვლიან.

* ქალები ნაკლებად აგრესიულები, ნაკლებად ბოღმიანები და შურისმაძიებლები არიან. საქმე ტესტოსტერონშია, რომელსაც კაცის ორგანიზმი ათჯერ მეტს გამოიმუშავებს. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გაამწარო ქალი, რომ მან თავში ლარნაკი გესროლოს.

* ქალი არასდროს ლაპარაკობს მხოლოდ ყურადღების მისაქცევად ისეთ საკითხებზე, რაც არ ესმის, ანუ, რაშიც კომპეტენტური არ არის. მამაკაცი პირიქით იქცევა.

* სამწუხარო ფაქტია ის, რომ მთელ მსოფლიოში შიდსის ვირუსით ქალების დაავადების რიცხვი 2,5-ჯერ მეტია. იმიტომ, რომ, უსაფრთხო სექსის დროსაც კი, მათ დაავადების შანსი მეტი აქვთ.

* მამაკაცს ყოველდღიურად ქალზე 700 კილოკალორიით მეტი საკვები სჭირდება, იმ მიზეზით, რომ მამაკაცის სხეულის ტემპერატურა მაღალია, ხოლო ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა – დაჩქარებული.

* ქალის კანი მამაკაცის კანზე ადრე ბერდება. ქალის კანის ზედა შრე – ეპიდერმისი – გაცილებით მგრძნობიარეა გარეშე ფაქტორების მიმართ. ამიტომაც, ქალის კანს მუდმივი მოვლა სჭირდება.

* მამაკაცების 44 პროცენტი საერთოდ ვერ ხედავს საკუთარ ნაკლს, ქალების უმრავლესობა კი მეტისმეტად კრიტიკულად აფასებს თავის გარეგნობას.

* თუ ქალი საუბრისას გეუბნებათ – „დიახ“! ეს ნიშნავს, რომ გისმენთ. რასაც ვერ ვიტყვით მამაკაცზე. ისინი ძალიან იშვიათად უსმენენ მოსაუბრეს, მით უმეტეს – ქალს.

***P.S. ახლა თქვენ გადაწყვიტეთ: შეიძლება, ოდესმე, კონკრეტულ სიტუაციაში, ერთნაირად ვიმოქმედოთ?!***

# ფსიქოლოგია და სხვა არაფერი...

ბავშვთა ფსიქოლოგების უმრავლესობას აქვს მოსაზრება, რომ გოგონები ბიჭებზე გაცილებით დამჯერი და ყურადღებიანები არიან. თანაც, ბიჭუნები ხშირად სრულიად დაუფიქრებლად მოქმედებენ, რაშიც დამნაშავე ტესტოსტერონია. ფსიქოლოგებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს ისიც, რომ ქალები უფრო ხშირად არიან ღალატის ინიციატორები, თუმცა, მიზეზი ძირითადად მამაკაცშია. განქორწინებული ქალბატონები ორჯერ უფრო სწრაფად პოულობენ ახალ პარტნიორებს. მამაკაცები მძიმედ იტანენ რადიკალურ ცვლილებებს და ადვილად ვერ ეგუებიან ახალ გარემოს.

მამაკაცები ნუ განაწყენდებიან, მაგრამ, ქალებს მეტად უყვართ კითხვა: ქალების 53 პროცენტი ნაკითხია, მაშინ, როცა კაცებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 27 პროცენტს აღწევს.

ქალები ხშირად იცინიან და მოსაუბრეს ყოველთვის თვალებში უყურებენ. მამაკაცების უმრავლესობა ლაპარაკისას მზერას აგარიდებთ – შეიძლება, ისინი ტყუიან უფრო ხშირად, ან, თითქმის ყოველთვის.

მამაკაცებს აქვთ მათემატიკური ნიჭი – ისინი ამ საქმეში ქალებს აშკარად უსწრებენ. აუტიზმითაც მამაკაცები ოთხჯერ უფრო ხშირად ავადდებიან. ტყუილია, თითქოს ქალი სკანდალებისკენ იყოს მიდრეკილი. ქალი ყველაზე მეტად აფასებს სიმშვიდეს, სტაბილურობასა და ჰარმონიას.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომელსაც ადასტურებენ ფსიქოლოგები: პარტნიორის მაღალი ინტელექტი, თუნდაც მხოლოდ სექსუალური ურთიერთობისთვის, აუცილებლად სჭირდება ქალს, და არა მამაკაცს.

# მამაკაცის სისუსტე...

მამაკაცები ამტკიცებენ, რომ პრაგმატულები და რაციონალურები არიან; რომ მათი ყველა ნაბიჯი კარგად აწონილი და გააზრებულია და, ამიტომაც, ცხოვრებაში ნაკლებ შეცდომებს უშვებენ. ძლიერი სქესიც ხომ თვითონ დაირქვეს! ვერ იპოვით მამაკაცს, რომელიც მარტივად და თავისი ნებით აღიარებს, რომ შეცდა, აღარაფერს ვამბობთ დანაშაულის აღიარებაზე. სამართალთანაც ხომ ძირითადად კაცებს აქვთ პრობლემები და არა ქალებს.

რომელი ქალი გაჰყვება ცოლად მამაკაცს მარტო იმიტომ, რომ მას გრძელი ფეხები აქვს?! პარტნიორის გარეგნობას ქალებისთვის ნაკლებად აქვს მნიშვნელობა. ვერაფრით ვერ იქნება ქალის სისუსტე კაცის მკერდი, მაშინ, როცა მამაკაცის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სისუსტედ სწორედ ქალის მკერდი მოიაზრება და ზოგჯერ სერიოზული პრობლემების მაპროვოცირებელიც არის. საწყალი კაცები! ისინი რომანტიკას უკანალშიც კი ხედავენ... შეიძლება, ამიტომაც, ხშირად აქვთ დეპრესია და აპათიაც ეუფლებაც, თანაც, მამაკაცის დეპრესია ქალისაზე დიდხანს გრძელდება – ისინი ხომ შოპინგის – ამ ქალური თერაპიის მიმართ გულგრილნი არიან! ერთი სიტყვით, თუ ჩავუღრმავდებით, შეიძლება, ქალებს მამაკაცები გადასარჩენიც კი გაგვიხდეს. ცუდი ის არის, რომ ისინი ჩვენს უპირატესობებს არასდროს აღიარებენ და... ესეც მამაკაცური სისუსტეა.

# სიმართლე სიმართლისათვის

შოპოჰოლიზმი ქალებს სისხლში აქვთ – ჯობია, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ. სოციალურმა კვლევებმაც კი აჩვენა, რომ 17-დან 24 წლამდე ასაკში ქალბატონი თავის კარადას 144 ნივთით მეტით ავსებს, ვიდრე მამაკაცი. ანუ, მამაკაციც ყიდულობს თავისთვის სამოსს, მაგრამ, გაცილებით ნაკლებს. ფაქტია ისიც, რომ საყიდლებზე სიარული ქალებს ამშვიდებს, კარგ გუნებაზე აყენებს, ახალისებს... მამაკაცებს კი, შეიძლება, ნერვებიც მოეშალოთ.

მიზეზი მარტივია – ქალს აქვს განახლების სურვილი, თანაც, აქვს მუდმივად და ყველაფერში, მამაკაცი კი ზარმაცია, ქალზე მეტად კონსერვატორი და ცვლილებები აფრთხობს. კაცი სტილსაც ნაკლებად იცვლის, ისიც, ან ქალის ძალდატანებით, ან გარემო პირობებიდან გამომდინარე. კიდევ არის რაღაც „სიმართლეები“, რომლებიც უნდა ვიცოდეთ და მივიღოთ, როგორც ფაქტი:

* მამაკაცებს შორის ორჯერ მეტია „ცაცია“;

* ქალები სიცოცხლის განმავლობაში მამაკაცებთან შედარებით 20 პროცენტით მეტ ფულს ხარჯავენ;

* მამაკაცების უმრავლესობა, მთელ მსოფლიოში, უპირატესობას ანიჭებს ლურჯსა და ცისფერს, ქალებში კი პოპულარული მწვანე და ვარდისფერია.

* სუსტი სქესის უპირატესობა მისი თანდაყოლილი კანონმორჩილებაა. მთელ პლანეტაზე ყოველ 10 გასამართლებულზე მხოლოდ ერთია ქალი. დანარჩენი ცხრა კი – მამაკაცი.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# რამდენ მილიონ დოლარს შეადგენს ჯენიფერ ენისტონის ჰონორარი და რატომ დაშორდა ის ბრედ პიტს

***„ჩვენ ვართ მილერების" კინოეკრანებზე გამოსვლისთანავე კინოკრიტიკოსებმაც და რიგითმა კინომოყვარულებმაც აღიარეს, რომ ჯენიფერ ენისტონი ზესექსუალურ ფორმაშია და 44 წლის ასაკში არაფრით ჩამოუვარდება 20 წლის „ვიქტორიას სეკრეტის" მოდელებს. ენისტონს კარიერაში ახალი პერიოდი დაუდგა და, საინტერესო იქნება, ამ მსახიობის ცხოვრების საინტერესო დეტალებს გავეცნოთ.***

* ჯენიფერ ენისტონი დაიბადა 1969 წლის 11 თებერვალს, ქალაქ შერმან-ოუქსში, კალიფორნიის შტატში. მისი მშობლები, ჯონ ენისტონი და ნენსი დოუ პროფესიით მსახიობები არიან. ჯენიფერის მამა წარმოშობით ბერძენია, კუნძულ კრეტადან და მისი ნამდვილი სახელი და გვარია იანის ანასტასაკისი, ხოლო დედა იტალიელი და შოტლანდიელი ემიგრანტების შთამომავალია. ჯენიფერს ჰყავს ორი ძმა: ჯონ მელიკ და ალექს ენისტონები. ცნობისთვის, ჯენიფერის ნათლია იყო ცნობილი ამერიკელი მსახიობი, ჯეიმს ბონდის მოწინააღმდეგის როლის შემსრულებელი გახმაურებულ „ბონდიანაში" და ვესტერნ „მაკენას ოქროში" უარყოფითი პერსონაჟის როლით განთქმული ტელი სავალასი.



* როდესაც ჯენიფერი 9 წლის იყო, მისი მშობლები დაშორდნენ. ჯენიფერი დედასთან დარჩა, თუმცა, ხშირად ჩადიოდა სტუმრად მამასთან ლოს-ანჯელესში, სადაც ის მთავარ როლს ასრულებდა სერიალში „ჩვენი ცხოვრების დღეები". 11 წლის ასაკში ჯენიფერმა რუდოლფ შტაინერის დრამატულ წრეში დაიწყო სამსახიობო კარიერა, ხოლო 1987 წელს სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის „ლა გუარდიას" ხელოვნების სკოლაში, რასაც მოჰყვა დებიუტი ბროდვეის სცენაზე. იმ პერიოდში ჯენიფერი კურიერად და სატელეფონო მარკეტოლოგად მუშაობდა, რათა სწავლის საფასური გადაეხადა.

* 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანის დასაწყისში ენისტონი ჰოვარდ სტერნის პოპულარული რადიოგადაცემის მუდმივი სტუმარი იყო. 1990 წელს ის ჰოლივუდში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც დაიწყო კიდეც კინოკარიერა, თავდაპირველად დაბალბიუჯეტიან საშინელებათა ჟანრის ფილმებში, „ლეპრეკონსა" და სხვა და ტელესერიალებში. წარუმატებლობის გამო ჯენიფერი კინოკარიერის დასრულებაზე ფიქრობდა და, 1994 წელს, როგორც თვითონ ამბობს, თავის უკანასკნელ ქასთინგზე წავიდა და უარის შემთხვევაში სახლში დაბრუნებას აპირებდა. ქასთინგს ტელეარხი „ენბისი" ატარებდა და მსახიობების შერჩევა მიმდინარეობდა ტელესერიალისთვის „მეგობრები". ამ სერიალით ჯენიფერ ენისტონი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. „მეგობრები" 1994-2004 წლებში გადიოდა ეთერში და მას მილიონობით მაყურებელი ჰყავდა, ენისტონის გმირს კი – თაყვანისმცემელთა მთელი არმია. მსახიობი რამდენჯერმე იყო წარდგენილი პრესტიჟულ „ემის" ჯილდოზე, ხოლო ბოლო ორ სეზონში ერთ სერიაში ჰონორარის სახით ერთ მილიონ დოლარს იღებდა, რაც იმ დროისთვის წარმოუდგენლად დიდი ანაზღაურება იყო.

* წარმატებული ტელეკარიერის პარალელურად, ჯენიფერ ენისტონი ჰოლივუდის ნამდვილ ვარსკვლავად ჩამოყალიბდა, 2000-იან წლებში მის ფილმოგრაფიაში რამდენიმე – წარმატებული პროექტი ფიგურირებს, ძირითადად კომედიები ან მელოდრამები: „მარლი და მე", „განქორწინება ამერიკულად", „აი, პოლიც", „თავებზე მონადირეები", „უვარგისი ბოსები" და სულ ახლახან კინოეკრანებზე გამოსული – „ჩვენ ვართ მილერები", რომელმაც კრიტიკოსების მოწონება და დადებითი რეცენზიები დაიმსახურა.

* სხვადასხვა დროს ჯენიფერ ენისტონის პარტნიორები გადასაღებ მოედანზე იყვნენ ჰოლივუდის ნომერ პირველი მამაკაცი მსახიობები: კოლინ ფარელი, ოუენ ვილსონი, ბენ აფლეკი, ჯერარდ ბატლერი, კევინ სპეისი, ჯეისონ ბეიტმენი.

* ჯენიფერ ენისტონის პირველი აგენტი, მსახიობის თქმით, მომთხოვნი იყო, ის მუდმივად აკონტროლებდა თავის კლიენტს. ერთხელ მას აგენტმა აიძულა, დაეკლო 10 კილოგრამი, რათა როლი მიეღო ტელესერიალში.

* თავისი გმირის, რეიჩელ გრინის მსგავსად, ტელესერიალში „მეგობრები", ჯენიფერ ენისტონი გარკვეული პერიოდი ოფიციანტად მუშაობდა მანჰეტენზე ერთ-ერთ რესტორანში.

* ჯენიფერ ენისტონის თქმით, სერიალ „მეგობრების" რამდენიმეწამიანი შესავლის გადაღება შადრევანთან 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

* ყველაზე მეტად ჯენიფერ ენისტონს არ უყვარს საუბარი თავის სხეულსა და ვარცხნილობაზე. ცნობილია, რომ, ვარხნილობა, რომელიც მას სერიალ „მეგობრებში" აქვს და რომელსაც უამრავი მიმბაძველი აღმოუჩნდა, შემთხვევით გაიკეთა – მის სტილისტს, უბრალოდ, ხელი აუცურდა და ელექტროსაპარსით თმა გადაპარსა.

* ბავშვობისას ჯენიფერს კლასიკური ბერძნული (კეხიანი) ცხვირი ჰქონდა, თუმცა, მოგვიანებით მან რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა.

* ჯენიფერ ენისტონი ანტიკვარიატის კოლექციონერი და მოყვარული მხატვარია. ის 11 წლის ასაკიდან ხატავს აკვარელით.

* მსახიობს ყველაზე მეტად ფრენის შიში აქვს და ცდილობს, თვითმფრინავებით არ ისარგებლოს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ისიც, თუკი მატარებელი ან ხომალდი დანიშნულების ადგილზე არ მიიყვანს დანიშნულ დროს.

* ჯენიფერს არ ჰყავს საკუთარი შვილი. ბრედ პიტთან ცხოვრების პერიოდში ის ორჯერ იყო ფეხმძიმედ, თუმცა, ორივეჯერ უშედეგოდ.

* ჯენიფერ ენისტონმა და ბრედ პიტმა ერთმანეთი 1998 წელს წვეულებაზე გაიცნეს. არსებობს ვერსია, რომ შეხვედრის ორგანიზატორი ჯენიფერის აგენტი იყო. მათი რომანი 1999 წელს დაიწყო და 2000 წელს ქორწინებით დაგვირგვინდა. ბრედისა და ჯენიფერის ოჯახი ერთ-ერთ ყველაზე მყარ ვარსკვლავურ ოჯახად ითვლებოდა, სანამ 2005 წელს ბრედმა არ გაიცნო ანჯელინა ჯოლი ფილმ „მისტერ და მისის სმიტების" გადასაღებ მოედანზე. ოფიციალურად ბრედი და ჯენიფერი 2005 წელს გაიყარნენ და მიზეზად ხასიათების შეუთავსებლობა დასახელდა, თუმცა, სინამდვილეში, ჯენიფერმა აღიარა, რომ არ აღმოჩნდა მზად საოჯახო ცხოვრებისთვის, ხოლო ბრედს შვილები უნდოდა.

* ჯენიფერ ენისტონს მხოლოდ ერთი ტატუირება აქვს – ფეხზე თავისი ძაღლის სახელი „ნორმანი" აწერია. ძაღლი 2011 წელს მოკვდა და მსახიობმა მძიმედ განიცადა საყვარელი ცხოველის დაკარგვა.

* სხვადასხვა დროს ჯენიფერ ენისტონი ხვდებოდა მუსიკოს ადამ დიურიცას, მსახიობ ტეიტ დონოვანს. 2011 წლიდან ჯენიფერი მსახიობსა და რეჟისორ ჯასტინ ტერუს ხვდება.

* 1997 წელს ჯენიფერ ენისტონი ჯეიმს კამერონის ფილმ „ტიტანიკში" როუზის როლზე ისინჯებოდა, თუმცა, საბოლოოდ როლი ქეით უინსლეტს შეხვდა.

* ჯენიფერი ტრანსცედენტური მედიტაციის მიმდევარია.

* ჯენიფერ ენისტონის ჰონორარი ერთი ფილმისთვის 6-10 მილიონ ამერიკულ დოლარს შორის მერყეობს.

* ვარსკვლავის საუკეთესო მეგობარია მისი პარტნიორი სერიალში „მეგობრები" – კორტნი კოქსი.

* ცნობილია, რომ ბრედ პიტთან გაყრის შემდეგ ჯენიფერ ენისტონი დეპრესიაში ჩავარდა და ფსიქოანალიტიკოსთან მკურნალობდა. დაშორებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის მიუხედავად, ჯენიფერი დღემდე გაურბის ანჯელინა ჯოლისთან შეხვედრებს. ცნობილია, რომ რამდენიმე ხნის წინ ჯენიფერს ლონდონის მიმართულებით ვიპ-რეისით უნდა ემგზავრა, თუმცა, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ბორტზე ანჯელინა ჯოლიც უნდა ყოფილიყო, სასწრაფოდ გადაცვალა ბილეთი და ჩვეულებრივი რეისით გაფრინდა. ამბობენ, რომ ჟურნალ-გაზეთებში ბრედისა და ანჯელინას საერთო შვილებთან ერთად გადაღებული ფოტოს ნახვის შემდეგ ჯენიფერ ენისტონის თვალებზე ცრემლი ჩნდება.

**უშანგი რუხაძე**




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..................................

მარიკა 599 24 28 31

# როგორ დაიჭრა ფრონტის წინა ხაზზე სტალინი

1944 წლის 29 მარტს დიდი ბელადი, გიორგი ჟუკოვის თანხლებით, პირველი უკრაინული ფრონტის სამეთაურო პუნქტს ეწვია დასავლეთ უკრაინაში, რათა ადგილზე გაცნობოდა ჩვენი სახელოვანი არმიის წარმატებულ წინსვლას, თან ფაშისტ ოკუპანტთა უკუსვლისთვის შეევლო თვალი. ჩვენი ფორტ-პოსტი ლვოვთან ახლოს, სულ ახლად გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. იქ ჯერ კიდევ გაუნადგურებელი ნაციონალისტი უკრაინელების ბანდები დაძრწოდნენ და ზოგჯერ ფაშისტური ავიაციის თვითმფრინავებიც ახერხებდნენ იმ ზონაში შეჭრას. ფაქტობრივად, ფრონტის წინა ხაზზე გამგზავრების გადაწყვეტილება დიდმა ბელადმა ორი დღით ადრე მიიღო და მიუხედავად ჩვენი (დაცვის) და ბერიას დაჟინებული თხოვნისა, გადაეფიქრებინა გამგზავრება, მან თავისი გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სტალინს სიტყვას ვერავინ უბრუნებდა და მასთან მსგავსი „პაექრობა“ ცეცხლთან თამაშის ტოლფასი იყო. თუმცა, ასეთი რამ მაინც მომხდარა და ეს ყოველივე, დიდი ბელადის პირადი უსაფრთხოების გამო. 2 მარტს, მას შემდეგ, რაც სტალინმა გამგზავრების ბრძანება გასცა, ბერიასა და დიდ ბელადს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: „ამხანაგო სტალინ, იქ (იგულისხმება დასავლეთი უკრაინა) ჯერ კიდევ ბანდები დაძრწიან და მიუხედავად ჩვენი უპირატესობისა, კვლავ საშიშია გამგზავრება. ამიტომ, კატეგორიულად მოგიწოდებთ, უარი თქვათ და სხვა ვინმე გააგზავნოთ“. სტალინს ჩაეღიმა (ეს საუბარი დიდი ბელადის კაბინეტში მიმდინარეობდა), ჩიბუხი დატენა, შემდეგ გააბოლა და კარგა ხნის პაუზის შემდეგ თქვა: „ლავრენტი! კატეგორიული მოწოდება კარგა ხანია, არავისგან მომისმენია და სიმართლე გითხრა, ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში ისე ცოტა იყო, რომ ცალი ხელის თითებზე დაეტევა“. ბერია გასუსული უსმენდა დიდ ბელადს. თუმცა, სახეზე არამცთუ შიში, ოდნავი დაბნეულობაც კი არ შეინიშნებოდა. სტალინი განაგრძობდა: „ნუთუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის მეთაური მხოლოდ საკუთარი კაბინეტიდან უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენს ასევე, ძლევამოსილ წინსვლას? მას უფლება არ აქვს, საკუთარი თვალით იხილოს ის პროცესი, რომელსაც მთელი ომის განმავლობაში ასე მოუთმენლად ელოდა?“ ბერიას წარბიც არ შეუხრია, ჯიუტად კვლავ განაგრძო: „ამხანაგო სტალინ, სწორედ ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვების გამო გთხოვთ, უარი განაცხადოთ იმ სახიფათო ზონაში გამგზავრებაზე და აქედან გააგრძელოთ მეთაურობა. მით უმეტეს, რომ თქვენი იქ ჩასვლა, მაინც შეუმჩნეველი დარჩება ჯარისკაცებისთვის და არანაირ მორალურ ეფექტს არ მოიტანს“. სტალინს კვლავ გაეღიმა, თუმცა, ეგრევე არ უპასუხა და მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თქვა: „მე ასე არ ვფიქრობ. დარწმუნებული ვარ, როცა ჩვენს ძლევამოსილ ჯარისკაცებს სიტყვით მივმართავ, მათ არ უნდა გაუჭირდეთ ჩემი ცნობა“. ბერია, რომელსაც აქამდე აღელვება არ ეტყობოდა, ერთბაშად წამოწითლდა, შემდეგ მარცხენა წარბი ნერვიულად აუთამაშდა და ჩაილაპარაკა: „ამხანაგო სტალინ! ჩვენო დიდო მამაო! სწორედ რომ, ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვების გამო არ შეიძლება, თქვენ ასეთი გაუმართლებელი რისკი გაწიოთ. მიუხედავად თქვენდამი უზომო სიყვარულისა და მორჩილებისა, ჩვენ (იგულისხმება „ჩეკა“, რომელსაც მეთაურობდა ბერია და ფორმალურად სტალინის დაცვაც მას ექვემდებარებოდა) იძულებული ვართ, თქვენს ბრძანებას არ დავემორჩილოთ და დასავლეთ უკრაინაში თქვენს გამგზავრებას შევეწინააღმდეგოთ“. სტალინი, რომელიც თითქმის ყოველთვის ინარჩუნებდა აბსოლუტურ წონასწორობას, ბერიას სიტყვებმა გააღიზიანა. სიბრაზისგან გაფითრდა, თუმცა უცებვე დაიოკა ვნება და სავსებით მშვიდად მიუგო: „ლავრენტი! ჩემი სიტყვა საბოლოოა, მას მე არ შევცვლი და ქვეყანა რომ დაინგრეს, მაინც უნდა გავემგზავრო“. დიდი ბელადის ეს სიტყვები იმდენად შეუვალი იყო, ბერიას მთელი სიმტკიცე და სიტყვის შებრუნების ყოველგვარი ხალისი წამშივე დაეკარგა. თუმცა, შეპასუხება უკანასკნელად მაინც სცადა: „ამხანაგო სტალინ! ჩვენ (იგულისხმება „ჩეკა“) კანონიერი უფლება გვაქვს, გავაუქმოთ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც თქვენს უსაფრთხოებას ემუქრება და ამგვარად...“ სტალინმა ბერიას უხეშად შეაწყვეტინა: „ამგვარად, თქვენ მიიჩნევთ, რომ უფლება გაქვთ, მთავარსარდლის ბრძანება გააუქმოთ და საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოთ, არა?“ სტალინმა პაუზა გააკეთა, ჩიბუხი დატენა, შემდეგ გააბოლა და კაბინეტში კარგა ხნის სიარულის შემდეგ ჩაილაპარაკა: „ლავრენტი! მე მესმის შენი, მესმის, რომ მართლაც ქვეყნის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავ, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიცვლება. ასე რომ, ჯობია, გასამგზავრებლად გაემზადო და საერთო უსაფრთხოებაზე იზრუნო, ხოლო ჩემზე კი ღმერთი გაირჯება...“ ბერიამ თვალები გადმოკარკლა. სტალინის ბოლო ფრაზამ: ჩემზე ღმერთი იზრუნებსო, მას არამცთუ სმენა, არამედ ცნობიერებაც მოსჭრა. სტალინმა მშვენივრად შენიშნა ბერიას ეს მეტამორფოზა და ჩაეღიმა: „ლავრენტი! ნუ დაგავიწყდება, რომ მე ძველი სემინარიელი ვარ. დედაჩემს კი სიცოცხლის ბოლო წუთამდე უნდოდა, რომ მე გენერალური მდივნის თანამდებობა მღვდლობაზე გამეცვალა და ღვთის გზას დავდგომოდი...“

ამგვარად, 29 მარტს, დილის 7 საათზე, სტალინი და პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი დასავლეთ უკრაინაში გაფრინდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჟუკოვისა და ბერიას საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე, დასავლეთ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩატარდა, რათა იქაურობა (იგულისხმება ის კვადრატი, სადაც სტალინი უნდა ჩასულიყო) ასი პროცენტით გაეწმინდათ დარჩენილი მტრისგან. მათი, ეს ერთობლივი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების ზომების გასაძლიერებლად იყო მიღებული და მხოლოდ კეთილი ნებით ნაკარნახევი. გარდა ამისა, გაძლიერდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, რათა არც ერთ ფაშისტურ თვითმფრინავს იქ რეიდი არ განეხორციელებინა. ერთი სიტყვით, ფაქტობრივად, ნებისმიერი შემთხვევითობა გამოირიცხა და დიდი ბელადის ჩასვლას ფრონტის წინა ხაზზე როგორც უშიშროება, ასევე სამხედროები, დამშვიდებული შეხვდნენ. ზუსტად 13.00 საათზე მთელი ჩვენი დელეგაცია უკვე დასავლეთ უკრაინაში, მთავარ სამეთაურო პუნქტზე იმყოფებოდა. მეორე დღისთვის, 30 მარტს, დანიშნული იყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომელიც მთელი ფრონტით შეტევას ისახავდა მიზნად და სტალინი სწორედ ამისთვის ჩავიდა იქ. ეს ოპერაცია ღამის 02.00 საათზე უნდა დაწყებულიყო. 13 საათი გვქონდა იმისთვის, დეტალურად გავცნობოდით მომზადების პროცესს. დიდი ბელადი, დურბინდით ხელში, ძალიან ყურადღებით აკვირდებოდა მტერს და რამდენიმე შენიშვნაც კი მისცა ჩვენს სამხედრო ხელმძღვანელობას. საღამოს 22.00 საათზე, იმ დროს, როდესაც შეტევის დაწყებამდე მხოლოდ ოთხი საათი რჩებოდა, უეცრად, ცაში ასობით ფაშისტური „მესსერშმიდტი“ გამოჩნდა და ჩვენი გაძლიერებული საჰაერო თავდაცვის ძალისხმევის მიუხედავად, ჩვენი პოზიციების მასირებული დაბომბვა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამეთაურო პუნქტის პოზიციები საიმედოდ იყო გამაგრებული და თავშესაფარი მიწაში საკმაოდ ღრმად იყო (სპეციალურად სტალინის ჩამოსვლის წინ გაამაგრეს), იმდენად მოულოდნელი და მასირებული გამოდგა ეს ფაშისტური თავდასხმა, რომ ჩამოგდებული ბომბები სტალინის თავშესაფარსაც კი მისწვდა. დიდი ბელადი მარცხენა მხარში დაიჭრა. ბეტონის სარკოფაგში ჩასმული მიწური ტყის პირას მდებარეობდა და, ერთი შეხედვით, უსაფრთხო იყო. მაგრამ, „მესსერშმიდტების“ მიერ ნატყორცნმა ბომბებმა მისი მარჯვენა კიდე შეანგრია და მცირე ნამსხვრევებმა შეაღწია შიგნითაც. სტალინს იმ სეზონისთვის (ჯერ კიდევ ციოდა) შესაბამისი სქელი შინელი ეცვა და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჭრილობა უფრო მძიმე ხარისხის არ იყო. პირველადი დახმარება იქვე, მიწურში აღმოუჩინეს. ექიმმა თქვა, რომ უფრო კვალიფიციური დახმარება ესაჭიროებოდა და ბელადი სასწრაფოდ მოსკოვში გადავაფრინეთ. საგულისხმო ფაქტია, რომ სტალინის გადმოფრენა უწყვეტი ცეცხლის ქვეშ განხორციელდა. მოსკოვში ჩასვლისთანავე, დიდი ბელადი კრემლის კლინიკაში მოვათავსეთ. მას საკმაოდ დიდი რაოდენობით სისხლი (დაახლოებით 1 ლიტრი და 250 გრამი) ჰქონდა დაკარგული. მდგომარეობაც სახიფათო იყო აორტასთან გაჩხერილი ნაღმის ნამსხვრევი მართალია გულს არ ეხებოდა, მაგრამ ექიმებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ იუველირული სიზუსტით ემუშავათ. ნამსხვრევი ამოიღეს, მაგრამ დიდი ბელადი საკმაოდ სუსტად იყო და კლინიკაში 3 აპრილამდე გაჩერდა. თუმცა, მას არც გონება დაუკარგავს და არც მუშაობა შეუწყვეტია. სტალინი ყველაფერს საავადმყოფოდანაც აკონტროლებდა, მაგრამ წოლითი რეჟიმი ჰქონდა დანიშნული და ბოლოსდაბოლოს დაემორჩილა ექიმთა კატეგორიულ მოთხოვნას.

3 აპრილს ბერია და ჟუკოვი დიდმა ბელადმა პალატაში დაიბარა და განუცხადა: „ლვოვში მომხდარი ინციდენტი დაივიწყეთ, თქვენ არაფერ შუაში ხართ და როგორც ჩემი დაჭრა, ისევე გადარჩენა, ღმერთის ნება იყო...“ ბერიამ უკვე მეორედ მოისმინა სტალინის სიტყვები ღმერთზე და ჩუმად ჩაეღიმა. ჟუკოვი კი განცვიფრებული იდგა და ვერ გაერკვია, ხუმრობდა, თუ სერიოზულად საუბრობდა დიდი ბელადი. კრემლის კლინიკა მდინარის პირას იდგა. სტალინის პალატიდან გამოსული ჟუკოვი ისეთი დაძაბული იყო, რომ, როგორც კი საავადმყოფოს ტერიტორიას გამოსცდა, მდინარეში სამოსიანად გადაეშვა და გაგრილდა.



**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# რა პერიოდში ჯობია სასიყვარულო რომანის წამოწყება

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ყველა მოვლენას და მათ შორის, სასიყვარულო ურთიერთობებსაც, საკუთარი საწყისი წერტილი აქვს. ამ საწყის წერტილს ასტროლოგიაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი აკისრია, რადგან საკმაოდ საინტერესო და გამოსადეგი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. თუ იმ დღეს გაიხსენებთ, როცა პირველად შევხდით გულის სწორს და გაარკვევთ, იმ დროს მზე რომელ ზოდიაქოს ნიშანს გადიოდა, თქვენსა და თქვენი საყვარელი ადამიანის მომავალზე უფრო მეტს შეიტყობთ. ეს საკმაოდ მარტივი გასაკეთებელია. კერძოდ, თუ თქვენს პარტნიორს შეხვდებით:

***ვერძის*** ზოდიაქოში, ანუ 21 მარტიდან 20 აპრილამდე: სწრაფი და ნათელი ნაცნობობის დასაწყისია. თქვენ გმართებთ, გამოავლინოთ საკუთარი ინდივიდუალობა და ამის საშუალება პარტნიორსაც მისცეთ. ბევრს მიაღწევთ, თუ ერთი მიზანი გექნებათ. ნებისმიერი პარტნიორის მხრიდან მკვეთრ და იმპულსურ მოქმედებებს ნეგატიური შედეგი მოჰყვება. ნუ დაიწყებთ ეგოიზმის გამოვლენას, იფიქრეთ პარტნიორზეც.

***კუროს*** ზოდიაქოში, ანუ 21 აპრილიდან 20 მაისამდე: ემოციური და გრძნობისმიერი ურთიერთობების დასაწყისია. თქვენი მიზანია, ისწავლოთ ადამიანური სითბოს გამოვლენა რჩეულის მიმართ. არ დაიზაროთ და დაინანოთ კომპლიმენტები, ეს ხელს შეუწყობს თქვენი ურთიერთობის განმტკიცებას. ერთადერთი ნეგატიური ტენდენცია, რომელიც ამ პერიოდში დაწყებულ ურთიერთობებს უშლის ხელს, ესაა სიჯიუტე.

***ტყუპების*** ზოდიაქოში ანუ, 21 მაისიდან 20 ივნისამდე: ამ პერიოდში იმატებს მგზავრობისას ან ტელეფონით გაცნობის ალბათობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა ინტელექტუალურ დონეზე წარიმართება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ეს ყოველივე ზედაპირულ ხასიათს ატარებს. თუ რჩეულის დაკარგვა არ გინდათ, მაშინ კატეგორიულად გირჩევთ, მოერიდეთ ამავე პერიოდში ახალი ფლირტის დაწყებას.

***კირჩხიბის*** ზოდიაქოში, ანუ 21 ივნისიდან 22 ივლისამდე: ამ დროს დაწყებული ურთიერთობე ბის აბსოლუტური უმრავლესობა ოჯახის შექმნით მთავრდება. ნებისმიერი პირადი ნაცნობობა, შესაძლოა, ურთიერთსიმპათიასა და შემდეგ, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. იმ ადამიანებს კი, ვისთვისაც ფლირტი გართობაა, თავშეკავებას ვურჩევთ, რადგან ამას მათი ემოციური მხარის რღვევა მოჰყვება.

***ლომის*** ზოდიაქოში, ანუ 23 ივლისიდან 23 აგვისტომდე: შემოქმედი ადამიანებისთვის ეს იდეალური დროა სასიყვარულო ურთიერთობების წამოსაწყებად. თეატრში, კინოში, ბარში, რესტორანში, კონცერტებზე, ანუ სწორედ თავშეყრის ასეთ ადგილებშია დიდი ალბათობა იმისა, რომ მომავალი მეორე ნახევარი გაიცნოთ. თუ მასთან სიყვარულის გაგრძელებაზე სერიოზულად ფიქრობთ, მაშინ თქვენი გულის სწორი გაანებივრეთ საჩუქრებით. ეს თქვენს მომავალ ურთიერთობას უფრო მეტ რომანტიკულობას შესძენს.

***ქალწულის*** ზოდიაქოში, ანუ 24 აგვისტოდან 24 სექტემბრამდე: ზედმეტი თავმდაბლობა, კრიტიკულობა და ეჭვიანობა ის ტენდენციებია, რაც ამ პერიოდში წამოწყებულ ურთიერთობას უშლის ხელს. პარტნიორის მიმართ იყავით ყურადღებიანი, გააანალიზეთ და გათვალეთ ნებისმიერი წვრილმანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მომავალში პრობლემებს შეგიქმნით. რჩეულის წინაშე იყავით მეტად მოწესრიგებული.

***სასწორის*** ზოდიაქოში, ანუ 24 სექტემბერიდან 23 ოქტომბრამდე: ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობები ვერ იტანს უხეშობას – ორივე პარტნიორის მხრიდან მოითხოვს სიმშვიდისა და დელიკატურობის გამოვლენას. ამ დროს ნებისმიერი წამოწყება და ინიციატივა პარტნიორს უნდა მიანდოთ. შეეცადეთ, თავს არ მოახვიოთ თქვენი იდეები.

***მორიელის*** ზოდიაქოში, ანუ 24 ოქტომბრიდან 21 ნოემბრამდე: ეს პერიოდი ძირითადად ვნებიანი და სექსუალური ადამიანებისთვისაა ხელსაყრელი. ამ დროს ნებისმიერი დამაინტრიგებელი საშუალება გამართლებულია. თამამად შენიღბეთ საკუთარი პიროვნება, მიეცით იდუმალი და მისტიკური სახე. ეს კიდევ უფრო გაუმძაფრებს თქვენს პარტნიორს თქვენთან ურთიერთობის სურვილს. თუმცა, არ არის გამორიცხული, მხურვალე რომანს დიდი სულიერი ტკივილიც მოჰყვეს.

***მშვილდოსნის*** ზოდიაქოში, ანუ 22 ნოემბერიან 21 დეკემბრამდე: ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობა ზედაპირულია. კარგი იქნება, თუ რომელიმე პარტნიორი საკუთარ თავზე აიღებს მასწავლებლის ფუნქციას. ერთად მოგზაურობა პოზიტიურად აისახება თქვენს ურთიერთობაზე.

***თხის რქის*** ზოდიაქოში, ანუ 22 დეკემბერიდან 19 იანვრამდე: ამ დროს დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა სერიოზულია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერმა დაუფიქრებელმა და გაუაზრებელმა მოქმედებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგიყვანოთ. წინააღმდეგობების ნუ შეგეშინდებათ, თქვენ სასურველ შედეგს მიაღწევთ.

***მერწყული*** ზოდიაქოში, ანუ 20 იანვრიდან 18 თებერვლამდე: ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობა უცნაური და ორიგინალური იქნება. შესაძლოა, მოვლენები ისე სწრაფად განვითარდეს, რომ პარტნიორებმა ერთმანეთის ნორმალურად გაცნობაც კი ვერ მოასწრონ.

***თევზების*** ზოდიაქოში, ანუ 19 თებერვლიდან 20 მარტამდე: ამ პერიოდში ჩამოყალიბებული სასიყვარულო ურთიერთობის დროს ყველა ნიუანსს უნდა მიაქციოთ ყურადღება. იყავით გულწრფელი. ნებისმიერ ტყუილს გამოუსწორებელი ზიანი მოჰყვება და მოსალოდნელია, ურთიერთობის ნგრევა. ამიტომ, შეეცადეთ, სიმარ-

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 25 ივლისს. არის თუ არა წელს დაოჯახება ჩემთვის სასურველი და კერძოდ, რომელ თვეში?**

**პასუხი:** თქვენი ქორწინებისთვის კარგი პერიოდია 23 სექტემბრის შემდგომ 23 ოქტომბრამდე. ამიტომ, უმჯობესია, ცვლილებები პირად ცხოვრებაში სწორედ ამ პერიოდს დაამთხვიოთ.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1998 წლის 11 მაისს. რა არის მისი კარმული მისია, რომელი პროფესიაა მისთვის წარმატების მომტანი და ზოდიაქოს რომელ ნიშანთან ექნება საუკეთესო ქორწინება?**

**პასუხი:** მისთვის კარგია სასიყვარულო ურთიერთობა კუროს, ქალწულის, თხის რქის, თევზების ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. რაც შეეხება კარმულ მისიას, ის უნდა დაეყრდნოს საუკეთესო თვისებების გამოვლენას. უნდა შეეძლოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, ლიდერულორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა. ასევე, უნდა იყოს ორგანიზებული, შეუპოვარი, ფულის ყაირათიანად მხარჯველი, შრომისუნარიანი. უნდა დაიცვას იერარქიული სისტემა, ანუ იცოდეს, ვინ არის უფროსი და ვინ – უმცროსი. პატივი სცეს ტრადიციებს და ადათებს. უნდა იყოს მარტოხელა მებრძოლი, საქმისადმი ჰქონდეს სერიოზული მიდგომა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. იყოს მიზანსწრაფული, პატიოსანი მუშაკი. ეს მისი კარმული მისიაა და წარმატებებს მოუტანს. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის კარგია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო საქმიანობის ფართო სპექტრი, მედიცინა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი, ტელემექანიკა, კავშირგაბმულობის სისტემა, სატრანსპორტო სფერო, ლინგვისტიკა, პოლიტიკა, საათების ბიზნესი ან დიზაინი, სამხედრო სტრუქტურები, უშიშროების სფერო, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო საქმე, მშენებლობის ფართო სპექტრი და საინჟინრო სფერო. ყველა ამ სამსახურში მას წარმატების დიდი შანსი აქვს.

**კითხვა: მამაკაცი დაბადებულია 1975 წლის 23 ნოემბერს, ქალი კი – 1971 წლის 17 აპრილს. მიზანშეწონილია თუ არა მათი ქორწინება ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი:** დასავლური ზოდიაქოს ნიშნების შეხამებით, ჩვენ ვხვდებით ორ მონათესავე ნიშანს, ანუ, ერთი მშვილდოსანია, მეორე კი – ვერძი. ამიტომ, მათ ბევრი მსგავსი თვისება აქვთ. ამ კუთხით თუ შევხედავთ, მათი ქორწინება მისაღებია და დამოკიდებულებაც ჰარმონიული ექნებათ. რაც შეეხება აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშნების შეხამებას, ისინი ვექტორულ წყვილად ითვლებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ 1975 წელს დაბადებული ადამიანი მბრძანებელია, 1971 წელს დაბადებული კი – მისი მონა, ეს კი ქმნის საკონფლიქტო სიტუაციებს. საერთო ჯამში, მათ შორის ურთიერთობა საშუალოა.

# კალეიდოსკოპი

## ფიზიკოსებმა რადიაციის უცნობი ფორმა აღმოაჩინეს

ადამიანმა პირველად შეძლო, ჩაეხედა სამყაროს ყველაზე ადრეულ „ბავშვობაში“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – ანუ, როდესაც ის დაბადებიდან სულ რაღაც 100-დან 300 წლამდე ასაკის იყო. ამერიკელმა მეცნიერებმა უფრო ზუსტად შეისწავლეს „მისი სინათლის ანაბეჭდი“, ვიდრე თავისი არსით წარმოადგენს კოსმოსური მიკროტალღური ფონური გამოსხივება (კიდევ მას რელიქტურს უწოდებენ) და შეძლეს, მიეღოთ უფრო ზუსტი ცნობები იმ დროს მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესახებ. აგრეთვე, აღმოაჩინეს რადიაციის აქამდე უცნობი ფორმის ნიშნები. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მატერია მთლად ისე არ იქმნებოდა, როგორც მანამდე ფიქრობდნენ.

უფრო მაღალი გარჩევადობით, ხმაურებისა და სხვა დაბრკოლებებისგან მნიშვნელოვნად გასუფთავებული მონაცემები მგრძნობიარე აპარატურის საშუალებით მიიღეს, რომლებიც ორბიტულ ობსერვატორია Planck-ზე და „ნასას“ კოსმოსურ აპარატ WMAP-ზეა დადგმული და განკუთვნილია სახელდობრ რელიქტური გამოსხივების ანალიზისთვის.

თანამედროვე შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ ფორმირდებოდა სამყარო, ძირითადად, დადასტურდა, თუმცა, გამოვლინდა გადახვევა „სტანდარტისგან“ – აღმოჩნდა რელიატივისტური ნაწილაკები, რომელთა წყაროს არ წარმოადგენს რელიქტური გამოსხივება. მკვლევრებს აქვთ ორი ჰიპოთეზა: პირველის თანახმად, შეიძლება, ვილაპარაკოთ ეგრეთ წოდებულ „გარეულ“ ნეიტრონზე (სუბატომური ნაწილაკები, ელექტრულად ნეიტრალური, ძალზე მცირე, პრაქტიკულად, გაუზომავი მასით). ტერმინი „გარეული,“ მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს, რომ ეს ნაწილაკები, რომლებიც სამყაროს „შექმნაში მონაწილეობდნენ“, სულაც არ არიან ისეთები, როგორიც ნეიტრონნები, რომლებიც ამჟამად ფორმირდებიან.

მეორე ჰიპოთეზის თანახმად, უცნობი გამოსხივება თავის წარმოშობას უნდა უმადლოდეს, ასევე, უცნობი ბნელი ენერგიის ფორმას, რომელიც სამყაროს ადრეულ დღეებში, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩვენს დროში. ბნელი ენერგია – ეს ანტიგრავიტაციული ძალაა, რომელიც სამყაროს გაფართოებას აჩქარებს.

## მაიას უნიკალური ქანდაკება

არქეოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა გვატემალაში მაიას „გასაოცარი“ ქანდაკება აღმოაჩინა. ქანდაკება მაიას პირამიდის შესწავლის დროს იპოვეს – მის ქვეშ იმყოფებოდა ნაძერწი ფრიზი, რომლის სიგრძე 9 მეტრია, ხოლო სიმაღლე – 1,8 მეტრი.

სწავლულთა გამოთვლით, ქანდაკება და ფრიზი დაახლოებით 590 წელს გაუკეთებიათ. წითლად შეღებილი ფრიზი ლურჯი, ყვითელი და მწვანე ფერის დეტალებით გამოსახავს სამ მამაკაცს, რომლებსაც ახურავთ მაიას ტრადიციული თავსაბურავები. არქეოლოგების თქმით, სიძველეები შესანიშნავადაა შემონახული. ერთი ვერსიით, სცენა გამოსახავს მეფედ კურთხევას.

პირამიდაში კი იპოვეს ადამიანის ჩონჩხი და ძვირფასი ქვებით შემკული სამკაულები. მეცნიერთა აზრით, პირამიდაში დაკრძალულია მმართველი კლასის წარმომადგენელი. მკვლევრები აპირებენ, გათხრები სწორედ მის ირგვლივ აწარმოონ. არქეოლოგებმა აღმოჩენა გააკეთეს, სავარაუდოდ, პოტენციური მძარცველების, უძველეს სიმდიდრეთა მაძიებლების მიერ გათხრილი არხის შესწავლისას.

## გენიოსები „ახალგაზრდავდებიან“

ინგლისის ქალაქ ნორტჰემპტონის სკოლის 11 წლის მოსწავლე პრეტენზიას აცხადებს ქვეყანაში ყველაზე ჭკვიანი ბავშვის სახელზე. გოგონას ინტელექტის კოეფიციენტი – IQ – 162 ქულის ტოლია, რაც უფრო მეტია, ვიდრე ბილ გეიტსის, ალბერტ აინშტაინისა და სტივენ ჰოკინგის 160-ქულიანი მაჩვენებლები.

კერის კუკსამი-პარნელი ტესტირებას მენსის ორგანიზაციაში გადიოდა, რომელიც მაღალი ინტელექტის ადამიანებს უტარებს ტესტირებას. ამ ორგანიზაციის წევრია მისი მამაც, რომლის IQ 142 ქულაა. გოგონას სიტყვებით. მისი მიზანი „სახუმარო“ იყო – უნდოდა ეჯობნა მამისთვის, მაგრამ, ის არ მოელოდა, რომ მამას მთელი 20 ქულით გაუსწრებდა. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, კერისი იმ ადამიანთა 0,004 პროცენტში შედის, რომლებმაც ერთხელ მაინც აჩვენეს 162-ქულიანი შედეგი მენსის ტესტის მიხედვით.

როგორც გოგონა ამბობს, ის არ აწყობს განსაკუთრებულ ინტელექტუალურ დისკუსიებს თავის თანატოლებთან. მისი მამა კი აცხადებს, რომ კერისი ყოველთვის ჩვეულებრივი ბავშვი იყო და სულაც არ გამოიყურებოდა „უცნაურად“, მაგრამ, ძალიან უყვარდა კითხვა. ამასთან, ცხადი იყო, რომ მას განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა.

ახლა კერისი „გენიოსების საზოგადოებას“ შეუერთდა, მომავალში კი მას სურს იმუშაოს ფინანსების სფეროში, ვინაიდან, მას სიამოვნებს, საქმე ჰქონდეს რიცხვებთან. გოგონა იმედოვნებს, რომ, ერთხელაც, ის შეძლებს, უხელმძღვანელოს ინგლისის ბანკს ან გახდეს პრემიერ-მინისტრი.

მოამზადა
ლაშა გაბელიამ

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

## ორშაბათი 26 აგვისტო

**08.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **09.00** საბ. მხ/ფ **"სურვილების ქვა"** **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"პიკის საათი-3"** (ჯ.ჩანი) **14.20** დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** მხ/ფ **"ბეტმენი-დასაწყისი"** **00.00** "საფარი" **26-ე** გადაცემა.

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 2 სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50, 18.50, 19.05** სერ. **"მაგნატები"**. **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი"** **00.15** მხ/ფ. **"ნიუ-იორკის ბანდები"**.

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ "HOOK" **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"რაჭა, ჩემი სიყვარული"** **14.00** სერ **"ერთგულების ძალა"** **15.30** შერეკილები. **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ **"არდადეგებზე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები **09.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ფიროსმანი"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** გუთნისდედა **15.30** სპექტაკლი - **"შთამომავლობა"** **17.30** კონცერტი - ანს."კელაპტარი" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ქრისტიანული სწავლება **18.50** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები - იოსებ ზეთეიშვილი "სასულიერო ლიტ.თარგმანი" **22.25** "ჩვენი ფონდი" თ.გაბისონია - ხალხური სიმღერა **22.45** მოკ/ფ **"დედის ხელი"** **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"წითელი ბუშტი"** **00.30** მხ/ფ **"ეი,მაესტრო"** **02.00** ირაო.

## სამშაბათი 27 აგვისტო

**08.00** დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი-ბერების კვალდაკვალ" **09.00** საბ. მხ/ფ **"როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიაყელები"** **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი"** **14.20** დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **18.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის განმეორებითი მატჩი. **00.40** დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ".

**09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 3 სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კონცერტი: "პაემანი ვერაზე – გიზო ნიშნიანიძე" I ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50, 18.50, 19.05** სერ. **"მაგნატები"**. **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი"** **00.15** მხ/ფ. **"კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება"**.

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **"JUMANJI"** **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ცისფერი მთები "** **14.00** სერ. **"ერთგულების ძალა"** **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** გააცინე და მოიგე. **22.40** ჩემპიონთა ლიგა **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება(გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ **"ეი,მაესტრო"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები **09.05, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.45** მოკ/ფ **"წითელი ბუშტი"** **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"როცა აყვავდა ნუში"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **15.20** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.40** კონცერტი - ანს."შვიდკაცა" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "საუფლონი" - გიხაროდენ სასუფეველსა **00.35** მხ/ფ **"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"** **01.45** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**26 აგვისტო – 1 სექტემბერი**

*დარბაზი 1*

15.15 - **„სმურფები 2”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

17.30, 20.00, 22.30 - **„პერსი ჯექსონი: მონსტრების ზღვა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

*დარბაზი 2*

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„რა მოხდა კიევში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

14.45 - **„X-ადამიანები: უკვდავი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05წთ.;*

17.30 - **„ჩვენ ვართ მილერები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.;*

20.00, 22.30 - **„წყევლა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.;*

*დარბაზი 4*

14.30 - **„პერსი ჯექსონი: მონსტრების ზღვა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

17.00, 19.45, 22.15 - **„ელიზიუმი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.;*

*დარბაზი 5*

14.00, 16.45 - **„სმურფები 2”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

19.30, 22.30 - **„ჩვენ ვართ მილერები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

14.45 - **„სმურფები 2”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

17.45, 19.45, 22.30 - **„სიკვდილის იარაღი: ძვლების ქალაქი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;*

*მცირე დარბაზი*

14.30 - **„სიკვდილის იარაღი: ძვლების ქალაქი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10.;*

17.15 - **„სმურფები 2”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

20.00, 22.30 - **„პარანოია”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცი კეტჩუპით













**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ღორის ხორცი, 1 დიდი თავი ხახვი, 6 ცალი კანიანად მოხარშული მოზრდილი კარტოფილი, 100 გრამი მაგარი ყველი, 2 ცალი პომიდორი, 150 გრამი მაიონეზი, 150 გრამი კეტჩუპი (ცოტა მწარე), მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** ღორის რბილი ხორცი დაჭერით ხელისგულის ზომის ნაჭრებად. დაბეგვეთ სათითაოდ, მოაყარეთ მარილი, პილპილი, ჩაალბეთ სოუსში. სოუსი მზადდება ასე: ერთმანეთში შეურიეთ მაიონეზი და კეტჩუპი. ამ ნარევში ხორცი 4 საათი მაინც უნდა გააჩეროთ. კარტოფილი გახეხეთ. ცალკე გახეხეთ ყველი, ხახვი და პომიდორი წვრილად დაჭერით. ხორცი მოათავსეთ ტაფაზე, მოაყარეთ ხახვი, გახეხილი კარტოფილი და მოასხით სოუსი. ბოლოს მოაყარეთ ყველი და პომიდორი და მოათავსეთ აირღუმელში 35-45 წუთის განმავლობაში.

# უცნაური სალათა











**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი საქონლის ხორცის ფილე, 1 სადილის კოვზი წითელი მშრალი ღვინო, 300 გრამი ცოცხალი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 1 ცალი ჭარხალი, 2 ცალი კიტრის მწნილი, სუნელები, კამა, 1 კონა მწვანე სალათა (ფოთლები), ზეთი – შესაწვავად, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**სოუსისთვის:** 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით რაც შეიძლება თხლად. მოაყარეთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი სუნელი, ცოტა მარილი, პილპილი, მოასხით ღვინო და 1 სადილის კოვზი ზეთი. ძალიან ცხელ ტაფაში მაღალ ცეცხლზე სწრაფად შებრაწეთ ხორცი (სითხე სულ უნდა ამოშრეს) და გააცივეთ. სოკო დაჭერით ფირფიტებად. წვრილად დაჭერით ხახვი, მოშუშეთ სოკოსთან ერთად და მოაყარეთ კამა. მჟავე კიტრი დაჭერით წვრილ ჩხირებად. ჭარხალი მოხარშეთ, გააცივეთ და დაჭერით კუბიკებად. დიდ ლანგარზე გაშალეთ მწვანე სალათის ფოთლები. მასზე ფენებად მოათავსეთ ჭარხალი, ხორცი, კიტრის მწნილი, ისევ ხორცი, სოკო... და მოასხით სოუსი.

**სოუსი:** 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მდოგვი, ლიმონის წვენი ნელა აურიეთ. თუ სქელი იქნება, კიტრის მარინადის წვენით გაათხელეთ. მოასხით სოუსი სალათას, მოაყარეთ ცოცხალი მწვანილი და მიირთვით.

# ბელიაში







**საჭირო ინგრედიენტები:** 3-4 ცალი კარტოფილი, 400-500 გრამი ფარში, 1 ცალი მოზრდილი ხახვი, მარილი, შავი პილპილი. ცომისთვის: 1 კილოგრამი ფქვილი, ცოტა საფუარი, 1 შეკვრა მარგარინი, 2 კვერცხი, 100 გრამი არაყანი, ცოტა მარილი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ და დაჭერით წვრილ კუბიკებად, დაუმატეთ ფარში, წვრილად დაჭრილი ხახვი, მარილი, შავი პილპილი და კარგად ამოურიეთ.

ფქვილი ჩაყარეთ თასში და დაუმატეთ ცოტა მარილი. საფუარი გახსენით სულ ცოტა წყალში და ჩაუმატეთ ფქვილს. დაუმატეთ დაჭრილი მარგარინი და მოათავსეთ ბლენდერში. დაბლენდერების შემდეგ ისევ თასში გადმოიღეთ, ჩაუმატეთ კვერცხი და არაყანი და მოზილეთ რბილი ცომი.

ცომი გაყავით რვა ნაწილად და სათითაოდ გააბრტყელეთ. შუაგულში მოათავსეთ ფარშიანი შიგთავსი და ცომს ნაპირები ისე ამოუკეცეთ, რომ შუაგული ღიად დარჩეს. გამოაცხვეთ 190 გრადუსზე, 50 წუთის განმავლობაში. ძალიან მოგეწონებათ.


სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ანანასისა და პიტნის შეიკი

**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ანანასი, 2 პატარა კონა პიტნა, 1 ცალი ლიმონი, 2 ცალი ფორთოხალი, 2 სადილის კოვზი შაქარი, ნახევარი ლიტრი სოიის რძე, 200 მილილიტრი წყალი.

**მომზადების წესი:** ანანასი გაასუფთავეთ, ამოაჭერით გული და დაჭერით პატარა ნაჭრებად. დაჭერით პიტნაც. ფორთოხალი და ლიმონი გამოწურეთ. რამდენიმე ნაჭერი ანანასი შეინახეთ, დანარჩენი კი პიტნასთან, სოიის რძესთან, შაქართან, 200 მილილიტრ წყალთან, ფორთოხლისა და ლიმონის წვენებთან ერთად ბლენდერში ათქვიფეთ. ერთი საათი გააჩერეთ მაცივარში, შემდეგ ჩაასხით ჭიქებში და მორთეთ ანანასის ნაჭრებით.



# სალათა „ეგზოტიკური“



**საჭირო ინგრედიენტები:** 10 ცალი ისპანახის ფოთოლი, 3 ცალი ზაფხულის ვაშლი, 1 თავი წითელი ხახვი, 3 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, 7 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 ცალი მოზრდილი ბროწეული, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** ვაშლი დაჭერით თხელ ნაჭრებად, ხახვი – წვრილად; ისპანახის ფოთლები ხელით დახიეთ და ყველაფერი ერთად თასში აურიეთ. მოასხით ერთმანეთში ათქვეფილი ძმარი და ზეითუნის ზეთი და მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები. ბოლოს შეაზავეთ მარილითა და პილპილით.

# სალათა ყურძნითა და კიბორჩხალას ჩხირებით

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი კიბორჩხალას ჩხირი, 1 ცალი ქათმის ფილე, 2 ცალი მოხარშული სტაფილო, 1 ცალი საშუალო ზომის მოხარშული ჭარხალი, 1 მტევანი ყურძენი, 150 გრამი მაგარი ყველი, მაიონეზი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მოხარშული ქათმის ფილე, კიბორჩხალას ჩხირები, ყველი, სტაფილო და ჭარხალი კუბიკებად დაჭერით, დაუმატეთ შუა-შუა გაჭრილი ყურძნის მარცვლები, მოაყარეთ მარილი და დაამატეთ მაიონეზი.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 28 აგვისტო

**08.00** დ/ფ "დედაო" ღვთისავ" **09.00** "მარიამობა" (პ/ტრ) **13.00** დ/ფ "იქ" ცა და მიწა ერთდება" **14.00** ქართ. ტ/ფ "მეთხუთმეტე ზაფხული" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **18.00** დ/ფ "უხილავი სამყარო" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** I არხი წარმოგიდგენთ – საქველმოქმედო კონცერტი "ღია ცის ქვეშ" **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის განმეორებითი მატჩი. **00.40** დ/ფ "ჩირლიდერები".

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 4 სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.15** აქედან მთელი საქართველო დაილოცება **12.40** სტუმრად იუმორინასთან **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** კონცერტი: თამარ გვერდწითელი (გ/ჩ) **00.15** მხ/ფ. " **მელანქოლია**.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ "THE SORCERER'S APPRENTICE" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ყვავილი თოვლზე** " **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **22.40** ჩემპიონთა ლიგა **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **03.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.00** "კვირის აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" **07.05** დოკ/ფ "დედაო ღვთისავ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** კონცერტი ანს "ამარტა" **09.00** ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება (ტრანსლაცია) **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.15** კონცერტი ანს. "ამარტა" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** დოკ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.00** კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე (რ.ლაღიძე) **17.20** დოკ/ფ "დედა ღვთისმშობელი" **18.05, 21.05** პატრიარქის ქადაგება **18.25** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55, 00.30** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.25** მხ/ფ "**იავნანა**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **00.35** კონცერტი - "სხვა საქართველო სად არის".

## ხუთშაბათი 29 აგვისტო

**08.00** დ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" **09.00** საბ. მხ/ფ "**ნილზის შვილი**" **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ნილაბი**" (ჯ.კერი) **14.20** დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** მხ/ფ "**მევერიკი**" (მ.გიბსონი) **19.00** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **19.55** ევროპის ლიგის პლეიოფის განმეორებითი მატჩი: "**დილა**" /გორი/ – "**რაპიდი**" /ვენა/ (პ/რ) **22.00** მხ/ფ "**გრან ტორინო**" **00.00** მხ/ფ "**ნახვამდის პოლუქს**".

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 5 სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.15** მხ/ფ. "**პროვინციელი ბარმენი**".

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "HOOD-WINKED!" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ბაკულას ღორები**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** გააცინე და მოიგე **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **13.45** "ჩემი ქორწილი" (გამ.) **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **09.05,18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **11.05** მოკ/ფ "**ბავშვები**" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**იავნანა**" **13.15** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სალბუნი **15.30** დოკ/ფ "გემღერებოდეს დედაო" **16.45** კონცერტი -ანდრე რიე **17.35** დოკ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ლექსით ქებათა ქება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" - წმ.გაბრიელი **22.20** დოკ/ფ "წმინდა მამა ანტონ მარტყოფელი" **22.35** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მემენტო მორი" ტერენტი გრანელი **00.35** მხ/ფ "**სინემა**" **01.50** ირაო.

## პარასკევი 30 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მუსორგსკი- სურათები გამოფენიდან" **09.00** საბ. მხ/ფ "**ბუს ძახილი**" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** ან/ფ "სამართლიანობის ლიგა" **14.00** დ/ფ "გრან-პრი" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** მხ/ფ "**სანამ მოკვდები**" (ჯ.ნიკოლსონი) **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.40 ფეხბურთი**. უეფას სუპერ თასი. (პ/რ პრაღიდან.) **01.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 6 სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50, 18.50, 19.05** სერ. "**მაგნატები**". **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ/სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.15** მხ/ფ. "**ერთგული მეზაღე**".

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "HOWL'S MOVING CASTLE" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**მზე შემოდგომისა** " **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"

**22.40** ჩემპიონთა ლიგა - სუპერ თასი **01.00** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.45** მხ/ფ **"სინემა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **09.05,18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** დოკ/ფ "მემენტო მორი" ტერენტი გრანელი **11.15** ეთნოგრაფია **11.25** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** **13.15** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი -ელისო ვირსალაძე **17.00** კვირიაკე **18.10** დოკ/ფ "დიდი ტბელი მობრძანდება" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ/ფ **"ხანუმა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.35** მხ/ფ **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"**.

## შაბათი 31 აგვისტო

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. მხ/ფ **"ალასკა"** **10.00** საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონი" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – დათო მაზანაშვილი **14.00** ფილმი ნოსტალგია: "ერთგული ხელი" **16.30** ქართული ტ/ფილმი: "მყუდრო სავანე" **18.00** "10|10" **19.00** ან/სერ. "ოჯახური გამოძიება" **20.35** ქართული მხ/ფ **"ო რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა"** **22.30** მხ/ფ **"ღამეები როდანტაში"** (რ. გირი) **00.00** მხ/ფ **"ინტერვიუ ვამპირთან"** (ტ. კრუზი).

**08.00** მხ/ფ. **" საქორწინო წვეულება "** **10.00** მხიარული ოჯახი (გ/ჩ) **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ეკოვიზია **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ. **"სონის შანსი"**. **14.20** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50, 18.50, 19.05** სერ. **"მაგნატები"**. **21.00** სერ.**"დაბრუნება"** **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** იუმორინა (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ. **" გატეხილი ისარი"** **01.50** მხ/ფ. **"შიშის აჩრდილი"** (მ. დევისი) (ტიტ.).

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ. "YAMAKASI - LES SAMOURAÏS DES TEMPS MODERNES" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ივანე კოტორაშვილის ამბავი"** **14.00** შერეკილები **15.30** კომედი კონცერტი **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** "Latin Angels" **01.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 0.30, 5.30** ღია კარის დღე **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "1001 ღამე"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **21.45, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" (გამ.) **23.00** მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები) **1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **2.30** მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები).

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15,19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ხანუმა"** **13.30** "რაინდები" -ვ.ბალავაძე **13.55** ჩვენი ფონდი **14.10** სათავეებთან **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა - **"ნორმა"** **17.50** ფოტოგალერეა **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" - ქართული საეკლესიო გალობა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექსით ქებათა ქება **21.35** ერთი დღე მონასტერში **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.15** ქართული ხმები **00.35** მხ/ფ **"ოქროს ტბასთან"**.

## კვირა 1 სექტემბერი

**09.00** დ/ფ " ჩაცმის თავისუფლება" **10.00** საბავშვო ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონი" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი: "კაცი რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" **13.20** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **14.00** ფილმი ნოსტალგია: **"ფანტოცის დაბრუნება"** (პ. ვილაჯო) **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00 ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: **"დილა"** /გორი/ – **"მეტალურგი"** /რუსთავი/ (პ/რ) **19.00** ტ/სერიალი: "ოჯახური გამოძიება" **20.50** "უცნობი მუსიკა" **22.30** მხ/ფ **" ბენჯამინ ბატონის იდუმალი საქმე"** (კ. ბლანშეტი).

**08.00** მხ/ფ. **"პანი დენიელსი"** **10.00** მხიარული ოჯახი (გ/ჩ) **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ (გ/ჩ) **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **13.00** სერ. **"სონის შანსი"** **14.20** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.40** იმედის გმირები **18.00, 19.05** სერ. **"ლურჯი კვამლი"** **21.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** იუმორინა (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ. **"მატჩ პოინტი"** (ჯ. რ. მაიერსი) **01.55** მხ/ფ. **"უკანასკნელი ლეგიონი"**.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფილმი "YAMAKASI 2- LES FILS DU VENT" **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში "** **15.30** კომედი კონცერტი **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** "Latin Angels" **01.00** მხ/ფ.

**7.00, 0.30, 2.00, 3.00, 4.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 20.00, 4.30** "ჩემი ქორწილი" **10.30** გადაცემა "პულსი" **11.00, 12.30, 15.30 სერიალი "1001 ღამე"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.45, 22.30** "ღია კარის დღე" **19.30** "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **21.45, 2.30** კვირის აბები **23.00** "კინო მაესტროზე" **1.15, 3.30, 5.20, 6.30** ფარული კამერა.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"დედუნა"** **12.20** ერთი დღე მონასტერში **13.50** ქრისტიანული ხელოვნება **14.20** ისტორიის გაკვეთილი **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სადვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.00** ღია აუდიტორია **19.40** მხ/ფ **"აბეზარა"** **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** მხ/ფ **"პიანისტი"**.

### ვერძი

ხელსაყრელი დროა სამსახურის შესაცვლელად, ახალი საქმის დასაწყებად და ბინის გამოსაცვლელად. ეცადეთ, არ გაამწვავოთ სიტუაცია საყვარელ ადამიანთან. ახალი რომანი დიდ პრობლემას შეგიქმნით.

### კურო

ბევრი საქმე გექნებათ, გადაღლა კი გაგაღიზიანებთ და ეს თქვენს ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება. არ ეკამათოთ ოჯახის წევრებს. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან უკმაყოფილებაც მოგივიდეთ. ახალი ინფორმაცია გამოიყენეთ ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად.

### ტყუპები

სასიყვარულო სფეროში გაუგებრობებს ადვილად მოაგვარებთ, თუ ემოციებს არ აჰყვებით. აქტიური შეხვედრებისა და კავშირების დამყარებისთვის კარგი პერიოდია. კარგია მოგზაურობა.

### კირჩხიბი

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახურ და პირად ცხოვრებას. ნუ ენდობით ახალგაცნობილ ადამიანებს. კარგია, თუ დროს გამონახავთ დასვენებისთვის და გაუფრთხილდებით ჯანმრთელობას. თავი აარიდეთ ავანტიურებს.

### ლომი

იმოქმედეთ სწრაფად და აუცილებლად დაუჯერეთ ინტუიციას. კარგია ახალი კავშირების დამყარება. მოგებას მოგიტანთ კომერციული საქმიანობა. კარგია დასვენება და მოგზაურობა. პირად ცხოვრებაში კი, ჯობია, არ გამოამჟღავნოთ უკმაყოფილება.

### ქალწული

ერიდეთ მაქინაციებსა და აზრტულ თამაშებს. საყვარელი ადამიანის გვერდით იყავით მეტად ტაქტიანი და თავაზიანი. კარგია ახალი ნაცნობობა. უსმინეთ ინტუიციას და ყურადღება მიაქციეთ სიზმრებსა და მინიშნებებს.

### სასწორი

ნუ დახარჯავთ დროს გართობაზე და ნურც განმარტოვდებით. კარგია ახალი კავშირების დამყარება და მოლაპარაკებები. სასიყვარულო სფეროში მოსალოდნელია სიახლეები. ნურავის ენდობით ბრმად.

### მორიელი

ენერგობალანსი დაქვეითებას იწყებს, რაც ნეგატიურად აისახება თქვენს საქმიან სფეროზე. ნუ დაიწყებთ სასიყვარულო ურთიერთობას რამდენიმე ადამიანთან ერთდროულად. გადაღლა კონფლიქტების მიზეზი გახდება. ჯობია, მარტომ დაისვენოთ.

### მშვილდოსანი

ოჯახურ ურთიერთობებში მოსალოდნელია სირთულეები. დასვენებით შეძლებთ, აღიდგინოთ ძალები და დაფიქრდეთ ცხოვრებაზე. ეცადეთ, ამ პერიოდში არაფერი შეცვალოთ პირად ცხოვრებასა და საქმიან სფეროში. ახალი სასიყვარულო კავშირი კი მხოლოდ პრობლემებს შეგიქმნით.

### თხის რქა

ჯერ ვერ შეძლებთ ჩანაფიქრების განხორციელებას. უმჯობესია, ეს დრო მშვიდად განვლოთ და სპორტული ვარჯიშებით მოიხსნათ სტრესი. კარგია მოგზაურობაც. არ არის გამორიცხული, ახალი რომანტიკული ურთიერთობა დაიწყოთ.

### მერწყული

ეცადეთ, არავის უპასუხოთ აგრესიით. ყურადღება მიაქციეთ თქვენამდე მოსულ ნებისმიერ ინფორმაციას და კარგად გადაამოწმეთ საბუთები. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სასიამოვნო და დამამშვიდებელი იქნება.

### თევზები

საყვარელ ადამიანთანაც და საზოგადოებაშიც ჰარმონიული ურთიერთობა დაისადგურებს. კარგია ახალი პროექტების დაწყება და ფინანსური ოპერაციები. დასაშვებია ცოტა რისკიც. კარგია მოგზაურობა ოჯახის წევრებთან ერთად.

**ახალმთვარეობა – 5 სექტემბერი, 11 სთ: 33 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

მოერიდეთ მსხვილ კაპიტალდაბანდებებსა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. მაღალია მატერიალური დანაკარგების ალბათობა. დაიცავით სამართლიანობა. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ონიქსი ან ამეთვისტო. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, ახალი ნაცნობობა, გართობა, მოგზაურობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი

მოერიდეთ განმარტოებას და მეტი დრო გაატარეთ მეგობრებთან. იმოქმედეთ აქტიურად. იყავით ობიექტური და ნუ აჰყვებით ფანტაზიებსა და პროვოკაციებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, მწვანე იასპი, ქრიზოპრაზი ან მარჯანი. მოერიდეთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია ახალი ნაცნობობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი, ყურები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ადვილად შეძლებთ გააანალიზოთ მოვლენები. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, იასამნისფერი, ცისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, იაგუნდი, აკვამარინი ან ჟადეიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან მათი ახდენა საეჭვოა. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მაღალია კონფლიქტების ალბათობა. იყავით წინდახედული. კარგია ფიზიკური დატვირთვა. მოერიდეთ თმის შეჭრას, რემონტის დაწყებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ქარვა, ნეფრიტი, საფირონი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია კონტაქტები, სავაჭრო გარიგებები, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. კარგია ინტიმური კავშირები. ატარეთ ნარინჯისფერი, ცისფერი, ნაცრისფერი, ლიმონისფერი, კრემისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ლაზურიტი, სარდიონი, ზურმუხტი ან მთვარის ქვა. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია კონტაქტები, მოლაპარაკებები, სავაჭრო გარიგებები, მშენებლობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, კუჭი, მკერდი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### შაბათი

მოიმატებს მოტყუებისა და პროვოკაციების ალბათობა. მოერიდეთ კონფლიქტებს. აკონტროლეთ აზრები და ემოციები. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი, იისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, გიშერი, აქატი, ოპალი ან ყვითელი იასპი. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. არ ვარგა მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია ვაჭრობა. სუსტდება კუჭი, ნაღვლის ბუშტი, მკერდი, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა

აკონტროლეთ გადამეტებული პატივმოყვარეობა, ეგოიზმი და სიამაყე. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა. ატარეთ თეთრი, მწვანე, ვერცხლისფერი, იისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, ოპალი, გიაცინტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ვაჭრობა, საოჯახო საქმიანობა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**ალავერდი-ხანი პირველი იყო უნდილაძეთა გვარიდან, რომელიც ირანის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა და დიდი გავლენა მოიპოვა შაჰ-აბას პირველის კარზე. თუ როგორ მოხვდა, აღზევდა, დამკვიდრდა და დაასრულა არსებობა ამ გვარმა უცხო დამპყრობლის კარზე, ამის შესახებ ჩვენს სტატიაში ვისაუბრებთ.**

# რომელმა ქართველმა ააგო ირანში ორასოთახიანი ქარვასლა და რის გამო დასრულდა მისი კარიერა ცუდად

შაჰ-აბას პირველი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეუდგა ახალი პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიზნად ისახავდა, ძველი, ყიზილბაშური ზედაფენა ჩამოეშორებინა მმართველობის ყველა სფეროდან, მათ შორის – ჯარიდანაც. ყიზილბაშები იყვნენ პატარა, მაგრამ, შეუვალი ფეოდალები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. სპარსეთს დიდი მიზნები ჰქონდა: მას ოსმალეთი უნდა დაემარცხებინა, რის შემდეგაც შაჰ-აბასი კავკასიაში პირველობისთვის ემზადებოდა და ეს მართლაც განახორციელა კიდეც იმით, რომ აბას პირველმა სახელმწიფო მოხელეების ყველა დონეს ჩამოაშორა ყიზილბაშები და დააწინაურა კავკასიური ელემენტები, რომლებიც ან მონები იყვნენ, ან პირადად მისი მორჩილები. ამ პოლიტიკაში აღმოჩნდნენ ჩართულნი უნდილაძეებიც.

შაჰმა დედაქალაქიც კი გადაიტანა ყაზვინიდან (ჩრდილოეთ ირანიდან, სადაც უფრო თურქმანული ტომები ბინადრობდნენ) ცენტრალურ ირანში – ისპაჰანში, სადაც უფრო ჭარბად იყვნენ სპარსული ელემენტები. ირანის მმართველმა ადრე არსებული ყორჩის ჯარის ნაცვლად, რომელშიც ყიზილბაშთა ზედა ფენას ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილები, შექმნა ახალი, ეგრეთ წოდებული „ყულის ჯარი“ („ყული“ ითარგმნება, როგორც „მონა“). ეს „მონათა” ჯარი სწორედ კავკასიური ელემენტებისგან იყო შექმნილი და პირადად შაჰს ემორჩილებოდა. შაჰის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ გაამართლა. მან, ასევე, შეცვალა ქალაქის თავები (ტარუღები) და გაზარდა მათი როლი. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს, ისპაჰანის ქალაქის თავის თანამდებობებს უმეტესწილად ქართველები იკავებდნენ.

პირველი უნდილაძე, რომელიც ირანში გამოჩნდა, არის ალავერდი-ხანი. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ პირად წერილში, თავისი მოღვაწეობის პირველ წლებშივე, შაჰ-აბასი სწერს რომის პაპს, რომ ის ქრისტიანთა მფარველია. რა თქმა უნდა, ეშმაკი შაჰი ამას იმიტომ წერდა, რომ სჭირდებოდა ევროპის მომხრეობა ოსმალების წინააღმდეგ. ამ წერილში იგი აღნიშნავს: ჯერ ერთი, მე ერთი მეუღლე ქართველი მყავს, (გულისხმობს სიმონ-ხანის ასულს – ელენეს) და, ამავე დროს, დაწინაურებული მყავს ქრისტიანი ალავერდი-ხანიო. ასე რომ, ამ წერილში უკვე ჩანს პირველი უნდილაძე შაჰის გვერდით. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღმოჩნდა ის სპარსეთში, ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს. ერთი ვერსიით, ის ბავშვობაში მოიტაცეს და ტყვედ წაიყვანეს, მეორე ვერსიით კი, საქართველოში უნდილაძეთა გვარის დამცრობა ნელ-ნელა ხდებოდა და, ბოლოს, იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილან, რომ ალავერდი-ხანი თვითონ წასულა ირანში კარიერის გასაკეთებლად.

ერთ-ერთი პირველი ბრძოლა, სადაც ალავერდი-ხანი გამოჩნდა, იყო ბრძოლა ვანის ტბასთან, 1605 წელს, სადაც, თურმე, ისეთი მძიმე შეტაკება გამართულა, რომ თვით შაჰ-აბასიც კი შემდრკალა. ამ დროს ჯარის მეთაურობა ხელში აუღია ალავერდი-ხანს და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოუპოვებია. ეს გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მას შემდეგ დაიწყო თვით შაჰის აღმავლობა. ამის შემდეგ ალავერდი-ხანიც დიდი ფიგურა გახდა შაჰის კარზე. სხვათა შორის, ვერაგი შაჰის ცინიკური გამოთქმაცაა ცნობილი: მთელი ირანი მე მემორჩილება და მე ალავერდი-ხანს ვემორჩილებიო. ამ გამარჯვების შემდეგ, უნდილაძე გახდა შაჰ-აბასის რეფორმების ორგანიზატორი, ის ყველაფერში გვერდში ედგა შაჰს და ირანის დიდებას ემსახურებოდა.

თავდაპირველად უნდილაძეს საკმაოდ დაბალი თანამდებობა ეკავა, კერძოდ, იყო ოქრომჭედელთა უფროსი, ანუ, ზარგარბაში. აქედან მოყოლებული, მისი კარიერა იმდენად განვითარდა, რომ ბოლოს ცენტრალური ირანის პროვინციის – ფარსის ბეგლარბეგი, მოგვიანებით კი ყულის ჯარის უფროსი, ანუ, ყულარ აღასი გახდა.

შაჰმა თავის კარზე ქართველთა მთელი დასი შექმნა. საერთოდ, სიმპტომატურია, რომ, ვინც ყველაზე დიდი მტერია ქართველების, სწორედ მის კარზე იქმნება ხოლმე ქართველთა დასი. ამ დასში აღმოჩნდა ალავერდი-ხანიც, მის გარდა სააკაძეები, როსტომ-ხანი, ანუ, როგორც მაშინ მოიხსენიებოდა – სეფი მირზა, ცნობილი მხატვარი სიაუში, მაგრამ, ყველაზე გამორჩეული მათ შორის უნდილაძეები იყვნენ თავიანთი თვისებებით, პოპულარობით და, შეიძლება ითქვას, უფრო დიდი შეგნებით. როგორც შემდგომ დავინახავთ, ისინი ცდილობდნენ, საქართველოს საწინააღმდეგო არანაირ აქციაში არ მიეღოთ მონაწილეობა.

უნდილაძეთა წარმომადგენელთაგან, ალავერდი-ხანის გარდა, ირანში ვხვდებით: იმამ ყული-ხანს, მის ძმას – დაუდ-ხანს, ალავერდი-ხანის შვილიშვილს – სეფი ყული-ხანსა და იმამ ყული-ხანის კიდევ ორ შვილს. არიან კიდევ მათი მეუღლეები, რომელთა ყველა სახელიც არაა ცნობილი. ალავერდი-ხანს ქართველი მეუღლე ჰყავდა, ისევე, როგორც იმამ ყული-ხანს. ეს ქალბატონებიც აქტიურ როლს თამაშობდნენ ქმრების მოღვაწეობაში. ყველა გამაჰმადიანებული იყო და სავარაუდოდ, მათი გამაჰმადიანება შაჰის ზემოთ ნახსენები წერილის გაგზავნის შემდგომ პერიოდში მოხდა.

უნდილაძეებს ირანში აშენებული ჰქონდათ ბაზრები, ქარვასლები, სასახლეები, ხიდები, არხები, გზები. დღესაც კი შესანიშნავად გამოიყურება და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ალავერდი-ხან უნდილაძის მიერ ისპაჰანში აგებული ჯულფას ხიდი, ანუ, ჩაჰარ-ბაღი, რომელიც ამჟამადაც მოქმედებს. ცენტრალურ ირანში ძალიან ცუდი გადასასვლელი გზები ყოფილა და ალავერდი ხანის მეუღლის თაოსნობით გაუყვანიათ ეს გზები. არსებობს გადმოცემა, რომ უნდილაძეთა მიერ აშენებული ჩეჰერ სუთუნის სასახლეში, რომელიც ფრესკებით იყო მოხატული, ქართული წარწერებიც ყოფილა, მაგრამ, შემდეგ ეს, ალბათ, მოშალეს, ვინაიდან, ასეთი რამ ირანში მიუღებელი იყო.

ალავერდი-ხანი წყაროებში პირველად 1588 წელს იხსენიება – ეს არის მეორე წელი შაჰ-აბასის ტახტზე ასვლიდან. ეს არის წელი, როდესაც აბასმა თავიდან მოიშორა დიდი მოხელე მურშიდ ყული-ხანი, რომელიც მას ხელს უშლიდა. ამ საქმეში შაჰის გვერდით მოქმედებს ალავერდი-ხანიც. ნათელია, ალავერდი-ხან უნდილაძე შაჰ-აბასის ხელისუფლებაში მოსვლიდან მის გვერდით დგას. სწორედ ამან შეუწყო ხელი, რომ ოქრომჭედლების უფროსობიდან ძალიან მაღალ თანამდებობამდე ასულიყო.

საინტერესოა, რომ ბევრი მოგზაური თუ ისტორიკოსი ახსენებს თავის ჩანაწერებში ალავერდი-ხანს, იმამ ყული-ხანს, დაუდ-ხანს, მაგრამ, არც ერთი არ ამბობს მათ გვარს, მხოლოდ ქართული წყაროები იუწყებიან, რომ ალავერდი-ხანიც, დაუდ-ხანიც და იმამ ყული-ხანიც უნდილაძეები არიან. ჩვენც ნამდვილად უნდა ვენდოთ მათ, რადგან, ამას ამბობენ ვახუშტი ბაგრატიონიც, ბერი ეგნატაშვილიც, არჩილიც. თანაც, უნდა ითქვას, რომ ყველა დადებითად ახასიათებს მათ, გარდა სპარსოფილი ფარსადან გორგიჯანიძისა. ის ქართველი ისტორიკოსია, სხვებისგან განსხვავებულ საინტერესო დეტალებსაც ხედავს, მაგრამ, შაჰის პოლიტიკის მომხრეა და, როდესაც მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ უნდილაძეები მთლად ბოლომდე შაჰის ერთგულები არ ყოფილან, ის მათ აკრიტიკებს.



შაჰის ცინიკური გამოთქმაცაა ცნობილი: მთელი ირანი მე მემორჩილება და მე – ალავერდი-ხანს ვემორჩილებიო

საქმე ისაა, რომ შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ დაუდ-ხანი და იმამ ყული-ხანი გადაუდგნენ ახალი შაჰის – სეფის პოლიტიკას.

არის ცნობები, რომ 1614 წელს ალავერდი-ხანს შაჰი უხმობდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად (გიორგი სააკაძის მსგავსად), მაგრამ, ალავერდი-ხანმა როგორღაც მოახერხა და უარი თქვა საქართველოში ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე. ჩვეულებრივ, ასეთ დროს ავადმყოფობას იმიზეზებდნენ ხოლმე. შემდეგ მისი შვილი, იმამ ყული-ხანიც ასე მოიქცა. ამის შემდეგ, ალავერდი-ხანი ძალიან მალე, მოულოდნელად გარდაიცვალა. არსებობს ეჭვი, რომ ეს მკვლელობა შაჰმა ალავერდი-ხანს სწორედ ამ უარის გამო მოუწყო, თუმცა, არსებითად არ გვაქვს ამის შესახებ ზუსტი ცნობები. ამის შემდეგ, გარკვეული ხნით, ირანში მოღვაწეობას განაგრძობენ მისი ვაჟები: იმამ ყული-ხანი გახდა ფარსის ბეგლარბეგი, ანუ, უპირველესი მმართველი; დაუდ-ხანი კი, ჯერ ფარსის ხანი იყო, ხოლო მოგვიანებით განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგობას მიაღწია. ალავერდი-ხანის შვილიშვილი, სეფი ყული-ხანი ლარის პროვინციის ბეგლარბეგი გახდა.

იმამ ყული-ხანს განათლებული ადამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი ირანში. შირაზში არსებობდა კარმელიტების კათოლიკური რეზიდენცია და მათ აქვთ ძალიან საინტერესოდ აღწერილი, რაც იმხანად ირანში ხდებოდა. სწორედ ამ ქრონიკაში, ამ ორდენის ერთ-ერთი პრეფექტი, 1623 წელს წერს: იმამ ყული-ხანმა ჩვენგან მოითხოვა პლატონისა და არასტოტელეს წიგნები და, ამავე დროს, ბიბლიის არაბული თარგმანიო. საინტერესოა, რომ ის იმ დროს აღარ იყო ქრისტიანი, თუმცა, ბიბლია მაინც აინტერესებდა. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო იმამ ყული-ხანის მეუღლე; რაც შეეხება, მის ძმას, დაუდ-ხანს, მას ცოლად ჰყავდა თეიმურაზ პირველის

**(გაგრძელება 72-ე გვერდზე)**

# მცენარეები სილამაზის სამსახურში

*ბევრი მცენარე არა მარტო თვალს ახარებს თავისი მშვენიერებით, არამედ, უნიკალური თვისებების წყალობით, გვინარჩუნებს თავიანთ სილამაზეს და გვეხმარებიან ახალგაზრდობის გახანგრძლივებაში.*

### ვარდი

არც ერთი მცენარე არ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში ისე ფართოდ, როგორც **ვარდი**. მისი ფურცლების ექსტრაქტი ანაზებს და ამკვრივებს კანს; ძვირფასი ვარდის ზეთი კი უხდება ნებისმიერი ტიპის კანს. ის კურნავს აკნეს, როზაცეას, აღადგენს მოდუნებული კანის ელასტიკურობას.



**კალენდულას** ერთი შეხედვით არცთუ ლამაზი ყვავილები გამოირჩევა ბაქტერიოციდული თვისებებით, იცავს კანს ანთებისგან, ამაგრებს სისხლძარღვებს და აქვს დამამშვიდებელი ზემოქმედება. კალენდულას ნაყენი განსაკუთრებით უხდება ცხიმიან და პრობლემურ კანს, ოღონდ, აუცილებელია, ამ ნაყენით სახე ყოველ საღამოს გაიწმინდოთ.

**ლილიას** ნაზი და სურნელოვანი ფურცლებისგან დამზადებულ ნაყენს აქვს უნარი, მსუბუქად შეკრას ფორები და გააჩნია დამარბილებელი ეფექტი; სწრაფად ახორცებს ნაკაწრებსა და პატარა ჭრილობებს; ამშვიდებს კანს და ხელს უწყობს ახალი უჯრედების წარმოქმნას.

ზემოთ ჩამოთვლილი მცენარეების ნაყენი მზადდება შემდეგნაირად: 1 სადილის კოვზი რომელიმე ყვავილის ფურცლები მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1 ჩაის ჭიქა ცხელი წყალი, დაახურეთ თავსახური და წყლის აბაზანაზე გააჩერეთ 15 წუთის განმავლობაში. შემდეგ გააგრილეთ ოთახის ტემპერატურაზე (მაცივარში არ შედგათ), გადაწურეთ დოლბანდში, სითხე ჩაასხით მინის ბოთლში და შეინახეთ გრილ ადგილას. ნაყენი ვარგისია მხოლოდ 2 დღის განმავლობაში.

### თმა

**ცაცხვის** ნაყენი თმას სარკისებურ ბზინვარებას ანიჭებს.

**გვირილის** ნაყენი ოდითგანვე გამოიყენებოდა ღია ფერის თმისთვის ოქროსფერი ბზინვარების მისაცემად.

ნაყენი მოამზადეთ შემდეგნაირად: 100 გრამ გამხმარ გვირილას (ყვავილებს) დაასხით 0,5 ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ თავდახურული 30 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და უკვე დაბანილ თმაში კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და მთელ სიგრძეზე.

**ლილილო** გამოიყენება სებორეის პროფილაქტიკისთვის და მის სამკურნალოდ.

**რეცეპტი**: 2 სადილის კოვზ ყვავილებს დაასხით იმდენი მდუღარე წყალი, რომ ერთი თითის დადებაზე დაიფაროს; დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ 2 საათი. შემდეგ გადაწურეთ და მიღებული ნაყენი გადაივლეთ უკვე დაბანილ თმაზე.

# ზაფხულის ერთკვირიანი დიეტა

**პირველი დღე**: საათში ერთხელ, მონაცვლეობით მიირთვით: 3 ცალი ვაშლი, 10-12 ცალი ქლიავი, საზამთროს 2-3 გრძელი ნაჭერი; შუალედებში: ხილის წვენი, უცხიმო მაწონი, გაზგასული მინერალური. წყალი – 2-2,5 ლიტრი.



**მეორე დღე**: 1 კილოგრამი კიტრის, 1 კონა სალათის ფოთლებისა და 1 პატარა კონა მწვანე ხახვისგან მომზადებული სალათა; 2 ცალი მოხარშული კარტოფილი.

წყალი – 2-2,5 ლიტრი.

**მესამე დღე**: 2-3 კილოგრამი საზამთრო.

წყალი – 2 ლიტრი.

**მეოთხე დღე**: 3 ცალი ბანანი, 1 ქილა მაწონი.

წყალი – 2,5 ლიტრი.

**მეხუთე დღე**: 300 გრამი მოხარშული საქონლის ხორცი; 2 ცალი კიტრისა და 2 ცალი პომიდვრის სალათა.

წყალი – 2,5 ლიტრი.

**მეექვსე დღე**: ნახევარი მოხარშული ქათამი (კანგაცლილი); დილას და საღამოს – „ჰერკულესის" ფაფა (უცხიმოდ და უშაქროდ. შეგიძლიათ, ცოცხალი ხილი შეურიოთ).

წყალი – 2,5 ლიტრი.

**მეშვიდე დღე**: ცოცხალი ბოსტნეულის სალათა; 1 ქილა უცხიმო მაწონი.

წყალი – 2,5 ლიტრი.

დიეტა გაცილებით უფრო შედეგიანი იქნება.

თუ ყოველდღე ერთნაირ კვების რეჟიმს დაიცავთ, ანუ, ერთსა და იმავე საათზე მიიღებთ საკვებს, თითოეული დღისთვის მოცემული ულუფა თვითონვე გადაანაწილეთ დღეში 7,8 ჯერად. მართალია, თითოეულ ჯერზე საკმაოდ ცოტა საკვები მოგიწევთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველ საათში ერთხელ უნდა მიირთვათ და, ამიტომ, ძალიან მოშიებას ვერც კი მოასწრებთ. დანაყრება მალე რომ იგრძნოთ, თითოეული ლუკმა უნდა იყოს პატარა ზომის და ღეჭეთ რაც შეიძლება დიდხანს; სასმელი კი პატარ-პატარა ყლუპებით დალიეთ, რომ კუჭი არ გადაგეტვირთოთ.

როგორც წესი, ბოლო კვება 18-19 საათზე უნდა მიირთვათ.

წარმატებას გისურვებთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ იშიფრება აბრევიატურა BB?**

**პასუხი**: BB-ს სრული სახელწოდებაა Blamish Balm, ანუ, „შემნიღბავი ბალზამი". BB-კრემი, გარდა თავისი ძირითადი ფუნქციისა, ატენიანებს კანს და იცავს მას ულტრაიისფერი სხივების მავნე ზემოქმედებისგან.

**კითხვა: ძალიან მაინტერესებს, რა წესები უნდა დავიცვა იოგას ასანების შესრულების დროს?**

**პასუხი**: იოგას ასანების შესრულებამდე საჭიროა, გაიხუროთ კუნთები, მაგალითად, მიიღეთ ცხელი შხაპი ან ცოტა ხანს საუნაში შედით.

თუ ჯანმრთელი ხართ, დაიწყეთ 25-28 გრადუსით და ნელ-ნელა გაზარდეთ ტემპერატურა. თუ თავბრუ დაგეხვათ ან სისუსტე იგრძენით, ვარჯიში შეწყვიტეთ.

**კითხვა: ცნობილია, რომ კიტრი საუკეთესო დიეტური პროდუქტია. რა მიკროელემენტებს და რამდენ კილოკალორიას შეიცავს ეს ბოსტნეული?**

**პასუხი**: 100 გრამი კიტრი შეიცავს 0,7 პროცენტ უჯრედისს, 2-2,5 პროცენტ ნახშირწყლებს, 1 პროცენტამდე ცილებს და, სულ რაღაც 15-30 კილოკალორიას.

**კითხვა: თუ შეიძლება, მასწავლეთ, როგორ უნდა გავიკეთოთ კიტრის ნიღაბი და როგორი კანისთვის არის ის სასარგებლო?**

**პასუხი**: კიტრის ნიღაბი უხდება ნებისმიერი ტიპის კანს. ის ათეთრებს და ატენიანებს კანს. კიტრის ნიღბის მომზადება ძალიან ადვილია: კანიანად გახეხეთ წვრილ სახეხზე, შეურიეთ რამდენიმე წვეთი ახალგამოწურული ლიმონის წვენი, შეურიეთ ცოტაოდენ ნებისმიერ მკვებავ კრემს, წაისვით სახეზე და დეკოლტეზე და გაიჩერეთ 20 წუთი. შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით თქვენი კანის შესაფერისი მკვებავი.

**კითხვა: გთხოვთ, მასწავლოთ, როგორ მოვამზადო სახლის პირობებში ლოსიონი მშრალი კანისთვის?**

**პასუხი**: ერთმანეთში შეურიეთ 10 გრამი გლიცერინი, 30 მილილიტრი პიტნის წყალი, 25 მილილიტრი 96-პროცენტიანი სპირტი, 35 მილილიტრი წყალი და ამ ხსნარით სახე დილა-საღამოს გაიწმინდეთ.

**კითხვა: როგორ მოვამზადოთ პუდრი ცხიმიანი კანისთვის?**

**პასუხი**: ერთმანეთში კარგად აურიეთ 3 გრამი ბრინჯის სახამებელი, 6 გრამი ტალკი



და თუთიის ჟანგი და გამოიყენეთ, როგორც ჩვეულებრივი პუდრი.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

# როგორ ცდილობდა საკუთარი სიკვდილის ინსცენირებას და ნაძარცვი ფულით მიმალვას, კრიმინალი მეტსახელად „ნოსა“

### გვამი

წყნეთის ტყეში სასიყვარულოდ ასული წყვილი წიწვნარს შეუყვა და ხშირ, უეკლო ბუჩქებთან შეჩერდა. ის იყო, ხვევნა-კოცნა დაიწყეს, რომ საშინელი წვიმა წამოვიდა, ნიადაგი ჩარეცხა და მიწიდან ადამიანის ხელი გამოჩნდა, რომელსაც თითები ჰქონდა მოკვეთილი.

– ღმერთო ჩემო, ეს რა არის, გიზო? – იკივლა გოგონამ და კავალერს მიეკრა, რომელიც ამ საშინელ აღმოჩენას თვალებგადმოკარკლული უყურებდა.

**წყნეთის ტყეში აღმოჩენილი უცხო მამაკაცი ორი ტყვიით იყო მოკლული და ორივე ჭრილობა სასიკვდილო გახლდათ**

– ტრუპია, თალიკო, ვერ ხედავ?

– ტრუპი? რა ტრუპი, ტრუპი რას ნიშნავს?

„შენი სოფლელი დედაც!“ – გაიფიქრა გიზომ და გოგონას უთხრა:

– მოკლული ადამიანის სხეულია და სასწრაფოდ მილიციას უნდა შევატყობინოთ.

– რა, მილიციას, ხომ არ გაგიჟდი? – იკივლა თალიკომ, – მაგის მკვლელობა ჩვენ არ დაგვაბრალონ. წავედით აქედან.

– აუცილებლად უნდა შევატყობინოთ, თორემ, ეს რომ არ ვქნათ და გაიგონ, აქ ვიყავით, შეიძლება, მართლა დაგვაბრალონ მკვლელობა.

ქალ-ვაჟი წყნეთის მილიციის ქვეგანყოფილებაში მივიდა და მორიგე მილიციელს ტყეში ნაპოვნი ადამიანის ხელის შესახებ შეატყობინა.

– მარტო ხელი იყო, თუ გვამიც? – იკითხა მორიგემ.

– არ ვიცი, ამხანაგო უფროსო. მიწიდან მხოლოდ ხელი მოჩანდა. ეს რომ ვნახეთ, აქეთ გამოვიქეცით, რომ თქვენთვის შეგვეტყობინებინა, – უთხრა გიზომ მილიციელს.



წყნეთის მილიციის ქვეგანყოფილებაში სასწრაფოდ შეიქმნა ოპერჯგუფი და ქალვაჟთან ერთად შემთხვევის ადგილზე გავიდნენ. მიწა ამოთხარეს და უცნობი მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს, რომელიც, სავარაუდოდ, ორი ტყვიით იყო მოკლული. შემთხვევის ადგილი ექსპერტ-კრიმინალისტებმაც გამოიკვლიეს და სურათები გადაიღეს. გვამი პროზექტურაში წაიღეს გასაკვეთად. ორჯონიკიძის რაიონის მილიციის განყოფილებაში კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა განზრახ მკვლელობის მუხლით.

### „შლეგი“

ექსპერტიზის დასკვნამ წინასწარი ვარაუდი დაადასტურა და მამაკაცი ორი ტყვიით მოკლული აღმოჩნდა. ჭრილობები „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტით ჰქონდა მიყენებული შუბლისა და გულის არეში და ორივე სასიკვდილო იყო. მოკლულის სხეულიდან ამოღებული ტყვიის გულები ბალისტიკურ ექსპერტიზაზე გაიგზავნა და გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ მკვლელობის იარაღი – „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კარტოთეკაში არ იყო რეგისტრირებული. გვამის გაკვეთამ კი უჩვენა, რომ სიკვდილის წინ მოკლულ მამაკაცს ალკოჰოლის საკმაო დოზა ჰქონდა მიღებული. აღწერილობის მიხედვით, უცნობი მამაკაცი 40-45 წლის იყო, საშუალო სიმაღლის, ათლეტური აღნაგობისა და მარჯვენა ხელზე ბოლო ორი თითი აკლდა. ყურადღებას იქცევდა მისი ტატუირებით დაფარული სხეულიც, რაც ეჭვს არ იწვევდა, რომ ის კრიმინალურ სამყაროს ეკუთვნოდა. ამიტომ, გამოძიება ამ კუთხით წარიმართა და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ წყნეთში მოკლული მამაკაცი იყო 44 წლის მირიან გოგუაძე, მეტსახელად „შლეგი.“ გოგუაძე ოთხჯერ იყო ნასამართლევი სხვადასხვა დანაშაულისთვის და ციხეში 17 წელი ჰქონდა გატარებული. უკანასკნელად ის ლენინგრადში განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმისთვის გაასამართლეს – მან და კიდევ მისმა სამმა მეგობარმა შემნახველი სალაროს ინკასატორებს 110 ათასი მანეთი წაართვეს და მიიმალნენ. თუმცა, სამი დღის შემდეგ მათ მილიცია დააჯდა კუდზე, ერთ-ერთ კერძო სახლში მოიხელთეს და ორი ადამიანი აიყვანეს, მათ შორის შლეგიც. ერთი კი მოკლეს და ერთიც უკვალოდ გაქრა, თუმცა მოკლულად ითვლებოდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ გატაცებული 110 ათასი მანეთი ვერსად აღმოაჩინეს. როგორც საქმის ძიებამ დაადგინა, ფული ურთიერთსროლისას დაიწვა. საქმეში ექსპერტიზის დასკვნა იდო, რომელიც ადასტურებდა, რომ აყვანის ოპერაციის დროს სახლში აღმოჩნდა ფულის დასტების ნამწვავები. ამგვარად 110 ათასი მანეთი ჩამოიწერა, ხოლო დაპატიმრებულ ანტონ კარპინის და მირიან გოგუაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელიც დახვრეტას ითვალისწინებდა, რადგან შეიარაღებული თავდასხმა ინკასატორებზე სისხლიანი აღმოჩნდა – ამ შემთხვევამ ორი ადამიანი იმსხვერპლა. სასამართლომ კარპინს და გოგუაძეს დახვრეტა მიუსაჯა და კარპინი სიკვდილით დასაჯეს, გოგუაძემ კი ციხიდან გაქცევა მოახერხა. ამგვარად, მოკლული შლეგი რომ აღმოაჩინეს, ის უკვე ექვსი თვის ძებნილი იყო.

ინკასატორებზე თავდასხმის საქმეში, კარპინთან და გოგუაძესთან ერთად, იური კამსკი და ნოდარ ხურციაც მონაწილეობდნენ. კამსკი აყვანის დროს მოკლეს, ხოლო ხურცია, რომელიც აყვანის ოპერაციის დროს მოკლულად ითვლებოდა, ვერ აღმოაჩინეს. მოკლულად კი იმიტომ ჩათვალეს, რომ კერძო სახლის საკუჭნაოში, სადაც ხურცია იმყოფებოდა, მჟავების საწყობი იყო. ცეცხლი რომ წაეკიდა, ძლიერმოქმედი მჟავები დაიღვარა და სანამ მეხანძრეები არ მივიდნენ, მილიცია იქაურობას ვერ მიეკარა. როცა ხანძარი ჩაქრა და შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს, გამომძიებლებს მჟავათი შეჭმული ცარიელი ადგილი დახვდათ და ივარაუდეს, რომ ხურციას ცხედარი მჟავამ გაანადგურა.

### ჩახლართული საქმე

წყნეთის ტყეში აღმოჩენილი შლეგის საქმეს კაპიტანი გივი მელაძე იძიებდა, რომელიც მკვლელობის გახსნის დიდოსტატად ითვლებოდა და ყველაზე ჩახლართულ საქმეებს მას ანდობდნენ. მისი საგამოძიებო ჯგუფი კი საუკეთესო იყო უწყებაში.

კაპიტანმა მელაძემ ჩვეული გულმოდგინებით მოჰკიდა საქმეს ხელი და დაადგინა, რომ 5 თვის განმავლობაში შლეგი ზემო ვერაზე, ვინმე ალინა გობოზოვას კერძო სახლში იმალებოდა. გობოზოვა მელაძემ დაკითხა. ქალმა კი მას უთხრა:

– შლეგი ნამდვილად გიჟი იყო და ამ კლიჩკას ტყუილად როდი ატარებდა. მე რომ ის მილიციაში დამებეზღებინა და მეთქვა, ჩემთან იმალება-მეთქი, აუცილებლად მომკლავდა. მეშინოდა და იმიტომ არ დაგაჭერინეთ.

– რომ დაგეჭერინებინა, როგორ მოგწვდებოდა, ციხიდან ხომ ვერ შეძლებდა ამას? – კითხვა შეუბრუნა ქალს მელაძემ.

– ციხეში არ გეჯდათ, დახვრეტა რომ ჰქონდა მისჯილი და გაგექცათ? კიდევ რომ გაქცეულიყო, ან, რომ ვერ დაგეჭირათ? მე რა, გიჟი გგონივართ? ორი თავი კი არ მქონდა. ამიტომ, მერჩივნა, ციხეში ვმჯდარიყავი, ვიდრე მიწაში ჩავეწვინე.

– კარგი, კარგი, – გაეცინა მელაძეს, – მოყევი, როგორ წავიდა შენგან და ბოლოს რომ ნახე, რაიმე უცნაურობა ხომ არ შეგ-

იმჩნევია?

– ჩემგან რომ წავიდა, თან „ტეტე“ ჰქონდა. თავის პისტოლეტს ჩემთან ინახავდა და პაბეგში რომ იყო, იარაღს გვერდიდან არ იცილებდა. უცნაურობა კი ის იყო, რომ იმეორებდა: ცოტაც, ცოტაც, ალინა, და დედოფალივით გაცხოვრებო. საცოდავს ძალიან ვუყვარდი და ჩემთან ერთად სადმე ზღვისპირეთში აპირებდა ცხოვრებას.

– მერე და, უცნაური რა არის ამაში?

– უცნაური ისაა, რომ შლეგი არასდროს მელაპარაკებოდა თავის საქმეებზე. იმ საღამოს კი მითხრა, რომ დიდი მაყუთის დასათრევად მიდიოდა და სწორედ ამის გამო მპირდებოდა დედოფალივით ცხოვრებას.

– რა, ბანკი უნდა გაეძარცვა?

– რა უნდა ექნა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ასე მითხრა და მე ეს უცნაურად მომეჩვენა.

– ის არ მოგეჩვენებია უცნაურად, რომ ერთი კვირა არ გამოჩნდა? რა იფიქრე მაშინ?

– რა ვიფიქრე და ის, რომ, ალბათ, მაყუთი დაითრია და საგულაოდ წავიდა, მე კი დამიკიდა-მეთქი.

– ხომ არ იცი, სად მიდიოდა იმ ღამეს?

– სად მიდიოდა, არ ვიცი, მაგრამ გარეთ რომ გავიდა, ჩაილაპარაკა: ხომ გაგშიფრე, „ნოსა“, მიფრთხილდიო. იცით, ეს ფრაზა შლეგმა მას შემდეგ თქვა, კარი რომ გაიხურა და არ ეგონა, ვინმე თუ გაიგებდა. მე კი იქვე ვიდექი და გავიგონე.

**დაპატიმრებულ „ნოსას“ მხოლოდ 850 მანეთი ჰქონდა დახარჯული, 109 ათასი კი ხელუხლებელი იყო**

– ესე იგი, ნოსა, ხომ?

– დიახ, ამხანაგო გამომძიებელო, ნოსაო, – დაუდასტურა მელაძეს ალინა გობოზოვამ და ჰკითხა, – რამდენს მომისჯიან?

– არაფერს. თავისუფალი ხარ. წადი, წადი და წესიერ ცხოვრებას მოჰკიდე ხელი. სამსახური დაიწყე, გათხოვდი და ბავშვი გააჩინე.

გობოზოვა თვალცრემლიანი გავიდა კაპიტნის კაბინეტიდან, მელაძემ კი საგამოძიებო ჯგუფის წევრები შეკრიბა.

– მე მგონი, შლეგის მკვლელის კვალს მივაგენით. სასწრაფოდ მოძებნეთ ხურცია, იგივე ნოსა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ლენინგრადში მომხდარი ინკასაციაზე თავდასხმა თბილისში გაიხსნება.

**„ნოსას“ ნაამბობი**

კაპიტანი მელაძე ვარაუდობდა, რომ ლენინგრადში აყვანის ოპერაციის დროს გამქრალი და მოკლულად ცნობილი ნოსა, ცოცხალი იყო. ამიტომაც თავის ხელქვეითებს მან ხურციას თბილისური კავშირების დადგენა დაავალა და შედეგიც მალე მიიღო. ნოსა სოფელ წყნეთში, ერთ-ერთი ნათესავის სახლში აიყვანეს, გაძარცვულ ფულთან ერთად, რომელსაც ის საწოლის ქვეშ ინახავდა. ნოსა თბილისის მილიციის სამმართველოში მიიყვანეს. მას მხოლოდ 850 მანეთი ჰქონდა დახარჯული და 109 ათას 150 მანეთი ხელუხლებელი იყო.

ხურცია გააოგნა დაპატიმრებამ. სულ იმეორებდა: „გამორიცხულია, შლეგი არ ჩამიშვებდა“.

– სწორედ რომ შლეგმა ჩაგიშვა, მაგრამ შემთხვევით, – უთხრა ნოსას მელაძემ.

კაპიტანმა ნოსას უამბო გობოზოვას მონათხრობი და ჰკითხა:

– თავადვე მოგვიყვები დეტალებში როგორ მოკალი შლეგი და საერთოდ, რაც მოხდა, თუ დაგეხმარო?

– მე თვითონ მოვყვები, – თქვა ნოსამ, სიგარეტი გააბოლა და დაიწყო, – ინკასატორები კარპინმა და შლეგმა დაბრიდეს. მე კი მხოლოდ ფეხში დავჭრერი ერთ-ერთი. ძაღლებს მე შევატყობინე ბანდის ამბავი და თავად იქიდან მაშინ მოვტყდი, როცა იქ ოპერები მოვიდნენ. ყველაფერი წინასწარ მქონდა მომზადებული და ექსპერტიზამ რომ დამწვარი ფულის დასტები აღმოაჩინა პადვალში, ვადაგასული იყო. მჟავების პონტიც მე მოვიგონე და ისე სუფთად იყო ყველაფერი მოწყობილი, რომ არა შლეგის ფრაზა, ვერასოდეს მომაგნებდით.

– შლეგმა ხომ მოგაგნო, ხომ მიხვდა, რომ ყველაფერი შენი მოწყობილი იყო, ესე იგი, ჩვენც მოგაგნებდით.

– მიხვდა და მიიღო ტყვიები, – კბილებში გამოსცრა ნოსამ, – ამდენი ფული ერთ ადამიანს უნდა ეკუთვნოდეს და არა ბევრს.

– ჰოდა, სიხარბემ დაგღუპა, წაიყვანეთ! – თქვა მელაძემ და ნოსა საკანში წაიყვანეს.

ნოსა გაქცევის მცდელობისას მოკლეს.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**26 აგვისტო**

ძველი წელთაღრიცხვით 55 – იულიუს კეისრის სარდლობით რომაელებმა პირველად შედგეს ფეხი ბრიტანეთის მიწაზე.

1071 – მანაცკერტის ბრძოლაში თურქ-სელჩუკებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები, რის შედეგადაც მთელი მცირე აზია დაიპყრეს.

1791 – ამერიკელმა ჯონ ფიჩმა დააპატენტა თბომავალი გემის პროექტი.

1883 – ინდონეზიაში ამოიფრქვა ვულკანი კრაკატაუ. ჩაიძირა რამდენიმე კუნძული, დაიღუპა 40 000 ადამიანი (ეს იყო უძლიერესი ამოფრქვევა ჩვენს ერაში).

1978 – რომის პაპი გახდა იოანე-პავლე პირველი, რომელიც 34 დღის შემდეგ გარდაიცვალა და პაპი გახდა იოანე-პავლე მეორე.

**27 აგვისტო**

1859 – პოლკოვნიკმა ედვინ დრეიკმა გათხარა პირველი ნავთობის ჭაბურღილი (ამერიკის შტატ პენსილვანიაში), რის შემდეგაც დაიწყო ნავთობის ერა.

1912 – პირველად გამოქვეყნდა ედგარ ბეროუზის რომანი „ტარზანის თავგადასავალი“.

1955 – პირველად გამოიცა გინესის რეკორდების წიგნი.

**28 აგვისტო**

476 – არსებობა შეწყვიტა რომის იმპერიამ.

1904 – ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუპორტში პირველად გაასამართლეს მძღოლი სიჩქარის გადაჭარბების გამო.

1963 – 200 000-ზე მეტმა ამერიკელმა მიიღო მონაწილეობა მარტინ ლუთერ კინგის მიერ ზანგების დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოწყობილ მარშში.

1996 – პრინც ჩარლზისა და პრინცესა დიანას განქორწინება.

**29 აგვისტო**

1526 – ოსმალეთის იმპერიის საომარი მოქმედებების შედეგად, არსებობა შეწყვიტა უნგრეთის სამეფომ.

1758 – ნიუ-ჯერსიში შეიქმნა ინდიელთა პირველი რეზერვაცია.

1825 – ბრაზილია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1883 – თომას აპერნმა (კანადა) გამოიგონა პირველი ელექტროღუმელი.

1929 – დირიჟაბლმა „გრაფ ცეპელინმა“ პირველად შემოუფრინა დედამიწას.

**30 აგვისტო**

ძველი წელთაღრიცხვით 30 – თავი მოიკლა ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ.

1918 – ფანი კაპლანი თავს დაესხა ლენინს.

1983 – ამერიკელი გაიონ ბლუფორდი გახდა პირველი ზანგი, რომელმაც კოსმოსში იფრინა.

**31 აგვისტო**

1914 – სანკტ-პეტერბურგს გადაარქვეს სახელი და უწოდეს ლენინგრადი.

1955 – უილიამ კობმა (ჩიკაგო) პირველად წარუდგინა საზოგადოებას ავტომობილი მზის ბატარეებზე.

1997 – ავტოკატასტროფაში დაიღუპა დიდი ბრიტანეთის პრინცესა დიანა.

**1 სექტემბერი**

1859 – რელსებზე შედგა პირველი ვაგონი საძილე ადგილებით.

1923 – დიდმა მიწისძვრამ ტოკიოსა და იოკოჰამაში 120 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1939 – დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

1951 – ლონდონში გაიხსნა მსოფლიოში პირველი სუპერმარკეტი.

**რეპერმა „ვაით ნეგამ“ – იგივე ზურიკო კოკლინმა ნიდერლანდების სამეფოში მკურნალობისა და რეაბილიტაციის სრული კურსი გაიარა. ამბობს, რომ ქართველმა ექიმებმა გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაუწურეს, ჰოლანდიელმა ექიმებმა კი სიკვდილს გადაარჩინეს. ოქტომბრის ამბების შემდეგ, მან საპროტესტო სიმღერაც ჩაწერა – ამბობს, რომ რეგულარულად მოიხმარს მარიხუანას, მაგრამ მძიმე ნარკოტიკს არ ეკარება.**

# რატომ არ გაჰყვა „ვაით ნეგა“ კანონიერი ქურდი ბიძების გზას და რა კომფორტი ჰქონდა მას ჰოლანდიურ ციხეში



**დეპორტაციას ვერ მიხერხებენ, იმიტომ რომ თანამშრომლობაზე არ ვთანხმდები. ხელს არ ვაწერ და საბუთებს ვხევ**

**ზურა კოკლინი**: ამჟამად დეიდაჩემთან ვცხოვრობ, დეპორტაციას ვერ მიკეთებენ ***(იცინის).*** ერთადერთი შანსი, რომ ჰოლანდიაში საბუთი „დავითრიო,“ ის არის, რომ აქაურ ქალთან ხელი მოვაწერო. სხვა არანაირად არ გამოვა. საერთოდ, აქაურ ხელისუფლებას ქართველები და საქართველოდან ჩამოსულები დიდად არ „ევასება“, ცუდად ექცევიან ძალიან – ალბათ, იმიტომ რომ ტელევიზიით ყველაფერი კარგად ჩანს და გეუბნებიან თქვენთან ხომ ყველაფერი კარგად არის, სომალელებივით არ გიჭირთ და აქეთ რატომ მორბიხართო. აფრიკელებს და იქაურ ლტოლვილებს, ყველას უპრობლემოდ აძლევენ საბუთს – ჰგონიათ, რომ ჩვენ არ გვიჭირს. გაყარეს ბევრი – დარჩნენ მარტო ხელოვანები, ვისაც ლეგალურად ცხოვრებისა და მუშაობის უფლება აქვს. მე ალკმაარში ვცხოვრობ და, რომ იგებენ საქართველოდან ვარ, ძალიან უხარიათ. შოთა არველაძე ძალიან უყვართ აქ. შესაბამისად, ქართველების მიმართაც კარგადაა ხალხი განწყობილი. სულ უკვირთ ჩვენი მენტალიტეტი და ტრადიციები. გოგოს რომ სადმე დაპატიჟებ, ეგ ხომ ელემენტარულია, რომ ფული შენ უნდა გადაიხადო – ამათ ეგ უკვირთ. ერთი გოგო დავპატიჟე ეგრე და ისე გაუხარდა, ზედ შემომხატა და კისერზე ჩამომეკიდა ***(იცინის).*** ქართული ენაც რომ ესმით, ამბობენ, ჟღერადი და ძალიან ლამაზიაო. ისე, აქაც არის მაინც ნაციონალისტური განწყობა, 2009-2010-ში ძალიან ბევრი შემოეყარა საქართველოდან ნარკომანები...

– **ნარკომანი და წამალი უკვირთ ჰოლანდიაში? არ გამაგიჟო ახლა...**

– ***(იცინის)*** ჰო, აბა? წარმოიდგინე, ხომ ლეგალიზებულია მარიხუანა, მაგრამ 90 პროცენტი სულ ჩამოსულები ეწევიან. ჰოლანდიელი მაგაზე დროს და ფულს არ დახარჯავს. ბევრს მუშაობენ, რომ ფული დააგროვონ და კარგად დაისვენონ. დაზომბირებულები არიან, ზედმეტ კაპიკს არ გადაიხდიან არაფერში. ზოგადადაც, ძუნწი ხალხია. ნაციონალიზმზე რომ ვამბობდი, არის აქ ოჯახები, რომლებიც დღემდე შავკანიანს გამარჯობას არ ეუბნებიან. ერთი სიტყვით, კომუნისტური ცხოვრებაა აქ – კარგი მანქანა რომ იყიდო, ვთქვათ, და არ მუშაობ, მოგადგებიან, დაგკითხავენ და თუ ვერ დაამტკიცე საიდან გაქვს – ჩამოგართმევენ.

– **ესე იგი, უცხოელები არ უყვართ დიდად...**

– რა ვიცი, ასეც არის და ისეც. პოლონელები არიან აქ ბევრნი. მაგათთან ხომ ზლოტია, ევრო არ არის. აქ ჩამოდიან სამუშაოდ და ფულს შოულობენ – 100 ევრო 10 000 ზლოტია ***(იცინის).*** მერე პოლონეთში ბრუნდებიან და მილიონერები ხდებიან.

– **შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია ამჟამად?**

– ძალიან კარგად ვარ. ჰოლანდიელმა ექიმებმა სიცოცხლე დამიბრუნეს. რეზისტენტული ტუბერკულოზი მქონდა – 180 000 ევრო დაჯდა ჩემი მკურნალობა და მთლიანად ჰოლანდიის მთავრობამ დამაფინანსა. მორჩილად მივყვებოდი, მეტი რა გზა მქონდა. ახლა რომ ვფიქრობ, რა პროცედურებს მიტარებდნენ, გული მისკდება. ერთხელ რაღაცა ზონდისმაგვარი მილით ფილტვში ჩავიდნენ ცხვირიდან – ეგეთი რამე გაგებულიც არ მქონდა. მონიტორზე ჩემს შიგნეულს ვხედავდი, გავგიჟდი კინაღამ ***(იცინის).*** ვეუბნები, ხალხო, ეგ ეკრანი მაინც გაწიეთ, სადისტები ხართ-მეთქი?! 18 თვის განმავლობაში დღეში 25 ტაბლეტს ვიღებდი, 3 ქილა სისხლს მიღებდნენ დღეში... უდიპლომო ექიმი ვარ. მაგ ამბების მერე, შემიძლია, ქართველ ექიმებს ტრენინგები ჩავუტარო ***(იცინის).***

– **მარიხუანას ეწევი, როგორც მითხარი...**

– კი, ვეწევი ხოლმე. რომ არ მომეწია, გავგიჟდებოდი ამ ხნის განმავლობაში, ისე, ვცდილობ, ნელ-ნელა მოვეშვა. აქ ჩამოვიდეს მუსიკოსი და მარიხუანა არ მოწიოს, წარმოუდგენელია – კარგია, გონებას ხსნის, გეხმარება. მთავარია, არ „დაიგრუზო“ და არც გავნებს. „გაბერილი“ მექნებოდა გიჟივით, რომ არ მომეწია, საშინელი რაღაცეები მაქვს გამოვლილი. უფრო სერიოზულ ნარკოტიკს არც გავკარებივარ და არც გავეკარები. ჩემ თვალწინ მოუხარშავთ და გაუკეთებიათ უბნელებს, ეგ ადამიანზეა დამოკიდებული. უბრალოდ, მეცოდება ეგეთი ხალხი, ციხე კი არა, მკურნალობა სჭირდებათ. ჰოლანდიაში მძიმე ნარკოტიკიც ლეგალიზებულია. ძირითადად, შავები და ემიგრანტები ვაჭრობენ წამლით. სადგურთან დგანან და თუ თვითონ არ ყიდიან, აუცილებლად მიგასწავლიან „დილერს“. აქ ჩვეულებრივად არის კაფეები – „ქოფი შოპ“, სადაც იყიდება ნარკოტიკი, მაგრამ ასაკი შეზღუდულია, რა თქმა უნდა. ბავშვები გარეთ დგანან და უფროსებს სთხოვენ, მიყიდეო – მე არასდროს მიყიდია ბავშვისთვის „პლანი“ და არც ვიყიდი – საშინელებაა...

**კომუნისტური ცხოვრებაა აქ – კარგი მანქანა რომ იყიდო, ვთქვათ და არ მუშაობ, მოგადგებიან, დაგკითხავენ და თუ ვერ დაამტკიცე საიდან გაქვს – ჩამოგართმევენ**

– **კრიმინალის დონე მაღალია?**

– გააჩნია. როტერდამში ჩაწეული მინით ვერ დატოვებ მანქანას, მაშინვე მოგპარავენ – ძირითადად აფრიკელები. ქართველი ქურდები და ყაჩაღები აღარ არიან აქ. ვინც დარჩა, წესიერი ხალხია.

– **ყველაზე რთულად რომელი პერიოდი გახსენდება ჰოლანდიაში ცხოვრებიდან?**

– ალბათ, საავადმყოფოში რომ ვიწექი და კიდევ ციხე... ორი კვირა მარტო ვიწექი, იზოლირებული. ექიმები ნიღბებით შემოდიოდნენ, ვიდრე გაიგებდნენ, „გადამდები ვიყავი“ თუ არა. მაღაზიაში ნიღბით გავდიოდი, მაძლევდნენ გარეთ გასვლის უფლებას – ყველა მე მიყურებდა, საცოდავს რა სჭირსო, ფიქრობდნენ... მაგრად „მიტყდებოდა“. მერე აღმოჩნდა, რომ არ ვიყავი გადამდები და გადამიყვანეს ჩვეულებრივ პალატაში. ქართველმა ექიმებმა ყველანაირი იმედი გადამიწურეს, ჩვენ ვერ მოგარჩენთო, მეგონა, ვკვდებოდი... ჰოლანდიელმა ექიმებმა სიცოცხლე დამიბრუნეს: უკეთესობისკენ მიდის ყველაფერი – არაფერს ვნანობ, მიმაჩნია, რომ საჭირო იყო.

– **ძველ ხელისუფლებასთან მაინცდამაინც კარგ ურთიერთობაში არ იყავი და ამიტომ არ ჩამოდიოდი?**

– ჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. მე არ შემხებიან, სამაგიეროდ, ჩემს მეგობრებს შეეხნენ. ბევრი იჯდა ციხეში და ციხის ამბებიც, ასე თუ ისე, ვიცი. საგიჟეთი რომ იყო და განწირული ღრიალი ისმოდა მთელი ღამე. მაგ ამბებს მივუძღვენი საპროტესტო სიმღერა. 2 კვირა ვიჯექი ჰოლანდიურ ციხეში და სატანჯველი იყო. ქართულ ციხესთან რა შედარებაა, სატრენაჟორო დარბაზია ციხეში, დღეში სამჯერადი კვება. კამერაში სულ ორი კაცი ვიყავით – განვიცდიდი ძალიან, მაგრამ ვიმშვიდებდი თავს, რომ ჩემი მეგობრები უარეს დღეში იყვნენ ქართულ ციხეში. წინასწარი დაკავების იზოლატორში თეთრეულისა და პლედის გარეშე, ცარიელ ბეტონზე ვიწექი. მარტო ჭერი იყო ღია და იქიდან შემოდიოდა შუქი. ზედამხედველმა რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავი, ძალიან გაუხარდა, „ალკმაარის“ ქომაგი იყო და შოთას ხათრით კარგად მექცეოდა ***(იცინის).*** მანამდე, 2010-ში დამიჭირეს, მაგრამ დეპორტაციას ვერ მიხერხებენ, იმიტომ რომ თანამშრომლობაზე არ ვთანხმდები, ხელს არ ვაწერ და საბუთებს ვხევ ხოლმე ***(იცინის).*** ისე გამოდის, რომ თავი არ უნდა დავაჭერინო...

– **ჩამოსვლა გადაიფიქრე?**

– რა გავაკეთო, რომ ჩამოვიდე? მშობლების კისერზე ვიჯდე 27 წლის ბიჭი? ამიტომაც არ ჩამოვდივარ.

– **შენი ბიძები კანონიერი ავტორიტეტები იყვნენ და შენ რატომ არ გაჰყევი ამ გზას? შენ თუ იწონებ ამ გზას?**

– ჩემთვის ყველანაირი გზა მისაღებია, რაც ადამიანურია. ისე მოხდა, რომ სხვა გზა ავირჩიე, მაგრამ ამ გარემოში ვიზრდებოდი და ასეთ ადამიანებს პატივს ვცემ. ძალიან კარგი ბიძები მყავდა, აღარც ერთი აღარ არის ცოცხალი. ერთხელ მქონდა ბიძაჩემთან ლაპარაკი მაგ თემაზე, ბავშვი ვიყავი, ცეპებით და ჩაჩებით დავდიოდი. მითხრა, მთავარია, გულით აკეთო, რასაც აკეთებ და ყველაფერი გამოგივა. ყველა ქურდი და ყაჩაღი ვერ იქნებაო ***(იცინის).***

– **თქვი, რომ ჰოლანდიელ გოგონას ხვდები.**

– როგორ გითხრა, არ მინდა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. ამ ეტაპზე მარტო შვილი და ოჯახი მაინტერესებს. კი, ვხვდებით ერთმანეთს. ეს გოგონა ჰოლანდიაშია დაბადებული და გაზრდილი, ძალიან დამეხმარა და გვერდში დამიდგა – თუმცა, გამოვტყდები, სერიოზული ურთიერთობების ცოტა მეშინია. არ მინდა, თავი შევაყვარო და მერე გული ვატკინო – უმაგრესი ადამიანია და ძალიან ვაფასებ.

**ქეთი დიდებულიძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა**: **როგორ მივხვდე, ავტომობილის ძრავას პრობლემები თუ შეექმნება? რა სიმპტომები აჩვენებს მის გაუმართავ მუშაობას?**

**პასუხი**: პირველი ნიშანი – თუ დილით ავტომობილს ქოქავთ და ზეთის მაჩვენებელი ინდიკატორი მაშინვე კი არა, რამდენიმე წამის შემდეგ ჩაქრა, ეს იმას ნიშნავს, რომ ძრავა და მისი შიდა დეტალები უკვე საკმაოდ გაცვეთილია. მეორე ნიშანი – დილით დაქოქვისას, როდესაც ძრავა ცივია, ის გამოსცემს ცივი წკრიალის ხმას, ეს სულ რამდენიმე წამი გრძელდება და მერე იდეალურად იწყებს მუშაობას – მთელი დღე არანაირი ხმა აღარ აქვს. ეს ნიშნავს, რომ ძრავა სულ მალე გამოვა მწყობრიდან, თუ დროულად არ მიხედავთ. დროული მიხედვა კი კარგი ხარისხის ზეთის ჩასხმაა. მესამე ნიშანი კი უკვე იმ დროს იჩენს თავს, როცა ძრავას სერიოზული პრობლემა აქვს. ეს ხდება უკვე ავტომობილის, ანუ ძრავის გათბობის შემდეგ. ძრავის გახურების შემდეგ, ზეთი თხელდება, გათხელებული ზეთი ვეღარ ავსებს გარკვეულ დეტალებში გაჩენილ ღრიჭოებს. ამ ღრიჭოების არსებობა კი უკვე სერიოზული პრობლემაა და საშუალო ბრუნებზე, ვთქვათ, 2 500-დან 3 500 ბრუნამდე, ყრუ წკრიალის ხმა აქვს. არა ცივი, არამედ მოგუდული კაკუნის ხმა. ეს ხმა უკვე ნიშნავს, რომ ძრავა მწყობრიდანაა გამოსული. ავტომობილი იმწამსვე უნდა გააჩეროთ და გადაიყვანოთ პროფილაქტიკაში.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა**: **მყავს იაპონური წარმოების ავტომობილი და ვერაფრით შევეჩვიე მარჯვენა საჭით მის მართვას. მინდა, საჭის გადმოტანა, მაგრამ ვფრთხილობ, მეშინია, რამე სერიოზულად არ დაუზიანდეს და დისკომფორტი არ შემიქმნას. ვისაც ვკითხე, ყველა მეუბნება რომ ეს საკმაოდ სარისკოა. რას მირჩევთ?**

**პასუხი**: საჭის გადატანაზე ჩვენი რუბრიკის საშუალებით არაერთხელ გვისაუბრია. თუ ამას კარგი სპეციალისტი აკეთებს, ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. თუმცა, მძღოლებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ ის ნიუანსები, რომელიც შემდეგ აუცილებლად შეუქმნით დისკომფორტს, მაგრამ თავიდან ამაზე არც კი დაფიქრებულან. მაგალითად, საჭის გადმოტანის შემთხვევაში, საბარგულის, ბენზინის ავზის, ძრავის სექტორის ხუფის, ანუ „კაპოტის" ასახდელი მოწყობილობები მარჯვენა მხარეს რჩება. იმ შემთხვევაში, თუ გვერდით ძალიან ახლობელი არ გიზით და ზემოდან ვერ გადაანწვებით, მაშინ ამ მოქმედების შესასრულებლად, „შეწუხება" და ავტომობილიდან გადმოსვლა მოგიწევთ. ასეთი ბევრი ნიუანსია. იგივე, თუნდაც, კონდიციონერის სისტემებიც ვერ კეთდება ისე, რომ ზუსტად გამოუშვას ცივი თუ ცხელი ჰაერი. ასევე, ელექტროგაყვანილობებს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ სიგრძე გვერდით, საჭემდე ეყოს. პედლები და სამანიპულაციო ელემენტები ზუსტად უნდა იყოს განთავსებული. მომიწია ისეთი ავტომობილის მართვა, სადაც პედლები არაზუსტად იყო დამონტაჟებული და გვერდულად ვიჯექი საჭესთან. ასე რომ, თუ მარჯვენასაჭიან ავტომობილს შეიძენთ, ყველა ნიუანსი გაითვალისწინეთ.

**კითხვა**: **მყავს ავტომობილი „მერსედესი", 2001 წლის, მართვის ავტომატური კოლოფით. მუშაობს მაღალ ბრუნზე. დაახლოებით 1 000-1 100 ბრუნზე გადახურების მდგომარეობაშია. შესაბამისად, სიჩქარეში რომ ვაგდებ, ძიგძიგს იწყებს. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი**: ავტომობილის მაღალი ბრუნების დაკლება, არც ისე რთულია ხელოსნისთვის. ასეთ მდგომარეობაში მუშაობა კი კოლოფისთვის ძალიან ცუდია. ამიტომ, დროულად მიაკითხეთ ხელოსანს. მაღალი ბრუნები რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული იმისდა მიხედვით, ავტომობილი რა სისტემითაა აღჭურვილი. მაგრამ, ძირითადად მაინც ორ მიზეზს გამოვყოფ, რაც ბევრ მოდელზე ერთნაირად იჩენს თავს. ესენია: შემშვებ კოლექტორში საიდანღაც ჰაერი იპარება, ანუ მისი ან მასთან მიმაგრებული დეტალების ჰერმეტულობა დარღვეულია; მეორე – „დროსელი" შეიძლება, იყოს ნორმაზე ღია, რაც იმას ნიშნავს ავტომობილისთვის, რომ გაზზე ოდნავ ფეხია მიჭერილი. თუმცა, ამის დარეგულირებაც მარტივადაა შესაძლებელი.

**კითხვა**: **მყავს ავტომობილი „სიტროენი". ავტომობილის ძირში დამცავი საფარი, ეგრეთ წოდებული „ზაშიტნიკი," ოდნავ ჩამოწეული იყო, რისთვისაც ყურადღება არ მიმიქცევია. ამ წვიმების დროს კი მთლიანად ჩამოვარდა. ამ დღეებში მისი შეკეთება არ შემიძლია და იქნებ მითხრათ, რამდენად საშიშია ამ პლასტმასის გარეშე სიარული?**

**პასუხი**: დამცავი პლასტმასის არქონა ერთი და ორი დღე პრობლემას არ შეგიქმნით. მაგრამ, რაც შეიძლება ფრთხილად უნდა იაროთ, მაქსიმალურად მოერიდოთ ორმოებსა და თხრილებს, რომ კარტერი არ დაზიანდეს და ზეთი არ დაიღვაროს. წვიმების შემთხვევაში კი, მოერიდეთ გუბეებს. კარგი იქნებოდა, სანამ ახალ პლასტმასს მიაყენებთ, ხელოსნისთვის მაინც გეჩვენებინათ, შიდა რაიმე დეტალი არ იყოს დაზიანებული პლასტმასთან ერთად.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**




**ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება - „თბილისის ტურიზმის აკადემია"**

**გიწვევთ დაეუფლოთ სადღეისოდ მოთხოვნად სხვადასხვა სპეციალობას!**

**გიდი**: ***მესამე საფეხური*** – ადგილობრივი გიდი. ***მიღების მოთხოვნები:*** 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. არაფორმალური განათლების აღიარება. ***მეოთხე საფეხური*** – სპეციალიზებული გიდი: 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. გიდის მესამე საფეხურის დიპლომი; 4. არაფორმალური განათლების აღიარება.

**ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)**: ***მესამე საფეხური***: 1. საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის); ***მეოთხე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) III საფეხურის დიპლომი; ***მეხუთე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) IV საფეხურის დიპლომი;

**კორესპონდენტი** – ***მესამე საფეხური:*** 1.საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის);

**მუსიკოს-რეპეტიტორი** – ***მეხუთე საფეხური***: 1.სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2.შემოქმედებითი ტურის გავლა.

***სწავლა დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში სასწავლებელი ავტორიზებულია, ყველა საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.***

**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი**

აცხადებს მიღებას ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სწავლის გასაგრძელებლად (მობილობის წესით) 1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი/ინფორმატიკა.

**საჭირო საბუთები**: 1) ატესტატი (დედანი); 2) სტუდენტის ბარათი; 3) 4 ფოტოსურათი 3/4; 4) პირადობის მოწმობა (ასლი).

**საბუთების მიღება ყოველდღე ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 599-18-89-24**

**ორივე სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**



პატარა
იაპონური ლექსი
ჩვენი საჭმელი
საკად-რისი
შავი დღისთვის
ვარდის მცველი
პოლიც-იელის ჩინი ძვ. რუსეთში
გვიშ-ველეთ!!!
არაფატს ერქვა
ვარდო-ბისთვე
შხამიანი გველი
....პუგა-ჩოვა
წითელი დღე
ამერი-კელის მეტ-სახელი
ქალის „ენა“
აზია-აფრიკის ბინადარი
პოეტი (......) ნადირაძე
(.......) გიბსონი
პოემა „ბახტრიონის“ პერსონაჟი ქალი
გამდი-ნარე წყალი
პარიზის მდინარე
კავკა-სიონის ქედი
დუმბაძე
კომში
ამრევი
მწერალი
იყო ასეთი სპორტ. გაზეთი
ევროპის ქვეყანა
ბაშკი-რეთის დედა-ქალაქი
ელექ-ტროდი
აბანო
რა არის WORD?
გეომე-ტრიული რიცხვი 3,14
ინდოეთის მდინარე
ცხოველის კიდური
ჩვენი ქალაქი
ცხრა (ინგ.)
ევროპის კუნძულოვანი სახელმწიფო
ასეთი სასწავ-ლებელიც იყო
სოფელი ონის მუნიციპ-ალიტეტში
გათან-აბრების საშუა-ლება
...მირია-ნაშვილი
ხორავას როლი
„(.....) ვარდ-ისფერ ათმებს მოვიგონებ“
ბავშვის გადა-ხტომა
რიყის ქვა ასეთია
ფრანგი მსახიობი
პირდაპი-რი ეთერი
ჩვილი ბავშვი
პოლივუდის ძველი მსახიობი ავა.....
კამათი, დავა
მესამე პირი
ნამის წვეთი
დასას-ვენებელი ადგილი
ბიჭიკოს სატრფო
გადას-ახდელი რამ
ფრანგი კომედი-ოგრაფი
გამოუცდ-ელი კაცი
მსგავსი სიტყვა
პერუს დედა-ქალაქი
აფრიკის ქვეყანა
ესპანური გვარი
პიკასოს მხატვ-რობაშია
წონის ერთეული
ძაღლი
გრამატ. კავშირი
სომხეთის ფული
მწერალი ედგარ ალან (....)
იშვიათი რამ
ჩვენი სამოსი
კიმ ბეს-ინჯერის ქმარი ალეკ.....
(......) გარსია
ფუფალას სატრფო
ნაბიჯით (.......)!
თურქი ბატონი
ჩაკე-ტილი ქუჩა
ზოგი პროცესი ასეთია
გრამა-ტიკული კავშირი
პოლი-ვუდის ომარი
სამხრ. ამერიკის პირუტყვი
სიგრძის ძველი საზომი
საზ. კვების ობიექტი
სხეულის ნაწილი
შურდ-ულის „ტყვია“
სიტყვა-ნაწილაკი
კროს-ვორდის დასას-რული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | 8 | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | 11 | 11 | 6 | 7 | 8 | | | | 2 | | 1 | | | | | | 3 | 7 | | | | | | | | | 7 | | | | | |
| | | | 1 | 2 | 4 | 3 | 3 | 14 | | 1 | 1 | 3 | 1 | 4 | | | | 14 | 1 | 3 | 8 | 7 | 9 | 10 | 9 | 3 | 3 | 5 | 3 | 9 | 13 | 10 | 10 | |
| 6 | 5 | 6 | 3 | 3 | 4 | 6 | 3 | 3 | 3 | 4 | 1 | 3 | 2 | 1 | 3 | 3 | 3 | 5 | 3 | 3 | 2 | 3 | 4 | 5 | 5 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 3 | 3 | 2 | 10 |
| 3 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 4 | 3 | 6 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 |
| | | | | 1 | 2 |
| | | | | 3 | 2 |
| | | | 5 | 2 | 1 |
| | | | 5 | 4 | 1 |
| | | | 6 | 5 | 2 |
| | | | 6 | 7 | 4 |
| | | | 6 | 7 | 5 |
| | | | 6 | 8 | 5 |
| | 2 | 2 | 1 | 6 | 5 |
| | 3 | 1 | 1 | 6 | 6 |
| | 3 | 1 | 1 | 5 | 6 |
| | 3 | 1 | 1 | 3 | 7 |
| | 4 | 1 | 2 | 3 | 6 |
| | 3 | 2 | 1 | 3 | 6 |
| | | 4 | 1 | 2 | 9 |
| | 2 | 2 | 1 | 5 | 1 |
| 2 | 1 | 3 | 3 | 2 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 5 | 2 |
| | | 1 | 2 | 10 | 2 |
| | | 1 | 4 | 7 | 2 |
| | | 2 | 3 | 8 | 2 |
| | | 5 | 2 | 7 | 3 |
| | | | 10 | 6 | 4 |
| | | | 7 | 5 | 4 |
| | | | 5 | 6 | 1 |
| | | | 5 | 7 | 1 |
| | | | | 4 | 6 |
| | | | 2 | 18 | 4 |
| | | | 1 | 27 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებში.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | | 9 | 6 | | 7 | |
| 7 | 8 | | 3 | | | 5 | 9 | 6 |
| | | 6 | 1 | | 8 | 3 | 4 | 2 |
| 1 | | 9 | | 5 | | 8 | | 3 |
| | 7 | | 6 | 1 | 3 | | 2 | 4 |
| 4 | | 3 | 2 | 8 | | 7 | 5 | |
| | 1 | | 9 | | 5 | | 3 | 7 |
| 5 | | 7 | 8 | 2 | | 6 | 1 | |
| | 9 | | 7 | 3 | | 2 | 8 | 5 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 2 | | | 4 | | 1 |
| | | 8 | | 1 | 7 | | | |
| 6 | 1 | | | 4 | | | | |
| | 4 | | 1 | | 8 | | 6 | |
| 5 | | 6 | | | | 1 | | |
| | 8 | | | | 6 | | | 3 |
| 1 | | 9 | | 8 | | 3 | | |
| | 6 | | | | 1 | | | 7 |
| 8 | | 5 | | | 9 | | | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ მონსტრის ხატვა
2. მიახატეთ დაღებული პირი და თვალები
3. ყურები და კბილები არ დაგავიწყდეთ
4. მონსტრს მიახატეთ ხელები და გამოკვეთეთ ბალანი
5. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზით მივა გოჭი საკვებთან




## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



# ქათამი და მერცხალი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ქათამმა გველის კვერცხები იპოვა, ზედ იკრუხა და გამოჩეკა. მერცხალმა ეს რომ დაინახა, ქათამს უთხრა:

– სულელო, რას სჩადიხარ? ვისაც ახლა აჭმევ, გაიზრდებიან და შენ შეგჭამენო.

ბოროტს ამაგს ვერ დაანახვებო.

## რიცხვრებუსი

, 10, 2, , , 0 10, ,



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: მაინტერესებს, რა სიმპტომებით გამოირჩევიან ძუ ძაღლები მშობიარობის წინა პერიოდში?**

**პასუხი:** მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, სეირნობისას ძუ ცდილობს, შორს არ წავიდეს; იმზადებს „ბუდეს;" უმეტესად მოუსვენრობს, ხშირად წევს და პატრონის მიმართ გადამეტებით მოსიყვარულე ხდება. მშობიარობამდე ორი-სამი დღით ადრე მას სარძევე ჯირკვლებში უდგება რძე (განსაკუთრებით – ნამშობიარებ ძუებს). უმჯობესია, თუ თქვენს ძაღლს ორი-სამი დღით ადღე აჩვენებთ ვეტერინარს.

მშობიარობის პროცესი, მიმდინარეობის მიხედვით, შეიძლება დავყოთ სამ სტადიად: პირველი – სამშობიარო გზების გაფართოება; მეორე – ლეკვის დაბადება. როცა შეიმჩნევა საშვილოსნოს კუმშვები, ეს სტადია ნორმალური სამშობიარო აქტის დროს ორ საათამდე გრძელდება; მესამე – სანაყოფე გარსებისა და პლაცენტის გამოდევნა, რაც ძირითადად, ხდება 5-15 წუთში ლეკვის დაბადებიდან ან მომდევნო ლეკვის დაბადების დროს.

რაც შეეხება ჭინთვებს, ეს არის მუცლის კედლის კუნთების შეკუმშვა, რაც საშვილოსნოს ნაყოფის გამოძევებაში ეხმარება. ჭინთვებისა და საშვილოსნოს შეკუმშვის ლოგიკური დასასრულია ლეკვის დაბადება, რომელიც თანდათანობით გამოდის სამშობიარო წყლების ბუშტთან ერთად მენჯში, შემდეგ კი სწრაფად გამოიდევნება გარეთ.

ლეკვი, როგორც წესი, იბადება თავით, ზურგით მაღლა, მაგრამ, არის შემთხვევები, როცა ნაყოფი იბადება უკუღმა. ლეკვი ძირითადად იბადება სანაყოფე გარსებთან ერთად, მაგრამ, მშობირობის დროს, შეიძლება, სანაყოფე გარსები გასკდეს და მოხდეს სანაყოფე სითხის დაღვრა. ლეკვის დაბადების შემდეგ ხდება პლაცენტისა და სანაყოფე გარსების გამოძევება სამშობიარო გზებიდან.

**კითხვა: თუ სახლში ორი ძაღლია, როგორ ავარიდოთ მათ ურთიერთობას უსიამოვნო ინციდენტები?**

**პასუხი:** იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ კონფლიქტები ერთ სახლში მცხოვრებ ძაღლებს შორის, უნდა გაითვალისწინოთ მთელი რიგი წესები. მაგალითად: თუ გსურთ, რომ სახლში მიიყვანოთ ზრდასრული ძაღლი, მაშინ, თქვენი ძაღლი და ახალი ძაღლი ერთმანეთს უნდა გააცნოთ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ერთად უნდა გაასეირნოთ და უნდა ეცადოთ, რომ ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ. არ უნდა დაუშვათ, რომ მათ შორის იერარქიული დამოკიდებულება შეიქმნას. მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთს შეაჩვევთ, ერთად წაიყვანეთ სახლში. თუ რომელიმე მათგანს ჩამოუყალიბდება ტერიტორიული ინსტინქტი, უმჯობესია, ისინი ერთად გადაიყვანოთ ისეთ ადგილას, რომელიც ორივესთვის უცხო იქნება – ასეთ სიტუაციაში უკეთესად ყალიბდება კეთილი ურთიერთდამოკიდებულება.

**კითხვა: მაინტერესებს, რა ასაკშია ლეკვის აყვანა ყველაზე სწორი და სასურველი?**

**პასუხი:** სასურველია, ლეკვი დაბადებიდან 45 დღის შემდეგ აიყვანოთ. 30 დღის ასაკამდე აუცილებელია, რომ ლეკვი დედის რძით იკვებებოდეს. აყვანის შემდეგ კი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ კონკრეტული პერიოდი, როცა ძაღლს გაორმაგებული ყურადღება სჭირდება თქვენგან. მართალია, ყურადღების მიქცევა მუდმივად საჭიროა, მაგრამ, განსაკუთრებული ყურადღება ლეკვს 4-დან 6-თვის ასაკში უნდა მიაქციოთ, რადგან ამ პერიოდში ის კბილების ცვლას იწყებს. სამედიცინო თვალსაზრისით, კბილების ცვლა ერთ-ერთი რთული რამ არის ორგანიზმში. ამ პერიოდში ლეკვს დანამატის სახით ყველაზე მეტი ვიტამინის მიცემა სჭირდება, რადგან, ის იფიტება და იმუნიტეტი უქვეითდება.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: რომელი მცენარეა ძალიან იოლი მოსავლელი?**

**პასუხი:** ძალიან ბევრი მცენარეა იოლი მოსავლელი. ისინი კარგია ბინებში, ბაღებში, ეზოებში. სასურველია, ყველა ოჯახში ხარობდეს მცენარე, რადგან მათ შეუძლიათ, გაალამაზონ და გაწმინდონ გარემო. ამასთანავე, ზოგიერთ მცენარეს მჭიდრო კავშირი აქვს ბუნებასთან და ისინი პირველები გვამცნობენ სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენებს, მაგალითად: არმა არის ძალიან იოლი მოსავლელი და ძალიან კარგი მცენარეა; მას შეუძლია, იყოს ამინდის მაჩვენებელი: როცა ამინდი იცვლება და არის ღრუბლიანი, მცენარე იწყებს ფოთლებზე წვეთების მოკიდებას, რაც იმის ნიშანია, რომ იწვიმებს. არსებობს, ასევე, მისივე ოჯახის წარმომადგენელი მცენარე, რომელიც, ელვის მოსალოდნელობის დროს ფოთლებს ჭმუჭნის. არსებობს მცენარე „მლოცველი," რომელიც ძალიან კარგია ოჯახისთვის. საღამოს, როდესაც მზე ჩადის, ის იწყებს ფოთლების დაკეცვას. მსგავსი ტიპის მცენარეები ძალიან იოლი მოსავლელია. მათ არ სჭირდებათ დიდი ყურადღება და, ასევე, არაა სავალდებულო მათთვის დამატებითი საკვები ნივთიერებების მიწოდება. გაითვალისწინეთ, რომ ამ მცენარეებისთვის სასურველია დიდი და განიერი ქოთანი.

**კითხვა: როგორი მოსავლელია გიბისკუსი?**

**პასუხი:** ეს მცენარე არ არის პრეტენზიული და რთული მოსავლელი. ის ძალიან კარგად ხარობს როგორც ჩრდილში, ასევე, მზიან ადგილას. გიბისკუსს ესაჭიროება დიდი ქოთანი; ასევე მას სჭირდება ხშირად გადაჭრა, რათა კარგად იყვავილოს. გიბისკუსი არის ტროპიკული მცენარე და ამიტომ მას ზამთარში უყვარს სითბო და ნესტი, რათა ღეროვანი სისტემა არ გამოუშრეს. ყვავის ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. გიბისკუსი გამოყოფს თესლს და ეს პროცესი კარგად ვითარდება სათბურებში, რადგან, მას იქ აქვს საკმარისი ნესტიც და სინათლეც. თქვენ შეგიძლიათ მისი კალმით გამრავლება ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით.

**კითხვა: როდის შეიძლება, ივან და მარია დავთესო?**

**პასუხი:** ივან და მარია არის სუბტროპიკული მცენარე, არებობს მისი გამოყვანილი ჯიშებიც. ამ მცენარის სულ ექვსი ჯიშია. მცენარე, შესაძლოა, დაითესოს როგორც ადრე გაზაფხულზე, ასევე, გვიან ზაფხულშიც და ზამთრის პერიოდშიც. ის ამოდის ძალიან მალე, არის უსუსური, მაგრამ, ჯანმრთელი. კარგად ეგუება ყველანაირ კლიმატს – როგორც ყინვებს, ასევე, სიცხეებსაც. ეს მცენარე არ არის ერთწლიანი, ის ცოცხლობს დაახლოებით 4-5 წელი, ხოლო შემდეგ კი მუდმივად ტოვებს თავის ნათესს. ივან და მარია კარგად უძლებს მაღალ ტემპერატურას, მაგრამ, ასეთ დროს მას სჭირდება დიდი რაოდენობით წყალი. ივან და მარია ყვავის თითქმის მთელი წლის განმავლობაში – მას ამისთვის რომელიმე კონკრეტული სეზონი არ სჭირდება.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ადენიუმის ზამთარ-ზაფხულ გარე კლიმატში დატოვება?**

**პასუხი:** ადენიუმის ზოგიერთი სახეობა ვერ უძლებს დიდ ყინვას, ამიტომ, ეცადეთ, ამყოფოთ ისეთ ადგილას, სადაც არ იქნება ყინვა, თუმცა გახსოვდეთ, რომ მისი ოჯახის რამდენიმე წარმომადგენელი ყინვაგამძლეა. ზოგადად, ეს არის უპრეტენზიო მცენარე, მას არ სჭირდება დიდი მოვლა-პატრონობა. ის უნდა იდგას მზიან ადგილას და ასეთ პირობებში უფრო ლამაზი ხდება. ზოგიერთ მათგანს ძლიერ სიცხეებში ფოთლები უწითლდება. ადენიუმს აქვს ძალიან ლამაზი ყვავილები და მისი ყვავილობა დიდხანს გრძელდება.

**მოამზადა**
**თეოგა გოზალიშვილმა**

# როგორ გაუსწორდა მამაკაცი ბავშვობის მეგობარს და რატომ მისცა მის წინააღმდეგ ჩვენება საკუთარმა დამ



37 წლის ბესიკ ჭ-ძე საავადმყოფოში გულმკერდის არეში დანით მიყენებული ორი ჭრილობით მოათავსეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო – მამაკაცს დაზიანებული ჰქონდა შინაგანი ორგანოები, თუმცა ფიზიკური ზემოქმედებისა და ცემის კვალიც აღენიშნებოდა. ექიმებმა მისი გადარჩენა მაინც შეძლეს. დაჭრილი საავადმყოფოში ქუჩაში შემთხვევით გამვლელმა მიიყვანა. მას დაზარალებულთან და ამ ინციდენტთან საერთო არაფერი ჰქონდა. მოგვიანებით, მოწმის სახით დაკითხვისას, მან განაცხადა, რომ მამაკაცი შემთხვევით აღმოაჩინა: „გვიანი ღამე იყო, ხელოსანი კაცი ვარ და გვიანობამდე შემოვრჩი საქმეს, სახლში ვბრუნდებოდი. მანქანა გზად დაუსახლებელ ადგილას გავაჩერე, ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადავედი. გვიან შევნიშნე, რომ იქვე, სხვა მანქანაც იყო გაჩერებული, საიდანაც მამაკაცის კვნესა ისმოდა. ახლოს მივედი მანქანასთან და დავინახე, რომ საქარე მინა ჩამტვრეული იყო, გახსნილ კარს კი გასისხლიანებული მამაკაცი მიწოლოდა. მთხოვა: დაჭრილი ვარ, მიშველე, საავადმყოფოში წამიყვანეო. არც დავფიქრებულვარ, ისე მივეხმარე და ჩემს მანაქანაში გადმოვიყვანე. ერთი, რამაც გამაოცა, დაჭრილი მამაკაცი ტიტველი იყო. იქვე მისი ტანსაცმელიც შევნიშნე, მაგრამ ჩაცმას ვერ დავუწყებდი, მანქანაში ზეწარი მქონდა და ის მივაფარე. საავადმყოფომდე ხმა არ გაუღია, არც მე მიკითხვას არაფერი. ვჩქარობდი, რადგან მივხვდი, სისხლისგან იცლებოდა. არც საავადმყოფოში მივატოვე, სანამ პილიციელები არ მოვიდნენ. მის შესახებ არაფერი ვიცოდი. ამიტომაც, რაც ვნახე, ის მოვყევი პოლიციელებთან, რომლებიც საავადმყოფოში მათი გამოძახებისთანავე მოვიდნენ".

დაჭრილი მამაკაცის დაკითხვა სამართალდამცველებმა ქირურგიული ოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ შეძლეს. იქამდე, ოპეარტიულ-სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა მისი ვინაობა. 37 წლის მამაკაცი ერთ-ერთი ტოტალიზატორის თანამშრომელი იყო. ამიტომაც, ინციდენტის პირველი ვერსია, მის საქმიანობას დაუკავშირეს. თუმცა, ახალგაზრდა მამაკაცის შიშველ მდგომარეობაში ყოფნა, ვითარებას მეტად საეჭვოს ხდიდა. მოგვიანებით, დაზარალებულმა ბესიკ ჭ-ძემ განმარტა, რომ ტანსაცმელი იძულებით გახადა მისთვის უცნობმა მამაკაცმა, რომელმაც ის ინციდენტის ადგილზე მოტყუებით მიიყვანა.

ოპერატიული სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ დაზარალებულს, რომელსაც ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა, ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდა გოგონასთან. საყვარლის ვინაობაც კი მისი წრისთვის გასაიდუმლოებული იყო. შესაბამისად, მის ვერსიას, რომ ის შემთხვევის ადგილზე მოტყუებით მიიყვანეს, შესაძლოა, რეალობასთან არაფერი ჰქონდა საერთო. გამოძიების ინფორმაციით, ინციდენტი ქალთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მით უფრო, რომ დაზარალებული ინტიმურ ვითარებაში ნახეს. გამოძიებას ნათელი თავად ინციდენტის კიდევ ერთმა მონაწილემ მოჰფინა. მან შემთხვევის ადგილზე მომხდარის დეტალები თავად შეატყობინა გამოძიებას – არც მეტი არც ნაკლები, ჩვენება საკუთარი ძმის წინააღმდეგ დამ მისცა. ფაქტის გახმაურების შემდეგ გაოცებას ვერც დაზარალებული მალავდა, რომელიც, როგორც განაცხადა, ამ ისტორიის დამალვას აპირებდა.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა. სამართალდამცველებმა დააკავეს 37 წლის მამუკა გ-ძე, რომელმაც სასამართლო პროცესზე შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ ჩვენება დამ მისცა. მას შემდეგ, რაც გამოძიებისთვის დანაშაულის დეტალები ცნობილი გახდა, დაზარალებული ბესიკ ჭ-ძეც იძულებული შეიქნა, სიმართლე ეღიარებინა, რომელიც მის გარდა, მხოლოდ ინციდენტში მონაწილე ორმა პირმა იცოდა. მათგან ერთ-ერთი, მამუკა გ-ძე ბავშვობის მეგობარი იყო, მისი და, ხათუნა გ-ძე კი – საყვარელი.

ამონაწერი ხათუნა გ-ძის ჩვენებიდან: „ნახევარ წელზე მეტია, ბესიკ ჭ-ძესთან ინტიმური ურთიერთობა მაქვს, რაც ჩემმა ძმამ არ იცოდა. ბესომ თავიდან მოტყუებით დაამყარა ჩემთან კავშირი, მპირდებოდა, ცოლს უნდა გავშორდე და შენ მოგიყვანოო. როცა მივხვდი, რომ მისი დაპირებები ტყუილი იყო, დავემუქრე, ჩემს ძმას ყველაფერს ვეტყვი და არ გაპატიებს-მეთქი. მაშინ მითხრა: მე და შენი ძმა ბავშვობიდან ერთად გავიზარდეთ, ერთმანეთს მოსაკლავად ნუ გაგვამეტებინებო. შეშინებულს ამ საკითხზე ხმა აღარ ამომიღია, მალულად ვხვდებოდი ბესოს, რომ ჩემს ძმას არაფერი გაეგო. ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე, შევნიშნე, რომ ჩემი ძმა ბესოს მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი. მაშინვე ვუთხარი ბესოს, ნეტავ, მამუკამ რამე ხომ არ გაიგო-მეთქი. არაო, – დამამშვიდა. რამე რომ გაეგო, მამუკას ისეთი ხასიათი აქვს, ამას არ დამალავდაო. ძალიან მრცხვენოდა ჩემი ძმის, მაგრამ ბესოც მიყვარდა და მასთან ურთიერთობაზე საკუთარ თავს უარს ვერ ვეუბნებოდი. იმ დღეს, როცა ჩემმა ძმამ ბესო დაჭრა, მამუკა დილიდან ცუდ ხასიათზე იყო. მივხვდი, რაღაც ხდებოდა. გვიან გავიგე, ბესოს ცოლს დაურეკავს მამუკასთვის და იმას უთქვამს ყველაფერი. ჩვენ არაფერი ვიცოდით. საღამოს ბესომ დამირეკა, ერთმანეთს შევხვდით და იმ ადგილისკენ წავედით, სადაც ერთად ბევრჯერ ვყოფილვართ. ალბათ, ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ უცებ ვიღაცამ მანქანას ლამის კარი გამოგლიჯა. ჩვენ შიშვლები ვიყავით – ძალიან ბნელოდა, მაგრამ დავინახე, როგორი შეშლილი სახე ჰქონდა ჩემს ძმას. ბესო მანქანიდან გადაათრია და წიხლებს ურტყამდა. დავაპირე გადასვლა, მაგრამ მეც დამარტყა. მესმოდა, ბესო როგორ ეუბნებოდა: დამნაშავე ვარ, ვიცი, არ მომკლაო. დავინახე მამუკამ როგორ ამოიღო დანა და ბესოს ორჯერ დაარტყა. ბესო ძირს დავარდა – შიშველი ტანი სისხლით დაეფარა, მაგრამ მამუკა კიდევ ურტყამდა წიხლებს. მერე ქვა აიღო და მანქანას დაარტყა რამდენჯერმე. მე მანქანიდან გადმოვედი, მამუკას ვთხოვე: დაანებე თავი, ან მეც მომკალი-მეთქი. მამუკამ მეც დამარტყა, თავის მანქანაში ძალით ჩამაგდო. დაჭრილი ბესო იქვე მივატოვეთ და წავედით. მეორე დილით მამუკას მეგობარმა მოაკითხა. გავიგე როგორ უთხრა: წუხელ ბესო იპოვეს დაჭრილიო. მამუკას ხმა არ ამოუღია. ჩემი ძმის მიმართ სიძულვილი ვიგრძენი. ორი დღე ვფიქრობდი, პოლიციაში წასვლასა და სიმართლის მოყოლაზე. ვიცოდი, ჩემს ძმას ციხე არ ასცდებოდა, მაგრამ მაინც მივიღე ეს გადაწყვეტილება".

**ბრალდებულმა სასამართლოზე შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ ჩვენება საკუთარმა დამ მისცა**

ხათუნა გ-ძის ჩვენების საფუძველზე სამართალდამცველებმა მამუკა გ-ძე დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული თავიდანვე აღიარა და თქვა, რომ საკუთარი ფეხით აპირებდა პოლიციაში მისვლას და მომხდარის შესახებ განცხადებას. მას არც დანაშაულის იარაღი დაუმალავს, რომლითაც ბავშვობის მეგობარს ორი ჭრილობა მიაყენა. ამონაწერი ბრალდებულის ჩვენებიდან: „მე და ბესო სკოლის პერიოდიდან ვმეგობრობთ. მასზე ერთგული არავინ მეგონა. ამიტომ, ეს ამბავი ჩემთვის დიდი დარტყმა იყო. ხათუნა ჩვენზე ხუთი წლით უმცროსია. დედა ადრე დაგველუპა – დეიდამ გაგვზარდა ორივე გაჭირვებით. უმცროსი და ჩემთვის ყველაფერი იყო და მის შეურაცხყოფას ვერავის ვაპატიებდი, მით უმეტეს, ბავშვობის მეგობარს. ხათუნა მის თვალწინ გაიზარდა და ეს არ უნდა ეკადრა. მე არ ვიცოდი, ერთმანეთს თუ ხვდებოდნენ. ორი დღით ადრე, სანამ ეს მოხდებოდა, ბესოს ცოლი დამიკავშირდა და იმან მითხრა. თურმე, ყველაფერი იცოდა, ჩუმად დაჰყვებოდა მათ უკან. ის ადგილიც კი მითხრა, სადაც ყველაზე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. იმ საღამოს, როცა ხათუნა სახლიდან გავიდა, ბესოს დავურეკე, ლუდი დავლიოთ-მეთქი. არ მცალიაო – მითხრა. მე ცოტა ნასვამი ვიყავი, გადავწყვიტე, თავზე დავდგომოდი ბესოს და ჩემს დას. ფიზიკურად ბესოზე ძლიერი ვარ, მისი ცემა ჩემთვის არაფერი იყო. დანა არასდროს მიტარებია, იმ დღეს ჩუმად ავიღე და მანქანაში ჩავდე. შორიდანვე დავინახე ბესოს მანქანა, ჩუმად ახლოს მივადექი. შოკში ჩვვარდი, როცა დავინახე, რაც ხდებოდა მანქანაში. არაფერი მახსოვს, როგორ გადმოვაგდე ბესო მანქანიდან, როგორ დავარტყი დანა, ინსტინქტურად ვიქცეოდი, მთლიანად გათიშული ვიყავი. სახლში მისული გონს მოვედი. ჩემს ცოლს არ გამოპარვია, რაც ჩემს თავს ხდებოდა, მაგრამ არც იმას ვუთხარი რამე. მერე მითხრა, რომ ხათუნას თვითონ მოუყოლია ყველაფერი. არც დამალვას ვაპირებდი და არც გაქცევას, რაღაც საქმე მქონდა მოსამთავრებელი. ვიფიქრე, მოვათავებ ამ საქმეს და ჩემი ფეხით მივალ პოლიციაში-მეთქი, მაგრამ იქამდე პოლიცია მოვიდა ჩემთან" – აღიარა მამუკა გ-ძემ საკუთარ ჩვენებაში.

დაზარალებულ ბესო ჭ-ძეს, რომელმაც თავიდან სიმართლე დამალა და გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცა, სასამართლომ ყალბი ჩვენების მიცემისთვის პირობითი მსჯავრი შეუფარდა. რაც შეეხება მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ მამუკა გ-ძეს – იმის მიუხედავად, რომ მისი ინტერესების დამცველი ბრალდებულისთვის შეფარდებული მუხლის შეცვლას ცდილობდა, მამუკა გ-ძე ამტკიცებდა, რომ მეგობრის მოკვლა ჰქონდა განზრახული. სასამართლომ გაიზიარა შემამსუბუქებელი გარემოებები, ბრალდებულის წარსული, რეპუტაცია და აფექტური მდგომარეობა, რომელშიც ის აღმოჩნდა, როცა დისა და მეგობრის ინტიმური ურთიერთობის შესახებ შეიტყო და მას ჩადენილი დანაშაულისთვის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28-34(660)

ანზორას არ გასჭირვებია ჩემი ვიზიტის მიზეზის დადგენა და მკითხა:

– რამდენი გჭირდება, კობრაჯან?

– ოცდაათი ათასი დოლარი, – მივუგე ვერცხლისქუჩელ ანზორას, – ოცი – ციხის უფროსს, ათი კი მე მჭირდება.

ანზორას ჩემი სიტყვები არ ეპიტნავა, მაგრამ, ხელით მანიშნა, მალე მოვალო და სხვა ოთახში გავიდა. ხუთ წუთში დაბრუნდა, ცელოფანში გახვეული პაკეტი მომცა და მითხრა:

– აი, ძმაო, აქ ოცდაათი ათასი დოლარია, ალალი იყოს.

– მადლობელი ვარ. გადამეხადოს, – ვუთხარი ანზორას და გადავეხვიე. შემდეგ გამოვემშვიდობე და წამოვედი.

სამიოდე საათის მერე თვითმფრინავში ვიჯექი და მოსკოვში მივფრინავდი, იქიდან კი ურალისკენ ავიღე გეზი. სოლიკამსკის საქალაქო სასაფლაოზე რომ მივედი, ვასია ბრილიანტის კუბოს უკვე მიწაში ჩასასვენებლად ამზადებდნენ. ძია ვასიას დასაფლავებას ოციოდე ქურდი ესწრებოდა. ისინი ჩემსავით სასწრაფოდ ჩავიდნენ სოლიკამსკში, რომ ლეგენდარული ბრილიანტი უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ. იქვე იმყოფებოდა რიტაც, რომელიც ყბედალოსთან ერთად ჩამოფრინდა როსტოვიდან სოლიკამსკში... დაკრძალვის შემდეგ ყველანი პატარა რესტორანში შევიკრიბეთ და ბრილიანტის სულის მოსახსენიებლად თითო ჭიქა წავუქციეთ, შემდეგ კი დავიშალეთ და სხვადასხვა ქალაქში გავემგზავრეთ.

დღესდღეობით, სოლიკამსკის საქალაქო სასაფლაოზე, სადაც ძია ვასიას საფლავია, შავი ქვაა აღმართული, რომელზეც ამ ლეგენდარული ქურდის სურათია ამოტვიფრული და დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები წერია, ქვას კი ზემოდან რვატონიანი გრანიტისგან გამოთლილი ეკლესია ადგას...

ვასია ბრილიანტი შეგნებულად წავიდა „ბელი ლებედში" და ქურდული საქმისთვის გაწირა თავი, რომ, ერთი მხრივ, მაგალითი ყოფილიყო თანამოძმეებისთვის, მეორე მხრივ კი, მან იმ ბესპრეძელისა და არეულობის თავიდან აცილება სცადა, რომელიც მოსალოდნელი იყო. თუმცა, სწორედ ბრილიანტის სიკვდილის მერე აირია შავი სამყარო და ქურდებმა ერთმანეთის ხოცვას მიჰყვეს ხელი...

სოლიკამსკიდან ყბედალოსა და რიტასთან ერთად როსტოვში გავემგზავრე და იქ სამიოდე დღე დავყავი, შემდეგ თბილისში ჩამოვედი და დათქმულ დროს დავბრუნდი ორთაჭალის ციხეში.

– სიმართლე გითხრა, ძალიან მეშინოდა, რამე არ შემეთხვავს-მეთქი, – მითხრა ციხის უფროსმა, როდესაც მისივე მანქანით შევედით ციხეში.

ორთაჭალის ციხის ქურდებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ძია ვასიას დასაფლავებაზე ვიყავი. როცა კვლავ მათთან დავბრუნდი, საკანში გაშლილი სუფრა დამახვედრეს და იქაც ბრილიანტის შესანდობარი შევსვით.

ბრილიანტის სიკვდილის შემდეგ უკვე ყოფილი საბჭოთა ქურდული სამყარო საგრძნობლად შეიცვალა. მართალია, ფუნდამენტური პრინციპები შევინარჩუნეთ, მაგრამ, ქურდული კანონები მნიშვნელოვნად შერბილდა.

ჯერ კიდევ ძია ვასიას სიცოცხლეშივე დაიკანონეს ქურდებმა დაოჯახების უფლება, რასაც შემდგომში კერძო საკუთრების ფლობის უფლება და სხვა, ქურდისთვის მანამდე დაუშვებელი უფლებები მოჰყვა, ყველაფერი ეს კი იმით დასრულდა, რომ ქურდებმა პოლიტიკაში ჩაყვეს ცხვირი, სხვადასხვა ეთნიკურკლანური დაჯგუფებები შექმნეს, საკუთარი „ობშჩიაკები" ჩამოაყალიბეს და მაფიოზურ სტრუქტურებად გარდაიქმნენ...



მე რომ ორთაჭალის ციხიდან გავთავისუფლდი, საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ირგვლივ „მხედრიონი," ჯგარდია და სხვა შეიარაღებული ბანდები თარეშობდნენ და ისეთი ბესპრეძელი სუფევდა, რომ არავის ინდობდნენ, ქურდებს კი პანტაპუნტით ხოცავდნენ და დროებით ისევ რუსეთში გადახვეწა ვამჯობინე.

იანვრის შუა რიცხვები იდგა. ძველით ახალი წელი გავლილი იყო. ციხის კარიდან რომ გამოვედი, ქუჩაში ისე ყინავდა, სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ორთაჭალის მოედანზე თითო-ოროლა მანქანა თუ მოძრაობდა. მე თბილი ბუშლატის საყელო ავიწიე, ნაქსოვი ქუდი შუბლზე ჩამოვიფხატე, „მაგნა" გავაბოლე და ფეხით გავუყევი გზას, თან, აქეთ-იქით ვიყურებოდი, რომ, იქნებ, რომელიმე მანქანა გამეჩერებინა და მთაწმინდაზე ავსულიყავი.

ჩემი მცდელობა ამაო აღმოჩნდა – სიონამდე ისე მივედი, სულ ორად ორმა მანქანამ ჩამიარა და იქაც ავტომატებით შეიარაღებული, შეზარხოშებული ადამიანები ისხდნენ, რომლებიც უმისამართოდ ისროდნენ. ამასობაში ხშირი, მსხვილი თოვლი წამოვიდა, ჩამობნელდა და სიცივე გაძლიერდა. მე ნაბიჯს ავუჩქარე, რომ არ გავყინულიყავი, სიონთან მარცხნივ ავუხვიე და სოლოლაკის გავლით მთაწმინდისკენ ავიღე გეზი. კიროვის ქუჩა რომ ავიარე და ძერჟინსკიზე შევუხვიე, ქუჩის მარცხენა მხარეს გადავედი და აღმართს დავადექი. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ჩაბნელებული სახლებიდან კი შეშის ღუმელების კვამლი ამოდიოდა, რადგან, აღარც დენი იყო, აღარც გაზი და მოსახლეობის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი გასათბობად კუსტარულად დამზადებულ ღუმელებს იყენებდა, საწვავად კი – ძველ ფიცრებს, ძველმან ფეხსაცმელსა და ტანსაცმელსაც კი. ერთი სიტყვით, გადარჩენისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა და ამ ქაოსში პირველად ვინატრე კომუნისტები და წესრიგი, ანუ, ის, რასაც მთელი ცხოვრება ვაპროტესტებდი, ვარღვევდი, რის გამოც მრავალი ტანჯვა-წამება გავიარე და ცხოვრების საუკეთესო წლები პატიმრობაში გავატარე...

ისე ინტენსიურად თოვდა, რომ, სანამ სიონის ეკლესიიდან ძერჟინსკის ქუჩის დასაწყისამდე მივედი, თოვლის საფარი თითქმის მუხლამდე მწვდებოდა. მივუყვებოდი უკაცრიელ ქუჩას და ჩემი ბავშვობა მახსენდებოდა... დიდთოვლობის დროს, როგორი გვიანიც არ უნდა ყოფილიყო, მთაწმინდის განათებული ქუჩები მოყრიამულე ბავშვებითა და მოზარდებით იყო სავსე, რომლებიც ძირითადად კუსტარულად დამზადებული ციგებითა და სასრიალოდ ვარგისი სხვადასხვა ნივთით იყვნენ აღჭურვილები და მათი მხიარული ჟივილ-ხივილი აყრუებდა საქართველოს დედაქალაქის ამ უძველეს და ულამაზეს უბანს.

მოგონებებმა წამილო და ჩემს მეხსიერებაში ამოიტივტივდა ბავშვობის ერთი ეპიზოდი, რომლის გახსენებაზეც ტანში ყოველთვის სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის და მბურძგლავს. იმ ზამთარს, ახალ წლამდე ორიოდე დღით ადრე თბილისში

იმხელა თოვლი დადო, რომ მანქანები გადაადგილებას ველარ ახერხებდნენ, მთავრობას კი მარილი არ ჰყოფნიდა გზების გასაწმენდად. მთაწმინდა კი ნამდვილ თოვლის ქალაქად გადაიქცა – მთელი თბილისი იქ მოდიოდა სასრიალოდ. ერთ საღამოს, მე, ხუჭუჭა, ყბედალო და ქურთი ჯემალა ორი უზარმაზარი ციგით ვსრიალებდით. ჩვენ პანთეონიდან ვეშვებოდით და, მთაწმინდისა და ბესიკის ქუჩის გავლით, რუსთაველის თეატრამდე ჩავდიოდით. ძველ მთაწმინდელებს კარგად ემახსოვრებათ ეს საციგაო მარშრუტი და, ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია ეს გზა, დამეთანხმება, რა დაუვიწყარი და დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო ეს საკმაოდ სახიფათო მონაკვეთი, რომლის თავიდან ბოლომდე გავლა ციგის მართვის დიდ გამოცდილებას მოითხოვდა.

მე და ხუჭუჭას ორი ერთნაირი, უზარმაზარი ციგა გვქონდა, რომლებიც საგანგებოდ დავამზადებინეთ ზეინკალს. ეს იყო ორ მოღუნულ მილზე დამაგრებული ფიცრები, რომელიც საიმედოდ იყო შეკრული არმატურებით, მილების საგანგებოდ გახეხილი ძირები კი ისე სწრაფად სრიალებდა თოვლში, რომ უზარმაზარ სისწრაფეს ავითარებდა და, ციგის მართვა თუ არ იცოდი, შეიძლება, სერიოზული ავარიაც კი მოგსვლოდა. მე და ხუჭუჭა ერთმანეთს გასწრებაში ვეჯიბრებოდით და ხან ის ჩადიოდა რუსთაველის თეატრამდე პირველი, ხან – მე. მართალია, რუსთაველის გამზირიდან პანთეონზე ასვლა, თანაც, უზარმაზარი ციგის თოვლში თრევა, საკმაოდ მძიმე და ხანგრძლივი პროცესი იყო, მაგრამ, ჩამოსრიალება იმდენ სიამოვნებას გვგვრიდა, რომ გვიღირდა. ხუჭუჭას ყბედალო ეჯდა ციგაზე, მე კი – ჯემალა და, უნდა გენახათ, რა ცხოველური აზარტით მიმდინარეობდა ჩვენი შეჯიბრი, რამდენი წინაღობის დაძლევა გვიხდებოდა გზაზე. ერთ-ერთი ჩამოსრიალებისას, როდესაც ბესიკისა და არსენას ქუჩების გადაკვეთაზე დიდი სისწრაფით ჩავიქროლეთ, ჯემო ციგიდან გაფრინდა და ნავთის წერტის კარს მთელი ძალით შეასკდა... კიდევ კარგი, რომ უკვე გვიანი იყო და ნავთის წერტი დაკეტილი აღმოჩნდა, თორემ, ჯემო შიგნით შეფრინდებოდა და, შესაძლოა, საკმაოდ მძიმე დაზიანებაც კი მიეღო... მეხუთე ჩამოსრიალებისთვის საგანგებოდ ვემზადებოდით, რადგან, ანგარიში ორით ორი იყო და ერთმანეთს სამამდე ვეჯიბრებოდით. პანთეონზე რომ ავედით და სასტარტო პოზიციები დავიკავეთ, ამ დროს თემო და თათია გამოჩნდნენ.

– თემოჯან, ციგა რა უყავით? – ჰკითხა თემოს ქურთმა ჯემომ.

– ტროტუარს შევასკდით და მარჯვენა მხარე მოსძვრა, – გვითხრა თათიამ, – ბედი არ გინდა? რა თოვლია და ვერ ვსრიალებთ.

– რატომ ვერა, რა, ეს ციგები არ არის? – ვუთხარი თათიას და ხუჭუჭას მივუბრუნდი: გვეყოფა შეჯიბრი, ნიჩიაზე შევთანხმდეთ. მე თათიას ჩავასრიალებ.

– ბაზარი არ არის, ძმაო, – ჩუმადვე მომიგო ხუჭუჭამ და თემოს უთხრა: მოდი, თემო, უკან მომიჯექი და შევუბეროთ.

– მე? – თქვა თათიამ.

– შენ მე მომიჯექი, – ვუთხარი თათიას და ხელით ჩემს ციგაზე მივანიშნე.

ჯემოსა და ყბედალოს ხმა არ ამოუღიათ და სიგარეტის მოსაწევად მოფარებული ადგილისკენ გაემართნენ. თემო ხუჭუჭას მიუჯდა, თათია – მე და ხუჭუჭამ მითხრა:

– სამ თვლაზე დავეშვათ.

– მოსულა, – დავეთანხმე ხუჭუჭას და თვლა დავიწყე, – ერთი, ორი სამი...

ხუჭუჭას ციგა შურდულივით მოსწყდა სტარტს და ქვევით გაქანდა. მეც დავიძარი, მაგრამ, ხუჭუჭასთან შეჯიბრს სულაც არ ვაპირებდი. ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ თათიასთან ერთად ვიყავი და ეს ფაქტი ძალიან მსიამოვნებდა.

–– ჩქარა, ჩქარა, თორემ, გაგვასწრეს! – აზარტულად იმეორებდა თათია, რომელიც ზურგზე მომეკრა და მუცელზე მაგრად შემომხვია ხელები.

მე სისწრაფეს ვუმატე და მეტოქეებს თითქმის დავეწიეთ, მაგრამ, მეორე მოსახვევში ვიღაც ბავშვი გამომიხტა და, რომ არ დავჯახებოდი, მკვეთრად მარჯვნივ ავიღე გეზი, ჩვენი ციგა ტროტუარს შეასკდა და გაჩერდა, მე და თათია კი ინერციით წინ გავფრინდით, რამდენიმე მეტრი ჰაერში ვიფრინეთ და თოვლით დაფარულ ხშირ ბუჩქებში ჩავცვივდით... მე ცხვირ-პირით დავეცი და ტუჩი გამისკდა, თათია კი ზურგზე დამეცა.

– თათი, რამე ხომ არ იტკინე? – შეშფოთებულმა ვკითხე თათიას, რომელიც იღიმებოდა და მითხრა:

– არა, არაფერი, შენ კი ტუჩი გაგსკდომია.

თათიამ ხელთათმანი გაიხადა და სისხლი ცხვირსახოცით მომწმინდა. თათიას შეხებამ გული ამიჩქარა და სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. მე მას წელზე მოვხვიე ხელები, ბუჩქებში ჩავაწვინე და ტუჩებში ვაკოცე. თათიას წინააღმდეგობა არ გაუწევია და თვითონაც მკოცნიდა. ამ დროს თოვლის ხრაშუნის ხმა გაისმა და იძულებულები გავხდით, კოცნაობა შეგვეწყვიტა, რადგან, ვიღაც მოდიოდა. ჩვენ ბუჩქებიდან გამოვძვერით.

– ცოცხლები ხართ, ტო? – გვკითხა ჯემომ, რომელსაც უკან ყბედალო მოსდევდა.

– კი, გადავრჩით, – უკმაყოფილოდ მივუგე ჯემალას.

– თათი, რამე ხომ არ იტკინე? – ჰკითხა თათიას ყბედალომ.

– მე არა, აი, კობრას კი ტუჩი გაუსკდა, – გაეღიმა თათიას.

– არა უშავს, ქორწილამდე გაუვლის, – თქვა ყბედალომ და თათიას ადგომაში დაეხმარა.

ისეთ ხასიათზე დავდექი, მზად ვიყავი ყბედალო და ჯემო შუაზე გამეგლიჯა, რადგან მათ ნეტარი წუთები წამართვეს, მაგრამ მაქსიმალურად ვიკავებდი თავს და, რომ არ გავშიფრულიყავი, ჯიბიდან სიგარეტი და ასანთი ამოვიღე, ნუშის ხის ძირში ჩამოვჯექი და გავაბოლე. თათიას არ გასჭირვებია ჩემი გუნება-განწყობის გამოცნობა, რადგან, თავადაც ასეთ დღეში იყო. ის



გვერდით მომიჯდა და ხელკავი გამომდო, ბიჭებს კი ხუმრობანარევი ტონით უთხრა:

– რა ქორებივით დაგვტრიალებთ თავზე! მე და კობრას სალაპარაკო გვაქვს. წადით, იციგავეთ!

ყბედალო და ჯემო მორჩილად გაბრუნდნენ უკან, ჩემს ციგაზე მოკალათდნენ და ქვევით დაეშვნენ, თათიამ კი გამიღიმა და მითხრა:

– მომაწევინე, რა!

– რა თქვი?! – ვკითხე თათიას, რადგან, მეგონა, რომ მომესმა.

– სიგარეტი არასდროს არ მომიწევია და მინდა გავსინჯო.

– მოწევა გინდა?! – ვერ ვმალავდი გაოცებას.

– ჰო. უბრალოდ, გავსინჯავ. მაგრამ, მოფარებულში გავიდეთ, – მითხრა თათიამ. წამოდგა, ხელი ჩამკიდა, ბუჩქებისკენ წამიყვანა და ნუშის ხესთან შეჩერდა, – მომეცი, მომაწევინე.

თათიას სიგარეტი მივეცი და მოვუკიდე. მან ფრთხილად მოქაჩა, ნაფაზი დაარტყა და დაახველა, მაგრამ, ჰაერი ჩაისუნთქა, მეორე ნაფაზი დაარტყა და აღარ დაუხველებია. ნახევრამდე რომ მოწია, მე მომაწოდა.

– ცუდად ხომ არ ხარ, თათი?

– არა.

– როგორი იყო, ხომ მაგარი საზიზღრობაა?

– სულაც არა, – ღიმილით მომიგო თათიამ და კისერზე ხელები მომხვია. შემდეგ ფეხის წვერებზე აიწია და ტუჩებში მაკოცა...

ტყიდან ფეხით დავეშვით და თათია სახლამდე მივაცილე, შემდეგ სახლში დავბრუნდი, ლოგინში ჩავწექი და თვალდახუჭული ვიხსენებდი თათიასთან განცდილ უზომო ნეტარებას...

– ეეჰ, გოგია, გოგია, შენი გული ისეთივე ცარიელია, როგორც ეს უკაცრიელი ქუჩა, – სევდიანად ჩავილაპარაკე, „მაგნა“ გავაბოლე და დავამატე: ნეტავ სადაა ახლა თათია?..

თათიაზე ფიქრი არასდროს მასვენებდა და, ბავშვობის მოგონებებთან ერთად, ჩემი მეხსიერებიდან არ იშლებოდა ის ბედნიერი



დღეები, თათიას რომ ვხვდებოდი. ვინ იცის, რა მოხდებოდა, მოსკოვში რომ არ წავსულიყავი ანტიკვარის საქმეზე.

თბილისში რომ დავბრუნდი, თათიასთან ურთიერთობის აღდგენა ვცადე, მაგრამ არ გამიკარა. ხოლო, სოჭიდან რომ ჩამოვედი, თათია თბილისში აღარ იყო და აღარც რეზბალნიცაში მუშაობდა.

– სულ რაღაც ორი კვირის წინ, საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდან აქედან, – მითხრა რეზბალნიცის მთავარმა ექიმმა, როდესაც მას თათიას ამბის გასაგებად მივაკითხე.

თათიაზე მხოლოდ ის შევიტყვე, რომ, სავარაუდოდ, უცხოეთში გაემგზავრა სამუშაოდ და ბავშვიც თან წაიყვანა, მაგრამ, სად და რამდენი ხნით, ვერ დავადგინე. თბილისში არც თათიას დედ-მამა იმყოფებოდა – ისინი თემოსთან ცხოვრობდნენ მოსკოვში. ერთი სიტყვით, თათიას კვალი დავკარგე და, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში არაერთი ქალი მყოლია, თათია ერთადერთი და განუმეორებელი იყო, რადგან ის ჭეშმარიტად მიყვარდა...

„მაგნას“ ვაბოლებდი და ვიმეორებდი:

– ეეჰ, გოგია, გოგია, როდემდე უნდა იყოს შენი გული ასე ცარიელი? ნუთუ თათია სამუდამოდ გაქრა შენი ცხოვრებიდან და სიყვარული აღარ დაგიბრუნდება?..

ცხაკაიას ქუჩის შესახვევს რომ გავცდი, ბნელი ეზოდან მოულოდნელად ორი ახალგაზრდა ბიჭი გამოხტა. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც ძირს დაშვებული აბრეზი ეჭირა ხელში, მითხრა:

– საით, ბიძაჩემო?!

– ზევით, – მივუგე აბრეზიანს.

– ზევით რა დაგრჩენია? – მკითხა მეორემ.

– რა, არ შეიძლება? – ვკითხე ახალგაზრდებს.

– ამ საშინელებაში გარეთ რამ გამოგიყვანა? – მკითხა აბრეზიანმა.

– თქვენ? – კითხვა შევუბრუნე ახალგაზრდებს, რომლებსაც ცინიკურად ჩაეცინათ, ერთმანეთს შეხედეს და აბრეზიანმა მითხრა:

– ჩვენ პრისტუპნიკები ვართ და საქმეზე გამოვედით.

– გვარდიელები ხართ თუ მხედრიონელები?

– ეე, ბიძა! სიტყვებს დაუკვირდი, რა გვარდია და მხედრიონი, მაგათი დედაც... – შეიგინა აბრეზიანმა და დაამატა, – ვერ გაიგე? პრისტუპნიკები ვართ-მეთქი!

– როგორ ვერ გავიგე, მაგრამ, მანდაც სულ პრისტუპნიკები არიან და, ვიფიქრე, ალბათ, იქაურები არიან-მეთქი.

ჩემს სიტყვებზე ახალგაზრდებს ისევ ცინიკურად გაეცინათ და აბრეზიანმა დიდაქტიკურად მითხრა:

– რა პრისტუპნიკები ეგენი არიან. რეიდებზე დგანან. ხალხს შმონავენ და იჭერენ. საწყალ ადამიანებს წეწავენ და შავი თეთრისგან ვერ გაურჩევიათ. შენ რა, მარსიდან ჩამოფრინდი?

– არა, ციხიდან გამოვედი! – მოკლედ მოვუჭრი აბრეზიანს, რადგან მისი ლაყბობა ყელში ამომივიდა, თან, შემცივდა და სახლში წასვლა მინდოდა.

– ციხიდან?! – ერთდროულად მკითხეს ახალგაზრდებმა, თავიდან ფეხებამდე შემათვალიერეს და აბრეზიანმა დაამატა:

– პოლიტიკურზე იჯექი? ზვიადისტი ხარ?

– ქურდი ვარ! გოგი გველესიანი, იგივე კობრა! – ვუთხარი ახალგაზრდებს, – არ გაგიგონიათ?

– ბიძაჯან, ხომ არ გვატყუებ? – ეჭვით მკითხა აბრეზიანმა, მეორემ კი მას მაჯაზე მოჰკიდა ხელი და უთხრა:

– გაჩუმდი, ლევან, – შემდეგ მე მომმართა: თქვენ ნიაღვარზე ცხოვრობთ?

– კი, ნიაღვარზე.

– ერთ რაღაცას გკითხავთ და არ გეწყინოთ.

– მკითხე.

– თქვენმა ძმაკაცმა რომ კონსერვის ბანკა გაარტყა ერთხელ ერთ ბიჭს, იმ ბიჭის და თქვენი ძმაკაცის სახელი მითხარით.

– შორეზელი არ ჩანხარ, – ვუთხარი ბიჭს და დავამატე: ვინც გაარტყა, ხუჭუჭა ჰქვია, ხოლო, ვისაც გაარტყა – ვაჟა. შენ საიდან იცი ეს ამბავი, ვინ გითხრა?

– მე, გოგი ბიძია, ვაჟას შვილი ვარ, ლაშა, – მითხრა ბიჭმა.

– ვაჟა, ვაჟა... კარგი კაცია მამაშენი. წესიერი და პატიოსანი. სად არის, როგორაა?

ბიჭს თვალები აუცრემლდა და მომიგო:

– მოკლეს.

ლაშას სიტყვებმა ელდა დამცა და ვკითხე:

– ვინ, როდის, რატომ?!

– ვინ – არ ვიცით, გოგი ბიძია. სამი თვის წინ სოფლიდან მოდიოდა და ოჯახისთვის ცოტა სიმინდის ფქვილი და პროდუქტები მოჰქონდა. გზაში შეიარაღებულმა ტიპებმა გააჩერეს. მანქანა და სურსათ-სანოვაგე წაართვეს და იქვე ჩაცხრილეს.

– ვიზიარებ, შვილო, შენს მწუხარებას, – გადავეხვიე ლაშას და ვკითხე, – რამდენი წლის ხარ?

– ცხრამეტის, გოგი ბიძია.

– სად ცხოვრობ და ვისთან ერთად?

– დედაჩემთან და ჩემს ცამეტი წლის დასთან, თათიასთან ერთად, ობოლაძეზე.

– ტაბიძეების ეზოში?

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მ | | ს | ა | მ | ბ | ა | | ა | | ა | |
| | | | | ა | | ა | | ი | | ლ | ი | თ | ო | ნ | ი |
| | | | | კ | ა | ლ | ა | ნ | დ | ა | | მ | | კ | |
| | | | | ა | | ე | | ი | | ვ | | ა | ბ | ა | ს |
| ა | | ა | | რ | უ | ს | ე | | კ | ე | ნ | გ | უ | რ | უ |
| ნ | ე | ს | ტ | ო | რ | ი | | ა | | რ | | ი | რ | ა | დ |
| ტ | | ტ | ო | ნ | ა | | ა | ლ | უ | დ | ა | | ი | | ა |
| ე | | ა | რ | ი | ნ | ა | | ო | ფ | ო | კ | | მ | | ნ |
| ნ | ი | ნ | ი | | ი | ა | ჩ | | ა | ბ | ი | | ე | რ | ი |
| ა | | ა | | ლ | | რ | | ბ | ლ | ა | დ | ი | | ა | |
| | გ | | ს | ი | მ | ო | ნ | | ი | | ო | ლ | ი | ფ | ა |
| დ | ა | ღ | ლ | ა | | ნ | | ბ | | მ | | ი | ნ | ა | ნ |
| | ლ | | ა | ნ | გ | ი | ნ | ა | | ა | ნ | ა | გ | | უ |
| თ | ე | მ | ი | დ | ა | | ო | ბ | ო | ლ | ი | | ი | | რ |
| | რ | | დ | ა | რ | ა | ნ | ი | | ა | ვ | ე | რ | ს | ი |
| ტ | ა | რ | ი | გ | ი | | ა | ლ | ა | ყ | ა | ფ | ი | | ა |
| ბ | | ე | | ი | | ო | | ი | | ი | | ე | | ა | |
| ა | რ | ვ | ე | | ა | დ | ა | ნ | ა | | ე | ს | ე | რ | ი |
| | | ე | | ა | | ა | ღ | ა | რ | | | ო | კ | ი | ნ |
| კ | ა | რ | ა | დ | ა | | ლ | | ა | კ | ო | | ო | | დ |
| ო | | ა | | ვ | ი | ტ | ო | რ | ი | ო | | ი | ლ | ტ | ო |
| ბ | ა | ნ | კ | ი | რ | ი | | ა | | ნ | ი | ნ | ო | | ე |
| რ | | ს | | ლ | ა | ნ | დ | ი | | კ | | ა | გ | ი | ლ |
| ა | ლ | ი | ზ | ი | | ა | ი | ა | | ა | ს | პ | ი | ტ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 3 | 2 | 8 | 5 | 6 | 9 | 4 |
| 4 | 6 | 8 | 7 | 3 | 9 | 1 | 2 | 5 |
| 2 | 5 | 9 | 6 | 4 | 1 | 8 | 7 | 3 |
| 9 | 3 | 7 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 6 |
| 6 | 4 | 1 | 3 | 9 | 2 | 5 | 8 | 7 |
| 8 | 2 | 5 | 1 | 7 | 6 | 3 | 4 | 9 |
| 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 3 | 9 | 5 | 2 |
| 3 | 9 | 4 | 5 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 5 | 1 | 2 | 9 | 6 | 7 | 4 | 3 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 5 | 6 | 1 | 3 | 2 | 8 | 7 |
| 1 | 2 | 8 | 5 | 7 | 9 | 4 | 6 | 3 |
| 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 8 | 5 | 9 | 1 |
| 8 | 7 | 6 | 9 | 4 | 1 | 3 | 2 | 5 |
| 3 | 5 | 9 | 2 | 8 | 7 | 1 | 4 | 6 |
| 2 | 4 | 1 | 3 | 6 | 5 | 9 | 7 | 8 |
| 6 | 1 | 2 | 7 | 3 | 4 | 8 | 5 | 9 |
| 5 | 8 | 7 | 1 | 9 | 2 | 6 | 3 | 4 |
| 9 | 3 | 4 | 8 | 5 | 6 | 7 | 1 | 2 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. მზეს და მთვარეს. 2. აგიტაცია. 3. მატერიალისტი. 4. მითი 5. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. 6. 100 დღის – C რომაული ციფრებით ასს ნიშნავს. 7. სუფრის მარილი. 8. შექმნა სლავური დამწერლობა მეთოდესთან ერთად. 9. არტურ კონან დოილი – „შერლოკ ჰოლმსის“ ავტორი. 10. ბოდრუმი.**

– დიახ.

– ისევ ბინას ქირაობთ?

– არა, გოგი ბიძია. ნადია ბებიამ ოთხი ოთახი გვიანდერძა. ხუთი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი და დედაჩემი უვლიდა, მამაჩემის ამბავი რომ შეიტყო, ორ დღეში უკან მიჰყვა და ორივე ერთ დღეს დავასაფლავეთ.

– სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო... ღმერთმა აცხონოს ორივე. ნადიაც ძალიან კარგი ქალი იყო, – ვუთხარი ბიჭებს, შემდეგ მათ ხელკავი გამოვდე და დავამატე: წამოდით ჩემთან, სტუმრად გეპატიჟებით.

ლაშა და ლევანი თანაკლასელები აღმოჩნდნენ და, როგორც მითხრეს, ქურდულ ცხოვრებაზე ოცნებობდნენ.

– რა ცუდი დროა – არც დენია, არც გაზი. ჯერ თერთმეტი საათიც არ არის და, არც კაციშვილის ჭაჭანებაა და არც ვინმეს ხმა ისმის. თავი მორგში მგონია, – ვთქვი მე და განვაგრძე: არაყი კი მაქვს სარდაფში, მაგრამ, რა დავაყოლოთ? ზაკუსკა გვინდა. ვერსად ვიყიდით?

– კლარა სერგეევნას თუ ექნება რამე, სხვაგან შანსი არაა, – თქვა ლევანმა, – ავალ და რამეს წამოვიღებ.

– ერთად ავიდეთ და ვიყიდოთ, – ვუთხარი ბიჭებს, – შორს ცხოვრობს?

– ნიაღვარზე რომ მარცხნივ შეუხვევ, პირველივე ეზოში, – მითხრა ლევანმა.

– ძია სერგოს ეზოში? – ვთქვი მე და ვკითხე: კლარა სერგეევნა ვინაა, რომელ ბინაში ცხოვრობს?

– პირველ სართულზე, წინ ბაღი აქვს, – ამიხსნა ლევანმა.

– მოიცა, მოიცა, კლარა სერგეევნაო, ასე თქვი, ხომ?

– დიახ, – დამიდასტურა ლევანმა.

– ღმერთო ჩემო, ეს ხომ ძია სერგოს ქალიშვილია! ჩემი ტოლია. ძალიან პატარა იყო, დედამისმა რუსეთში რომ წაიყვანა. ნეტავი ძია სერგო ცოცხალია? სამი წლის წინ ცოცხალი იყო... – ვთქვი და ნაღვლიანად გამეცინა, რადგან სერგეი პავლოვიჩის სახე წარმომიდგა თვალწინ და გამახსენდა, როგორ სვამდა ის თავის ბაღში, კოცონთან, არაყს და როგორ აქრობდა ხოლმე იმ კოცონს ძევიატკა.

– კლარას მამა ზუსტად სამი წლის წინ გარდაიცვალა. კლარა სერგეევნა მაშინ ჩამოვიდა თბილისში და აქ დარჩა, – მითხრა ლევანმა.

– მაგარი ვინმე იყო, – ვთქვი მე და ბიჭებს სერგეი პავლოვიჩის არყის სმისა და ძევიატკას ამბავი მოვუყევი.

– სწორედ იმ ბაღში, კოცონთან გარდაიცვალა. ბოლო ჭიქა არაყი დაუსხამს, ჭიქა აუწევია და, სანამ დალევდა, უთქვამს: მშვიდობით, მეზობლებოო, – და იქვე, კოცონთან გარდაცვლილა, – მითხრა ლევანმა.

ჯიბეში ორასი დოლარი მედო. კლარა სერგეევნასთან ათ დოლარად ბლომად საუზმე, შავი პური და „პეპსი-კოლა“ ვიყიდეთ. შემდეგ ნიაღვრის ქუჩას ჩავუყევით, სკოლის პირდაპირ, ხელმარცხნივ ავუხვიეთ და ჩემს ეზოში შევედით. მეზობლების ჩამიჩუმი არ ისმოდა და არც მე შემიწუხებია ვინმე. ჩემი ბინის გასაღები, ძველებურად, ლურსმანზე ეკიდა. ჩამოვხსენი, კარი გავაღე, სახლში შევედი და ბიჭებიც შევიყვანე.



– აქა მშვიდობა! – თქვა ლევანმა.

– ბედნიერი იყოს ჩვენი ფეხი ამ ოჯახში! – დაამატა ლაშამ და სანთელი აანთო, რომელიც კლარა სერგეევნასთან ვიყიდეთ.

სარდაფში გამომშრალი შეშა მქონდა და სანამ არაყი და შეშა ამოვიტანეთ, კარ-ფანჯრები ღია დავტოვეთ, ოთახები რომ გაგვენიავებინა. ნახევარი საათის შემდეგ კი სასტუმრო ოთახის ძველებურ ბუხარში ცეცხლი აგიზგიზდა და მალე დათბა. მე, ლაშა და ლევანი ბუხართან მიდგმულ გაშლილ სუფრასთან ვისხედით და არაყს ვსვამდით.

– ბოდიში, გოგი ძია, ასე უზრდელურად რომ მოგექეცით, – მომიბოდიშა ლევანმა, ლაშამ კი დაამატა:

– დიდი ბოდიში, გოგი ბიძია, ძალიან ცუდად გამოგვივიდა.

– ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება, – ღიმილით ვუთხარი ბიჭებს და ვკითხე: ჰოპ-სტოპზე იყავით გამოსულები?

– უფრო, იარაღის დასათრევად. იმედი გვქონდა, რომ ვინმე მარტოხელა მხედრიონელს ან გვარდიელს დავითრევდით და იარაღს ავახევდით. ამ აბრეზის მეტი არაფერი გვაქვს და იარაღი გვჭირდება, – მითხრა ლევანმა და აბრეზზე მიმანიშნა, რომელიც იატაკზე იდო.

– ძალიან საშარო საქმეა და, კიდევ კარგი, რომ მე შეგხვდით, – ვუთხარი ბიჭებს და ვკითხე, – იარაღი რაში გჭირდებათ, რამე საქმეს ამზადებთ?

– ჯერჯერობით, კონკრეტული არაფერია, მაგრამ, ქურდულ ცხოვრებას ვაპირებთ და იარაღი დაგვჭირდება, – მიპასუხა ლევანმა.

– ქურდის იარაღი მისი თავი, გული და ხელებია, – ვუთხარი ბიჭებს და ღიმილით დავამატე: ზოგჯერ ფეხებიც, რომ „ძაღლებს“ გაექცე. იარაღი კი ქურდს არ სჭირდება. საერთოდ კი, სანამ ქურდულ გზაზე დადგომას გადაწყვეტთ, გირჩევთ, კარგად დაფიქრდეთ და ყველაფერი ასჯერ აწონ-დაწონოთ. ჩვენთან უკანდახევა არ მოსულა და, ვინც ზადნავს, ყოველგვარი ღირსების გარეშე რჩება. უღირსიც და დაშვებულიც ერთ ქვაბში იხარშება და მას კაცად არავინ თვლის.

ბიჭები უხმოდ, პირდაღებულები მისმენდნენ და, მათ შემხედვარეს, ბერძენას ქურდული ლექციები გამახსენდა, რომლებსაც ის მე, ყბედალოს და ხუჭუჭას გვიტარებდა.

ლაშა და ლევანი ღამის 3 საათზე, საკმაოდ შეზარხოშებულები წავიდნენ ჩემგან. იმ დღიდან მოყოლებული, თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ და ქურდულ ანაბანას ეცნობოდნენ. იარაღის შოვნაზე ფიქრს თავი დაანებეს და აბრეზიც მე დამიტოვეს, რომელიც ჩემი ბავშვობის „ნაგანთან“ ერთად დავმალე საიდუმლო გვირაბში და, „სოდელებს“ რომ გავექეცი, თან წავიღე და დღემდე ვინახავ.

მიუხედავად იმისა, რომ არეული დრო იყო და ჭრელა-ჭრულა შეიარაღებული ბესპრედელშჩიკები ავტორიტეტებს არ სცნობდნენ, მაინც საკმაოდ ბევრი პატიოსანი ადამიანი დადიოდა თბილისში, ვისაც ეს უმსგავსობა არ მოსწონდა და იმ დღეზე ოცნებობდა, როცა ამ საშინელებას ბოლო მოეღებოდა. ამ მდგომარეობის გამო, თითქმის ყველა ქურდი რუსეთში ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში იყო გახიზნული. ხოლო, ვინც აქ ვიმყოფებოდით, თითქმის ყველანაირი ძალა და გავლენა გვქონდა დაკარგული და ქვეყნიდან გამგზავრებას ვაპირებდით. ან, რა გავლენა უნდა გვქონოდა იმ განუკითხაობაში, სადაც ძალადობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი, მართალი სიტყვა არ ჭრიდა, ყველანაირი დავა ავტომატის ტყვიებით წყდებოდა და მართალი იყო ის, ვინც თავის ოპონენტს ჩაცხრილავდა. არ ინდობდნენ არავის, მათ შორის – ქურდებსაც და ქვეყანა დიდ ზონას დაემსგავსა, სადაც „ქათმებს“ იარაღი დაურიგეს ქურდების გასანადგურებლად... ყვეტად. ასეთ სიტუაციას კი თავი უნდა გაარიდო, რომ ძალები მოიკრიბო, რათა დაბრუნდე და ძალაუფლებაც დაიბრუნო.

სხვათა შორის, ვინც მაშინ ქურდები ხოცა, დღესდღეობით ყველა მოკლულია – როგორც შემკვეთი, ისე შემსრულებელი და სტატუს-კვოც საკმაოდ მალევე აღვადგინეთ. მართალია, შემდგომ რევოლუციურ-პოლიტიკურ მოვლენებს ახალი რეპრესიები მოჰყვა, ანტიქურდულ კამპანიას საკანონმდებლო ბაზა შეუქმნეს და ეს წყეული 223-ე პრიმა მუხლი მიიღეს, რომელიც დღემდე მოქმედებს, მაგრამ, ქურდული ტრადიციების ამოძირკვა არ ხერხდება – მას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი.

ქურდული ცხოვრებისადმი ინტერესი განსაკუთრებით იმ პერიოდში იმატებს ხოლმე, როდესაც ქვეყანაში უსამართლობა იზრდება; როცა რიგითი მოქალაქე სიმართლეს ვერ პოულობს სახელმწიფო სტრუქტურებში, ის ქურდთან მიდის და მას სთხოვს დახმარებას, ამავდროულად კი, მისი მოკავშირე ხდება და მის რიგებს ავსებს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-34(660)

## მოულოდნელობის ეფექტი

ლევანს ცოლის დანახვა არ გაჰკვირვებია, მაგრამ, არც აღფრთოვანება გამოუხატავს. მშვიდად და უემოციოდ შეხვდა. მხოლოდ თავი დაუქნია და პირდაპირ ჰკითხა.

– რამე საქმე გაქვს თუ ფულისთვის შემოიარე?

ლიზა წამოენთო:

– როგორ მელაპარაკები? რას ნიშნავს „შემოიარე“? ხომ არ დაგავიწყდა, რომ ამ რესტორნის და შენი ყველა ბიზნესის ოფიციალური მოწილე ვარ? სრული უფლება მაქვს, როცა მინდა, მაშინ მოვიდე!

კაცს გაეღიმა:

– ჰმ, საინტერესო ლოგიკაა... შენ ჩემი მოწილე მარტო იმიტომ ხარ, რომ ამის უფლება თავად მოგანიჭე, როცა შენზე ოფიციალურად ვიქორწინე. ახლა რა გინდა, ყველაფერი შუაზე გაგიყო?

– მოიცა, ეგ რას ნიშნავს?! – დაიძაბა ქალი – გაყრა გადაწყვიტე? ლევან, პირდაპირ მითხარი, რა ხდება, მეყრები?

კაცმა თავი გადააქნია:

– ჯერ არ ვიცი, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. თუმცა, არ დაგიმალავ, ვფიქრობ ამაზე.

ლიზა გაშრა:

– რა?! ფიქრობ?! იმაზე, რომ უნდა გამეყარო? მერე, მე არაფერს მეკითხები?

ლევანს გაეღიმა:

– რა უნდა გკითხო, ლიზა? ბავშვი ხარ და ვერ ხვდები, რომ, თუ გადავწყვეტ, ოჯახი დავანგრიო, შენს აზრს ნაკლებად ექნება მნიშვნელობა?! ცოლად რომ მომყვებოდი, მაშინ ხომ გკითხე, გინდოდა თუ არა ჩემთან ერთად ცხოვრება. გაყრას რაც შეეხება, ნუ გეწყინება, ჩემო ძვირფასო, მაგრამ, ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტია. აი, შვილები რომ გვყავდეს, ასე არ იქნებოდა.

– ეგოისტი ხარ შენ და უსინდისო! – იფეთქა ლიზამ, – ძალიან კარგი, გავიყაროთ! არ გეგონოს, შეგეხვეწო. ვინ ხარ საერთოდ, რას წარმოადგენ? გგონია, რადგან სხვებთან შედარებით ცოტა მეტი ფული გაქვს, ამიტომ, ყველა ქალი შენი იქნება? ის ვიღაც, ვინც ასე აგაცუნცრუკა, მალე მიხვდება, რა შეცდომა დაუშვა და თავისით მიგატოვებს. დიდხანს არავინ გაგიჩერდება. ერთგულებას ფულით ვერ იყიდი!



ლევანმა საყვედურით და უცნაური სინანულით შეხედა ცოლს:

– მაგაში გეთანხმები. შენ ამ საქმეში რაღაც ნამდვილად გაგეგება.

ქალი შეცბა:

– რას გულისხმობ? ძალიან გთხოვ, თემას ნუ ცვლი, მე შენთვის არ მიღალატია.

– თუ არ მჯერა?

– „თუ არ მჯერა”!.. – გამოაჯავრა ლიზამ ირონიულად, – აქამდე ხომ გჯეროდა, ახლა რაღა მოხდა? არ მითხრა, რომ მაგიტომ მეყრები. მეც არ დავიჯერებ მაგას. ლევან, არ გინდა, ჩემგან თავის დახსნა ადვილი არ იქნება. ყველაფერს წავიღებ, რაც მეკუთვნის და რაც არ მეკუთვნის. მოვრჩეთ ამ სულელურ კინკლაობას. მე მინდა, ჩემი შვილის მამა შენ იყო.

– მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა და ეგ სიტყვებიც ცოტა ადრე რომ გეთქვა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა. მაგრამ, ახლა... – წამოსცდა ლევანს და ამით თავი გაყიდა. ლიზა წამოხტა:

– უსინდისო! კიდევ გაბედავ და იტყვი, რომ არავინ გყავს? კარგი, თუ ომი გინდა, ომი იყოს. დღესვე გადავალ შენგან და ინანებ, რომ ასე მომექეცი. ადვოკატს ავიყვან და გაგანადგურებ.

– მე არ მითქვამს შენთვის, რომ გადაწყვეტილება უკვე მივიღე და, არც ის მინდა, სახლიდან წახვიდე.

– ფეხებზე მკიდია, შენ რა გინდა!

– ყოველთვის ასე არ იყო? – მწარედ ჩაიცინა ლევანმა, – მაგრამ, მედალს მეორე მხარეც აქვს და, ზოგჯერ, შეჩვეული ჭირი უნდა ამჯობინო. არ მინდა, შეცდომა დავუშვა. ამიტომ, ჯერჯერობით ვიყოთ ერთად. თუმცა, ბავშვზე აღარ დამელაპარაკო, სანამ რაღაცაში არ გავერკვევი.

– რაში უნდა გაერკვე? რებუსებით ნუ მელაპარაკები! რამდენად ღირებულია ის კახპა შენთვის? – ლიზა უკვე ცეცხლებს ყრიდა თვალებიდან. კაცმა რაღაც მომენტში ისიც კი იფიქრა, ალბათ მომვარდება და სახეს თავისი გრძელი ფრჩხილებით დამაკაწრავსო, მაგრამ ქალი ერთბაშად ჩაცხრა და, ჩვეულ ტემბრში, თითქოს არაფერი მომხდარა, მშვიდად თქვა:

– კარგი. იმის შემოწმება გინდა, მე მიყვარხარ, თუ არა და ვიბრძოლებ, თუ არა შენი გულისთვის? ფრთხილად, ლევან, მართლა არ დაუშვა ისეთი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც მერე შეუძლებელი იქნება. დარწმუნებული ვიყავი, რომ განსაკუთრებული, ყველასგან გამორჩეული ქმარი მყავდა. მწყინს და გული მტკივა, რომ შენში ჩვეულებრივი კაცუნა დავინახე. არსადაც არ წავალ, უბრალოდ, დაველოდები რა მოხდება. მაინტერესებს, ბოლომდე გამიცრუებ იმედს თუ... – ლიზა უცებ შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. კაცი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე ტელეფონი აილო და დარეკა:

– მაპატიე, დღეს, ალბათ, ვერ შევხვდებით... გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და რამდენიმე დღით ქალაქიდან უნდა გავიდე. როგორც კი დავბრუნდები, დაგირეკავ. კიდევ ერთხელ გთხოვ, მაპატიო...

ქეთისთვის მძიმე გამოდგა ის რამდენიმე დღე, როცა ქმარს არ ელაპარაკებოდა. ჩვეულებრივ, ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვერ ძლებდა ხოლმე – მაქსიმუმ, ორი-სამი საათი, მაგრამ, ამჯერად ძალიან იყო გაბრაზებული და, მიაჩნდა, რომ ამის სრული საფუძველი ჰქონდა. თავის მხრივ, არც ვახო იყო ნაკლებად გულმოსული ცოლზე. ზოგადად, სიმკაცრეს იშვიათად იჩენდა. პრინციპში, ამის აუცილებლობა არც იყო: ქეთი ჭიჭყინებდა, კაპასობდა, შენიშვნას შენიშვნაზე აძლევდა, მაგრამ ყოველდღე ერთნაირი დღის რეჟიმი ჰქონდა: სახლი – სამსახური. დაქალთანაც კი არასდროს შეივლიდა. ერთი-ორი მეგობარი ზოგჯერ სახლში აკითხავდა და სულ ეს იყო. ვახომ ზეპირად იცოდა ცოლის მარშრუტიც და დღის განაწესიც, ამიტომ ქეთის ცხოვრების წესის მიმართ პრეტენზია არასდროს გასჩენია, ეჭვი – მით უმეტეს. ახლა კი, ეს ვიღაც ლიზა გამოჩნდა და ყველაფერი აურია. მასთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ვახოს სიმშვიდე. ქეთიმ ანგარიში არ გაუწია ქმრის თხოვნას და ახლად გამოჩეკილ ნაცნობს, რომელსაც მეგობრის სტატუსს ვერაფრით მიანიჭებდი (მეგობრობაზე ვახოს საკუთარი მოსაზრება ჰქონდა) ოჯახის სიმყუდროვე ანაცვალა. ვახო დუღდა. ცოლს მდუმარედ უვლიდა გვერდს და, მტკიცედ გადაწყვიტა, მანამდე არ დალაპარაკებოდა, სანამ ქეთი თავის დანაშაულს არ აღიარებდა და არ მოინანიებდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, დამშვიდებული სინდისით იცვამდა ცოლის გაუთოებულ პერანგებს და არც იმას კითხულობდა, ვინ ახვედრებდა სადილ-ვახშამს. ქმრისთვის სრული და ფართომასშტაბიანი ბოიკოტის გამოცხადება ქეთიმ ვერ გაბედა – კონფლიქტის გაღრმავებას მოერიდა, მაგრამ, ვახოს საქციელს წონასწორობიდან გამოჰყავდა.

ქეთიმ ხელსაწყოები სასტერილიზაციოდ გაამზადა და სამზარეულოში გავიდა.

– ყავა მეც გამიკეთე, რა, – სთხოვა ნატას და სიგარეტს მოუკიდა.

– დღევანდელი სამუშაო დღეც დამთავრდა, – გაუცინა ნატამ, – ხვალ კვირაა. ეს ერთი დასვენების დღე გადამრევს. სანამ აზრზე მოვალ, უკვე ორშაბათია და სამსახურში მოვრბივარ. შაბათს მუშაობას რატომ არ ვაპროტესტებთ, ვერ გამიგია. ყველა ნორმალური ადამიანი კვირაში ორ დღეს ისვენებს.

– შაბათს, კი არა, ნეტავი კვირა დღესაც ვმუშაობდეთ, – ნაფაზს ოხვრა ამოაყოლა ქეთიმ და ყავა ხმაურით მოხვრიპა, – რა უყურებს მთელი დღე ვახოს მოჟამულ სიფათს!..

– ისევ არ ელაპარაკები? – გაეცინა ნატას.

– არა, საშინლად ვარ გაბრაზებული. შენ კი, რა გაცინებს, ვერ გამიგია.

– ის მაცინებს, რომ, ვიცი შენი გაბრაზება – გიყიდის ერთ ყვავილს და ეგრევე გადაგივლის. თანაც, ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო. სულ ტყუილად იშლი ნერვებს. მოეშვი მაგ ვახოს, არ არის ცუდი ბიჭი. რატომღაც ასე მგონია.

– ჰმ, არ არის ცუდი... ანუ, არც კარგია, ხომ? აი, ხედავ? შენც თითქმის აღიარე.

– მე რა უნდა ვაღიარო, ჩემი ქმარი კი არ არის! – მხრები აიჩეჩა ნატამ, – ნეტავი იმდენი შემაძლებინა, ვინმე ნორმალურთან დამალაგებინა ურთიერთობა. სახლში მარტო ყოფნას, ისევ ქმართან ჩხუბი ჯობია.

– არც იცი, რას ამბობ. ეგ სისულელე აღარ გაიმეორო. ვახოსთან კინკლაობაც კი მანგრევს, ჩხუბზე რომ აღარაფერი ვთქვა. მაგრამ, ყველაზე ცუდი ის არის, რომ მაინც მიყვარს. ამაზე რომ ვფიქრობ, ლამისაა, გულზე გავსკდე. არ იმსახურებს ამ სიყვარულს! – ქეთიმ ბრაზით დასრისა სიგარეტი საფერფლეზე. ნატამ თავი გააქნია:

– მე კი მაინც მგონია, რომ სიყვარული არ გაქვს საკმარისი, თორემ, ეს პრობლემებიც არ გექნებოდა. კი არ გეწყინოს ამას რომ გეუბნები. ხომ იცი, შენ მიმართ როგორი დამოკიდებულება მაქვს. შეეცადე, მშვიდად გააანალიზო ყველაფერი. ეგრევე მიხვდები, რომ სიმართლეს ვამბობ. ძალიან რომ გიყვარდეს,

ანუ, საკუთარ თავზე მეტად, მაშინ მის ბევრ ნაკლს ვერ დაინახავდი და არც მის პრივიჩკებს მიაქცევდი ყურადღებას.

– ეგრე მარტივადაც არ არის საქმე. ზოგჯერ ისეთი აუტანელია, ვერანაირი სიყვარული ვერ გიშველის. შეიძლება, გაგაფრენინოს. თვითონ არ იცის, რა უნდა და მერე ჩემთან აქვს პრეტენზიები.

– ეეჰ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ადამიანები სულ ტყუილად ვირთულებთ ისედაც პრობლემებით დაგრუზულ ცხოვრებას. დაუთმე ხოლმე და, ნახავ, შენ თვითონ როგორ მოგეშვება. ბებიაჩემი იტყოდა, ხოლმე: კაცი და ძაღლი ერთია. ძაღლს წვრთნიან, თავის ჭკუაზე ატარებენ და, კაცის გაწვრთნა როგორ უნდა გაუჭირდეს ჭკვიან ქალსო.

ქეთიმ ხელი ჩაიქნია:

– ან უჭკუო ვარ, ან მწვრთნელად არ ვვარგივარ. ფაქტია, რომ ოჯახში სკანდალი ვერ გამოვლიე. ვერ წარმოიდგენ, როგორი საზიზღარია. ხომ არ ველაპარაკები,  არ იმჩნევს, გესმის შენ?! ვითომ არც ვარსებობ და არც ვჭირდები. რა ენაღვლება, მაინც ყველაფერი უკეთდება და, შეიძლება, უხარია კიდეც, ჩუმად რომ ვარ.

– შენც, ნუ გაუკეთებ.

– ეგეც ვცადე. პერანგი არ დავუუთოვე და შარვალი არ გავურეცხე. უთო აიღო და თვითონ დააუთოვა, შარვალი კი ახალი იყიდა. ასე ჯიბრით მიკეთებს ყველაფერს, ნერვები დამაწყვიტა!

– ცოტა ხანს თუ გაუძლებ, სიტუაცია შენს სასარგებლოდ შეიცვლება. რომ ნერვიულობ და ამას ანახვებ, ხვდება, რომ გაუვიდა. ყურადღება არ მიაქციო და, ნახე, როგორ ხელად მოგიჩოჩდება. ოღონდ, შეეცადე კარგ გუნებაზე იყო.

– ლამის ოჯახი დამენგრეს და, როგორ უნდა ვიყო კარგ გუნებაზე? ვერა, ვერ შევძლებ.

– მოიცა, რა, ნუ გაართულებ. რა უნდა მაგას? ბავშვს ეთამაშე, ნამცხვარი გამოაცხვეთ ერთად, მოკლედ მოიფიქრებ რამეს. დაეჭვდება და დაიძაბება, მაგრამ, შენ არ შეიმჩნიო. აუცილებლად გაჭრის. ეჰ, თეორიაში ვანგრევ, პრაქტიკა მაკლია, თორემ, ნაშრომს დავწერდი სტანდარტულ ცოლქმრულ ურთიერთობაზე, – გადაიკისკისა ნატამ და ქეთის თვალი ჩაუკრა.

ნინიმ ფრთხილად დადგა მაგიდაზე ყავით სავსე ფინჯანი და ლიზასკენ გააჩოჩა, თვითონ კი ფანჯარასთან მივიდა და რაფაზე ჩამოჯდა.

– მიყვარს პარასკევი: სამუშაო კვირა დასრულდა და, შეგიძლია, ის გააკეთო, რაც მოგესურვება – მაგალითად, შუადღემდე იძინო. გიყვარს შუადღემდე ძილი? ლიზა, შენ გეკითხები!

– არა, – მოკლედ მიუგო ლიზამ. ჩაფიქრებული და მოღუშული იჯდა და საკუთარ ფრჩხილებს დასცქეროდა. არც ყავისკენ გაუხედავს. ნინიმ მხარზე დაადო ხელი:

– არ შემიძლია, ასეთს გიყურო. მე მხიარული, სიცოცხლით სავსე ლიზა მომწონს. შენ არ მარიგებდი, ყველაფერი აუცილებლად მოგვარდებაო?

– ჰო, მოგვარდება, პრობლემა ეს არ არის. უბრალოდ, ვერ ვიტან, როცა მზლუდავენ. ასე მგონია, ვიხრჩობი. ჰაერი არ მყოფნის. დიდხანს, ალბათ, ვერ გავძლებ ასე.

– ლევანი გზღუდავს? ეჭვიანობს, ხომ?

– არა, აქ სხვა ამბავია – განქორწინებაზე ფიქრობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად შეეცდება, იპოვოს მიზეზი, რასაც ჩემ წინააღმდეგ გამოიყენებს. ისე არ იზამს, რომ მე მომცეს საბაბი. ხვდები, რას ვგულისხმობ? მითუმეტეს, თუ ვილაც ჰყავს.

– მე მაინც მგონია, რომ შენზე ეჭვიანობს. არავინაც არ ყავს.

ლიზამ მხრები აიჩეჩა:

– ვითომ? მე რომ ინტუიცია სხვას მკარნახობს?! ასეა, თუ ისე, სხვა რეჟიმში მომიწევს ცხოვრება. ლევანი ძალიან ჯიუტია და პრინციპული. დარწმუნებული ვარ, ჩემს ყველა ნაბიჯს შეამოწმებს. კაფეშიც კი ვერ გავდგამ ფეხს. თუმცა, მეც არ ვაპირებ, შტერივით დავჯდე და ველოდო, რა მეთოდებით მომიშორებს თავიდან. მე ვაჯობებ! ეგ კიდევ არ მიცნობს!

ნინიმ გამამხნევებლად გაუღიმა, ფანჯრიდან გადაიხედა და უცებ, დაფეთებულივით ჩამოხტა რაფიდან.

– უჰ, ესღა მაკლდა! ლიზა, უნდა მიშველო, ეს დეგენერატი ახლა აქ ამოვა!

– რა დაგემართა, რატომ გაფითრდი? ხელებიც როგორ აგიკანკალდა. . .

– გიგია მოსული და ქვემოთ დგას. ალბათ, მე მელოდება – თხუთმეტ წუთში ხომ სამუშაო დღე მთავრდება. ეტყობა, იმედი აქვს, რომ მნახავს. პირდაპირ შემოსასვლელის წინ დგას და სიგარეტს ეწევა.

– გიგი? დარწმუნებული ხარ? – გულგრილად იკითხა ლიზამ.

– რა თქმა უნდა! ორ თვეში ხომ არ დამავიწყდებოდა. გადაიხედე და დარწმუნდები.

– მე? არასდროს მინახავს, მხოლოდ სურათით როგორ ვიცნო?

– ეგ სულ დამავიწყდა... ვაიმე, ლიზა, რა ვქნა? ეგ რადგან აქ მოვიდა, არ წავა.

– იდგეს, მერე, რა გენაღვლება? ბოლოს და ბოლოს, გვერდს აუვლი და ეგ იქნება.

– არ გამოვა. მე ხომ ახლა სხვანაირად გამოვიყურები. თმა ქერა მაქვს, თვალებში ფერადი ლინზები ჩავიდგი. ჩაცმითაც სხვანაირად ვიცვამ და, საერთოდაც, დაგავიწყდა, რა თამაში წამოვიწყეთ? ძალიან არ მინდა, გიგიმ  გაიგოს, რომ მე და ის გოგო, რომელსაც ონლაინ რეჟიმში აქტიურად აბამს, ერთი და იგივე პიროვნებაა.

– მაშინ, საერთოდ ნუ ჩახვალ, ეგ სულაც არ არის პრობლემა.

– არის. შენ გიგის არ იცნობ, არაფრით მოისვენებს, სანამ არ მნახავს. ვაიმე, რა ვქნა?



– ნინიმ მუდარით შეხედა, – ლიზა, ჩადი, რა, მასთან?

– რა, გაგიჟდი? მე რა მინდა მასთან?

– დაელაპარაკე და აუხსენი, რომ რამდენიმე დღე სამსახურში არ ვიქნები. უთხარი, სტაჟირებაზე გააგზავნესო. ან, უმჯობესია, უთხრა, რომ აქ საერთოდ აღარ ვმუშაობ.

– მოიცა, მოიცა, ეგრე არ გამოვა. მე მასთან ვერ ჩავალ, ახლა ეგ ჩემთვის სერიოზული რისკია.

– რისკი რატომ?

– იმიტომ. წეღან რაზე გელაპარაკე? შეიძლება, ჩემმა ქმარმა ვინმე მომიჩინა და, რომ უთხრას, ვიღაცას შეხვდაო?! იქნებ, სურათიც გადამიღოს მასთან მოსაუბრეს. ნინი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ, რისკზე ვერ წავალ, მაპატიე.  .

– აუ, დავიღუპე და ეგააა... თან, იცი, რისი მეშინია?! უცებ გული არ ამიჩუყდეს და ყველაფერი არ ვაპატიო.. – აწუწუნდა ნინი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# არჩილ ჩოხელის სახსოვრად

მსიამოვნებდა ჭიკჭიკი მერცხლის,
აწ თითქმის ფერი გამიხდა ფითრის.
ზოგი, მუხლს კარგად რომ ვერც შლის,
ვერც ხრის,
სხვათა მიღწევას თავისად ითვლის.
დავკარგე ოქრო, შემრჩაღა ვერცხლი,
ისიც მოკითხვას შორიდან მითვლის,
თუმც თანამდგომთა წრე გარს მარტყია,
და მაჩეჩებენ სამძიმრის ფურცლებს,
ნანატრი მოყმე განა ბარტყია,
ადგილის დედას რა გული უძლებს,
როცა ნასროლი ერთი ბრმა ტყვია
მიწაზე დასცემს ჭიდილში უძლევს.
ღვთის ნაჩუქარი რაკი გვეღირსა,
ფასდაუდებელ სიმდიდრედ ღირს ის.
არაფერი მჭირს ყალბი კვეხნისა,
გვემახსოვრება ჭირსა და ლხინში,
სოფლის თვალი და კულა ქვეყნისა
არდავიწყების ბრძანდება ღირსი!



მე უხსოვარი ხნიდან მოვდივარ,
ბევრი ხიფათი მახლდა თან აკი,
ვსუნთქავ, ყრუ-მუნჯი კლდისებრ
როდი ვარ,
ბედის კარნახით აქ დავბანაკდი.
გადამიყოლა ლამის ლოდინმა,
ჟამი დადგა და ავლაპარაკდი.
თაფლი ამოსდის ჩემს პირს, მგონია,
მაუწყებელი არისო ეგ რის?
ვისაც ვეძებდით, ჩვენ გვიპოვია,
დიდ სიამაყეს ჩვენივე ძე გვგვრის.
მან, ვინც მსოფლიო ჩემპიონია,
სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი.

**დავით ნავდარაშვილი**

# გესმით ერთმანეთის?

***იცით, რა სურს თქვენს რჩეულს? უსიტყვოდ უგებთ მას თუ სიტყვებიც ვერ გშველით ურთიერთობის გასარკვევად? ნახეთ ეს ტესტი, რომელიც თქვენს ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს.***

**1. თქვენი პარტნიორი მოულოდნელად დაბრუნდა სამსახურიდან და გაუგებარი მიზეზი დაასახელა. თქვენი რეაქცია:**

ა) ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ, ვეცდები, გავიგო, რა მოხდა;



ბ) სერიოზულად დაველაპარაკები;

გ) ალბათ, გავბრაზდები, თუ არ მეტყვის, რა ხდება.

**2. გამოსასვლელ დღეებში თქვენი პარტნიორი (მეუღლე) არაფერს აკეთებს, გარდა დასვენებისა და ტელევიზორის ყურებისა...**

ა) ალბათ, ბოლოს გავღიზიანდები. დასვენება კარგია, მაგრამ, მისი ყურადღება მჭირდება;

ბ) არა უშავს, მეგობრებთან ერთად გავერთობი;

გ) ვეცდები, ავიყოლიო და რამე უკეთესი მოვიფიქროთ.

**3. პარტნიორი ცდილობს, ღამით საკმაოდ გვიან დაწვეს. ფეხს ითრევს და მიზეზებს იგონებს. რას მოიმოქმედებთ?**

ა) სერიოზულად დაველაპარაკები. თუ უძილობა სჭირს, ესეც უნდა ვიცოდე;

ბ) თავს მოვაჩვენებ, რომ არაფერი ხდება;

გ) მეც არ დავიძინებ. ვნახოთ, როდემდე არ დაწვება ან რას გააკეთებს.

**4. დიდი ხანია, წვეულებაზე წასასვლელად ემზადებით. საგანგებოდ ახალი ტანსაცმელიც შეიძინეთ. უცებ, პარტნიორი გიცხადებთ, რომ არანაირი სურვილი არ აქვს, წამოგყვეთ.**

ა) მადლობა ღმერთს! მარტო მერჩივნა წასვლა;

ბ) ძალიან გავბრაზდები. ალბათ, ვიჩხუბებ;

გ) არაფერს ვეტყვი, მაგრამ, სამაგიეროს აუცილებლად გადავუხდი.

**5. ბოლო დროს პარტნიორი ძალიან კარგ გუნებაზე ბრუნდება სამსახურიდან. ეს ეჭვს გიჩენთ და...**

ა) შევეცდები, გავიგო, რა ხდება სამსახურში;

ბ) მას ვკითხავ, რა ამხიარულებს ასე. დააწინაურეს? ხელფასის მომატებას დაჰპირდნენ?

გ) სერიოზულად ვიეჭვიანებ.

**6. პარტნიორმა წინასწარ დაგეგმილი დასვენება ჩაგიშალათ – ფული დახარჯა, ყველაფერი აურია...**

ა) არავითარ შემთხვევაში არ გავჩუმდები და არ მოვითმენ. ვიჩხუბებ;

ბ) საშინლად ვეჩხუბები და მაგრად დავცოფავ;

გ) არ გამიხარდება, მაგრამ, მოვიფიქრებ რამეს.

**7. პარტნიორი ავად გყავთ. გააცდენთ სამსახურს და დაუჯდებით გვერდით?**

ა) აუცილებლად;

ბ) გააჩნია, რა ხდება სამსახურში და რამდენად ავად არის;

გ) უკვე დიდია, თვითონ მიხედავს საკუთარ თავს.

***პასუხების უმრავლესობა არის „ა“: საერთოდ არ გესმით პარტნიორის. ის ან ამოუცნობი ობიექტია, ან, არ ცდილობთ, გაიცნოთ. თუ სკანდალები არ გინდათ, ისეთი მიიღეთ, როგორიც არის.***

***პასუხების უმრავლესობა არის „ბ“: პრობლემა ისაა, რომ თავს იტყუებთ, თითქოს პარტნიორის კარგად გესმით. სინამდვილეში კი ასე არ არის, უბრალოდ, თქვენ ასე გირჩევნიათ. ფრთხილად, ერთბაშად ცუდი რეალობის წინაშე არ აღმოჩნდეთ!***

***პასუხების უმრავლესობაა „გ“: გილოცავთ! თქვენ უსიტყვოდ გესმით პარტნიორის და ეს ძალიან კარგია. შეიძლება, დიდი ხანი დაგჭირდათ ამისთვის, მაგრამ, შეგიძლიათ, შედეგით იამაყოთ.***

## დაკრიჭეთ კბილები!..

* იცით თუ არა, რომ კბილის პასტა ძველმა ეგვიპტელებმა გამოიგონეს 5 000 წლის წინ. ეს გახლდათ ღვინოში შერეული დაფხვნილი პემზა. პირველი კბილის ჯაგრისი კი გაცილებით გვიან გაჩნდა ჩინეთში 500 წლის წინ. მასალად გამოყენებული იყო ღორის ჯაგარი და ცხენის ძუა. თანამედროვე ტიპის ნეილონის ჯაგრისები პირველად 1938 წელს შეიქმნა და წარმოებაშიც ჩაეშვა.



* სტომატოლოგიის განვითარების ეპოქაში, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში კბილების პროთეზირებისთვის ყველაზე პოპულარული მასალა იყო ბრძოლის ველზე დაღუპული ჯარისკაცის კბილები. განსაკუთრებული ხარისხიანობისთვის ისტორიაში შევიდა „ბრენდი“ – „ვატერლოოს კბილები“. საქმე ის იყო, რომ ვატერლოოს ბრძოლაში ძალიან ბევრი ახალგაზრდა ჯარისკაცი დაიღუპა სრულიად ჯანსაღი კბილებით.

* მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული კბილის პასტა 50 000 ევრო ღირს. ის კომპანია „ელიერ კოსმეტიკსის“ მესვეურებმა შექმნეს სპეციალურად ინგლისის დედოფლისთვის. მისი შემადგენლობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. კომპანიაში ამტკიცებენ, რომ კბილის პასტა თავისი შემადგენლობით უნიკალურია და ერთადერთი.

* ლეგენდის მიხედვით, ბუდას 40 კბილი ჰქონდა, პირველ ადამიანს, ადამს – 30.

* ჩვეულებრივ, ადამიანს კბილები ორჯერ ამოსდის. პირველად 20 სარძევე კბილი, ხოლო მათი მოცვლის მერე – 32. სახელწოდება „სარძევე კბილების“ ავტორია ჰიპოკრატე. ის დარწმუნებული იყო, რომ ბავშვის კბილების ფორმირება დედის რძისგან ხდებოდა.

* უცნაურია, მაგრამ ახლახან მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კაკაოს ფხვნილი, რომელიც შოკოლადის შემადგენლობაში შედის, შეიცავს კარიესის შემაფერხებელ ნივთიერებას.

* პირველი ელექტრო კბილის ჯაგრისი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შვეიცარიაში დააპატენტეს. ახალ გამოგონებას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ საზოგადოების მხარდაჭერა მაინც მოიპოვა. ამჟამად მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 12 პროცენტი ელექტრო კბილის ჯაგრისს იყენებს.

* ლოკოკინას 25 000 კბილი აქვს.

* კბილებისთვის ყველაზე სახიფათო სპორტი ჰოკეია. პროფესიონალი მოთამაშეების 86 პროცენტს მოედანზე ერთი კბილი მაინც აქვს დაკარგული.

* ძველ რომში წარჩინებულებს კბილების გამსუფთავებლად ცალკე მონები ჰყავდათ.

* კბილი ადამიანის ორგანიზმის ერთადერთი ნაწილია, რომელსაც თვითაღდგენა არ შეუძლია.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# გაუნათლებელი ქურდი

## ალბერტო მორავია

პროფესორ გერლანდს ძალიან უნდოდა მოახლე, მაგრამ, აუცილებლად პროვინციელი უნდა ყოფილიყო. რატომ?! – პროფესორს ამის შესახებ საკუთარი, მყარი არგუმენტი ჰქონდა: მისი აზრით, სრულიად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი და ქალაქში ერთხელაც არნამყოფი გოგონა, აუცილებლად პატიოსანი და წესიერი იქნებოდა, – სწორედ ასე უთხრა გერლანდმა სახლის ადმინისტრატორს, რომელიც წარმოშობით ჩოჩარიიდან იყო. ადმინისტრატორს გაუკვირდა:

– რომში გაცილებით უკეთეს მოახლეს იპოვით: კარგი რეკომენდაციით, ცოტაოდენი ინტელექტით... რად გინდათ გოგონა ჩოჩარიიდან, ისინი ხომ აბსოლუტურად გაუნათლებლები არიან?!

პროფესორი გაიბადრა:

– გაუნათლებელი? ეს სწორედ ის არის, რაც მჭირდება: არ უყურებს სერიალებს, არ წაიკითხავს კომიქსებს, საათობით არ ჩამოეკიდება ტელეფონს, არ დაუწყებს უკან დევნას სიმპათიურ კურიერს... ერთი სიტყვით, მომიძებნე გოგონა ჩოჩარიიდან და მადლობას გეტყვი.

ადმინისტრატორიც აღარ შეჰკამათებია – მერე რა, რომ პატიოსნებასა და წესიერებაზე საკუთარი შეხედულება ჰქონდა...

ერთი კვირის შემდეგ კი ჩოჩარიიდან ნამდვილი ველური გოგო ჩამოვიდა. ლოყებწითელი და ღაჟღაჟა, ირგვლივ ენერგიასა და სოფლის სურნელს რომ აფრქვევდა. პროფესორი კმაყოფილი იყო. გოგოს ისე ეცვა, როგორც ნამდვილი ჩოჩარიელი ქალები იცვამენ: ჭრელი ქვედაბოლო და წვივებზე თასმებშემოხვეული ფეხსაცმელი. ადმინისტრატორი არ იზიარებდა პროფესორის აღფრთოვანებას და დაძაბული ელოდა მოვლენების განვითარებას. ორი დღის შემდეგ პროფესორი ოდნავ შეცბუნებული ყვებოდა გოგონას ველური ბუნების შესახებ: მან საერთოდ არაფერი იცოდა. ტელევიზორი და გაზქურა ნანახიც კი არ ჰქონდა. ლამის შუაცეცხლი დაანთო, კერძის მოსამზადებლად. კიდევ ბევრი წვრილმანის აზრზეც არ იყო, მაგალითად, როცა სახლთან ტრამვაიმ ჩაიარა, შიშისგან კივილი მორთო, საყიდლებზეც ვერ გაგზავნიდი. პროფესორმა ამ ყველაფერზე ცოტა ხანს კი იმხიარულა, მაგრამ, ეტყობოდა, რომ მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ევსებოდა. აღმოჩნდა, რომ გოგონას დიასახლისობისაც არაფერი გაეგებოდა – ის ხომ მინდორში მუშაობას იყო დაჩვეული. კიდევ ერთი უცნაურობა სჭირდა – ფამილარობა. მისთვის პროფესორი ერთი უსაქმური არსება იყო, რომელიც, რატომღაც, ერთი თავი კერძით არ კმაყოფილდებოდა: პირველი თავი კერძი, მეორე და, კიდევ, დესერტი – რად უნდოდა ამდენი ერთ ადამიანს?! ან, რისთვის იყო საჭირო სახლში უამრავი წიგნი, რომლებიც სპეციალური ჯაგრისით ყოველდღე უნდა გეწმინდა?! ტუდა, – ასე ერქვა ჩოჩარიელს, – ყურში არ უშვებდა არანაირ შენიშვნას. ხოლო, როცა პროფესორის მაგიდიდან ერთ-ერთი სტუდენტის ნაშრომი აიღო და ფურცელი ამოხია, რათა მასზე ნაგავი მოეგროვებინა, პროფესორმა აღიარა, რომ მოსამსახურეს ცოტა განათლება არ აწყენდა. მერე კიდევ უარესი მოხდა: როგორც კი პირველი ხელფასი აიღო, ტუდა გაიქცა და თავისთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, მოკლე კაბა, ტუჩების საცხი, კოსმეტიკა და ნიანგის ხელოვნური ტყავისგან დამზადებული ხელჩანთა იყიდა. კაბა ტანზე მჭიდროდ ჰქონდა შემოტმასნილი და საკმაოდ ვნებიანად გამოიყურებოდა, ისე, რომ მძღოლ მარიოს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მალე ადმინისტრატორის ცოლმა მძღოლი და მოახლე ხელიხელგადახვეულები ნახა, პარკში რომ მოსეირნობდნენ. ცოლ-ქმარმა დაიმარტოხელა ტუდა და ადმინისტრატორმა უთხრა: მარიო შენი შესაფერისი არ არის. ის სოფლელ, გაუნათლებელ გოგოს სერიოზულად არასდროს შეხედავს, განათლებას კი წიგნები სჭირდება, შენი წონა წიგნები მაინცო. ან ადმინისტრატორმა ვერ თქვა ის, რაც უნდოდა, რომ ეთქვა, ან, ვიღაცას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი... რამდენიმე თვის შემდეგ ადმინისტრატორმა შეამჩნია, რომ პროფესორი ჩაფიქრებული და მოღუშული დადიოდა, მისთვის სალმის თქმაც კი ავიწყდებოდა. ველარ მოითმინა და მიზეზი ჰკითხა. პროფესორი ყოყმანობდა:

– იცი, რაშია საქმე? არც ვიცი, უნდა ვთქვა თუ არა, მაგრამ... ჩემი სახლიდან რამდენიმე იშვიათი წიგნი გაქრა. ხომ გესმის, ხელს ვერავის დავადებ, თუმცა, წიგნების თავისით გაუჩინარებისაც არ მჯერა.

ადმინისტრატორს ფერი ეცვალა. წესიერი კაცი იყო და საკუთარ პასუხისმგებლობასაც აცნობიერებდა.

– პოლიციისთვის ხომ არ მიგიმართავთ? – ჰკითხა პროფესორს. მან თავი გააქნია:

– ვერ მივმართავ. მეშინია, რომ ისინი ტუდას ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებენ. თან, ერთი მომენტიცაა: ტუდას წარმოდგენა არ აქვს იმ გამოცემების ჭეშმარიტ ღირებულებაზე და, რაში დასჭირდებოდა?

– მისთვის მაინც არ გიკითხავთ?

– არა, არ მინდა, უხერხულობა იგრძნოს. მერე რა, რომ გაუნათლებელია, საყვარელი გოგოა და თავმოყვარეობაც აქვს.

რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორმა კიდევ დაკარგა ორი იშვიათი და ძვირფასი გამოცემა. ადმინისტრატორმა გადაწყვიტა, რომ, დრო იყო, საქმეში ჩართულიყო. მაგრამ, პროფესორისგან განსხვავებით, უკეთესად იცნობდა პროვინციელებს, მით უმეტეს – ჩოჩარიელებს. ის დაელოდა, მომენტს, როცა პროფესორი სახლიდან წავიდა და მის ბინაში ჩუმად შევიდა. გაუმართლა, ტუდას ისეთ მდგომარეობაში მიუსწრო – გოგო ბიბლიოთეკაში კიბეზე იყო ასული და თაროდან ტყავის გარეკანში ჩასმული წიგნის გადმოთრევას ცდილობდა. ადმინისტრატორის დანახვაზე არანაირი ემოცია არ გამოუხატავს, გაუღიმა კიდეც:

– კარგია, რომ მოხვედი, მომეხმარები. კიბე დამიჭირე, ეს ოხერი წიგნი ძალიან მძიმეა.

– რას აკეთებ, ტუდა? ეს ხომ ქურდობაა! შენ პარავ პროფესორს წიგნებს?

– ვპარავ! – გაიოცა ჩოჩარიელმა გაუნათლებელმა, – რატომ ვპარავ? უბრალოდ, ვიღებ. შეხედე, რამდენი აქვს, რად უნდა ამდენი? მე კი ძალიან მჭირდება. ეს ერთი ტომიც და – გეგმა შესრულებულია.

– რა გეგმა? – ვერ მიხვდა ადმინისტრატორი.

– ჩემი წონა წიგნებია საჭირო, რომ მარიომ ჩემზე სერიოზულად იფიქროს, – ასე არ მითხარი?

ადმინისტრატორმა თავში შემოიკრა ხელი, გუნებაში კი პროფესორს შეუკურთხა, თავისი ახირების გამო სულელური პრობლემები რომ შეიქმნა. არც იცოდა, რა უნდა მოეხერხებინა ამ სულელი გოგოსთვის. გადაწყვიტა, პირდაპირ მარიო მოეძებნა, პოლიციით დამუქრებოდა და იძულებული გაეხადა, წიგნები პატრონისთვის დაებრუნებინა. მაგრამ, დააგვიანა – მარიოს კვალიც კი გაქრა. მან მოპარული წიგნები ბუკინისტ-ანტიკვართან საკმაოდ სოლიდურ თანხად გაყიდა კერძო კოლექციონერზე, ფული ჩაიჯიბა და აორთქლდა. ადმინისტრატორს ისღა დარჩენოდა, ჯავრი ტუდაზე ამოეყარა, თუმცა, არც ეს აღმოჩნდა იოლი. გოგოს არაფრით ესმოდა, რატომ იყო წიგნების აღება ტრაგედია და დანაშაული. ის უფრო მარიოს გაუჩინარებას დარდობდა.

– ბოლოს და ბოლოს, მე დავაბრუნებ ამ წიგნებს! – თქვა სლუკუნით.

– რანაირად? – გაუკვირდა ადმინისტრატორს.

– საღამოს ნახავთ, – ჯიუტად ჩაილაპარაკა ტუდამ და თავისი შავად მოელვარე თვალებით უტიფრად მიაჩერდა.

იმავე საღამოს, გაოცებული პროფესორისა და ადმინისტრატორის თვალწინ უცნაური სურათი გადაიშალა: მათთან წიგნებით დატვირთული ტუდა მივიდა და ამაყად განუცხადა:

– აი, თქვენი წიგნები. სხვისი არაფერი მჭირდება! იმას როგორ ვიფიქრებდი, ასეთ ამბავს თუ ატეხდით. საჭმელი ხომ არაა.

პროფესორმა წიგნებს დახედა.

– კი, მაგრამ, ეს ჩემი წიგნები არაა, ეს მათემატიკისა და ქიმიის სახელმძღვანელოებია... ტუდა, მე ესენი არ მჭირდება!..

გოგო გაბრაზდა:

– ძალიან ჭირვეული ვინმე ხარ, თუნდაც პროფესორი იყავი! წონით წავიღე და წონით ჩაგაბარე – მე შენთან ანგარიში გასწორებული მაქვს. კარგად იყავი, მარიოს მოსაძებნად მივდივარ!..

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-34(660)

***

თვალი რომ გაახილა, ნიკამ თეთრად შეფეთქილი ჭერი დაინახა, რომლიდანაც რაღაც უშველებელი რკინის სხეული იყო



ჩამოშვებული და უზარამაზარი ანთებული თვალი ურჩხულივით დაჰყურებდა. მერე ანთებული თვალი უცებ ჩაქრა და მის ყურთასმენას ადამიანების ჩურჩული მისწვდა. ნიკა ვერაფრით ვერ მიხვდა, სად იყო. ყველაფერი სტკიოდა, განძრევა არ შეეძლო, არც ხმის ამოღება, რომ ვინმესთვის რამე ეკითხა. მხოლოდ თვალი მოავლო ოთახს – იქნებ, მივხვდე, სად ვიმყოფებიო, მაგრამ, თეთრი კედლებისა და თეთრებში ჩაცმული ადამიანების მეტი ვერაფერი დაინახა. ეს ადამიანებიც ისე დანარნარებდნენ მის გარშემო, თითქოს ნელა დაფრინავენო; მათი სახეებიც ვერ გაარჩია – ყველას რძისფერი, ოდნავ გამჭვირვალე ნისლი ფარავდა, ამიტომ, იფიქრა, ეტყობა, საიქიოში ვარ და თავს ანგელოზები დამტრიალებენო. ასეთ მდგომარეობაშიც კი ახსოვდა, ანგელოზები სამოთხეში არიანო და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა – სამოთხეში როგორ აღმოვჩნდი მე ცოდვილიო, მაგრამ, თან გაუხარდა – ალბათ, რაღაც დამსახურების გამო, ღმერთმა ყველა ცოდვა მომიტევაო. ამ „მსჯელობაში“ იყო, რომ უცებ თითქოს წონა დაკარგა, ბუმბულივით მსუბუქი გახდა და სადღაც უსასრულობაში ჩაინთქა.

თვალი რომ გაახილა, თავს ისევ თეთრხალათიანი დასდგომოდა და წნევას უზომავდა, ოღონდ, ამჯერად მისი მოძრაობა არ იყო შენელებული, მერე ლაპარაკიც გაიგონა და სიტყვებიც გაარჩია:

– გონს მოვიდა, – თქვა ქალის ხმამ, – წნევაც თითქმის ნორმალური აქვს.

– ძალიან კარგი. ახლა ჭრილობა გადაუხვიეთ, – გამოეპასუხა მამაკაცის ბარიტონი, რომლის პატრონიც ნიკას მიუახლოვდა, თვალებში ახლოდან ჩახედა და ხმამაღლა ჰკითხა:

– გესმით ჩემი?

– დიახ... – ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა ნიკამ.

– როგორ გრძნობთ თავს, გტკივათ რამე? – ჰკითხა ისევ ბარიტონმა.

– ცოტა... სხეული თითქოს დაბუჟებული მაქვს და თავიც მიბრუის, – ნიკამ ისე თავისუფლად წარმოთქვა ამხელა წინადადება, რომ თვითონვე გაუკვირდა და ეს გაკვირვება სახეზეც გამოეხატა.

– ნუ გიკვირთ, – მიუხვდა ბარიტონი, – ეს ჩვეულებრივი ამბავია, როცა საქმე უკეთ მიდის პაციენტისთვისაც და ექიმებისთვისაც.

– ესე იგი, პაციენტი მე ვარ, რადგან, მე ლოგინში ვარ გაშოტილი და ვერ ვინძრევი; ექიმი კი, ალბათ, თქვენ ბრძანდებით, – სვენებ-სვენებით, მაგრამ გამართულად ჩამოაყალიბა აზრი ნიკამ.

– დიახ, ბატონო ნიკა. მე თქვენი მკურნალი ექიმი ვარ. რამდენიმე დღის წინ ისეთ მდგომარეობაში მოგიყვანეს ჩვენთან, სიმართლე გითხრათ, არ გვეგონა, თქვენს ამქვეყნად მობრუნებას თუ შევძლებდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯანმრთელი ორგანიზმი გქონიათ და, თან, ეტყობა, ძალიან გდომებიათ სიცოცხლე, – ექიმმა ავადმყოფს საბანი გადახადა და ახალი გადანახვევი შეამოწმა.

– ბატონო ექიმო, ვინ მომიყვანა აქ და რა მჭირდა ამისთანა უსაშველო?

– მოგიყვანა ახალგაზრდა, ძალზე ლამაზმა ქალმა, რომელიც, სხვათა შორის, თვითონაც საჭიროებდა ჩვენს დახმარებას – სახე ჰქონდა დაზიანებული, მაგრამ არც ისე სერიოზულად, რომ თქვენი მოყვანა და ჩვენთვის ბრძანებების გაცემა გასჭირვებოდა. თქვა, დოდო მქვიაო, გვარი კი არ მახსოვს. მაგრამ, ნუ ნერვიულობთ, – ექიმმა მაჯის საათზე დაიხედა, – ახლა უკვე მალე მოვა. მთელი ეს დღეები, რაც თქვენ აქ იმყოფებით, დერეფანში იჯდა და თქვენს გონზე მოსვლას ელოდა. წუხელ, როგორც იტყვიან, ძალით გავაგდეთ სახლში, რომ ცოტა მაინც წაეძინა. შევპირდით, როგორც კი თვალს გაახელდით, მაშინვე დავურეკავდით.

– მერე? – სწრაფად იკითხა ნიკამ.

– ცხადია, დავურეკეთ. სიხარულისგან ტელეფონში აკივლდა, ძლივს დავაწყნარეთ. მალე აქ იქნება და თვითონ დელაპარაკებით.

– რამდენი ხანია, აქ ვარ?

– დღეს მეხუთე დღეა. თქვენი ჭრილობების სირთულიდან გამომდინარე, საკმა-


## პრაქტიკული განათლების ცენტრი

გთავაზობთ სასკოლო და ეროვნული გამოცდებისთვის (XI-XII კლასელებს) მოსამზადებელ პროგრამას ყველა საგანში. სასწავლო ჯგუფები შედგება 4-6 მსმენელისგან. მეცადინეობა დაიწყება სკოლის გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილის ხანგრძლივობა - 1 საათი და 30 წუთი.

**სწავლა დაიწყება ოქტომბერში.**

*ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება - თვეში 50 ლარი.*

*სასკოლო გამოცდებისთვის მომზადება - თვეში 30 ლარი.*

**მეცადინეობა ჩატარდება მ. ბროსეს ქუჩაზე, ოპერასთან.**

**წინასწარი რეგისტრაციისა და დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 2 30 87 28, 591 31 32 40, 514 42 22 88, 568 42 22 88. ან ნახეთ ორგანიზაციის ვებგვერდი მისამართზე: www.fineschool.ge**

ოდ სწრაფად დაგვიბრუნდით, – ღიმილით უპასუხა ექიმმა.

– დოდოს მეტი არავინ მოსულა და არავის ვუკითხივარ? – ერთგვარი წყენითა და გაოცებით ჰკითხა ნიკამ.

– არავისო?! – გაეცინა ექიმს, – არავის კი არა, ტელეფონი არ გაჩერებულა. ვიღაც ნანა რეკავდა ღამის საათში ერთხელ. თქვენი მეგობრები ხომ სულ აქ ტრიალებდნენ და ზოგი საკუთარ სისხლს გვთავაზობდა, ზოგიც – ძვირად ღირებულ წამლებს... ჰო, კიდევ, სამართალდამცველები მოდიოდნენ, პროკურატურიდანაც იყვნენ რამდენჯერმე და თქვენთან საუბარი სურდათ, მაგრამ, რადგან გონებაზე არ იყავით, ეს შეუძლებელი იყო და, ამიტომ, თქვენი შეხვედრა, ალბათ, ამ საღამოს შედგება.

– ნანამ თვითონ დარეკა თუ სხვას დაარეკვინა? – იკითხა ნიკამ.

– როგორც ვიცი, სულ თვითონ რეკავდა. ძალიან იყო აღელვებული და ტირილით იმეორებდა, ნიკა ჩემ გამო წევს საავადმყოფოში და, რამე რომ დაემართოს, ამას საკუთარ თავს ვერ ვაპატიებო... – ექიმის ინტონაციაში ცნობისმოყვარეობა გამოკრთა. ჩანს, როგორც ნებისმიერ მოკვდავს, მასაც აინტერესებდა, რა რაინდული საქციელის გამო დაჭრეს ახალგაზრდა, სიმპათიური, უცოლო მამაკაცი. ჭორიკანა მედპერსონალის წყალობით, რაღაც-რაღაც ინფორმაცია უკვე ჰქონდა: იცოდა, რომ ნიკა იმ ვიღაც ნანას რაღაც საქმეს იძიებდა; რომ სამშენებლო კომპანიას შავად ჰქონდა საქმე, რადგან მისი მაქინაციებით პროკურატურა იყო დაინტერესებული და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის უკან რამდენიმე მკვლელობა იყო, მაგრამ, ექიმმა მხოლოდ ზედაპირულად იცოდა ეს ამბები და, რა გასაკვირია, რომ აინტერესებდა, ვინ იყო მკვლელი და ვინ და რატომ დახოცეს. მაგრამ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ვერ ბედავდა პაციენტისთვის კითხვების დასმას, რადგან, ეშინოდა, ამით სამართალდამცველების რისხვა არ გამოეწვია.

– ნანა არაფერ შუაშია, – დაფიქრებით თქვა ნიკამ, – მე, უბრალოდ, მისი კერძო დეტექტივი ვარ. ნანა ძალიან კარგი ქალია და ის უნდა გადარჩეს... – უცებ ნიკას თვალები თავისთავად დაეხუჭა. სიზმრების სამყაროში გადაეშვა: დაესიზმრა, როგორ მოვიდა მასთან ნანა, როგორ დაალევინა წყალი, მერე კი მის გვერდით, სკამზე ჩამოჯდა და ახარა – შენი წყალობით ყველაფერი დავიბრუნე, მაგრამ, შენ რომ რამე მოგსვლოდა, ამას ვერასდროს ვაპატიებდი თავს და ამ ფასად არც ის ჩემი ფული და აგარაკი მინდოდაო. ამ სიტყვების წარმოთქმისას ნანას ცრემლით აევსო თვალები და ტუჩებიც აუკანკალდა. ისე შეჰყურებდა ნიკას, არაფრის თქმა აღარ იყო საჭირო – ქალი აშკარად არ იყო გულგრილი თავისი ახალგაზრდა დეტექტივის მიმართ, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, ეს არასდროს გაემხილა, თუნდაც იმიტომ, რომ, ახალდაქვრივებულს, თანაც, ასეთი სასტიკი ფორმით, არ შეშვენოდა გრძნობების აყოლა. აშკარად არც არასდროს გამოუხატავს, მიუხედავად იმისა, რომ ნიკას ხშირად ხვდებოდა საქმის გამო და რაღაც პერიოდი ერთ ბინაშიც კი ცხოვრობდნენ. ნიკა ყოველთვის გრძნობდა მისგან თბილ ფლუიდებს, თვითონაც უცნაური და გაურკვეველი ემოციები ჰქონდა თავისი კლიენტის მიმართ, მაგრამ, ნანას – ქალური სიამაყე, ნიკას კი – პროფესიული ეტიკეტი უფლებას არ აძლევდა, ამ ემოციებს აჰყოლოდნენ და, საქმიანი, საკმაოდ სერიოზული ურთიერთობა იაფფასიანი სერიალის ან რომანის სიუჟეტად ექციათ. ნიკამ მხოლოდ სიზმარში იგრძნო ასე მკაფიოდ და აშკარად, რომ ნანას ის შეუყვარდა – ამაში დეტექტივი ისე იყო დარწმუნებული, თავს დადებდა, მაგრამ, ის არ იყო უზნეო მამაკაცი და არასდროს გამოუყენებია ქალის გრძნობები სათავისოდ. თანაც, ნიკა აშკარად არ იყო გულგრილი დოდოს მიმართ, თუმცა კი, გრძნობდა, რომ პიროვნული თვისებებითა და ღირსებით ნანა ბევრად აღემატებოდა „ინტელგრუპჯორჯიას“ თანამშრომელს – თამამს, ქალურად ვერაგს, საკმაოდ საეჭვო ცხოვრებაგამოვლილსა და ყველაფერზე წამსვლელ დოდოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნიკას დოდოსკენ უფრო ჰქონდა ლტოლვა და, ამიტომ, არ უნდოდა, თუნდაც მცირეოდენი იმედი მიეცა ახალდაქვრივებული, წესიერი, მშვიდი და წყნარი ქალისთვის, რომელსაც, პრინციპში, ძალიან არ გაუმართლა ცხოვრებაში...



...ნიკამ თვალი რომ გაახილა, ნანა ველარ დაინახა და მიხვდა, რომ ეს სიზმარი იყო და, ყველაფერი, რასაც ის ნანაზე ფიქრობდა ასევე სიზმარში ხდებოდა. რატომღაც, შვებით ამოისუნთქა, რომ ეს ყველაფერი დაესიზმრა. თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნა ზურგიდან და კმაყოფილმა გაიღიმა, მაგრამ, ამ დროს ნანას ცრემლიანი თვალები დოდოს შეშინებულმა სახემ შეცვალა. ნიკას ეგონა, სიზმარი გრძელდებაო და თვალები რამდენჯერმე მაგრად დახუჭა და გაახილა, მაგრამ დოდო ისევ თავთით ეჯდა და უღიმოდა.

– მესიზმრები თუ მართლა მოხვედი? – ჰკითხა ჩუმად, თითქოს ეშინოდა, ეს ჩვენება არ დაეფრთხო.

– მართლა მოვედი... – დოდომ ნაზად გაუსვა ხელი დოლბანდით შეხვეულ თავზე, – ექიმმა მითხრა, მაგარი ყოფილა, არ მეგონა, თუ გადარჩებოდაო.

– მარტო სიმაგრეშიც არ არის საქმე, უფლება არ მქონდა, მოვმკვდარიყავი, – ღიმილით უპასუხა ნიკამ და ქალის მოფერებაზე ლამის კატასავით აკრუტუნდა.

– ვის გამო არ გქონდა უფლება? – ვითომ ხუმრობით, მაგრამ, კარგად დაფარული ეჭვიანობით ჰკითხა დოდომ.

## თამუნა ბერიძის გახსენება



მეშვიდე ცრემლიან დაბადების დღეს გილოცავთ, თამო... 19 წლის გახდებოდი... დიდი ხანია, ბავშვობის ასაკს გადააბიჯე, მაგრამ ჩვენთვის ისევ პატარა ანგელოზად დარჩები... დარჩები დიდ ტკივილად და უზომო მონატრებად...

გვიყვარხარ და გვენატრები, თამუნა!!!

**ოჯახი**



— შენი და ნანას გამო, — გულუბრყვილოდ უპასუხა ნიკამ და მხოლოდ ქალის თვალებში გამკრთალმა მრისხანების ნაპერწკალმა მიახვედრა, რომ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, მაგრამ, მაშინვე შეეცადა შეცდომის გამოსწორებას: — არ მქონდა უფლება, შენ უჩემოდ დამეტოვებინე და, ასევე, არ მქონდა უფლება, აღებული საქმე არ მიმეყვანა ბოლომდე. როგორც კი ფეხზე დავდგები, მაშინვე დავასრულებ ნანას საქმეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუკეთესო ვარიანტში, ნანა ღია ცის ქვეშ დარჩება, ყოველგვარი ქონების გარეშე... — ნიკა გაჩუმდა და თვალები დახუჭა.

— უარეს შემთხვევაში? — ირონიულად ჰკითხა დოდომ.

— უარეს შემთხვევაში ნანას მოკლავენ და, შესაძლოა, ეს არ იყოს ბოლო მკვლელობა... — ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ნიკამ, — ამიტომ, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გამოვკეთდე და ნანას საქმე დავასრულო, რაშიც შენ უნდა დამეხმარო.

— ნანას მოკლავენ?!. — შეშფოთდა დოდო და უცებ მიხვდა, რომ ნანა მისი კონკურენტი არ იყო — ქალი ყოველთვის ტანით გრძნობს მეტოქეს.

— ჰო, აუცილებლად მოკლავენ, თუ სასწრაფო და რადიკალურ ზომებს არ მივმართავთ.

— რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

— იმიტომ, რომ ეს ერთხელ უკვე სცადეს. მართალია, ნანა ძალიან მძიმედ იყო, მაგრამ, მაინც გადარჩა. როგორც კი ამას გაიგებენ, კიდევ და კიდევ ეცდებიან, სანამ მიზანს არ მიაღწევენ. მე რომ ეს ამბავი დამემართა, ნანა საავადმყოფოში იწვა და რამდენიმე კაცი იცავდა, მაგრამ, თუკი ვინმე ძალიან მოინდომებს, იქაც შეიძლება შეღწევა — ბოლოს და ბოლოს, მედპერსონალიდან ვინმეს მოისყიდიან დიდი თანხით, ან...

— ეს არ მოხდება! — ლამის იყვირა დოდომ, — მე თვითონ დავადგები თავს ნანას მისი მომვლელის რანგში და აბსოლუტურად ყველას და ყველაფერს გავაკონტროლებ: თითოეულ წამალს, ნემსს, საჭმელს... შენ ჯერ კიდევ კარგად არ მიცნობ, არ იცი, რა შემიძლია. მე ვერავინ გამაცურებს, ვერავინ ვერაფერს შემომატყუებს...

— ეს კარგი აზრია, მაგრამ, ასე მასთან ვერავინ შეგიშვებს, თუ სპეციალური საშვი არ დაუშვეს შენზე.

— მერე, ვინ უნდა დაუშვას ეგ საშვი?

— ალბათ, პროკურატურამ. ყოველ შემთხვევაში, ზურაბს შეეძლება ამ საკითხის მოგვარება. მობილური ხომ გაქვს თან?

— რა თქმა უნდა, — დოდომ თავისი ტელეფონი ამოიღო და ნიკას შეაჩერდა, — მიკარნახე ზურაბის ნომერი.

ნიკამ ტელეფონი გამოართვა და ზურაბს მესიჯი მისწერა — ამ ნომერზე დამირეკეო.

— რატომ არ მიკარნახე ნომერი, არ მენდობი? — ეწყინა დოდოს.

— არა, უბრალოდ, შეიძლება, ზურაბმა უცხო ნომერს არ უპასუხოს, აუხსნა ნიკამ და ამ დროს ზარიც გაისმა — ზურაბი რეკავდა.

— ნიკა! როგორ გამახარე, ბიჭო! არა მჯერა, რომ შენ გელაპარაკები! — ლამის ყვიროდა ტელეფონში ზურაბი, რომელიც თავისი სიდინჯითა და თავდაჭერილობით იყო ცნობილი თავის წრეში.

ნიკამ მადლობა გადაუხადა მოკითხვისთვის, მოკლედ უთხრა თავისი ჯანმრთელობის შესახებ და, ბოლოს, სთხოვა, დოდოსთვის რეკომენდაცია გაეწია, რათა ნანასთან თავმდგომად შეეშვათ. ზურაბი მაშინვე დათანხმდა შუამდგომლობაზე და შეჰპირდა, ცოტა ხანში შეგატყობინებ პასუხსო.

მართლაც, თხუთმეტიოდე წუთში დაურეკა ზურაბმა და უთხრა, დოდო საავადმყოფოში მოვიდეს, პალატასთან დაცვა რომ დგას, საჭირო საბუთი იმას ექნება და ის შეიყვანს ნანასთან პალატაშიო.

გახარებული დოდო სასწრაფოდ გამოემშვიდობა ნიკას, სთხოვა, ექიმს უთხარი, შენი მობილური შემოგიტანოს, დაკავშირება რომ შევძლოო და შურდულივით გავარდა.

ნიკა ძალიან დაღალა დოდოს ვიზიტმა. ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტად იყო და ამდენ ფიზიკურ თუ მორალურ დატვირთვას მისი ორგანიზმი ვერ უძლებდა. თან, რაღაც ნემსები კიდევ გაუკეთეს და ისევ ძილი მოერია. ის იყო, თვალები თავისთავად დაეხუჭა და ისევ უწონო გაუხდა სხეული, რომ სადღაც შორიდან ექიმის ხმა ჩაესმა:

— ბატონო ნიკა, პროკურატურის გამომძიებლები მოვიდნან, თქვენთან საუბარი სურთ!

ნიკამ ეს ყველაფერი გაიგონა და პასუხის გაცემაც დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო — უცებ ჩაეძინა ღრმად და უშფოთველად.

ექიმი იძულებული გახდა, პროკურატურის თანამშრომლებისთვის ეთხოვა, ორისამი საათი დაცდა მოგიწევთ, სანამ ავადმყოფი თვითონ გაიღვიძებსო.

გამომძიებლებმა საკმაოდ უხეშად გამოთქვეს უკმაყოფილება:

— ჩვენ აქ სათამაშოდ არ მოვსულვართ. საქმე მკვლელობებსა და სხვა სერიოზულ დანაშაულობებს ეხება და დრო არ ითმენს, სასწრაფოდ უნდა დავკითხოთ ნიკა გურული, რადგან, მის ჩვენებებზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, გაუკეთეთ ისეთი ნემსი, რომელიც გამოაფხიზლებს და რის შემდეგაც ჩვენთან საუბარს შეძლებს! პატივცემულო ექიმო, ეს თხოვნა არ არის, ეს ბრძანებაა!

ექიმს ხმამაღლა გაეცინა ასეთ გულუბრყვილო ბრძანებაზე.

— რა ვთქვით სასაცილო? — გაბრაზდა გამომძიებელი.

— არ გეწყინოთ, პატივცემულო, — ექიმი შეეცადა, სახიდან ღიმილი მოეშორებინა, — თქვენი ბრძანება რომ შევასრულო, ანუ, გამოსაფხიზლებელი ინიექცია რომ გა-

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ვუკეთო, ჩემი პაციენტი თხუთმეტ წუთში წაიღებს წერილს იმქვეყნად და მერე საერთოდ ვეღარ შეძლებთ ჩვენების ჩამორთმევას – ვერც ორი-სამი საათის შემდეგ და ვერც შორეულ მომავალში. ის, პრაქტიკულად, დღეს დილით მოვიდა გონს და შემოვიდა კონტაქტში. ჯერ კიდევ გუშინ ამ დროს არც კი გვეგონა, თუ გადარჩებოდა. ჩვენ ისედაც ზედმეტად დავტვირთეთ და დავღალეთ ის. მინდა გითხრათ, რომ მისი მდგომარეობის გაუარესება ჯერ ისევ არ არის გამორიცხული. ამიტომ, თქვენი გამოძიება სულაც რომ შეჩერდეს, ვერავინ მაიძულებს, რომ ჩემს პაციენტს ჩემი ხელით გამოვუტანო სასიკვდილო განაჩენი, მით უფრო, რომ, მისი ინიექციით გაღვიძების შემთხვევაშიც კი, ის მაინც ვერ დაგელაპარაკებათ – ამისი უნარი არ ექნება; ან, საუკეთესო შემთხვევაში, რაღაც გაურკვეველ, არარეალურ, ეიფორიულ პასუხებს გაგცემთ, რაც, არათუ გამოძიების სწორად წარმართვაში ვერ დაგეხმარებათ, პირიქით, შეიძლება, ყველა ინფორმაცია, რაც აქამდე გქონდათ, თავდაყირა დააყენოს და ამის გამო თქვენვე იზარალოთ, – ექიმის ტონი თანდათან უფრო მკაცრი და კატეგორიული გახდა და პროკურატორის წარმომადგენლებმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გაბედეს.

– სხვა რა გზაა... – უკან დაიხია შედარებით ახალგაზრდა გამომძიებელმა, რომელიც ისე იქცეოდა, რომ ჩინით აშკარად სხვებზე უფროსი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ერთი პოლიციელის გარდა, ყველას სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, – მაგრამ გაიღვიძებს თუ არა, მაშინვე უნდა შეგვიშვათ, წუთის დაკარგვაც არ შეიძლება!

– გასაგებია, პირობას გაძლევთ, მაშინვე შეგიშვებთ.

– ანუ, დაახლოებით რამდენ ხანს მოგვიწევს ლოდინი?

– როგორც გითხარით, დაახლოებით ორი-სამი საათი. თუმცა, არ არის გამორიცხული, უფრო ადრეც გაეღვიძოს.

– კარგი. მაშინ, ერთი ჩვენგანი აქ დარჩება, დანარჩენები კი სხვა საქმეების მოსაგვარებლად გავალთ. როგორც კი ჩვენი პოლიციელი შეგვატყობინებს, მაშინვე აქ გავჩნდებით.

– როგორც გენებოთ, თუმცა, ძალიან შორს მაინც ნუ წახვალთ, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ შესაძლოა, პაციენტმა უფრო ადრეც გაიღვიძოს. მაგრამ, წინასწარ გაფრთხილებთ, რომ მასთან დიდხანს საუბრის უფლებას მაინც ვერ მოგცემთ – ის ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაშია და მისმა გადაღლამ ან განერვიულებამ, შეიძლება, გათიშვა ან შოკი გამოიწვიოს.

– გასაგებია. შევეცდებით, თქვენი მითითებები მაქსიმალურად შევასრულოთ, – კვლავ უკან დაიხია გამომძიებელმა და თავისიანებთან დაბრუნდა. შემდეგ ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც პოლიციელის ფორმა ეცვა, პალატასთან დარჩენა უბრძანა და მითითებები მისცა, როგორ უნდა



მოქცეულიყო, თვითონ კი დანარჩენ ორ კოლეგასთან ერთად იქაურობა დატოვა.

***

ზურაბმა რამდენჯერმე დაურეკა ნიკას მობილურზე, მისი მდგომარეობა რომ გაეგო, მაგრამ ტელეფონი გამორთული იყო. ძალიან უნდოდა, პირადად ენახა ის, რომელიც უკვე მეგობრად მიაჩნდა, თუმცა, ვერ ახერხებდა. დაკავებულების ვინაობა ქალაქში გახმაურდა, რასაც უამრავი ჭორი მოჰყვა. მართალია, დაკითხვებმა, გარკვეულწილად, გამოძიებისთვის სასიკეთო შედეგები მოიტანა, რადგან, საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით, ერთ დროს მეგობრებმა თუ „პაძელნიკებმა“, ერთმანეთი ისე „ჩაუშვეს“, ძარღვიც არ შესტოკებიათ, მაგრამ, თითოეულ ამ ჩვენება-ბრალდებასაც გადამოწმება სჭირდებოდა და ამიტომ ზურაბმა სულ რამდენიმე თავისუფალი წუთიც კი ვერ გამონახა, რომ ნიკა მოენახულებინა და, რაც მთავარია, მისგან მიეღო ის უტყუარი ინფორმაცია, რაც ასე სჭირდებოდა. თუმცა, საღამოს დაახლოებით 5 საათისთვის მაინც მოახერხა რამდენიმე წუთის გამოთავისუფლება და მაშინვე ნიკასკენ გაეშურა. პალატასთან ნიკას ექიმი დახვდა, რომელსაც თავისი საბუთი აჩვენა, აუხსნა, ვინ იყო და რა უნდოდა და ავადმყოფთან შესვლა სთხოვა.

– დღეს ლამის მთელი ქალაქი ბატონი ნიკას სანახავადაა ფეხადგმული. ის ჯერ ისევ სუსტადაა და ამდენს ვერ გაუძლებს, მით უფრო, რომ მან სულ რამდენიმე წუთის წინ გაიღვიძა და ახლა მასთან პროკურატურის წარმომადგენლები შევლენ – უნდა დაკითხონ, როგორც მოწმე.

– ჯერ მე უნდა შემიშვათ, ზუსტად ხუთ წუთში გამოვალ.

– ისინი წუთი-წუთზე აქ იქნებიან. დილიდან ელოდებიან ბატონი ნიკას გაღვიძებას და, რომ მოვლენ, ვეღარ ვეტყვი, კიდევ დაიცადეთ-მეთქი, – ექიმი აშკარად გააღიზიანა ზურაბის საქციელმა.

– ნურაფერსაც ნუ ეტყვით. მე შევალ და, როგორც კი ისინი მოვლენ, მაშინვე დავტოვებ პალატას, – ამ სიტყვების თქმისთანავე ზურაბმა პალატის კარი შეაღო და ნიკას საწოლს მიაშურა. გაბრაზებულმა ექიმმა რაღაც ჩაიბურდღუნა და თავისი კაბინეტისკენ გაემართა, რომელიც ნიკას პალატის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. ის იყო, კარი უნდა შეეღო, რომ პროკურატურის თანამშრომლები დაინახა, რომლებიც სწრაფად მოაბიჯებდნენ. იმან, ჩინით სხვებზე უფროსი რომელიც იყო, შორიდანვე ჰკითხა ექიმს, რამდენი ხანია, რაც თქვენმა პაციენტმა გაიღვიძა.

– სულ ათი წუთია, მაგრამ, სხვამ შეგასწროთ. ხომ გითხარით, შორს ნუ წახვალთ-მეთქი?!

– ვინ სხვამ? – გაბრაზდა გამომძიებელი, – რატომ შეუშვით?

– არ ვუშვებდი, მაგრამ, ძალით შევიდა. მიბრძანდით და თავად გაარკვიეთ ურთიერთობა! – განრისხებული ექიმი თავის კაბინეტში შევიდა და კარი ხმაურით მიიხურა.

პროკურატურის თანამშრომლები ისე შეიჭრნენ ნიკას პალატაში, თითქოს იქ უნდა შეეპყროთ სერიული მკვლელი, მაგრამ, ავადმყოფის მნახველი რომ დაინახეს, სახტად დარჩნენ.

– ბატონო ზურაბ, თქვენ?! თქვენ აქ რა გინდათ?.. – ცოტა არ იყოს დაბნეულმა ჰკითხა იმან, რომელიც ჩინით უფროსს ჰგავდა.

– მე რა მინდა აქ?! – კითხვითვე უპასუხა ზურაბმა. ჯერ დააპირა, რამე მწარე ეთქვა, მერე კი გადაიფიქრა და სხვათა შორის უთხრა: ნიკა ჩემი მეგობარია და სანახავად მოვედი...

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**ის, რომ ქეთი ორჯონიკიძე კარგად მღერის, ეს უცხო არავისთვისაა, მაგრამ, ის, რომ რომანების წერა დაიწყო და თანაც, რუსულ ენაზე, ალბათ, ბევრისთვის გასაკვირი იქნება. ქეთი ბავშვობიდან წერს ლექსებს, ჩანახატებს და ეს საკმაოდ კარგად გამოსდის. როგორც თავად ამბობს, იდეა, რომ რომანზე დაეწყო მუშაობა, ერთ წამში მოუვიდა, ჩაუჯდა და გამოუვიდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, თავად კმაყოფილია და იმედი აქვს, ფართო მკითხველი, სულ მალე იხილავს მის წიგნს.**

# რატომ არის ქეთი ორჯონიკიძისთვის სიყვარული „მიდი-მოდი“ გრძნობა და რა დააწყებინა მას მოწოლილმა იდეებმა

**ქეთი ორჯონიკიძე:** ყველას უკვირს, რომ ვამბობ, რომანის წერა დავიწყე, თანაც რუსულ ენაზე-მეთქი, მაგარი ფაქტია *(იცინის)*. სახლში შუქი ჩაქრა, ავანთე სანთელი. მიმოვიხედე, ირგვლივ სიჩუმეა, ინტერნეტიც არ მაქვს და გამიჩნდა იდეა, წერას დავიწყებ-მეთქი. მივყევი, მივყევი და გამომივიდა.

**– ესე იგი, ხანდახან ბლოკადაც საჭირო ყოფილა, შენი ფიქრების რეალიზება რომ მოახდინო?**

– ასე გამოდის *(იცინის)*. სიბნელე არ მიყვარს, მაგრამ სანთლები რომ ავანთე და კარგად მოვეწყვე, დავიწყე წერა. ჯერ არც კი ვიცი, როგორ დავასრულებ.

**– და რატომ რუსულ ენაზე?**

– არც კი ვიცი. უბრალოდ, რუსულად დავიწყე წერა და აზრადაც არ მომსვლია, ქართულად გადმომეთარგმნა. მეტაფორები, ვფიქრობ, რუსულ ენაში უფრო მეტია. თან, ქართულად კი არა, რუსულად ვაზროვნებ და თარგმნას ხომ არ დავიწყებ? რა ენაზე დაწერო წიგნი, შენ კი არ წყვეტ. ეს გულის ტალღებიდან წამოსული ემოციის ბრალია. მეხუმრებიან ხოლმე, რა არის გოგო, რუსულ ენაზე რომ წერ, წინა ცხოვრებაში ციმბირელი ხომ არ იყავიო *(იცინის)*. ეს წიგნი კი უფრო დეტექტივ-ფანტასტიკა გამოდის, ვიდრე რომანი, მაგრამ ძალიან საინტერესო წასაკითხია. აზრი კი ის დევს, რომ ყველაფერი იყიდება, სიკვდილის გარდა.



**რა ენაზე დაწერო წიგნი შენ კი არ წყვეტ, ეს გულის ტალღებიდან წამოსული ემოციის ბრალია**

**– ამბავი რომელ დროში ხდება?**

– ეს უფრო ძველი დროა, თუმცა კონკრეტული დრო არ ჩანს რომანში. მინდა, ვინც წაიკითხავს, ის დრო წარმოიდგინოს, რომელშიც თავად სურს ეს ისტორია ხდებოდეს. ჩემთვის კი ეს ძალიან ძველი დროა.

**– ანუ, რამდენი საუკუნით უკან დაიხიე?**

– ალბათ, ერთი საუკუნით უკან. ჯერ ასეა და ნელ-ნელა, უკან-უკან ვიხევ *(იცინის)*. სხვათა შორის, რასაც ვწერ, კადრებად ვხედავ. ჩემთვის ეს კინოა, რომელიც ფურცლებზე გადამაქვს. იცით, როგორი შეგრძნება მაქვს წერის დროს? რომ, ეს არის ემოცია, ზღვა, რომელსაც ყელსა და გულს შორის ვგრძნობ და იმას გადმოვცემ.

**– და ეს ზღვა, რომელიც ყელსა და გულს შორისაა, როდის აღელდება? თუ უკვე ღელავს?**

– ჯერ დაწყნარებულია ზღვა, შტორმს არ ველოდები *(იცინის)*. მირჩევნია, წყნარად ილივლივოს ყელსა და გულს შორის ამ ემოციის ზღვამ და მომცეს საშუალება, სალაღ ვიაზროვნო და ზღაპრებში არ გადავარდე. დამიჯერეთ, როცა წერას ვიწყებ, აბსოლუტურად ვწყდები გარემოს. იმ გრძნობას კი, რომ შენ რაღაცას ქმნი, არაფერი შეედრება.

**– ამ წიგნის დაბეჭვდას როდის გეგმავ?**

– მალე მოვრჩები წერას და მინდა, ლიტერატორის ხელში მოხვდეს, რადგან მკითხველს ვერ ვაკადრებ წიგნს, სადაც რაიმე შეცდომა იქნება გაპარული. მერე, კი თამამად დავბეჭდავ.

**– წიგნის სათაური უკვე მოფიქრებული გაქვს?**

– ჯერ ვფიქრობ, რა დავარქვა. რომ მოვრჩები, მერე დავარქმევ სახელს.

**– ხომ არ ერქმევა „ზღვა ყელსა და გულს შორის“?**

– *(იცინის)*. კარგი იდეა, ისე უცბად დავიწყე წერა – მინდოდა მომესწრო ის, რაც თავში ტრიალებდა და თვალწინ კადრებად მიდიოდა ფურცელზე გადმომეტანა, არც წიგნზე ვფიქრობდი იმ მომენტში, არც კორექტურულ შეცდომებზე, არც მის დაბეჭვდაზე და პრეზენტაციაზე, მით უმეტეს. ისე შემაწუხა იდეებმა, ოთხ დღეში, რომანის თითქმის ნახევარზე მეტი დავწერე. „ფეისბუქის“ გვერდზე დავდე რომანიდან ამონარიდები და კარგი გამოხმაურება ჰქონდა. თუმცა, არ მიყვარს, ნაწილ-ნაწილ რომ კითხულობენ და მირჩევნია, დასრულებული ვარიანტის შეფასება მოვისმინო. ახლა, იდეაში მაქვს მეორე, ფანტასტიკური რომანის დაწერა. დაწყებულიც მაქვს. რამდენიმე დღის წინ კი, გონებაში გამიელვა ინგლისურმა ფრაზამ და ამ ენაზეც დავიწყე წერა. მთელი ჩემი ცხოვრება მუსიკაში ვიყავი „გადაშვებული“, ახლა კი მივხვდი, რომანების წერამაც „გადამითრია“ მორევში. სადამდე გავუძლებ მუზების შემოტევას, ვერ გეტყვით *(იცინის)*.

**– საქმეების გადამკიდე, როგორც მივხვდი, დასვენებას ვერ ახერხებ?**

– ასე გამოდის. ზოდიაქოთი მშვილდოსანი ვარ და წლით დრაკონი. როგორც ამბობენ, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებს მოგზაურობა უყვართო და არც მე ვარ გამონაკლისი. თუმცა, ისე გამოდის, რომ საქმის გამო დასასვენებლად ვერ ვახერხებ წასვლას. წელს ძალიან მინდოდა კანში წასვლა და დასვენება, მაგრამ ჯერჯერობით ესეც არ გამოდის. 13-14 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა მოსავლელი. ასე რომ, ოცნებები ჯერ ასახდენი მაქვს და იმედია, ამასაც მოვახერხებ. მიყვარს მეგობრებთან ერთად მოგზაურობა და მათთან ერთად გართობა. უფრო ისტორიული ღირსშესანიშნაობების ნახვა მხიბლავს, ვიდრე უცხო ქვეყანაში დასვენება და გარუჯვა. სხვათა შორის, ამ ზაფხულს, რამდენიმე დღით ფოთში მომიწია წასვლა. იქაურმა ქვიშამ ისეთი ალერგია მომცა, ისე გავსივდი, ერთ დღეში ასი კილო გავხდი *(იცინის)*. მივხვდი, შავი ზღვის სანაპირო ცუდად მოქმედებს ჩემზე და მასუქებს, უფრო სწორად მასიებს *(იცინის)*.

**– თუ არის ისეთი ნივთი, რომელიც სულ თან დაგაქვს დასასვენებლად?**

– ადრე, სულ დამქონდა პატარა სათამაშო, ახლა კი ჩემს ფუმფულა დათუნიასთან ერთად დავდივარ, რომელსაც დავარქვი გიორგი. კომფორტი გვიყვარს მე და გიორგის და ექსტრემს ვერიდებით. ცოცვა-ხოხვა არ გვიზიდავს *(იცინის)*.

**კომფორტი გვიყვარს მე და გიორგის და ექსტრემს ვერიდებით. ცოცვა-ხოხვა არ გვიზიდავს**

**– პირად ცხოვრებაში არ არის სიახლე?**

– პირად ცხოვრებაში არაფერიც არ ხდება და ამ მხრივ დასვენებული ვარ. საქმეზე ვარ გადართული და სად მცალია სიყვარულისთვის? თუმცა, თუ მოვა, უარს ხომ ვერ ვეტყვი *(იცინის)*? არც სიყვარულის ნაკლებობა მაწუხებს და არც უსიყვარულობის. ცხოვრებაში სიყვარულის ნაკლებობას არ განვიცდი. ჩემ გვერდით უამრავი ადამიანია, ვისაც გულით ვუყვარვარ და იმედია, ის ერთადერთიც გამოჩნდება *(იცინის)*. სიყვარული ისეთი გრძნობაა, სულ მიდი-მოდის.

**ნონა დათეშიძე**

**სულ მალე „მის საქართველო“ და წარმატებული მოდელი თამთა შედანია „მის მსოფლიოზე“ გაემგზავრება. მისი სამოდელო კარიერა საკმაოდ პატარა ასაკში დაიწყო, რასაც დღეს თამთა სიამაყით იხსენებს და ფიქრობს, რომ განვლილმა ყველა ეტაპმა მის ცხოვრებაში სერიოზული გარდატეხა მოახდინა. ყველაზე რთული ეტაპი მისთვის ახალგაზრდა მამის გარდაცვალება იყო. ამ ამბავს თამთა დღემდე დიდი გულისტკივილითა და ცრემლით იხსენებს.**

# სად მიიღო პირველი დიდი გამოცდილება თამთა შედანიამ და როდის იყო ის დაბნეული და შეშინებული გოგონა

**თამთა შედანია**: ბავშვობიდან ძალიან მომწონდა ჩემი დამრიგებელი და მეც მინდოდა, მასწავლებელი გავმხდარიყავი. მეორე კლასში ვსწავლობდი და სახლში რომ მოვდიოდი, დედაჩემის ქუსლიან ფეხსაცმელებს ვიცვამდი, სია მქონდა გაკეთებული, კლასელების სახელები, გვარები მეწერა და სხვადასხვა საგანში ნიშნებს ვუწერდი. თან, ცარიელ სივრცეს ჩემთვის ვესაუბრებოდი. მესამე თუ მეოთხე კლასში ვიყავი, „ფეშენ-ტივიზე“ მოდელების შესახებ გადაცემა რომ ვნახე. ძალიან მომეწონა მათი ცხოვრება – როგორ გამოდიოდნენ პოდიუმზე და მასწავლებლობა მაშინვე გადავიფიქრე. ამის მერე, ყოველდღე სარკის წინ ვიდექი, მაკიაჟს ვიკეთებდი, ქუსლებით დავკაკუნობდი ოთახში და საკუთარ თავს დეფილეს ვუწყობდი. მახსოვს, გარშემო ყველა მეუბნებოდა: შენ პატარა სინდი კროუფორდი ხარო. მერე, როცა ცოტა წამოვიზარდე, უკვე ოჯახის წევრებს ვუტარებდი დეფილეს. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ბისერებისგან სხვადასხვა აქსესუარის გაკეთება, თოჯინებს ვუკერავდი კაბებს, ესკიზებს ვხატავდი.

**– ამ კუთხით ხომ არ აპირებ მომავალში რამის გაკეთებას?**

– ვფიქრობ. საკუთარი თავის შეფასებებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ, როდესაც დამიხატავს ესკიზი, ბევრს მოსწონებია. ხშირად ჩემი დახატული ესკიზებით ვიკერავ კაბას, პიჯაკს და მერე ლამაზად ვაფორმებ. ამიტომ, ვფიქრობ, სამომავლოდ ამ კუთხით მოვსინჯო ძალები. ბევრი იდეა მაქვს. ეს საქმე, ალბათ, უფრო ჰობის დონეზე იქნება. უფრო მინდა, პიარის მენეჯმენტის კუთხით წავიდე, საკუთარი კომპანია გავაკეთო.

**– რა გახსოვს კიდევ ბავშვობიდან ყველაზე კარგად?**

– ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა. თბილი ოჯახი მაქვს, სულ მეფერებოდნენ, ყველაფერს მისრულებდნენ. განებივრებული ბავშვი ვიყავი, მაგრამ ეს ცუდად არასდროს გამომიყენებია.

**– სამოდელო საქმიანობაში ჩართვამ სერიოზული გარდატეხა მოახდინა შენს ცხოვრებაში.**

– მაღალ კლასებში ძირითადად სწავლაზე ვიყავი კონცენტრირებული. მაგრამ პარალელურად, სულ მინდოდა, სამოდელო სფეროში მომესინჯა ძალები. 2007 წელს ამიტომაც გამოვედი „ელიტ მოდელ ლუქის“ კონკურსზე. გავიმარჯვე და როგორც გამარჯვებული „მსოფლიო ელიტზე“ წავედი.

**– ვფიქრობ, სწორი არჩევანი გააკეთე.**

– მე ვარ ადამიანი, რომელიც, რასაც აკეთებს, იმას არასდროს ნანობს. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, მანამდე ბევრს ვფიქრობ. ყველაფერმა ისე მალე გაიარა, მგონია, გუშინ, გუშინწინ იყო. თუმცა, ჩემს წარსულს, გამოცდილებას რომ გადავხედავ, თან ჩემს ასაკს ვიხსენებ, საკუთარი თავით ვამაყობ. საკმაოდ პატარა ასაკში შევძელი გავზრდილიყავი, როგორც მოდელი და პიროვნება. ვისწავლე დამოუკიდებელი ცხოვრება და იმის კეთებაც, რაც დღეს ბევრს არ შეუძლია საქართველოში, თუნდაც დამოუკიდებლად ცხოვრება. ამას ბევრი ქალი და კაციც კი, ვერ ახერხებს. მე კი 14 წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობ და შევძელი, ჩემი ოცნება ამესრულებინა – მოდელი გავმხდარიყავი. ამისთვის ყველაფერი გავაკეთე, გამოვიყენე ჩემი მიზანდასახულობა, არ დამიხევია უკან და ბევრი სირთულეც გადავლახე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა ვიყავი, მაინც მარტო მივდიოდი ბევრ ქვეყანაში. პირველად 14 წლის ასაკში წავედი იაპონიაში, სამი თვე ვცხოვრობდი იქ და ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ვისწავლე: როგორ მემუშავა, როგორ მომევლო საკუთარი თავისთვის, გავიაზრე ის პასუხისმგებლობები, რაც ჩემს წინაშე იდგა. ასევე, ვიცოდი, რომ უნდა მეზრუნა ჯანმრთელობაზე. იყო მომენტი, არ მქონდა კარგი სეზონი, სერიოზული სირთულეებიც შემხვდა, მაგრამ ასეთ დროს ყოველთვის ვფიქრობ მომავალზე და წარსულიდან მხოლოდ – კარგზე. რადგან, ხელი რომ ჩავიქნიო და ერთი სირთულის გამო ყველაფერი, რაც აქამდე ყოფილა, წყალში ჩავყარო – ეს არ იქნება სწორი.



**პირველად 14 წლის ასაკში წავედი იაპონიაში, სამი თვე ვცხოვრობდი იქ და ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე**

**– ახლანდელი თამთა დიდად განსხვავდება 14 წლის თამთასგან?**

**ეს ერთი წელი ჩემთვის ძალიან წარმატებული იყო, ტოპ-მოდელი ვიყავი, გავხდი „ჯორდანოს,“ ასევე „შანხაი ტანგისა“ და სხვა ცნობილი ბრენდების სახე**

– 14 წლის თამთა გამოუცდელი იყო, შეშინებული პატარა გოგონა, რომელიც ამ ასაკში იწყებდა კარიერას, თან, უცხოეთში. არ იცოდა, საიდან რა უნდა დაეწყო. დღეს კი შემდგარი მოდელი ვარ: პროფესიონალი, გამოცდილი და უშიშარი საქმის მიმართ. ამდენმა დაბრკოლებამ, წინააღმდეგობამ, რაც ამ წლების განმავლობაში საქმეში შემხვდა, უფრო მეტი თავდაჯერებულობა და რწმენა მომცა. ახლა, როცა საკუთარ ფოტოებს ან ვიდეოებს ვუყურებ, მეცინება, ეს მე ვარ-მეთქი... ძალიან გავიზარდე და შევიცვალე.

**– როგორც მოდელი, ბევრ ქვეყანაში ძალიან წარმატებულად მუშაობდი.**

– ვმოგზაურობდი და მსოფლიოს ბევრ დიდ ქალაქში ვარ ნამყოფი. შეიძლება ითქვას, ჩემს კარიერაში დიდი როლი ითამაშა პარიზში გატარებულმა სამმა თვემ. იქ ძალიან გავიზარდე და პირველი დიდი გამოცდილება მივიღე. შემდეგ გამოვყოფდი სინგაპურს, სადაც ვმონაწილეობდი „რობერტო კავალის“ ჩვენებაში და თავად კავალიც გავიცანი. შემდეგ იყო ჰონკონგი, სადაც ცნობილ ბრენდებთან ვმუშაობდი: „ქელვინ ქლაინი,“ „პრადა,“ „ქლოე.“ ეს ერთი წელი ჩემთვის ძალიან წარმატებული იყო, ტოპ-მოდელი ვიყავი, გავხდი „ჯორდანოს“, ასევე, „შანხაი ტანგისა“ და სხვა ცნობილი ბრენდების სახე.

**– უკვე დიდი ხანია, საქართველოში ხარ. არ აპირებ უცხოეთში სამოდელო კარიერის გაგრძელებას?**

– ლოს-ანჯელესიდან მქონდა შემოთავაზება, უნდა წავსულიყავი, მაგრამ იმ დროს ლას-ვეგასში „მის უნივერსზე“ გავემგზავრე. ამიტომაც, გადაიდო ეს კონტრაქტი, მაგრამ, ახლა მივდივარ ინდონეზიაში „მის მსოფლიოზე“ და კიდევ გადაიდება. აღარ ვაპირებდი სილამაზის კონკურსში მონაწილეობას, მაგრამ, გარკვეული პირობების შემდეგ, გადავწყვიტე, ბედი მეცადა. თან, როცა ამდენი წელი შრომობ, ცდილობ, რაღაცას მიაღწიო, მერე, არ გინდა, საკუთარ თავს დაუსვა კითხვა: რატომ არ ვცადე? ეს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი კონკურსია და მინდა, ბედი ვცადო. 3 სექტემბერს გავემგზავრები, 28 სექტემბერს კი ჯაკარტაში იქნება ფინალი.

**– რაც შეეხება შენს პირად ცხოვრებას, ვიცი, ყველაფერი კარგად გაქვს. შენ და ერეკლე ხომ არ აპირებთ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას?**

– კი, კარგად არის ყველაფერი. შემოდგომაზე ჩატარდება „მის საქართველო“ და მერე სერიოზულად ვიფიქრებთ ხელმოწერაზე.

**– პირად ცხოვრებაში რომ ყველაფერი ასე კარგად გაქვს, დარწმუნებული ვარ, ეს უფრო მეტ სტიმულს გაძლევს.**

– ხშირად ინტერნეტში ვკითხულობ ცნობილი ადამიანების ინტერვიუებს, როგორ ვითარდებოდა მათი კარიერა, ცხოვრება. არ ვიცი, მე მხვდება ასეთი რაღაცეები თუ, უბრალოდ, დამთხვევაა, ხშირ შემთხვევაში, ცნობილი ქალები აღნიშნავენ, რომ კარიერას უფრო კარგად იწყობენ, ვიდრე პირად ცხოვრებას, უფრო სწორად, ერთმანეთს ვერ უთავსებენ. მე გამიმართლა და ჯერჯერობით ვახერხებ ორივეს აწყობას.

**– ალბათ, ეს ყველაფერი გარკვეული დათმობების ხარჯზე ხდება.**

– რაღაც უნდა დათმო, რომ მერე რაღაც მიიღო. ამიტომ ჯობია, პატარ-პატარა რაღაცეები დათმო, ბედნიერი იყო, ვიდრე ეს ყველაფერი დაკარგო. ამიტომაც, შემიძლია, დათმობებზე წასვლა, ისევე, როგორც ერეკლეს. ურთიერთობაში მთავარი ურთიერთგაგებაა. ჩვენ კი, ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ამიტომაც ურთიერთობაში სერიოზული სირთულეები არ გვქონია, პატარა კინკლაობა არც ითვლება: ერთი საათით რომ გაიბუტები და მერე ველარ ითმენ, შერიგება გინდა.

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### დათონაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დათონა** – ეს **დავითის** კნინობითი ფორმაა.

1721 წლის აღწერით, ბურვილში მოიხსენიება ყაფლანიშვილების ყმა – ბერა **დათონაშვილი.**

1523 წელს ბარათაანთ გაყრის სიგელში მოიხსენიება აზნაური **დათონაშვილი**.

საქართველოში 1 254 **დათონაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 441, გურჯაანში – 283, ქუთაისში – 90. არიან სხვაგანაც.

### გეტაშვილი

სოფელ მუხათში გვხვდება სახინჯარი **გეტაანი.**

გადმოცემის მიხედვით, **გეტაშვილი** და ცეცხლაძე მონათესავე გვარებია.

პეტრე **გეტაშვილი**, იგივე ცეცხლაძე, მისი მეუღლე მართა, შვილები – გიორგი და მაია, მოიხსენიებიან სოფელ დიდ ენაგეთში, 1823 წლის კამერულ აღწერაში.

საქართველოში 26 **გეტაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 24, კასპში – 2.

### ასპანიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ასპანა**.

**ასპანიძე** ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულო სახელია.

მეთორმეტე საუკუნეში **ასპანიძეები** ტაოს მფლობელები იყვნენ და ფანასკერტელებად იწოდებოდნენ. მათი ერთი შტო მეთხუთმეტე საუკუნეში გადასახლდა ქართლში და ფანასკერტელ-ციციშვილად იქცა.

ამავე ძირისაა გვარი **ასპანაშვილი**.

საქართველოში 668 **ასპანიძე** ცხოვრობს: ასპინძაში – 197, თბილისში – 166, ახალციხეში – 104. არიან სხვაგანაც.

### სამელია

გვხვდება საკუთარი სახელი: **სამე, სამველ, სამოელ**, რომელიც, შესაძლოა, გვარის ფუძე იყოს, ან, არ არის გამორიცხული, რომ გვარის ფუძე სულაც **მელა** იყოს. აქედანაა გვარები **მელია, მელაშვილი, მელაძე.**

**ლესამლე** – ტყეა და საძოვრები მოროჟის (მაროჟის) მარჯვენა მხარეს.

გვარი **სამელია** მოხსენიებულია მეთექვსმეტე საუკუნის დამლევს შედგენილ ნაჟანეულის (ოტობაია) საეკლესიო მრევლს შორის. ამავე სოფელში ოცი წლის შემდეგ მოიხსენიება **მარსალია სამელია**. ამოსავალია პირსახელი **ამელი**, რაც **სამოელის** ან **სამუელის** ვარიანტი უნდა იყოს.

გვარში **სა** – ართრონი (წინსართი) უნდა იყოს, **მელა** კი გარეული ცხოველია და მას ემატება **ია** სუფიქსი. ასევე, გვხვდება გვარები: **მელია, მელივა.**

საქართველოში 102 **სამელია** ცხოვრობს: წალენჯიხაში – 62, ზუგდიდში – 28, თბილისში – 12.

### ქაცარავა

გვარის ფუძედ გამოყენებულია საკუთარი სახელი **ქაცარი.**

**ქაცარი** მეგრულში იგივეა, რაც თიკანი.

**ქაცარი** ეწოდებოდა სალიპარტიანოს ერთ-ერთ სოფელს.

„ხუსესა და ქრისტეშია **ქაცარავებს** მართებთ ხონის საყდრის ბეგარა“ (1600 წელი).

საქართველოში 260 **ქაცარავა** ცხოვრობს: თბილისში – 126, ხობში – 33, ბათუმში – 25. არიან სხვაგანაც.




### კედელაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **კედელა**.

ამავე ძირისაა გვარი **კედელაძე**.

1721 წელს მოიხსენიება პაატა საგინაშვილის ყმა – ბერია **კედელაშვილი**.

1823 წლის აღწერით, სოფელ ვარდისუბანში ივანე ბარათოვის ყმებად მოიხსენიებიან ნონია **კედელაშვილი** და მისი ოჯახი.

ვარდისუბნელმა სახაზინო ყმამ სოლომონ **კედელაშვილმა**, 1884 წელს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში მონათლა ვაჟი – სიმონი.

საქართველოში 460 **კედელაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 132, დუშეთში – 98, დედოფლისწყაროში – 71. არიან სხვაგანაც.

41 **კედელაძე**: გორში – 34, თბილისში – 5, ბათუმში – 2.

### შოშიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **შოშია**.

ყმის ნასყიდობის წიგნში, 1609 წელს, მოხსენიებულია, რომ შანშე ჯავახიშვილს გიორგი ცალქალამანიძისთვის მიუცია **შოშია** ბესალაშვილი; 1703 წელს კი გიორგი **შოშიაშვილს** მიუცია ბერი ბერიაშვილისთვის მახარე **შოშიაშვილი**.

1873 წლის აღწერით, იასე და ალექსანდრე სოლოღაშვილების მამულში მოიხსენიებიან მახარე და მიხეილ **შოშიაშვილები**.

საქართველოში 1 412 **შოშიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 352, თელავში – 243, გარდაბანში – 232. არიან სხვაგანაც.

### ბედინაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბედინა**.

ასევე, გვხვდება საკუთარი სახელები: **ბედანა, ბედია, ბედენა**, მათგან კი მომდინარეობს გვარები: **ბედანაშვილი, ბედენაშვილი, ბედიანი, ბედია, ბედიანიძე, ბედინაძე, ბედიაშვილი, ბედინეიშვილი, ბედმანიკაშვილი.**

1823 წელს, ღოუბანში, აღწერის დროს დაფიქსირებულია თავად ქაიხოსრო ორბელიანის მამულში მცხოვრები გიორგი **ბედიანაშვილი** ოჯახით.

კოდაში მცხოვრებმა სახელმწიფო ყმამ, მიხეილ **ბედიანაშვილმა**, ცოლად ითხოვა გრიგოლ გოდერძიშვილის ქალიშვილი – ელისაბედი. სასიძოს თავმდები იყვნენ დავით კოჭლაშვილი და გიორგი სუხიტაშვილი.

საქართველოში 500 **ბედინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 184, გარდაბანში– 140, რუსთავში – 50. არიან სხვაგანაც.

### სუხაშვილი-სუხიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სუხა.**

1721 წელს მოიხსენიება როსტომ ნამამლევიშვილის ყმა – ქიტუა **სუხაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარები: **სუხანაშვილი, სუხიაშვილი, სუხიშვილი, სუხიტაშვილი.**

1883 წელს სოფელ ვარდისუბანში მოიხსენიება გიორგი **სუხანაშვილი**.

საქართველოში 624 **სუხაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 197, კასპში – 175, საგარეჯოში – 115. არიან სხვაგანაც.

949 **სუხიაშვილი**.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით**
**მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

# რომელმა ქართველმა ააგო ირანში ორასოთახიანი ქარვასლა და რის გამო დასრულდა მისი კარიერა ცუდად

(46-ე გვერდიდან)

და – ელენე. ასე რომ, უნდილაძეებს კავშირები მაინც ჰქონდათ საქართველოსთან.

ცნობილია, რომ, მამის მსგავსად, იმამ ყული-ხანიც გაურბოდა საქართველოს წინააღმდეგ აშკარა მოქმედებას. ერთხელ, როდესაც შაჰის ბრძანებით, ფარსის ჯარი, რომლის ბეგლარბეგიც თვითონ იმამ ყული-ხანი გახლდათ, საქართველოში უნდა წასულიყო, მან ავადმყოფობა მოიმიზეზა და თავის მოადგილეს გადააბარა ჯარის წინამძღოლობა.

იმამ ყული-ხანის შირაზის ბეგლარბეგობის პერიოდში მოხდა ქეთევან დედოფლის წამება. არსებობს საინტერესო ცნობა, რომ შაჰ-აბასს შეუთვლია იმამ ყული-ხანისთვის: თუ ქეთევანი მიიღებს მუსლიმანობას, დაანებე თავი და, თუ არა – მაშინ, უნდა მოვკლათო. მას შეუბედავს და შაჰისთვის პასუხად შეუთვლია: „ეს ბერი დედაკაცი არის, არაფრით არ შეიცვლის რწმენას და თავი დაანებეო”. მისი კარიერის ძალიან ცუდ მომენტად უნდა ჩათვლილიყო ის, რომ მისი ბეგლარბეგობის დროს ეწამა შირაზში ქეთევან დედოფალი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, როგორც ჩანს, მან მართლაც ყველაფერი გააკეთა ქართველი დედოფლის გადასარჩენად, დანარჩენი კი მასზე აღარ იყო დამოკიდებული. ეს იქიდან ჩანს, რომ თეიმურაზ პირველი, ქეთევანის ვაჟი, აქებს იმამ ყული-ხან უნდილაძეს თავის ისტორიულ პოემაში და ამბობს: იმამ ყული-ხანის ქებას ენა ვერ იტყვისო.

1633 წელს, როდესაც თეიმურაზ პირველმა მოაწყო აჯანყება ახალი შაჰის წინააღმდეგ, იმამ ყული-ხანმა მონაწილეობა მიიღო ამ აჯანყებაში, რის გამოც ის სიკვდილით დასაჯეს.

რაც შეეხება დაუდ-ხანს, ის მრავალ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. მისი აშენებულია ირანში რამდენიმე ბაზარი, ორასოთახიანი ქარვასლა, ციხესიმაგრეები და ასე შემდეგ. დაუდ-ხანიც 1633 წლამდე დარჩა ყარაბაღის ბეგლარბეგად. იმამ ყული-ხანის დასჯის შედეგ მასზეც მიდგა ჯერი. როგორც ჩანს, დაუდ-ხანს ძალიან შეეშინდა, ოჯახი მიატოვა და გაიქცა, შაჰმა კი ირანში დატოვებულ მის ცოლ-შვილზე იძია შური; ასევე, სიკვდილით დასაჯა იმამ ყული-ხანის სამი ვაჟიც. საინტერესოა, რომ უნდილაძეთა გვარის დასჯაში არა მარტო შაჰი აქტიურობდა, არამედ, ქართველი ხოსრო მირზა, შემდეგში საქართველოს მეფე – როსტომ-ხანი. მათ თავიდანვე კონფლიქტი ჰქონდათ – როგორც ჩანს, პირველობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს.

ასე დასრულდა უნდილაძეთა უძლიერესი და უდიდესი ოჯახის ისტორია ირანში. თუ დავუჯერებთ ცნობილ იტალიელ მისიონერ პიეტრო დელა ვალეს, უნდილაძეებს ბოლო მომენტში უთქვამთ: შაჰმა მოგვატყუა. ახლა რომ ცხოვრება თავიდან იწყებოდეს, ირანის კარზე აღარ წამოვიდოდითო. ეს, ალბათ, სიმპტომატურია: ყოველთვის ასე მთავრდება უცხო და, თანაც, მტრის კარზე აღზევებული ქართველის ბედი.

**ეკა სალაღაია**

# „კამელინის“ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება – როგორ ეხმარება ქართული პრეპარატი სიმსივნით დაავადებულ ადამიანებს

*როგორც ცნობილია, თბილისში, კერძოდ კი ქინძმარაულის ქუჩაზე, ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფარმაცევტული საწარმო, სადაც ნატურალური თაფლისგან მზადდება ქართული პრეპარატი „კამელინი“ – ამპულების, კაფსულების, მალამოსა და სანთლების სახით. ბევრმა სწორედ ჩვენს ჟურნალში გაჟღერებული საინტერესო ინფორმაციის, პაციენტების ისტორიების წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა მისი გამოყენება და მათმა უმრავლესობამ დადებითი შედეგებიც მიიღო. თუმცა, ამ პრეპარატის შექმნის ისტორია უფრო ადრე, დაახლოებით 60 წლის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში. სწორედ იმ დროს, როდესაც არ არსებობდა ეფექტური საშუალება სხვადასხვა ბაქტერიული და სიმსივნური დაავადების სამკურნალოდ. ამ დროიდან დაიწყო პრეპარატის ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა. დღეს კი მიმდინარეობს „კამელინის“ თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში. სულ ცოტა ხნის წინ კამელინის ხუთივე ფორმა, ასევე, დარეგისტრირდა ყირგიზეთში და მომავალში იქაურ ბაზარზეც აქტიურად გაიყიდება.*

*„კამელინის“ სამკურნალო თვისებებებით დაინტერესებულ პირებს ვთავაზობთ რამდენიმე პაციენტის ისტორიას, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ პრეპარატის სამკურნალო თვისებები.*

*1. ავადმყოფს დაუსვეს დიაგნოზი: სიმსივნე კუჭზე. აწუხებდა გაუსაძლისი ტკივილები, სისუსტე, ვერ ჭამდა. რამდენიმე ხნის წინ დაიწყო „კამელინით” მკურნალობა და ამჟამად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, თავს უკეთესად გძნობს და კვლავ განაგრძობს „კამელინით” მკურალობას.*

*2. ახალგაზრდა ქალბატონს ჰქონდა საშვილოსნოზე სიმსივნე. თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, აწუხებდა სისუსტე, ოფლიანობა და ტკივილები საშვილოსნოს არეში. მისი ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის „კამელინის“ ნემსების გაკეთება. ერთი კურსის ჩატარების შემდეგ, პაციენტმა თავი უკეთ იგრძნო, მეორე კურსის დამთავრების შემდეგ კი უკვე მოეხსნა სისუსტე, ოფლიანობა, ტკივილები; ამჟამად შრომისუნარიანი, ჩვეულ რიტმში განაგრძობს ცხოვრებას და პროფილაქტიკისთვის, როგორც თვითონ, ასევე მისი ახლობლები, ყოველთვის იყენებენ „კამელინს“.*

*3. ერთ-ერთ ქალბატონს დაახლოებით 6 თვის წინ საშვილოსნოზე აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის ოპერაციის გაკეთება, მაგრამ, ექიმების უარის შემდეგ, ოპერაციის ჩატარება გადაიდო და მას დაენიშნა მკურნალობა. პაციენტის ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს მისთვის „კამელინით“ მკურნალობის კურსის ჩატარება. ერთი კურსის შემდეგ პაციენტმა უკეთ იგრძნო თავი, რაც მთავარია, ტკივილი შეუმსუბუქდა. როდესაც ის მიიყვანეს ექიმთან, იმდენად კარგი იყო შედეგები, რომ ოპერაცია გაუკეთეს. პაციენტი ამჟამად თავს უკეთესად გრძნობს, აღარ აწუხებს ტკივილები და ანალიზებიც აღარ არის შემაშფოთებელი. ოჯახის წევრები ახლო მომავალში კვლავ აპირებენ მისთვის „კამელინის“ გაკეთებას.*

*4. 40 წლამდე ასაკის ქალბატონს 10 წლის წინ აღმოაჩნდა მარჯვენა მენჯ-ბარძაყზე სიმსივნე. ჩაიტარა მკურნალობის თითქმის ყველანაირი კურსი, მაგრამ, უშედეგოდ. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოსკოვშიც იმყოფებოდა სამკურნალოდ, თუმცა, კვლავ უშედეგოდ, მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა. ბოლო პერიოდში ფეხმა განიცადა დეფორმაცია, დაწვრილდა, ავადმყოფი ველარ დადიოდა და ძირითადად იწვა. რამდენიმე ხნის წინ ახლობლების მეშვეობით შეიტყო „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ და გადაწყვიტა მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 4 კურსი, იღებდა მხოლოდ კაფსულებს. ნელ-ნელა მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამჟამად პაციენტი თავს კარგად გრძნობს, დადის და, რაც მთავარია, დასასვენებლად იმყოფება, ოჯახის წევრებთან ერთად.*



**– ქალბატონო მანანა, როგორც ვიცი, თქვენი თავად უკეთებდით „კამელინს“ ახლობელს, რომელიც სიმსივნით იყო დაავადებული. უკვე რამდენიმე წელია, ის თავს კარგად გრძნობს და ამ მხრივ პრობლემები არ შექმნია.**

**ქალბატონი მანანა:** ჩემს ახლობელს რამდენიმე წლის წინ დაუსვეს სიმსივნის დიაგნოზი, საკმაოდ ცუდად იყო. მკურნალობის ძალიან ბევრ საშუალებას მიმართა, რა არ სცადა, თუმცა, უშედეგოდ. იმ დროს „კამელინის“ შესახებ ბევრმა არ იცოდა, მაგრამ, მას ახლობელმა უთხრა ამ საოცარი პრეპარატის შესახებ. პირადად მე ვუკეთებდი „კამელინის“ ნემსებს. მკურნალობის რამდენიმე კურსი ჩაიტარა, ზუსტად არ მახსოვს, რამდენი, იმიტომ, რომ მას შემდეგ 6 წელი გავიდა. მალევე გამოკეთდა, მოძლიერდა და დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს – მუშაობს და ჩვეულებრივი ჯანმრთელი ადამიანივით ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობამდე მისი მდგომარეობა არც ისე სახარბიელო იყო.

ასევე, განსაცვიფრებელი შედეგი იყო 55 წლის ქალბატონის შემთხვევაში, რომელიც საბერძნეთში ცხოვრობდა წლების განმავლობაში და სწორედ იქ დაუსვეს მკერდის სიმსივნის დიაგნოზი – მეორე სტადიიდან მესამეში გარდამავალი ავთვისებიანი სიმსივნე. გაიკეთა ოპერაცია და განაგრძო მკურნალობა: ჩაიტარა ქიმიოთერაპია, სხივები. 5 წლის განმავლობაში ყოველ 6 თვეში ერთხელ იკეთებდა ანალიზებს და არ ჰქონდა კარგი პასუხები – ისევ ცუდად იყო, ისევ აწუხებდა გაუსაძლისი ტკივილები. ერთ დღესაც მას საქართველოდან ახლობლები დაუკავშირდნენ და „კამელინის“ შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. თბილისში ექიმთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, გაუგზავნეს პრეპარატი და მან დაიწყო „კამელინის“ კაფსულების დალევა, ასევე, სანთლების გაკეთებაც. სულ ჩაიატარა მკურნალობის ოთხი კურსი და, როგორც თავად ამბობს, თავს ძალიან კარგად გრძნობს, არ აწუხებს ტკივილები. ცოტა ხნის წინ კი ჩაიტარა გამოკვლევები და აღმოჩნდა, რომ სრულიად ჯანმრთელია. ის მთელი მკურნალობის განმავლობაში მხოლოდ „კამელინს“ იღებდა, ამიტომაც, დღემდე, ამ პრეპარატისა და მათი შემქმნელების მადლიერია.

ექვსი წლის წინ პაციენტს ბათუმიდან, დაეწყო წონის საგრძნობი კლება, ხშირი ხველა. რენტგენოგრაფიული გამოკვლევით დაუდგინდა მარჯვენა ფილტვის ქვემო წილში მეტასტაზური კერა. ყველას გასაკვირად, მან უარი თქვა კონსერვატიულ მკურნალობაზე და, გადაწყვიტა, კამელინოთერაპია ჩაეტარებინა. პაციენტი არავის უმხელდა, რით მკურნალობდა. მან პირველი კურსიდანვე დაიწყო წონაში მომატება და სიმპტომებიც თანდათან ალაგდა, ორი თვის შემდეგ კი ხელახალი რენტგენოგრაფიით მეტასტაზური კერა აღარ დაფიქსირდა – ის დიდი ჩრდილი, რომელიც საკმაოდ დიდ უბანზე იყო, სრულიად გაიწმინდა. პაციენტი ექიმია და, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, თამამად ურჩევს პაციენტებს „კამელინის“ გამოყენებას.

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** ადრეული კვლევები, რომელთა საფუძველზეც მტკიცდება „კამელინის“ შესანიშნავი ანტისიმსივნური თვისებები, მოიცავს 1945-1975 წლებს. ამ პერიოდის განმავლობაში „კამელინი“ მოიხმარა ათიათასობით ონკოდაავადებულმა და მათ შორის უამრავი შემთხვევაა, როდესაც უმძიმეს სტადიაზე მყოფი ავადმყოფისთვის „კამელინი“ იყო ის უკანასკნელი იმედი და სასწაული, რომელიც რეალურად დადგა მათ ცხოვრებაში. ეს დოკუმენტური მასალები ეყრდნობა იმ ავადმყოფების ისტორიებს, რომელთა გაყალბების თუნდაც მცირე მცდელობა საბჭოთა სისტემის დროს, უბრალოდ, თვითმკვლელობას ნიშნავდა და უმკაცრესად და დაუნდობლად ძირშივე იძირკვებოდა.

**– ბატონო კობა, კიდევ ერთხელ განგვიმარტეთ, კიბოს საწინააღმდეგოდ რომელი ფორმის „კამელინი“ გამოიყენება?**

– საინიექციო ფორმა „კამელინი მ-1“ ყველა სტადიის კიბოს დაავადებისთვის არის აუცილებელი სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში. ასევე, მნიშვნელოვანია „კამელინი მ-4“ – სანთლების (იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი უარს ამბობს ნემსებზე) და „კამელინი მ-2“ – კაფსულების ჩართვა მკურნალობის თითქმის ყველა ეტაპზე და, მინდა აღვნიშნო, რომ, ვინაიდან თვითონ „კამელინი“ აბსოლუტურად არატოქსიკურია და მისი გამოყენება სანთლებისა და კაფსულების სახით, ხანგრძლივი დროითაც კი, არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს, ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

***P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, რომელმაც უკვე ბევრ ადამიანს დაუბრუნა ცხოვრების ხალისი და იმედი, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599-33-10-89, 2 58-09-07, 599-23-03-33, 2-98-57-78, 2-71-04-80, 2-22-26-68, 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

**ნუკა გვალია და ნიკუშა კობახიძე თებერვალში შვილს ელოდებიან. ეკა კვალიაშვილიც მონდომებით ემზადება ბებიობისთვის. ამბობს, რომ ძალიან გახარებულია, რომ პროექტიც დამთავრდა და სოციალურ ქსელებში მათი დაუმსახურებელი ლანძღვა-გინებაც.**

# რას პასუხობს ეკა კვალიაშვილი ყოფილ ქმარს, თემურ გვალიას და უშლიდა თუ არა ის შვილს მამასთან ურთიერთობას

**– ეკა, პროექტი დამთავრდა და მითქმა-მოთქმაც შედარებით მინელდა. ახლა შვილიშვილს ელოდებით. როგორ ემზადებით ბებიობისთვის, შეეგუეთ თუ ჯერ ვერ აღიქვამთ?**

– არა, რატომ? გადასარევი რეაქცია მქონდა, რომ გავიგე. რა მომენტია, იცი? ჩემი შვილის მეგობრები, ჩემი უმცროსი მეგობრები ყველანი მეძახიან „დე-ს," მიჩვეული ვარ, მიმართვის ფორმა მაქვს ასეთი და ახლა ეს „დე" უნდა გადავიტანო „ბე-ში" ***(იცინის).*** მთავარია, ჯანმრთელი იყოს. თებერვლისთვის ველოდებით.

**– ნუკამ პროექტის განმავლობაში გაიგო, რომ ორსულად იყო, თან უკვე დასასრულს უახლოვდებოდა კონკურსი. ალბათ, ძალიან გაუჭირდა.**

– ძალიან ვნერვიულობდით. რთული სიმღერები ჰქონდა შესასრულებელი – როკის სტილში, დიფ ფარფლის „ჰაივეი სთარ" იმღერა, ჯგუფ „ნირვანას" რეპერტუარიდანაც შეასრულა სიმღერა და მე და მისი გინეკოლოგი ვნერვიულობდით საშინლად. ყველა ტურის მერე ურეკავდა გინეკოლოგი: ნუკა, აბა როგორ ხარო. პირველი თვეები ხომ ყველაზე სათუთი პერიოდია. კონკურსის შედეგი იმდენად არ მაღელვებდა, რამდენადაც ნუკას მდგომარეობა. ძალიან უჭირდა, ტოქსიკოზი ჰქონდა, საშინელი ძილიანობა, სულ ეძინებოდა, არადა დატვირთული საკონკურსო რეჟიმი ჰქონდა, ძალიან გადაიღალა. კონკურსი რომ დამთავრდა, არავის ისე არ გახარებია, როგორც მე ***(იცინის).*** ჩემს მეგობართან ერთად დავდიოდი საგულშემატკივროდ. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ნუკა რომელი ტურიდან გავარდებოდა. მე ვიცი რომ, ჩემი შვილი ძალიან კარგი მომღერალია. უბრალოდ, მინდოდა, გამომეცადა, სცენაზე როგორ გამოვიდოდა, ხალხი როგორ მიიღებდა.



თემურის კოლორიტო ნათესავ-მეგობრებო, თემურ გვალიას ჩემთვის ბავშვი არ „გაუპრავებია!" სირცხვილია თქვენი მხრიდან ასეთი მდაბიო საქციელი

**– თქვენ რით გგავთ თქვენი შვილი?**

– ძალიან პირდაპირია, სამართლიანი და მეგობრული. რასაც ფიქრობს, ყველაფერს ხმამაღლა ამბობს. გულღია ადამიანია. ნუკამ ძალიან ბევრი რამ გადალახა შინაგანად ისე, რომ არავის გაუგია. მაგალითად, ნიკუშას უნდოდა თავის მშობლებთან, კანადაში წასვლა, არადა მაშინ გაირკვა, რომ ნუკა მოხვდა კონკურსში და ამიტომ ვერ შეძლეს წასვლა. ნიკუშას ძალიან უნდოდა, მაგრამ დათმო ნუკას გამო. ზოგი იმასაც წერდა, სცენაზე უემოციოდ დგასო, ვისაც როგორ უნდა რომ დაგინახოს, ისე გხედავს. სცენაზე ნუკა არასდროს ნერვიულობდა. არ არის პანიკიორი, ძლიერი გოგოა. სიმღერას რომ ამთავრებდა, ცოტა მერე ეტყობოდა დაძაბულობა. სხვების გავარდნას ისე განიცდიდა, ტიროდა. უბრალოდ, გული მწყდება, უზრდელობას ვერ ვიტან. რომ ამბობენ, „ეკას კლანიო", ჩემი კლანია მარო თარხნიშვილი. ბაბუაჩემი, კონსტანტინე კვალიაშვილი, მარიკა კვალიაშვილი... თან კიდევ წარმოიდგინე, მარიკა კვალიაშვილს იმ პერიოდში შვილიშვილი გარდაეცვალა. კვირას დაკრძალეს და ორშაბათს ნუკამ იმღერა მარიკას სიმღერა „ცოტა კიდევ მოითმინე, გულო." ისე მიხარია, რომ დამთავრდა ეს მარაზმი სოციალურ ქსელებში. სტატუსი ვერ დამიწერია მაგათ გარეშე – კვალიაშვილი ბოლმაა და ანთხევს ამ ბოლმასო, რით ვერ გაძლა ეს ქალიო. სად დაინახეს ჩემი ბოლმა?

**– ნუკას არჩევანში თუ ჩარეულხართ რომელიმე ეტაპზე?**

– გააჩნია, რა არჩევანში. მე ყოველთვის ვცდილობდი, ნუკასთან თავისუფალი, მეგობრული დამოკიდებულება მქონოდა, რომ არ გაზრდილიყო დაკომპლექსებული, შეზღუდული ადამიანი. უბრალოდ, ახლა ჩემი შვილი აღარ ცხოვრობს ჩემთან. მინდოდა, ჩემი შვილი ჩემთან გახსნილი ყოფილიყო. გინდა თუ არა, ასე გააკეთე – ყვირილით და ჩხუბით არ ყოფილა. იყო ერთი პერიოდი, გარდატეხის ასაკში ვერაფრით ვერ ვუდგებოდი. მერე ყველაფერი დალაგდა. ნუკასთანაც და მის მეგობრებთანაც ძალიან ახლოს ვარ. მირეკავენ ხოლმე: „ეკუშ, რას შვრები?" ***(იცინის).*** მოდიან ყავის დასალევად ჩემთან.

**– დედისერთები ხშირად ეგოისტები არიან.**

– კი, ასეა და ვცდილობდი, ნუკას ეგოიზმის მომენტი არ ჰქონოდა. 9 წელი პლეხანოვზე, იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით და უამრავი ბავშვი იყო ხოლმე ჩვენთან სახლში. ერთხელ მახსოვს, ერთმა ბავშვმა ბაღიდან ტილები მოიტანა და ყველას გადასდო ***(იცინის).*** ყველას სათითაოდ დავასხი „პარა პლუსი" და დავბანე. ვცდილობდი, არ განმესხვავებინა. სულ ვეუბნებოდი, ენების მიტან-მოტანა, ჭორაობა არ გავიგონო-მეთქი. ძლიერი ხასიათი ჩამოვუყალიბე და არასდროს ყოფილა გატყლარჭული გოგო, ბიჭებთან მეგობრობდა ძალიან კარგად.

**– ბიჭებს არ სცემდა?**

– სკოლაში დამიბარეს რამდენიმეჯერ, მშობლები ჩივიან, ბიჭებს სცემსო.

**– მუსიკის ნიჭი როდის გამოავლინა ნუკამ პირველად?**

– პატარაობიდანვე, როცა ჯერ კიდევ ჭოჭინით დადიოდა სახლში, პიანინოსთან მივიდა და ნოტი აიღო, თან წაიმღერა. იმწუთას მივხვდი, რომ სმენა ჰქონდა. ძალიან მრავალწახნაგოვანია, ერთნაირად წარმატებულად მღერის სხვადასხვა მანერაში – სოული, ქართული, როკი... ჩემზეც ასე ამბობდნენ თავის დროზე.

**– ნუკას არჩევანი როგორ მიიღეთ?**

– ნუკას და ნიკუშას, ძალიან დიდხანს, ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. შეგუებული ვიყავი, რომ ურთიერთობა სხვა ეტაპზე უნდა გადასულიყო. რომ მოვიდნენ და მითხრეს, ღმერთმა დაგლოცოთ-მეთქი, ვუთხარი. გამიჭირდა, თავისთავად, თუმცა რაც გათხოვდა, ცოტა ხანში მოსკოვში გადავედი. მერე დავრჩი, დავიწყე იქ მუშაობა. აქ უმუშევრობამ გადამრია, ჯანმრთელობა შემერყა ლამის. ცოტა ამოვისუნთქე მოსკოვში, თვალს წყალი დავალევინე.

**– რუსეთის თემის გამოც ხშირად გაკრიტიკებენ.**

– იცით რა, სულ არ მაინტერესებს, ვინ რას ამბობს. მე ჩემი გაჭირვება მქონდა და ჩემი ოჯახის, შვილის წინაშე ვალი უნდა მომეხადა. სიძე შემომივიდა და ელემენტარულად, ნიშნობის ბეჭედი ხომ მაინც უნდა მეყიდა?! მე არ მქონდა არანაირი საშუალება, რომ სუფრა გამეშალა და ხალხი მომეწვია. იქ რომ ჩავდივარ, ძალიან დიდ პატივს მცემენ და ივსება დარბაზი. სახლში რომ ვიყავი, რომელმა მომიკაკუნა და მკითხა, ეკა, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობო? მიხედონ თავიანთ ცხოვრებას.

**– თქვენს ყოფილ ქმარზე უნდა გკითხოთ. ვერ ავცდებით ამ თემას. ჩვენს ჟურნალთან რამდენიმე თვის წინ ინტერვიუ ჰქონდა თემურ გვალიას და თქვა, არ მელაპარაკებიან ეკა და ნუკაო.**

– ტყუილია. იქიდან დავიწყოთ, რომ გაბრაზებული ვიყავი კი არა, ყველანაირად ვცდილობდი, მხარში დავდგომოდი და გამემხნევებინა, როგორც შემეძლო. ხან ვის ვეხვეწებოდი, ხან ვის, იქნებ ერთი კვირით ადრე მაინც გამოუშვათ-მეთქი. ძალიან მინდოდა, თავის დაბადების დღეზე საკუთარ ოჯახში ყოფილიყო. პირველად რომ დაიჭირეს, ციხეში ვურეკავდი, ვამხნევებდი... ნუკასთან მე დავარეკინე. თუ თემურთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას ვცდილობდი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ჩემთან დაბრუნება მინდოდა. უბრალოდ, მე და თემური ბავშვობის მეგობრები ვიყავით, მერე მეუღლეები და ჩემი შვილის მამაა. მე ვცდილობდი, ნუკას მამა არ დაეკარგა, მაგრამ ის უპასუხისმგებლო მამა იყო და ასეც რჩება! დარეკავდა წელიწადში ერთხელ, მოვალო. ბავშვი იჯდა და ელოდა, მერე დაიკარგებოდა თვეები, წლები... ნუკას ვეუბნებოდი, ასეთი სამსახური აქვს, მამა ვერ იცლის, მაგრამ ძალიან უყვარხარ-მეთქი. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ ნუკას არ ჰქონოდა არასრულფასოვნების კომპლექსი. როგორც გაირკვა, ამ ჩემი დამოკიდებულებით ადამიანმა დაიჯერა, რომ ის კარგი მამა იყო და თურმე ხალხში ამბობს, რომ ნუკა მისი გაზრდილია. წლების განმავლობაში ყურადღებას არ აკლებდა და მან დააყენა გზაზე. ნეტავ, მართლა ასე ყოფილიყო ***(იღიმება).*** წლების განმავლობაში ვთხოვდი: ბავშვს ნუ ატყუებ, გელოდება და აქედან გამომდინარე, ტრავმას იღებს-მეთქი. ამასობაში, ნუკა გაიზარდა და როცა ახალ წლამდე თემური გათავისუფლდა ციხიდან, ისევ დაჰპირდა ნუკას, რომ ნახავდა, გათხოვებას მიულოცავდა, სიძეს გაიცნობდა. თუნდაც თავის ოჯახში მიიპატიჟებდა, სადაც არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს და ყველანაირად უწყობს ხელს თემურს შვილებთან ურთიერთობაში (ეს ჩემი ყოფილი მულისგან ვიცი პირადი საუბრიდან). მაგრამ ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა ნუკასთვის, რადგან მამას არც ახალი წელი მიულოცავს შვილისთვის და არანაირი ინიციატივა აღარ გამოუჩენია. საზოგადოებაში კი სხვაგვარად ლაპარაკობენ. არასდროს მომითხოვია თემურისგან არაფერი, მხოლოდ მინდოდა ყურადღება გამოეჩინა შვილის მიმართ. როცა ნუკამ დაწერა, რომ მამა არ მონატრებია, ამას მოჰყვა საშინელი ლანძღვა ჩემი თუ ნუკასი, რამაც გამაოგნა. ადამიანი ერთხელ არ დასწრებია კონცერტს, არც სურვილი გამოუთქვამს. ვინ ეტყოდა უარს? მინდა, საქვეყნოდ ვუთხრა მის მეგობრებს, რომლებიც იმდენად არაკორექტულები არიან, რომ ეჭვი მეპარება, ამის უფლებას თემური აძლევს. მე და თემური ვიყავით ოფიციალურ ქორწინებაში სიყვარულით, ასევე შეგვეძინა საერთო შვილი. ასე რომ, თემურის კოლორიტო ნათესავ-მეგობრებო, თემურ გვალიას ჩემთვის ბავშვი არ „გაუპრავებია!" სირცხვილია თქვენი მხრიდან ასეთი მდაბიო საქციელი. ვფიქრობ, თემურს თავის და მათ მაგივრადაც, ბოდიში აქვს მოსახდელი. მეტი რა გითხრათ, სხვა დანარჩენში თემურს ვუსურვებ წარმატებებს,. ოჯახურ ბედნიერებას. ეს ყოველთვის გულით გამიხარდება.

**ქეთი დიდებულიძე**

**„დღემდე მახსოვს, როგორ ჩავედი პირველად იბიცაზე. ძალიან მომეწონა: ამდენი ხალხი, ხუთიათასიანი კლუბები, კლუბის წინ დიდი რიგები, ან შეგიშვებენ, ან არა. როდესაც პირველად დავაპირე Pacha Ibiza-ში შესვლა, საშინლად ვნერვიულობდი: შემიშვებდნენ თუ არა. რა თქმა უნდა, შემიშვეს. მაგრამ, მაშინ არ მიფიქრია იმაზე, რომ ოდესმე თავად გავხდებოდი ამ კლუბის ჯერ მარკეტინგის მენეჯერი, შემდეგ კი არტმენეჯერი. თუმცა, ერთი რამ ყოველთვის ვიცოდი: აუცილებლად ვიქნებოდი წარმატებული. მე ის ტიპი ვარ, რომელსაც ლიდერობა უყვარს, სურს იყოს გამორჩეული. ამიტომაც, ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რაც მიყვარდა და ოჯახშიც სყველაზე დაუმორჩილებელი არსება ვიყავი," – ეს არის ამონარიდი დიმიტრი ჩხეიძის ინტერვიუდან. ის წლების განმავლობაში, მსოფლიოში ცნობილ და ყველაზე წარმატებულ ღამის კლუბებში მუშაობდა, შემდეგ FashionTV-ზე – 7 წლის განმავლობაში, ახლა კი ის NewYorkFashionLife-ის წარმომადგენელია ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.**

# როგორ გეგმავდა მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ ღამის კლუბში ივენთებს დიმიტრი ჩხეიძე და როგორ აცნობს ის უცხოელებს ქართველებს NewYorkFashionLife-ის დახმარებით

**დიმიტრი ჩხეიძე**: დედაჩემი პროფესიით ექიმია, ბებიაც. ძალიან უნდოდათ, მეც სამედიცინოზე მესწავლა. სკოლა ექსტერნად დავამთავრე, პირველივე წელს მოვხვდი სამედიცინოზე. იმავე წელს მამამ საჩუქარი გამიკეთა – ანტალიაში გამიშვა დასასვენებლად. იქ ვნახე, ანიმაციური ჯგუფები, რომლებიც სტუმრებს ართობდნენ. ეს ჩვენთვის მაშინ ახალი იყო. ბავშვობიდან ვცეკვავდი ლათინო-ამერიკულ ცეკვებს, პიანინოზე ვუკრავდი, ხელოვნება სულ მაინტერესებდა, მინდოდა, მომღერალი გამოვსულიყავი. მოკლედ, ტურიზმში ვიპოვე საკუთარი თავი. დავბრუნდი თბილისში, თუმცა, მეორე წელს ისევ წავედი ანტალიაში, ოღონდ ისე, რომ ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ. რამდენიმე თვე ვიყავი სპორტ-ანიმატორი, ვაკეთებდი დღის განმავლობაში სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებას, ვმონაწილეობდი ღამის ანიმაციაში, შოუებში. კარგი ანიმატორი გავხდი. პარალელურად, ვსწავლობდი ენებს. ჩემებმა რომ გაიგეს: ანტალიაში ვიყავი, ანიმაციაში, გადაირივნენ. მამაჩემმა „გაჭედა": შვილო, იმისთვის გაგზარდეთ, რომ „კლოუნი" ყოფილიყავიო?! მაშინ ამ ყველაფერს ჩვენთან სხვაგვარად აღიქვამდნენ. მოკლედ, ჩამომიყვანეს, მაგრამ უკვე ბევრი კონტაქტი მქონდა. თან, გერმანელი გერლფრენდი მყავდა, მანუელა. თბილისში მეორე კურსის პირველი სემესტრი დავხურე და ზამთრის არდადეგებზე გერმანიაში წავედი მანუელასთან. ვისწავლე ტურიზმის აკადემიაში, იქიდან იყო ესპანეთი, მერე ბელგია და ასე გაგრძელდა ჩემი კარიერა. გავხდი სასტუმროში სტუმრებთან ურთიერთობის მენეჯერი, შემდეგ გადავედი კლუბურ ორგანიზაციაში. როცა ახალგაზრდა ხარ, სისხლი გიჩქეფს, უფრო მეტად აქტიური და ემოციური სამსახური გინდა. საბოლოოდ, აღმოვჩნდი Pacha House-ში, Ministry Of Sound-ში...

**ჰობი მაქვს: მიკროფონზე ვაკეთებ ვოკალ-ჰაუზს, თავისი ეფექტებით. მომღერალი არ ვარ, უბრალოდ, ჰაუზ-მუსიკა მიყვარს, ვქმნი ელექტრონულ მუსიკას და შემდეგ ამ მუსიკაზე ვაკეთებ გარკვეულ ვოკალს**

**– ყველაზე ცნობილი ღამის კლუბების ქსელში, სადაც საუკეთესო დიჯეები უკრავენ...**

– მალიორკაზე ვმუშაობდი და როგორც კი დამიმთავრდა კონტრაქტი, მაშინვე გადავედი იბიცაზე, ოღონდ როგორც MC. ჰობი მაქვს: მიკროფონზე ვაკეთებ ვოკალ-ჰაუზს, თავისი ეფექტებით. მომღერალი არ ვარ, უბრალოდ, ჰაუზ-მუსიკა მიყვარს. ვქმნი ელექტრონულ მუსიკას და შემდეგ ამ მუსიკაზე ვაკეთებ გარკვეულ ვოკალს. მოკლედ, პირდაპირ „პაჩაში" მივედი, გასაუბრება გავიარე და მომცეს საშუალება, „ემსი" გამეკეთებინა. იმხელა ემოცია მივიღე პუბლიკისგან, რომ აღარც მახსოვდა, რას ვყვიროდი და რას ვიძახდი. ყველა „გასწორებულში" იყო და მეც „გასწორებულში" ვიყავი. მოკლედ, მუშაობა დავიწყე, როგორც ემსიმ და შემდეგ მარკეტინგში გადავინაცვლე. მალე მარკეტინგის მენეჯერი გავხდი. ზოგადად, ძალიან მშრომელი ბიჭი ვარ, სულ ვმუშაობ, არ შემიძლია, გავჩერდე. მალევე „პაჩა იბიცას" არტმენეჯერი გავხდი და უკვე მე ვგეგმავდი: რომელი დიჯეი უნდა ჩამოსულიყო, როგორი დეკორაცია ყოფილიყო და რა სახის. ბევრჯერ მიმუშავია დევიდ ვენდეტასთან, დევიდ გუეტასთან, ტიესტოსთან – ძალიან ბევრთან. მე ვაკეთებდი „ლაინ აპს": რა ფართი უნდა ყოფილიყო, როდის, რის და ვის შემდეგ ვინ უნდა გამოსულიყო, დრო როგორ უნდა დაყოფილიყო... გარდა ამისა, მათ ვეკონტაქტებოდი: ამა და ამ საათზე აქ უნდა იყო, რადგან უკრავ... სხვა ბევრი საქმეც იყო. როდესაც ბრენდი ჩამოდის, მაგალითად, „ტიესტო" ან „ვენდეტა", მათ უგეგმავ პრესკონფერენციებს, ინტერვიუებს. ჟურნალისტები კი შენი დახმარებით უკავშირდებოდნენ მათ. მოკლედ, ბევრი სამუშაო მქონდა, მაგრამ საკმაოდ დიდ ჯგუფი მყავდა, მეხმარებოდნენ და ყველაფერს სიყვარულით ვაკეთებდი. იბიცა ძალიან ლამაზია, კარგია, მაგრამ ისეთი სწრაფი ცხოვრებაა, ისე აქტიურად მიდის ყველაფერი, რომ ძალიან დამღლელია. 2-3 წელი „გავქაჩე", თან, ძალიან დატვირთული რეჟიმი მქონდა. ზოგჯერ 18 საათზე მეტს ვმუშაობდი. მივხვდი: ცოტა სიწყნარე მინდოდა და თავად ვითხოვე გადასვლა. თან, იბიცაზე მუშაობა სეზონურია, 6 თვე მუშაობს, დანარჩენ დროს კლუბები იკეტება, სტუმრებიც ხშირად აღარ დადიან, წვიმს. მე ძალიან მიყვარს მზე, ზღვა, ვარსკვლავები, ამიტომაც გადავედი, თან, 12-თვიანი სამსახური მექნებოდა. „პაჩა შარმშიც" ისევ არტმენჯერად ჩავედი. პლუს ამას, ვიყავი მარკეტინგის მენეჯერიც, მყავდა დიდი ჯგუფი, რომლებიც ჩემზე მუშაობდნენ და მაქსიმალურად ვაკონტროლებდი მათ. „პაჩა" ერთი დიდი ქსელია და ყველგან ერთი სისტემით მუშობენ. მაგრამ, მე, რადგან ანიმატორის გამოცდილებაც მქონდა, თან, იბიცაზე სულ სხვა გამოცდილება შევიძინე, ჩავიტანე ახალი სტილი – უფრო გაევროპელებული. სწორედ „პაჩა შარმში" გავაკეთე „ფეშენ-ტივის" პირველი ივენთი. გარდა ამისა, ჩამოვიყვანე „საჰაერო აკრობატები", „ცეცხლოვნი შოუ". მაგრამ, მერე ტერორისტული აქტი მოხდა, ხალხი აღარ ჩამოდიოდა და იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი. თუმცა, ამის შემდეგ მუშაობა გავაგრძელე Ministry Of Sound-თან, მალაიზიაში.

**– როგორ დაიწყე „ფეშენ-ტივისთან" მუშაობა?**

– როგორც გითხარი, „პაჩაში" ვიმუშავე პირველად „ფეშენ-ტივისთვის" და მომეწონა: მოდელები, დიზაინერები, კამერები... ბევრი ემოციური მომენტი იყო. შემდეგ უკვე ხშირად ვაკეთებდი „მის ბიკინის", „მის პაჩას", ვიგონებდი სხვადასხვა კონკურსს, ჩამომქონდა წარმატებული დიზაინერების კოლექციები, ვაწყობდი ჩვენებას, თან, ვაშუქებდი. Pacha House, Ministry Of Sound – ისეთი ბრენდებია, იქ მოხვედრა და ივენთის გაკეთება, ყველასთვის წარმატებას ნიშნავს – დიდი პრესტიჟია. როცა ასეთი ბრენდის არტმენეჯერი ხარ, ბევრი უფლებაც გაქვს და თან აკეთებ იმას, რაც გინდა. მთავარია, პატრონს მოეწონოს იდეა. მას კი, შვილივით ვუყვარდი, რადგან ბევრს ვმუშაობდი და ამას ძალიან აფასებენ. ახლა ვარ „ნიუ-იორკ ფეშენ-ლაიფის" წარმომადგენელი ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. საქართველოში ვცდილობ, ვიპოვო ლამაზი გოგონები, ბიჭები, საინტერესო დიზაინერები, ნიჭიერი ფოტოგრაფები და წარვადგინო ისინი სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ბრენდთან. 4 წელია, ვმუშაობ და კიდევ გავაგრძელებ, რადგან, ძალიან კარგ ჯგუფთან მიწევს მუშაობა. ჩვენი ბრენდი აკეთებს ნიუ-იორკში „ფეშენ-ვიქებს," და „მერსედეს ბენც ფეშენ-ვიქებს" ასევე, ცნობილი მოდელებისთვის, მომღერლებისთვის კლიპებს, ფოტოსესიებს. ბედნიერი ვარ, რომ ამ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ. თან, ყველა ქვეყანაში დიდი მხარდაჭერა მაქვს იქ არსებული ამერიკული საელჩოებისგან. რაც მთავარია, თბილისში მყავს ძალიან კარგი ჯგუფი.



**როდესაც პირველად დავაპირე Pacha Ibiza-ში შესვლა, საშინლად ვნერვიულობდი. მაშინ არ მიფიქრია იმაზე, რომ ოდესმე თავად გავხდებოდი ამ კლუბის ჯერ მარკეტინგის მენეჯერი, შემდეგ კი – არტმენეჯერი**

**– ახლო მომავალში საქართველოსთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვს?**

– მე, მამუკა ლიპარტელიანმა და ეკა ანდრონიკაშვილმა გავხსენით „ბისი პროდაქშენი" და ვაკეთებთ 4 სატელევიზიო პროექტს: 1. „ცხოვრების სტილი", 2. „ნაით-ლაიფი" – ეს არის იმისთვის, რომ ქართველებმა ისწავლონ ღამის ცხოვრება, ასევე, საქართველოში ჩამოვიდნენ ცნობილი ბრენდები: Pacha House, Ministry Of Sound, FashionTV... ეს უცხოელებს კიდევ უფრო მეტად მოიზიდავს. სხვადასხვა ქვეყანაში დავდივართ, ვიღებთ იქაურ ფეშენებელურ, კლუბურ ცხოვრებას და შემდეგ ვაჩვენებთ. 3. ეს არის ჯეო-ტური, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს, ვაჩვენებთ აბსოლუტურად ყველაფერს. და 4: „დღის შოუ", რომელიც სხვა შოუებისგან განსხვავებული იქნება თავისი სტუმრებით, ჩართვებით, რუბრიკებით. გარდა ამისა, ვაკეთებთ საქველმოქმედო კონცერტს ქართველი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც მკურნალობენ პენტაგონში. საქართველოდან მიგვყავს მომღერლები, მიგვაქვს ნობათი, საჩუქრები. ამ ყველაფერს კი ორგანიზებას უწევს არასამთავრობო ორგანიზაცია „მე დავბრუნდები", რომლის დამფუძნებელია მამუკა ლიპარტელიანი. ჩვენი წასვლა იგეგმება 16 სექტემბერს. ყველა ჯარისკაცის მშობლებს ვერ დავუკავშირდით, ამიტომ, ვისაც სურს, შეუძლიათ, თავად დაგვიკავშირდნენ და გაგვატანონ შვილებთან რაიმე მნიშვნელოვანი: ფოტო, წერილი ან სხვა რამ.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ამიელი**: იოლად გავაკეთო ის, რაც სხვებს ეძნელება – ნიჭია; შესძლო იმის გაკეთება, რაც შეუძლებელია ნიჭისთვის – გენიალობაა.

**ლონგფელო**: ჩვენი ნებისყოფა თავად ძალაა, ნებისყოფის ძალა უტოლდება ბედისწერის ძალას.

**ებნერ-ეშენბახი**: ნდობა ვაჟკაცობაა, ხოლო ერთგულება – ძალა.

**მენკენი**: ნდობა არის გრძნობა, მაშინაც კი დაუჯერო ადამიანს, როცა იცი, რომ მის ადგილას ყველა ტყუილს იტყოდა.

**კაფკა**: ყოველგვარ ადამიანურ ნაკლს იწვევს მოუთმენლობა.

**კანტი**: ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც მოვალეა იმუშაოს.

**გოგარტენი**: ადამიანი ის არსებაა, რომელიც ღმერთსა და სამყაროს შორის დგას.

**ჰებელი**: ადამიანი ბრმაა, რომელიც თვალის ახელაზე ოცნებობს.

**ბაინი**: ალღო უსწავლელი უნარია.

**რივაროლი**: ომი მეფეთა სასამართლოა, გამარჯვება – მათი განაჩენი.

**სპინოზა**: გაჭირვებულთათვის ისიც ნუგეშია, თუ ამხანაგი ეყოლებათ უბედურებაში.

**გურმონი**: ავადმყოფი ადამიანები ყოველთვის ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ალბათ, ოპტიმიზმი არის ავადმყოფობა.

**ვოლტერი**: ოპტიმიზმი არის სიგიჟე – ამტკიცო, რომ ყველაფერი კარგადაა, როცა ყველაფერი ცუდადაა.

**ვოვენარგი**: ყველაზე სასარგებლო ის რჩევაა, რომლის გამოყენებაც უფრო ადვილია.

**ძეი-ძაუსი**: რჩევა, რომელსაც სხვათა თანდასწრებით აძლევ ადამიანს, საყვედურს უფრო ემსგავსება.

**ამიელი**: რწმენა უყოყმანოდ დაჯერებაა, საბუთის გარეშე.

**პრუდონი**: საკუთრება ქურდობაა.

**ჟუბერი**: სამართლიანობა უფრო სუსტის სამართალია.

**პასკალი**: სამართლიანობა ის არის, რაც რჩება.

**ვიზნერი**: სასწაული მიზეზობრიობის თავსამტვრევია.

**შექსპირი**: სადაც აზრი ძლიერია, იქ საქმე ღონიერია.

**მიდრაში**: ჩვენი მტერნიც და ჩვენი მოყვარენიც თვითონ ჩვენი საქმენი არიან.

**ტოლსტოი**: ნუ ენდობით სიტყვებს, ნურც თქვენსას და ნურც სხვისას, ენდეთ მხოლოდ საქმეებს თქვენსასაც და სხვისასაც.

**ნიცშე**: სახელმწიფო გონიერი დაწესებულებაა, რომელიც პიროვნებებს იცავს ერთმანეთისგან.

**ჰაინემანი**: სახელმწიფო ქაოსის საწინააღმდეგოდ შექმნილი იძულებითი წესრიგია.

**იუვენალისი**: სიბრძნე არ წარმოთქვამს იმას, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება.

**ესქილე**: ბრძენი ის როდია, ვინც ბევრი იცის, არამედ, ვისი ცოდნაც სასარგებლოა.

**ლესინგი**: ყველაზე უმცირესი ნიჭი და მადლი – სიმდიდრეა, ყველაზე უდიდესი – სიბრძნე.

**აშარი**: ქალის ძალა იმაში კი არ მდგომარეობს, რასაც ამბობს, არამედ იმაში, რამდენჯერ ამბობს ამას.

# თუ გაიხსენებთ

1. იაპონელებმა კვირის 5 დღე სტიქიას დაუკავშირეს. ასე რომ, მეორიდან მეექვსე დღის ჩათვლით, შესაბამისად, არის: კოაბი – ცეცხლის, სუობი – წყლის, მოკუობი – ხის, დოობი – მიწის, კინობი – ლითონის. **რას შეესაბამება პირველი (გეციობი) და მეშვიდე (ნიციობი) დღეები?**

2. ეს სიტყვა ჩვენთან ლათინურიდან შემოვიდა და „აგზნებას“ ან „რაღაცის მიმართ გამოღვიძებას“ ნიშნავს, რაც განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა საბჭოთა პერიოდში პროპაგანდისთვის, ახლა კი პერიოდულად გარკვეულ მოვლენას უძღვის წინ. **რა?**

3. პეტრე პირველის ეპოქაში ასე უწოდებდნენ ტკბილეულითა და კოლონიური საქონლით, კერძოდ, უცხო ქსოვილებით, ანუ, მატერიით მოვაჭრეებს, ახლა კი ამ სიტყვას ვუწოდებთ ადამიანს, როდესაც გვინდა, დავახასიათოთ მისი როგორც რეალისტურად მოაზროვნის ფილოსოფიური მრწამსი. **დაასახელეთ სიტყვა.**

4. ამ ძველბერძნულ სიტყვას უამრავი მნიშვნელობა ჰქონდა: ამბავი, თხზულება, მოთხრობა, ნაამბობი, თქმულება, სიტყვა... რისი მტკიცებაც დღეს არ არის საჭირო, რადგან, ისედაც მოგონილის მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა „ლოგოსისგან“ განსხვავებით, რომელიც აღნიშნავს ცნებას, რისი ჭეშმარიტების დამტკიცებაც შესაძლებელია. **დაასახელეთ, რა შეიძლება იყოს მოგონილი?**

5. **დაასახელეთ** კლასიკური ნაწარმოები, სადაც 3 კვირის განმავლობაში ხდება 3 მკვლელობა, 2 თვითმკვლელობა და 1 დარდისგან გარდაცვალება.

6. იმპერატორ ავგუსტუსის სიკვდილამდე, თითქოს მინიშნება მოხდაო, მარსის მოედანზე ავგუსტუსის ქანდაკების ფერხთით მეხი დაეცა და წარწერიდან CAESAR (კეისარი) პირველი ასო გაადნო. ამ ასოს მიხედვით, პანტიფაკებმა იწინასწარმეტყველეს, რომ იმპერატორს მცირე ხნის სიცოცხლე დარჩა. **რამდენი დღის?**

7. პლატონი მას „ღმერთების საყვარელ ნივთიერებას“ უწოდებდა. ჰომეროსი კი მიიჩნევდა, რომ ის ღვთიური წარმოშობის იყო. რომაელი ლეგიონერები ამ „ვალუტით“ იღებდნენ ხელფასს. **რა იყო ეს „ვალუტა“?**

8. ბულგარულ ფულზე გამოსახულნი არიან ყველაზე ცნობილი ბულგარელები. მხოლოდ 50 000-ლევიან კუპიურაზეა ბერძენი – წმიდა კონსტანტინე, იგივე კირილე. **რა დამსახურებისთვის?**

9. მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ხელოვნებათმცოდნე ჯოვანი მორელიმ შეიმუშავა ნახატების ავტორთა განსაზღვრის ახალი მეთოდი. აღმოჩნდა, რომ ნამდვილის ყალბისგან გამორჩევა ფიგურისა და სახის გამომეტყველებით კი არ უნდა მოხდეს, არამედ, თითების, ფრჩხილების ფორმით, ყურის ნიჟარით... შესაძლოა, ეს დედუქციური მეთოდის გამოყენების პირველი მცდელობა იყო. 1887 წელს მორელის მეთოდით დაინტერესდა დუბლინის ხელოვნების ნაციონალური გალერეის დირექტორი, ცნობილი მწერლის ბიძა. **დაასახელეთ ეს მწერალი.**

10. ეს ძველბერძნული ქალაქი ჰალიკარნასი ცნობილია იმით, რომ სწორედ იქ იყო მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი – მავზოლეუმი. ახლა ჰალიკარნასის ადგილას სახელგანთქმული თურქული საკურორტო ქალაქია. **რომელი?**

*პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* ინდოეთის მოსახლეობა მილიონ ორასი ათასს შეადგენს, მათ შორის ნახევარი – 25 წლამდე ახალგაზრდაა. ქვეყანაში ერთი მილიონი მილიონერი და მთელი მსოფლიოს ღარიბების 40 პროცენტი ცხოვრობს.

* ამერიკის სპეცმაცივრებში 140 გაყინული ადამიანია. ერთი ადამიანის გაყინვა 150 000 დოლარი ღირს, მხოლოდ თავის – 80 000 დოლარი. მათ შეინახავენ მანამდე, ვიდრე მეცნიერები არ შეიმუშავებენ ტექნოლოგიას, რომლითაც გაყინული ქსოვილით ახალი ადამიანის კლონირებას შეძლებენ.

* მსოფლიოში ყველაზე დიდი, 1 700 მეტრზე გაშლილი „კედელი“ აფრიკაში, მდინარე ზამბეზზე მდებარე ჩანჩქერ ვიქტორიას აქვს. აქ წამში 8 მილიონ ტონაზე მეტი წყალი ეშვება. ის 1853 წელს დევიდ ლევინსტონმა აღმოაჩინა და დიდი ბრიტანეთის დედოფლის სახელიც თავად უწოდა.

* 1974 წელს ატომურ ფიზიკაში დიდი მოვლენა მოხდა – აღმოაჩინეს ჯეი-პსი, რომელიც შეიცავდა მანამდე უცნობ ნაწილაკს – კვარკს. ამ აღმოჩენამ გადატრიალება მოახდინა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში. მას ახლაც კი, ხანდახან, „ნოემბრის რევოლუციას“ ეძახიან.

* საქართველოს არაქართველებით დასახლებული ყველაზე დიდი სოფელი არის სადახლო, მარნეულის რაიონში. ბოლო აღწერის მონაცემებით, იქ 8 486 ადამიანი ცხოვრობს. ძირითადი მოსახლეობა – აზერბაიჯანელები. ქართველებით დასახლებული ყველაზე დიდი სოფელი დიღომია, მცხეთის რაიონში – 8 746 მოსახლით.

* კვანძის შეკვრის 4 000 ნაირსახეობა არსებობს, მათ შორის ყველაზე ძველი 50 საუკუნეს ითვლის. ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებაში მხოლოდ 3-4 ხერხს იყენებენ. კვანძის შეკვრის სისწრაფით „გინესის რეკორდების წიგნში“ ორიგონელი კლინტონ ბეილი შევიდა – 1977 წელს მან 8,1 წამში 6 სხვადასხვა კვანძი შეკრა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მფd3-c3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



მივიდა მაქსიმ გალკინი ზღვასთან, დაიჭირა ოქროს თევზი... და თევზი ეუბნება:




– დაბრუნდი შენს ბებერთან, ისედაც ყველაფერი გაქვს...

***

– თუ რამე პრობლემა გექნება, ჩემი ტელეფონის ნომერი ხომ გაქვს?

– მაქვს.

– ჰოდა, წაშალე...

***

– როცა ბარში ვზივარ, კოქტეილს ვსვამ და რომელიმე მამაკაცი მიახლოვდება და მეუბნება, რომ ჩემსას გადაიხდის, მაშინვე ვიღებ ჩანთიდან გაზის და დენის ქვითრებს...

***

არის სამი რამ, რისი დანახვაც საშინელებაა დიდი „ლოთობის" მეორე დღეს: სახე, საფულე და... გამოტოვებული ზარების სია.

***

– ამბობენ, რომ მაგარი საყვარელი ის არის, რომლის პარტნიორი ქალი სექსის შემდეგ ეგრევე იძინებს

– აჰ, არა, ეგენი სუსტები არიან, ჩემთან ქალი დაჟე სექსის დროს იძინებს...

***

ძალიან ეჭვიანი ქმარი მივლინებაში მიდის და მეგობარს უბარებს:

– ჩემს ცოლს ყურადღება მიაქციე, თუ რამე უჩვეულოს შეამჩნევ, მაშინვე შემატყობინე.

გადის სამი დღე და მეგობარი რეკავს:

– სასწრაფოდ ჩამოდი!

ჩამოვიდა ქმარი და გულგახეთქილი მივარდა მეგობართან:

– აბა, მომიყევი, რა მოხდა?

– თავიდან ყოველ საღამოს მოდიოდა ვიღაც კაცი და დილით მიდიოდა....

– და, მაშინვე რატომ არ დამირეკე?

– უჩვეულო გუშინდლიდან დაიწყო – ის კაცი არ მოვიდა...

***

– რით განსხვავდება ინგლისელი სტუმარი დაუპატიჟებელი ნათესავისგან?

– ინგლისელი გამოუმშვიდობებლად მიდის, დაუპატიჟებელი ნათესავი კი ბევრჯერ გამოგემშვიდობება და არ მიდის...

***

ნამდვილი მამაკაცი ისაა, ვინც საწოლიდან დასასვენებლად დგება.

***

– ბრალდებულო, ახსენით, რატომ დაარტყით დაზარალებულს, თქვენს მეზობელს?

– მას ქალაქში, კორპუსში, მეთორმეტე სართულზე, საიდუმლოდ ჰყავს ქათმები.

– და თქვენ ამით რამეში გეშლებათ ხელი?

– ბატონო მოსამართლევ, სამი თვეა, უფრო მეტიც, ფსიქიატრთან ვმკურნალობ – ქათმების კაკანი და მამლების ყივილი ჩემი ავადმყოფი გონების წარმოსახვა მეგონა...

***

სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ მამაკაცი სახინკლეში ორი მიზეზის გამო ზის:

1) მას არ ჰყავს ცოლი;

2) მას ჰყავს ცოლი.

***

გაპრანჭული ახალგაზრდა ქალი გაჭედილ ავტობუსშია. საშინლად უნდა გაზების გაშვება,




ძლივს იკავებს... საბედნიეროდ, მუსიკა ხმამაღლაა ჩართული... „დაუმიზნა" ბასის რიტმს და, როგორც იქნა, გათავისუფლდა... მიმოიხედა და ხედავს, ირგვლივ მგზავრები შემოცლია და ეჭვით უყურებენ... უცებ გაახსენდა, რომ ფლეერს უსმენდა...

***

– შეჭამე ეს ტორტის ნაჭერი, ძვირფასო...

– მადლობა, არ მინდა.

– ნახე, როგორი მადის აღმძვრელია, ლამაზი... ჭამე...

– მადლობა, არ მშია...

– სულ ცოტა მაინც...

– კარგი, რა, შემეშვი, შვიდი საათის შემდეგ არ ვჭამ...

– ჭამე ტორტი, შენი დედაც... შიგ ბეჭედია, ხელი უნდა გთხოვო!

***

– გახსოვდეს, შენ ჩემზე უფროსი ხარ და ჩემზე ადრე მოკვდები...

– ჰო... გამოდის, ჩემი იარაღის გამოჩენა მომიწევს, რომ ეგ ფაქტი დააზუსტო...

***

ასაკოვან ბანკირს ახალგაზრდა, ლამაზ ქალზე დაქორწინება უნდა.

– რას მთავაზობ? – ეკითხება ქალი.

– სამსართულიანი კერძო სახლი, აუზით... აგარაკები ზღვაზე, მთაში... ყოველ წელს დასვენება და მოგზაურობა აზიისა და ევროპის რომელ ქვეყნებსაც აირჩევ... მეგობრებისთვის, შოპინგებისთვის სახარჯო ფული – რამდენსაც მოითხოვ... ჩემი სიკვდილის შემთხვევაში, ყველა ვარიანტში ყველაფერი და, კიდევ, 500 ათასი ევრო შენ დაგრჩება...

– იცი, მე ყოველდღე მინდა სექსი...

– პრობლემა არ არის, ხუთშაბათს ჩამწერე...

***

ქორწილის შემდეგ სიძე სამსახურში პირველად გამოცხადდა.




– აბა, როგორი იყო პირველი ღამე?

– ეჰ, არ მახსოვს. გონება მაშინ დავკარგე, როდესაც წამწამები მოიხსნა...

***

ტურისტი ეკითხება კოწიას:

– შეგიძლიათ, მითხრათ, როგორ ავიდე იმ მთაზე?

შეხედა ტურისტს კოწიამ, მერე ახედა მთას:

– ახლავე ადიხარ, ბიძია, ოუშვა ძაღლი?!

***

ჩატარდა გამოკითხვა: „როგორ გადავიყვაროთ ქალი". ძირითადად სამი პასუხი დაფიქსირდა: „დავივიწყოთ", „ვიპოვოთ სხვა ქალი" და – ყველაზე ორიგინალური: „დავაყენოთ მაღვიძარაზე მისი ხმა"...

***

ჩუქჩა მონადირემ, როგორც იქნა, მოკლა დათვი, ტყავი სიდედრს უსახსოვრა, ხორცი სახლში მოიტანა, საცირკო ველოსიპედი კი შვილს ერგო.

***

მაღაზიაში:

– ქალბატონო, ეს კაბა გასუქებთ...

– მართლა? მე კი ნამცხვრებს ვაბრალებდი...

***

ქმარი შუაღამისას აღვიძებს ცოლს და ორ აბსა და წყლიან ჭიქას აწვდის.

– ეს რა არის?

– თავის ტკივილის წამალი.

– თავი რომ არ მტკივა?

– აჰა, ძალიან კარგი..

# გასათხოვრად გამზადებული ქეთინო და მსოფლიოს ჩემპიონის სახელით ჩადენილი ძარცვა

იყო ასეთი მითქმა-მოთქმები, – მძიმედ დაიწყო თხრობა ფალავანმა – მე ამჯერად რამდენიმე ისტორიას გავიხსენებ:

***ისტორია 1.*** წარმატების ზენიტში ვარ – უკვე მსოფლიოს ჩემპიონი. ერთ ახლობელ კაცთან ერთად მსუბუქად ვსვამთ თბილისის ერთ-ერთი რესტორნის მყუდრო კუპეში. ეს კაცი დიდი ხნის უნახავი მყავდა და გაცხარებით ვიხსენებთ იქითურ-აქეთურებს.

– ჩემო რომან, ერთი რაღაცა უნდა გკითხო, მაგრამ მერიდება. თან, თუ მართალი გამოდგა ეს ამბავი, ძალიან გამიხარდება, წინასწარ გეუბნები.

– მაინც რა? – დავინტერესდი.

– ქეთინო კ-ს თუ იცნობ? ახალგაზრდა გოგოა. 17-18 წლის, ლამაზ-ლამაზი.

– არა... ასეთ გოგოს არ ვიცნობ, – ვთქვი ალალად.

– ო, რა ხარ შენ! როგორ, კაცო, ქეთინო კ-ს მართლა არ იცნობ? ნუ მიმალავ, ბიჭო, თქვი, გაამხილე... ნათესავია ჩემი.

– არა, ნამდვილად არ ვიცნობ.

– ბიჭო, ქალზე დაქორწინებას აპირებ და მე მიმალავ? მე, მის ნათესავს?

– სულ გამოვედი მოთმინებიდან.

– რას გიმალავ, თუ ძმა ხარ, ნამდვილად არ ვიცნობ, ბიჯოს!

– ქეთინო მეუბნება, რომან რურუამ ცოლობა მთხოვა და როგორ მოვიქცეო, – მითხრა და...

მოულოდნელობისგან სულ დამება ენა, – „რი ატამი, რა ატამი?“

– მაშინ შემახვედრე ეგ შენი ნათესავი და მოვრჩეთ საქმეს-მეთქი, – გავუადვილე, ხელი ხელს დავკარით და მეორე დღეს, დათქმულ ადგილზე მომიყვანა იმ კაცმა თავისი ნათესავი ქეთინო კ.

– აი, ესაა ჩემი ქეთო, – მეუბნება...

– სასიამოვნოა, – ხელი ჩამოვართვი ერთთავად შემცბარ-გაკვირვებულ გოგონას.

– ესაა, ხომ? – ეკითხება გოგოს ჩემზე. ქეთომ თავი გააქნია, – ნწუ! ეგ არაა, ის უფრო მაღალია და გამხდარი.

– ცუდი ხომ არაფერი უკადრებია იმ ყმაწვილს? – ფრთხილად შეეკითხა ჩემი მეგობარი.

– როგორ გეკადრება, ბიძია, – გოგომ, –




მხოლოდ იმას მეუბნებოდა, მსოფლიოს ჩემპიონი რომან რურუა ვარ, წამომყევი ცოლად, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს ჩემს ხელშიო.

– სადაა ახლა ის შენი რომან რურუა? – ახლა მე ვეკითხები.

– ერთი კვირით ტურნეში მივდივარო, ასე მითხრა.

რომ ჩამოვა შემახვედრე-მეთქი, ვუთხარი და კიო, დამპირდა.

ის ჩემი „სეხნია“ საერთოდ აღარ გამოჩენილა მას მერე. ან შეიძლება, გოგო ეშმაკია და დამიმალა. ასე მოკლე ფეხი აღმოაჩნდა იმ ტყუილს.

***ისტორია II.*** ერთ მშვენიერ დღეს მოკრძალებულად დამიბარეს მილიციაში. არ ვიცი, ჯერ რა ხდება. მივედი.

– რა იკადრეთ, ბატონო რომან, მოგვჭერით თავი პირდაპირ. ამას რას მოვესწარი, კაცო! – შინაურულად მეუბნება მილიციის უფროსი.

– ამიხსენით, რაშია საქმე?

– ორმა მოქალაქემ მოგვმართა წუხელ ერთდროულად, მსოფლიოს ჩემპიონმა რურუამ ფული შეგვაწერა, ჭიდაობის „პრიომებს“ გასწავლითო. წაიღო ფული, დაგვიტოვა ტელეფონი და აღარ გამოჩენილაო. რაში დაგჭირდათ, ბატონო რომან, ეს ამბავი?

კინაღამ გავგიჟდი, რას მეუბნებით, კაცო, ასეთი რამ აზრად არასდროს მომსვლია, დამაპირისპირეთ იმ დაზარალებულებთან-მეთქი.

მეორე დღეს მოიყვანეს ორივე განყოფილებაში. ორი ჩია, ერთმანეთზე გამხდრები, ძლივს იხედებიან თვალებში. რა ეჭიდავებათ, ამ უბედურებს...

– ვინაა ეს კაცი? – ეკითხება მილიციის უფროსი.

– რო არ ვიცი?! – შეწუხდა ერთ-ერთი. მეორემ თავი გააქნია, – არ ვიცი, არა-არაო!

– ესაა რომან რურუა, – აუხსნა უფროსმა. ამან შეგაწერათ ფული?

– როგორ გეკადრებათ, ბატონო. ის ძალიან სქელი იყო. თან – რიჟა, – აყვირდნენ ერთდროულად. თან, ის უფრო ღონიერი ჩანდა.

სქელი და რიჟა „რომან რურუა“ ოცდაოთხ საათში გასკვანჩეს ოპერმუშაკებმა. ვიღაც ნახალოვკელი თაღლითი სოსო აღმოჩნდა, რომელსაც ორი ძარცვაც მოესწრო ამასობაში. ყველაფერი აღიარა. ასე ცხოვრობდა თურმე თავის დღე და მოსწრება. რა თქმა უნდა, ჩააყუდეს და მე ბოდიში მომიხადეს, მაგრამ ნათქვამია: „გატეხილ გულს ბოდიში ვერ გაამთელებსო. მართლაც ძალიან მეტკინა გული, რომ ზოგიერთები, ადამიანურ ღირსებას ასე იოლად სვრიან ლაფში.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ უმკურნალა ჩინელ ბიჭს სიდედრმა ძმრიანი „ნასკებით“

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ოღონდ, ცოტა გავცივდი.

ასეთი ზაფხული, თურმე, დიდი ხანია, არ ახსოვთ ქართველებს. ღამით საბანი გვახურავს, არადა, აგვისტოში აქ ისეთი სიცხეა ხოლმე, ხალხის გაშტერების ხარჯზე საგზაო შემთხვევები იმატებს. ქართველებს ამინდის გამოცნობის სხვადასხვა ხერხი აქვთ. პირველი და ყველაზე ადვილი ხერხი საინფორმაციო გამოშვებაში მოსმენილი პროგნოზია, რომელიც ყოველთვის მართლდება, მაგრამ, თარიღები არ ემთხვევა ხოლმე, მაგალითად, ხვალისთვის გამოცხადებული ამინდი, შეიძლება, ერთ კვირაში ახდეს. სოფლებში ხალხის პროგნოზი უფრო მრავალფეროვანია, მაგალითად: მეორე დღის ამინდი დამოკიდებულია იმაზე, როგორ დაფრინავენ მერცხლები, სად იძინებს კატა, დაახველა თუ არა ბებერმა ძაღლმა და ასე შემდეგ. ჩვენი ოჯახი არც ერთ ამ საშუალებას არ იყენებს, ყველაზე უტყუარი პროგნოზი ლამზირას დედას, ანუ, ჩემს სიდედრს აქვს: თუ თქვა, სახსრებში მამტვრევსო, ესე იგი, წვიმა მოვა; თუ წნევამ აუწია, ღრუბლიანი ამინდი და ქარი იქნება; თუ სული ეხუთება ესე იგი დაცხება და ასე შემდეგ, ერთხელ ვუთხარი, მაგ სინოპტიკოსობას ექიმთან წახვიდე, არ გირჩევნია-მეთქი? ასე მითხრა, ნაწილ-ნაწილ რომ დავიშალო,




შენნაირს ცხრას ვაჯობებო. დედა, როგორც ადრე მოგწერე, ქართველები, სანამ მოძრაობისა და მეტყველების უნარი არ დაეკარგებათ, ექიმთან არ მიდიან.

როგორც გითხარი, ჩემი სიდედრის სახსრების ტკივილის მეორე დღეს გავცივდი და მაღალი სიცხე მომცა. მე ექიმთან წასვლა და წამლის დალევა მინდოდა, მაგრამ, ვინ მომცა უფლება! უცებ მოვარდა ჩემი სიდედრი და რაღაცის მურაბა და ძმარი მოიტანა. ეს მურაბა ცხელ წყალში ჩაასხეს და, ისეთი ცხელი დამალევინეს, პირი ახლაც გამომწვარი მაქვს. იმ ძმარში კი წინდები ჩაყარეს, კარგად დაალბეს და მერე ფეხზე ჩამაცვეს. ისეთი სუნი ამდიოდა, ჩემი ძველი ბინის სუნი „შანელის“ სურნელად მოგეჩვენებოდა. რაღაც რეზინის ბურთიც მოიტანა – ოყნა თუ რაღაცა, რომელშიც რაღაცა ჩაასხეს. რომ გავიგე, რასაც მიპირებდნენ, დანა მივიდე ყელზე და ვთქვი – თუ მომეკარებით, ყელს გამოვიჭრი-მეთქი. მოკლედ, ექიმის გარდა ყველა საშუალებას მიმართავენ ქართველები ავადმყოფობისას. გრიპი საერთოდაც არ მიაჩნიათ ავადმოფობად. პატარა ბავშვმა თავი თუ გაიტეხა, იცინიან და ეუბნებიან: რა გაღრიალებს, კაცი არ ხარო?! სხვათა შორის, კაცები თავზე დარჩენილი ნაიარევებით ძალიან ამაყობენ, თუმცა, ვერ მივხვდი, რატომ. ჯერჯერობით სულ ეს არის, დედა. მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

**მოგზაურობა ყველა ადამიანისთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით კი ზაფხულში. ჩვენი რესპონდენტიც სიამოვნებით ისვენებს მთელი წლის დატვირთული სამუშაო რეჟიმის შემდეგ. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ხათია შამუგია პასიური დასვენების მოყვარულია და მაქსიმალურად ცდილობს, შვებულებით განკუთვნილი დრო ბოლომდე გამოიყენოს ძალების აღსადგენად და აქტიური დასვენებით თავი ორმაგად არ გადაიღალოს.**

# ვინ შეუქმნა კომფორტი ხათია შამუგიას ხურგადაში და ვის უქმნის ის დისკომფორტს თავისი პედანტობით

**ხათია შამუგია:** ძალიან მშვიდად და კარგად დავისვენე. ყოველთვის თურქეთში მივდიოდი ზაფხულობით დასასვენებლად, წელს კი რატომღაც ეგვიპტეში, ხურგადაში გადავწყვიტე წასვლა, თან ჩვეულ დროზე ადრე. ალბათ, გული მიგრძნობდა აგვისტოში იქ არეულობა რომ დაიწყებოდა.

– **ეს დასვენება კიდევ რით იყო გამორჩეული?**

– ხურგადაში 8 დღით ვიყავი წასული, გამორჩეული კი რამდენიმე გარემოების გამო იყო. რაც ყველაზე მთავარია, პირველად ვიყავი დასასვენებლად ნიკუშასთან (შვილთან) ერთად და ეს ძალიან მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი იყო. ცოტა ვნერვიულობდი კიდეც, რადგან არ ვიცოდი, რამდენად კომფორტული იქნებოდა ჩემთვის ბავშვთან ერთად დასვენება. თან, მე ძალიან ფეთიანი დედა ვარ, ამიტომ პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ვიღებდი, ორმაგად ვნერვიულობდი. გარდა ამისა, ეს მოგზაურობა იმითაც მნიშვნელოვანი იყო, რომ ნიკუშა პირველად გაემგზავრა უცხოეთში და ასევე, პირველად იფრინა თვითმფრინავით. მინდოდა, ნიკუშას ყველა ემოცია საკუთარი თვალით მენახა. ამიტომ, საკმაოდ დახუნძლული ჩამოვედი დადებითი ემოციებით. ძალიან ამაყი ვიყავი ჩემი შვილით, როცა მივხვდი, რომ ის უკვე დიდი და დამოუკიდებელი ადამიანია. ვგრძნობდი, რომ ბიჭთან ერთად ვიყავი დასასვენებლად და რაღაც თუ მჭირდებოდა, პრობლემას ის აგვარებდა. სხვათა შორის, ინგლისურადაც მშვენივრად ლაპარაკობს თურმე. მივხვდი, რომ ნიკუშა იმ ასაკშია, როცა მასთან ერთად უკვე დასვენება შეიძლება. ის საკუთარ თავსაც აქცევდა ყურადღებას და დედასაც.

– **როგორ ერთობოდით?**

– მე დიდად გართობის მოყვარული არ ვარ, უფრო მეტიც, პასიურ დამსვენებელთა სიაში, ჩემს მეგობრებში პირველ ადგილზე ვარ. ამიტომ ჩემთან ერთად დასვენება დიდად არ უყვართ. მაგალითად, თაკო დოლაბერიძეს პირდაპირ აქვს ნათქვამი, მე ხატიასთან ერთად მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ დასასვენებლად, თუ კიდევ ვინმე წამოვა, მარტო რომ არ ვიგრძნო თავიო. ერთხელ ვიყავით ერთად და თაკომ რამდენიმე დღეში თბილისში დაურეკა ჩვენს მეგობრებს, ოფიციალურად მარტო ვისვენებ და ვინმე ჩამოდით, თორემ ლაპარაკი დამავიწყდებაო. ამ გოგოს ან სძინავს, ან ცურავს, მეტს არაფერს არ აკეთებსო. თუმცა, კომფორტული ვარ იმ მხრივ, რომ ფაქტობრივად, არ ვარსებობ. იმდენ ენერგიას ვხარჯავ მთელი წლის განმავლობაში და იმდენ ემოციას გავცემ, რომ პასიური დასვენება ენერგიის აღდგენაში ძალიან მეხმარება, მით უმეტეს, უცხოეთში, სადაც შემთხვევით ნაცნობ სახეებს ვერ ვხედავ და ვისვენებ ისე, როგორც მინდა. შემიძლია, მთელი დღის განმავლობაში ხმაც არ ამოვიღო, ვიწვე ზღვის სანაპიროზე და დავისვენო. მიყვარს სასტუმრო, რაც უფრო პატარა და მყუდროა, თუმცა აუცილებლად 5-ვარსკვლავიანი. არც აუზების რაოდენობა წარმოადგენს აუცილებელ პრიორიტეტს. შეიძლება, საერთოდ არ იყოს აუზი, ამაზეც თანახმა ვარ. თუმცა, ასეთები არ არის უცხოეთში. ჩემთვის მთავარია, სასტუმრო ზღვის ნაპირზე იყოს. რა ჯობია, კარს რომ გააღებ და პირდაპირ ზღვას ხედავ. ვფიქრობ, სწორედ ეს არის განტვირთვის საუკეთესო საშუალება. თან, ძალიან პედანტი ვარ, სულ რეჟიმში ვარ და საერთოდ, სულ გეგმის მიხედვით ვცხოვრობ.



გვანცა კილასონია სულ იმას ამბობს, სანამ ეს ამ ყველაფერს წაისვამს, მზე ჩადის და ამიტომ ვერ იღებს კარგ რუჯს ვერასდროსო

**თაკო დოლაბერიძეს პირდაპირ აქვს ნათქვამი, მე ხატიასთან ერთად მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ დასასვენებლად, თუ კიდევ ვინმე წამოვა, მარტო რომ არ ვიგრძნო თავიო**

– **მარტო ნიკუშასთან ერთად იყავი თუ კიდევ იყვნენ თქვენთან ერთად სხვებიც?**

– ჩვენთან ერთად ჩემი რამდენიმე დაქალი იყო. ნატუკა სამი შვილით, სოფო ორი შვილით, თამუნა ერთი შვილით და მანჩო ორი შვილით. წარმოგიდგენია, იქ რა ამბავი იქნებოდა? სხვათა შორის, პირველად ვიყავით ერთად და ძალიან კარგად დავისვენეთ. ფანტასტიკური ბავშვები არიან, თითქმის ყველა ერთი ასაკის. ამიტომ, ასაკობრივი დისბალანსი არ იყო და კარგად ერთობოდნენ. სასტუმრო ძალიან კარგად იყო დაცული, არც ამ მხრივ გვქონდა პრობლემა. ამიტომ, ბავშვები თავისთვის ერთობოდნენ, დედები თავისთვის. ერთადერთი დისკომფორტი ის იყო, რომ მე 11 საათზე უკვე ვიძინებდი. ისე, ანიმაციებს გულგრილად ვერ ვუვლიდი გვერდს და თუკი რამ ხდებოდა, ყველაფერში მონაწილეობას ვიღებდი. ასეთი გართობა მომწონს.

– **კიდევ გეგმავ დასვენებას სადმე, თუ ამით დაასრულე საზაფხულო არდადეგები?**

– ჯერჯერობით არა, რადგან სექტემბერსა და ოქტომბერში ევროპაში მივლინებით მომიწევს წასვლა. მართალია, საქმიანი ვიზიტები იქნება, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, როცა გარემოს იცვლი. ჩემს გოგოებთან ერთად კი, თუ ყველაფერი კარგად იქნა, სავარაუდოდ, დეკემბერში ვგეგმავთ ერთად დასვენებას. კარგი იყო ბავშვებთან ერთად, მაგრამ ცოტა მარტო დასვენებაც გვჭირდება.

– **საერთოდ, ლეგენდები დადის ხათია შამუგიას საზაფხულო რუჯის მიღების პროცედურებზე...**

– იმდენი რამ მქონდა წაღებული – ყველანაირი დამცავი კრემი, თავისი თერმული წყლებით. ტანსაცმელი ერთი პატარა ჩანთაში მეწყო, დიდი ჩემოდანი კი ყველანაირი კრემით მქონდა სავსე. მართლა არ მეზარება, აუზზე გასვლამდე შემიძლია, ნახევარი საათი ვისვა სხვადასხვა დამცავი საშუალება. გოგოები იცინოდნენ, კი არ კითხულობს რა რისი „მაზია", ფერების მიხედვით ცნობს ყველაფერსო. ერთხელ თაკო დოლაბერიძე ამყვა „ფერხულში". ერთი დღე წაისვა კრემები, მეორე დღეს კი თავი დამანებეო, გაგიჟდა. გვანცა კილასონია სულ იმას ამბობს, სანამ ეს ამ ყველაფერს წაისვამს, მზე ჩადის და ამიტომ ვერ იღებს კარგ რუჯს ვერასდროსო.

– **მართლა არ გეზარება ამ რიტუალის ჩატარება აუზზე ყოველი გასვლის წინ?**

– არა და ყველას ვურჩევ, რომ დამცავი საშუალებები აუცილებლად წაისვან. ამით საკუთარ ჯანმრთელობასაც დაიცავენ და კარგადაც გაირუჯებიან.

**მარიკა ხიდურელი**



გვ. 22

**როგორი მამა და მეუღლეა ნიკა ცქიტიშვილი და მოუტანს თუ არა მისი დაბრუნება წარმატებას საქართველოს ნაკრებს**

**სად მიიღო პირველი დიდი გამოცდილება თამთა შედანიამ და როდის იყო ის დაბნეული და შეშინებული გოგონა**

გვ. 71





**როგორ აღმოჩნდა სოფია კენჭიაშვილი ნამდვილ სამოთხეში და ვინ ასრულებს ქართველი გოგონების ყველა ხუშტურს**

გვ. 19



გვ. 50

**რატომ არ გაჰყვა „ვაით ნეგა“ კანონიერი ქურდი ბიძების გზას და რა კომფორტი ჰქონდა მას ჰოლანდიურ ციხეში**


საქართ… …ლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბ… …სელები®

ყოველკვირეული ჟ… გამოდის ორშაბათობით …–1 სექტემბერი * №35 (661) * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge